

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი




VIII

ოქტომბერი

VIII

1913 წ.





რედაქცია უმორჩილესად სთხოვს აგენტებს და ხელის მომწერლებს მათზე დაწინაღობი ფული აუცილებლად მოგვაწოდონ სულ მოკლე ხანში.

**ზინაარსი:** 1) თავ. რ. ერისთავის შემოქმედება (კრიტიკული ეტიუდი)—**იპ. ვარ-თაგვა**. 2) ჭიგენა ტუე და მისი ჭიერი—**ილ. ალხაზიშვილი**. 3) ბავშვების აღზრდა და სწავლება—**გერასიმე**. 4) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტუა-კაზ-მულ მწერლობაში—**ს. დადიანი**. 5) თავისუფლად აზრის გამოთქმა—**გრ. საქარიქე-დელი**. 6) ნიკოლოზ ბარათაშვილი (გაგრძელება) **ი. ფერაძე**. 7) ნ. მარი (მისი 25 წლის სამეცნიერო ასპარეზზედ მოღვაწეობის გამო) **მეგობარი**. 8) სიტუა წინამძღვა-რისთ კარის სკოლის 30 წლის იუბილეს გამო—**ეზისკოპოსი ლეონიდი**. 9) ქართუ-ლი ენის მოყვარულთა საუერადღებოდ—**დ. ჩქოტუა**. 10) ჭერარტ ჭაუშტმანი „მიხილ კრამერი“ ოთხ მოქმედებანი დრამა (თარგმანი)—**ივ. გომელაური**. 11) ძველი კერ-ვი—**ლადო გეგეჭკორი**. 12) კითხვა—**ილ. გოგია**. 13) დნებრის შირას—**დ. თურ-დოსპირელი**. 14) ჩემი მხარე **გელა**. 15) ელეგია—**გ. ლეონიძე**. 16) ნიაფა, რას მქნურჩულები—**გულგატეხილი**. 17) უკანასკნელი ძახილი—**ვ. გორგაძე**. 18) ვაჟა-ფშაველას—**ბაჩანა**. 19) ამაოდ ღოდინი—**ზ. ვაშაძე**. 20) \* \* \* ლექსი—**ბაჩანა**. 21) შინაური მიმობილვა—**კოწოლაური**. 22) ახალი ამბები—**ი. გ—რი**. 23) რუსეთი—საბავშვო წიგნების გამოფენა კიევიში—**დ. თ—ლი**. 24) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—**ილ. ალხაზიშვილი**. 25) **დამატება:** ცნობები ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებული საზოგადოების: მოხსენებანი უღამშიის, ატენის და საგურამოს სკოლების შესახებ. ოქმი სენაკის განყოფილების საზოგადო კრებისა. თელავის განყოფილების სკოლის შემოსავალი და გასავალი 1912 წ. სახუმის გამოკების მოხსენება 1912 წ. და განცხადებანი.

ვინაიდან მე ამა 1913 წლის მაისიდან ონში არ ვიმყოფები, ვთხოვ ამ წლის „განათლება“-ზე დ. ონში ჩემთან ხელის მომწერთ, რომ რე-დაქციის ყოველგვარი ანგარიში გაასწორონ ისევ ონში **სერგო რუხა-ძესთან**. მასვე უნდა გადასცენ ფული, —ვისაც წრევანდელი ჟურნალის ფასი სრულად, ან სულაც არ გადაუხდიათ...

დ. ონში ყოფილი აგენტი ჟურნალ „განათლების“ **ილია გოგია**.

რედაქციამ დაუგზავნა თავის აგენტებს ახლად გამოსული წიგნი განსვენებუ-ლის იაკობ გოგებაშვილის **სახსოვრად**. ამ წიგნის შეძენა შეიძლება: **კავ-კავში**—**ვ. ბურჯანაძესთან**, **ბაქოში**, მეთ. კაკაბაძესთან, ქართულ სკოლაში, თელავში—**ნინო გონიაშვილთან**, **გორში** ნ. ლომოურთან, **ევირილაში** ს. ორ-ჯონიკიძესთან. **სამტრედიაში** წ. კ. საზ. კიოსკში. **ხონში**—**ლ. ჩიმაკაძესთან**. **ახ. სენაკში**—**სპ. ენუქიძესთან**. **აბაშაში** ვ. ქობულიასთან, **ბათომში**—**წიგნის მაღა-ზია „განთიადი“ ფოთში** მღ. ლ. წულაძესთან. **ლანჩხუთში** მ. იმნაძესთან. **ახალ-ცინეში** კ. გვარამაძესთან. **ოზურგეთში**—**დ. თალაქვაძესთან** **სოხუმში** ნიკო ჯა-ნაშიასთან. **ჩოხატაურში** ს. თავათრქილაძესთან, **სურამში** ნატ. გიგაურთან. **ონ-ში** დ. კერესელიძესთან **ზუგდიდში** ელენე ვასაძესთან. **ქუთაისში** ის კვიცარი-ძესთან, **ჭიათურაში** ი. გომელაურთან.

რედაქცია აცხადებს, რომ „განათლების“ იანვრის ნომერს ვერავის გაუგ-ზავნის, რადგანაც ეს ნომერი აკრძალეს და წაიღეს მთლად და დაბრუნების იმედიც არ არის.





სამეცნიერო-პედაგოგიური & სალიტერ. ჟურნალი

# განათლება

(წელიწადი მეექვსე)

VIII

ოქტომბერი

1913 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.  
ნახევარი წლით . . . 3 მან.

ცალკე ნომ-  
რის ფასი

40 კაპ.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს  
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად  
3 მან.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-  
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და  
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და  
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-  
რესით: **Тифлисъ, Дворянская Грузинская**  
**Гимназія Л. Г. Боцвадзе.**

## თავ. რ. ერისთავის შემოქმედება

(თხზულებანი თ. რ. ერისთავისა. თბილისი 1893 წ.)

### კრიტიკული ეტიუდი

თ. რ. ერისთავის შემოქმედება არ არ-  
ის თავიდან ბოლომდის ერთგვარის ხასია-  
თის და მიმართულების. ის განიყოფება  
ორ ნაწილად. თავის ლექსების პირველს  
ნაწილში რ. ერისთავი მხოლოდ უბრალო  
მოშაირვა, კობტად და ლამაზად სიყვა-  
რულზე მომღერალი, ხვევნა-კოცნის,  
ტყლაშა-ტყლოშის მოტრფიალე, მხიარუ-  
ლი და უდარდელი ცხოვრების მალმერ-  
თებელი. მომეტებული ნაწილი ამ ლექ-  
სებისა ეროტიკულის ხასიათისაა: მათში  
სიყვარულის და გარეგან სიმშვენეირე და  
სილამაზის აღწერას უმთავრესი. ადგილი  
უჭირავს. ამასთან გრძნობა სიყვარულსა  
დაბალის ხასიათისაა, გადამეტებით მიწი-  
ერი და ხორციელია. პოეტის ვნებათაგან

აღზნებული ფანტაზია ესწრაფვის და ეტ-  
რის „არშიყსა ქალსა“, ტანად საროსა,  
კვიპაროხსა, ყელ-ბროლ—ფიქალსა, მისთ  
ტუჩთა ლაღებს, თვალებს, მათ ცეცხლის  
აღსა“ (გვ. 11). გრძნობით დამთვრალი  
მგოსანი მოგვითხრობს:

„ვნახე თვალები, როგორც ისარნი,  
ვითა მახვილნი განკუბისანი!..  
რა შწველებია, რა შალებია,  
რა თვალებია, რა თვალებია?!“ (გვ. 14).

პოეტი თავდავიწყებამდის მიყავს, და მას  
ხიბლავს გარეგანი სიმშვენეირე. მისი მყუ-  
დრო, აუჩქარებელი, წყაროსავით წყნა-  
რად მომდინარე ცხოვრება, რომელსაც  
„ვერც სოფლის ღელვა, ვერცა ჟინი ვერ  
არევდა“, აუმღვრევია „ტურფა და ნახს,



ვარდი და ბროლის სადარს ლამაზს ქალს“. ამ სიყვარულს პოეტი ისე „გაუბრუებია“, რომ სამუდამოდ განუზრახავს სატრფოს „მონება“ (გვ. 32). პოეტი ფიცს აძლევს სატრფოს—„გულის მეფეს“ (გვ. 155), რომ

...სანამ მზის სხივი არ დახედავს,  
მანამ ქვეყანა არ დახედავს,  
შავსა უფსკრულში არ დაინთქება,  
არა არსებად არ ჩაითგლება,—(გვ. 100)

მას ვერ დაივიწყებს და ზეცაშიაც მისით ცხოვრებას იწყებს!

ასეთი მძლავრი სიყვარული პოეტს ვერ უვსებს გულს წმინდა გრძნობებით და რაინდულ მისწრაფით, ზეცას არ უახლოვებს, გონებას და სულს არ უსპეტაკებს მას: ის მხოლოდ ფიზიკურად, ხორციელად აღდევებს, გულში აღზნებს „ცეცხლსა მწველსა“, აწითლებს, აჭრუოლებს, ათრთოლებს, „ვით ფურცელსა“.

სიხარულით დატყვევებულს პოეტს მხოლოდ ხორციელი გრძნობის და განცდის დაკმაყოფილება ენატრება. ვნებათა ღელვით „სუნთქვა გაძნელებულს“, მას სურს —„მშვენიერსა თვალი თვალსა გაუყაროს, თავი თავსა, თმა დალაღსა, მკერდი მკერდსა დაამყაროს, ტუჩი ტუჩსა შეაწებოს, გულით სული გაახაროს, დავიწყებას თავი მისცეს, ნეტარების ცრემლი ღვაროს“ (გვ. 19.).

„ჩვიდმეტი წლის ქალშიაც“ პოეტის გამიწიერებული, ხორციელ და გარეგან სიმშვენიერის მალმერთებელი ფანტაზია მხოლოდ სექსუალურს ვნებათა ღელვას ამჩნევს. მისი წარმოდგენით, ნორჩი ქალი კაცს დანახვაზე „აჭრუოლდება, გაწითლდება“ (გვ. 22.) და, სექსუალურ გრძნობით შეპყრობილი, კარგავს გონებას (გვ. 21).

პოეტის აზრით, ქალ-ვაჟის სექსუალუ-

რი ერთმანეთისკენ მისწრაფება და ამ მისწრაფებით გამოწვეული სურვილი და წადილი ისე მძლავრია, რომ შეყვარებულთ „ტვინს უღუღებს“ და ჰქმნის ხელადა“.

თუ რა იწვევს სიყვარულს, რა უღვეს მას სარჩულად და თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ ის გაღვივდეს და გაძლიერდეს,—ამაზე გადაჭრილს პასუხს პოეტი გვაძლევს ერთს თავის პოპულარულს ლექსში—„წრეს გადასული წრეში შესულს“.

„შენ გსურს მანადის უმაწვილი კაცი“,

— ეღობება მგოსანი ნორჩ ქალს

ამას არ ვსტუუვი, არ უნდა ფიცი,

რად შემიუვარკებ? განა არ ვიცი,

შენ ჯერ ნაწიხი ხარ, მე კი მახუცი...

—

შენ გესიზმრება ღოგა წითელი,

თმა-შავი ბიჭი, გულის შემწველი,

ჭკონდეს მხარ-ბეჭი და წვრილი წელი,

ახლად ჭკვადეს, რაგორც რომ ველი...

—

შენ გაგაწითლებს, თუნდაც სიზმარში,

ვისაც არ უჩანს ჭადრა თმაში,

შენ აგაჭრუოლებს, თუნდა ეინგაში

ამწვანებულად ახლად უღვასი...

—

შენ გინდა, ცექქი ბავში გეტრფოდეს,

შავთა თვალთაგან ცეტხლს აფრქვევდეს,

ტებილის დიმილით გუღსა ვიდხენდეს,

თავს გუგლებოდეს და გაცტხლებდეს...

—

რად გინდა ჩემი გამოცდილება,

ჭკუა დამჭადარი, ფიქრთა ქმნილება?

რას აქნევს ან ერთგულებას,

რაკი მეწვია ესე ცვლილება?..

ამაზე მეტად გამიწიერება და განხორციელება სიყვარულის გრძნობისა, მგონი, შეუძლებელია! აქ სიყვარულის ატრიბუტებად ჩამოთვლილია ისეთი თვისებები,



რომელიც სიყვარულს მხოლოდ აღზნებულ გრძნობის და ჭაბუკურ ნდომის პროცესად ჰქმნის. „ნორჩ ქალის“ და თვით პოეტის (ეტყობა, პოეტი ამ ქალის აზრს ეთანხმება) სიყვარულის წარმოდგენა ფიზიოლოგიურია: ადამიანის სიმშვენნიერე მათ მხოლოდ გარეგან ფორმაში ეჩვენებათ, რადგანაც დავიწყნიათ ის უტყუარი ჭეშმარიტება, ასე ლამაზად გამოთქმულ ნ. ბარათაშვილისაგან, რომ „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების და ვით ყვავილი თავის დროზე მსწრაფლად დასქენების“.

რ. ერისთავი სრულიად არ ცდილობს სიყვარულის გრძნობა გააპატიოსნოს და გააცისკროვნოს, მიწას ააშოროს და ზეცას დაუახლოვოს, სამარადისო და უცვლელი თვისებებით შეამკოს.

მართლაც, რას წარმოადგენს მხოლოდ გარეგანი სიმშვენნიერე ადამიანისა, თუ მას არ აშუქებს და არ აპატიოსნებს სხივი ადამიანის გონიერებისა, გამოცდილებისა და „ქკუა დამჯდარი, ფიქრთა ქმნილება“? ყველა განვითარებული და შეგნებული ადამიანი ადამიანში უფრო სულიერს თვისებებს აფასებს და მათზე აფუძნებს წმინდა სიყვარულს და არა მხოლოდ ხორციელ სილამაზეზე. მართალია, ქალვანის სიყვარულში სილამაზესა და სიმშვენნიერეს საპატიო ადგილი უჭირავს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სრული სიყვარულისათვის მხოლოდ და სილამაზე კმაროდეს. სიყვარული, გარეგან მშვენნიერებით გამოწვეული და მანვე დამყარებული, ხანმოკლე და წარმავალია.

როგორც ყალბი და არა ბუნებრივია ის, როდესაც რომელიმე მგოსანი სიყვარულს მიწას აშორებს და გადამეტებით აზეციერებს, ისე შემცდარია ის პოეტიც, რომელიც ამ გრძნობას მხოლოდ ფიზი-

კურის ატრიბუტებით ამკობს, მისი მომხიბვლელ და მომჯადოებელ ძალად ფორმათა სიმშვენნიერეს, სინორჩეს და სიჭაბუკეს სახავს. როგორც თვით ადამიანი ორის ელემენტისაგან—ფიზიკურის და სულიერის—შესდგება, ისე, კერძოდ, მისი სიყვარული, სისხლით და ხორციით გამოწვეული, უნდა იყოს გაბრწყინებული და გაპატიოსნებული სულიერის თვისებებით. ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ სხვა და სხვა ლიტერატურაში, სხვა და სხვა დროს, სიყვარულის გრძნობა ცალმხრივ გამოიხატებოდა და დღესაც გამოიხატება ხოლმე.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთის პოეზია (განსაკუთრებით სპარსული) სიყვარულს ხორციელის და მიწიერის თვალთ უყურებს და გვიხატავს. ის მომეტებულს შემთხვევაში გრძნობათა დატკობას დამღერის; გარეგანი სიმშვენნიერე მისთვის სათაყვანებელი კერპია; ამ სიმშვენნიერით გამოწვეული „ხელობა“ და „ტვინის“ ამღვრევა ჩვეულებრივი შედეგია სიყვარულისა.

ბერძნების და რომაელების კლასიკურ შემოქმედებაშიაც, საზოგადოდ სხეულის და მისი სიმშვენნიერის გაღმერთებასთან ერთად, ჩვენ ვამჩნევთ რამოდენიმედ სიყვარულის გრძნობის გამიწიერებასაც. ასეთია პოეზია ანაკრეონისა და ოვიდიის. — ევროპის ლიტერატურაშიაც ერთს დროს მეფობდა „მსუბუქი პოეზია“, რომელშიაც ცინიკურად, დაურიდებლად, და დაუფარავად აღწერდნენ დანფისების და ხლორების შემაცდენელ ეროტიულს დროს გატარებას და სიამოვნებას. საფრანგეთში ასეთის პოეზიის წარმომადგენელი იყვნენ, ერთს დროს ქებულნი, მწერალნი: ლაფონტენი, შოლიე, ჟან-ბატის—რუსო, ვოლტერი და პარნი. ამ





უკანასკნელის პოეზიას დიდი გავლენა ჰქონდა ბატიუშკოვის და პუშკინის პირველ ხანის პოეზიაზე.

საზოგადოდ ასეთის ხასიათის პოეზია მაშინ იკიდებს ფეხს ლიტერატურაში და იქცევა საზოგადოების ყურადღებას, როდესაც ერის ცხოვრებაში, მალალ მისწრაფებათა და იდეალთა უქონლობის გამო, ვრცელდება ადვალთი უდარდელის, ეპიკურიულის ცხოვრებისა და როდესაც მხოლოდ ხორცი და ხორციელ იქცევა გალადებულ ადამიანის ყურადღებას. სწორედ ასეთს დროს (მეXVIII-ს დამლევს და მე-XIX-ს. პირველს ნახევარში) რუსულს ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა ამ დარგის პოეზიამ. მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ბიძა ალ. ს. პუშკინის—ვასილი პუშკინი.

მე-XIX-ს. პირველს ნახევარში ქართველ მგოსნების შემოქმედებაშია „მსუბუქს პოეზიას“ თითქმის უმთავრესი ადგილი უჭირავს. სილამაზე, სიტუტრფე, სიკეკლუცე, მწველი თვალეზი, მთრთოლვარე გულ-მკერდი, წითელი ლოყეზი, სარო ტანი, ღვინო კახური, მწვადი ცვრიანი, აზარტეში, ყანწი და ორთაქალის ბადეზი—აი სასურველი და საამო საგნეზი ჩვენის მგოსნების სიმღერისა. ჯერ ისევ ბესიკის ლირიკაში სიყვარულის და მიჯნურობის გამოხატვას საპატიო ადგილი უჭირავს. ალ. ჭავჭავაძის, ვახ. და გრ. ორბელიანების პირველ დროის შემოქმედება ხომ „ვარდ-ბულბულზე“, მიჯნურობაზე და დროს გატარებაზე მღერას არ ვასცილებია. მათი მაშინდელი შემოქმედება ცელქი, უდარდელი და უიდეალოა.

ეს კი შედეგი იყო მიზან დაკარგულ, გზა-კვალ დაბნეულ, დარეტინებულ და მდბალ სურვილებით შეპყრობილ ქართველ საზოგადოების ცხოვრებისა.—ამ დრო-

ინდელ ცხოვრების ატმოსფეროში მოწამლული და დაბნეული, მაშინ ყველა ისე აიბნ-დაიბნა, ცხოვრების ხელოვნურად მოლამაზებულ ზედაპირმა თვისის მყუდროებით, ქეიფით და დროს გატარებით, ბრჭყვიალა ჯინჯილ-ორდენებით ისე ჩაითრია და დააბრმავა მოწინავე ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, რომ არსად იყო შეგნებული და ქვეყნის მოამაგე მამულისშვილი.—ცნობილია, რომ იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ქეშმარიტი იდიალი გამქრალა, ვრცელდება მიწიერი და ხორციელი ნდომა-სურვილი: არშიყოზა, ქეიფი, ბანქოს თამაში, ქორიკანობა, გამცემლობა, სიხარბე, დაუნდობლობა, ქარაფშუტობა და სხ... ჩვენშიც სწორედ ასე იყო მე-XIX ს. პირველს ნახევარში. ამას ნათლად ამოწმებს მგოსანი ნ. ბარათაშვილის ამ დროს სისხლით დაწერილი წერილები.

ზნეობრივი ვახრწნა და უიდეალობა იქამდის იყო მისული, რომ ისეთ დიდბუნებოვან და ზეგარდმომადლით ცხებულ მგოსნებმაც, როგორც იყვნენ ალ. ჭავჭავაძე, ვახ. და გრ. ორბელიანეზი და რ. ერისთავი, ვერ მოახერხეს, რომ დროებით მაინც არ ჩაყურყმალავებულოყვნენ ამ ფუქსავატ და გამხრწნელ ცხოვრების უფსკრულში. ერთს დროს პოლიტიკურ მოძრაობის მეთაურნი (ორბელიანეზი) და „ავლაბრის ყაზარმეზი“ და-მწყვდელნი და გადასახლებულნი, ჩვენი მგოსნეზი მალე გატყდნენ, მალე შეურიგდნენ ცხოვრებას და მალევე დაიწყეს აზროვნება და ცხოვრება ისე, როგორც ყველა ცხოვრებდა და აზროვნებდა. გადაიკითხეთ ვახ. და გრ. ორბელიანების ამ დროის ლექსეზი და თქვენ დაეთანხმებით ჩვენს აზრს. ასე რომ არ ყოფილიყო, განა ისე დაინტაჯებოდა და სა-





ამ საგანზე უფრო დაბალი საგანი სასიმღეროდ ძნელი წარმოსადგენია! მართალია, პუშკინის ცელქი მუზაც „ევგენი ონეგინში“ ორს გვერდს უძღვნის მშვენიერ „ორთა პაწაწა ფეხთა“ აღწერას და მათზე გატაცებულ ოცნებას; მაგრამ იქვე, იმავე ნაწარმოებში, უთვალავი ღრმა აზრით გამოთქმული და შესანიშნავის სისწორით და ხელოვნებით დასურათებულია მთელი რუსეთის საზოგადოება მე XIX-ს. პირველის მეოთხედისა, რისთვისაც ამ ნაწარმოებს რუსის კრიტიკოსი ბელონსკი „რუსთა ცხოვრების ენციკლოპედიას“ უწოდებს. ეტყობა, რომ ჩვენი მაშინდელი მგოსნები მხოლოდ ნაკლში ბაძადნენ შესანიშნავს რუსის ეროვნულს მგოსანს და ვერ შეუგნიათ მისი ღირსება!


უეჭველია, რომ პოეტის გემოვნება, მისი აზრთა და გრძნობათა მიდრეკილება და მთლად მისი შემოქმედების ხასიათი, სხვათა შორის, იმითაც განიზომება და მტკიცდება, თუ რომელი პოეტი უყვარს მას, რომელს თანაუგრძობს. ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვის ნაწერებს და რა ხასიათის ნაწერებს სთარგმნის ჩვენი მგოსანი. სამწუხაროდ, ბევრს შემთხვევაში რ. ერისთავს არა აქვს სწორედ აღნიშნული, თუ ვის ნაწარმოებს სთარგმნის ან ვისგან სესხულობს აზრს; ის მხოლოდ ასე აღნიშნავს: „მიბაძვა რუსულისა“, „მიბაძვა სპარსულისა“. აშკარაა მხოლოდ ის რომ პოეტისგან ნათარგმნი ან მიბაძვით შედგენილი თითქმის ყველა ლექსები (მაგ. „ჩვიდმეტი წლის ქალს“, „ნატვრა“, „თვალები“, „სინანული“, „მუხთალს“, „Она никогда его не любила“, „საუბარი“, „ვერ დაგივიწყებ“, „ვინ შევიყვარო?“) - წმინდა ეროტიულის ხასიათისაა. საყურადღებო აქ ის არის, რომ ჩვენი პოეტი ოგარიოვის—ამ ჰერცენის „ძმად

შეფიცულ“ და მებრძოლ პოეტის—ნაწერებიდგან მხოლოდ უმნიშვნელო და „მსუბუქ“ ლექსებს სთარგმნის! ეს გარემოება ცხადად მოწმობს ჩვენის მგოსნის იმ დროინდელს უიდეალობას და რუსეთის საზოგადო აზროვნების უცოდინარობას. და ეს მაშინ, როდესაც რუსულს ლიტერატურაში და ცხოვრებაში ბელინსკის სისხლით და ნერვებით დაწერილ წერილების და ჰერცენის მოქმედების ზედ-გავლენით ცხოველ მყოფელი აზრი დასტრიალდა, ყოველი შეგნებული და დაჰკვირვებული წევრი საზოგადოებისა გაიტაცა და სამწერლო ასპარეზზე გამოიყვანა მთელი პლეია და საუკეთესო ახალგაზდა მწერლებისა (ნეკრასოვი, ტურგენიევი, დოსტოევსკი, განჩაროვი, ტოლსტოი, ჩერნიშევსკი და სხვა.)

იმ დროს, როდესაც პოლიტიკურად გაძლიერებულ, გონებით გამოფხიზლებულ და თავისუფალ ძლიერი რუსეთის შვილები—საუკეთესო მწერლები უუკეთეს მომავლისკენ მიისწრაფოდნენ, მოწინავე და ჰუმანიურს იდეალებს ქადებდნენ და თავსაც კი სწირავდნენ ამ იდეალებს,—ამ დროს „ჩაბალახ ჩამოხსნილ“ საქართველოს საუკეთესო შვილნი, გარდა ნ. ბარათაშვილისა, არშიყობას, მიჯნურობას, ღვინოს და ქეიფს შესტრფოდნენ და უმღეროდნენ! ალლოც ასეთი უნდა!

სიყვარულის, მიჯნურობის, „ცისფერ და ლურჯ თვალების“ გარდა, რ. ერისთავის პირველ დროის „მსუბუქი პოეზია“ ქეიფს და ღვინოსაც დამღერის. მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ეს სიმღერა ლამაზის სიტყვებით და სმენის დამტკბობ რითმებით არის გამოთქმული. პოეტი აქ ვირტუოზობასაც იჩენს. ამასთანავე ეტყობა, რომ გულწრფელად აქებ-ადიდებს და უმ-





ღერს სანატრელ და სასურველ საგანს. როდესაც კითხულობთ ამ ლექსებს, თქვენი გონება წინააღმდეგია პოეტისგან ნაქმბ-ნადიდებ უღირს საგნისა, მაგრამ თვით ოსტატობა გამოხატვისა, თვით მშვენიერი სიტყვები და უნაკლო ლექსთ-წყობა თქვენ გზიბლავს და რაღაც უნებლიეთ სიამოვნებას გაგრძობინებს. რა ძვირფასი იქნებოდა, რომ მგოსანს ეს თვისი წარმტაცი და დამატყვევებელი ხელოვნობა რამე უფრო საპატიო საგნისთვის მოეხმარა და პატიოსან სულის განცდას შეჰხამებოდა! გადავიკითხოთ რ. ერისთავის „ყანწი“ — ეს ჩვენს ლიტერატურაში თავისებური შედევრი „მსუბუქ“ პოეზიისა.

„საწყალო ირმა! ჩემი ერთგული! გუთანში მყავდა ხშირად შებოძული, მოხუცდა — დაგვალ, აი იმის ჩქა, ახლა სუფრასა მიმშვეენებს აქა? ყანწი მიუვარს მე, სხეტაკად თლილი, ტურფად მოხრილი, ბოლოში წკრილი; ყანწით მიუვარს სმა ძველებურადა: ლხინით, დიდინით, ტკბილად, ძმურადა! რად მინდა ჭიქა, რად მინდა ბრალი, მე ყანწი მიუვარს, ყანწი ნასრული ტალღუშაშისგან... აკერ მეც დავცლი და შეორქსაც ადარ დავაცლი შეიქაქანოს... ქუდსა ვკრავ ჭყრსა! კიდევ ყანწისა ვსცლი, შევტურდნნი მოძმეს, იგიც მარჯვკა, ფიცხლავ დაიჭერს! რად მინდა თასი ანუ ბაღია? ღვინის ჭურჭელი, რაც მახადა, სულ ენაცვალას მოჭედილს ყანწისა, უხვსა, ბოლომდინ ჩვენსა გამტანსა! ჩვენი ძველნი რამ ყანწითა სმიდენ, ჩვენ უდალატოთ ყანწს გვმართებს კიდენ?! ყანწით სმა უფრო უხდება ლხინსა! მანამ არ დასცლი, ვერ დავგამ ძირსა! დასცლი, — თამადა დავლოცს, გაკურთხებს! არ დასცლი, — ყანწა შემგაფურთხებს!

მაშ მოდით ისევ ყანწს ვსტაცთ, ჭეღვრულს ის არის სუფრის შემამკობელი! ყანწით ვსვათ ისევ ძველებურადა: ლხინით, დიდინით, ტკბილად, ძმურადა! გთხავთ ყველგან ლხინი ყანწით დაიწყეთ, ყანწი ადარსად არ დაიფიქვით! რადგან სხვა სოფელს ვართ წასასუფელი... ამისიც ვარ კვალად მთხრობელი: რადესაც მოკვდეთ, მოხმეთ მღვდელი და ყანწითა სვით შესანდობელი“! (გვ. 51)

მეორე ლექსში — „ღვინო“ მგოსანი ნამდვილ ჰიმნს უმღერის ამ სასმელს. რა და რა ეპიტეტებს არ ხმარობს რ. ერისთავი, რომ დაგვაჯეროს ღვინის უთვალავს ღირსებებში! ღვინო, პოეტის რწმენით, „სუფრის ჯილა“, „მეფეა“ „სიყვარულია“, „გამბედაობაა“; ღვინო ცამდის ამალღებს, აბედნიერებს და აამაყებს აღამიანს; ღვინო უქარწყლებს მას ჯავრს; ღვინო მხდალს ავულადებს; ღვინო... მაგრამ პროზით გადმოცემა ამ ლექსისა შეუძლებელია. თითონ უნდა წაიკითხოს მკითხველმა ეს შედევრი და დასტკბეს მისი ფორმის სიმშვენიერით, ეპიტეტების მოხდენილობით და სიმრავლით!

რ. ერისთავი პირველ დროის თავის ლექსებში, სიყვარულს და დროს გატარების გარდა, კერძო მოტივებს ან და ზოგად აზრებსაც გამოსთქვამს. — პოეტისთვის „შავბედს, მრისხანე ხვედრს“ მოუტაცნია „დაი“, „ვისთვის აწ ცხარე ცრემლები სდის“. მას ჰგონია, რომ მისმა ძვირფასმა დამ აღამიანებთან ვერ გასძლო და ირჩია „ხესთა მხარე“, რადგანაც მართლა „ღვთის სასძლო“ იყო. ერთად ერთი ნუფეში მგოსნისა ის არის, რომ, როდესაც თითონ იხილავს ზეცას, იქ შეხვდება თავის საყვარელ არსებას. ამ ლექს, მომეტებულად იმ ადგილს, სადაც





სარწმუნოებრივი მოლოდინითაა გაშუქებული მწუხარება ძვირფასის დის დაკარგვისა, ჟუკოვსკის რომანტიზმის გავლენა ეტყობა.

რამდენიმე ლექსში რ. ერისთავი სკაკობრიო ნაკლს, მაგ., ქრთამის აღებას კიცხავს („ქრთამის წინააღმდეგი“, გვ. 110), სიძუნწეს, ფულის გაღმერთებას და სულის სიღარიბეს დასცინის („ღარიბი“, გვ. 49)

აგრეთვე იმ დროს, როდესაც პოეტს არც კი აფიქრებს მშობელ ერის ბედობალი, მისი სამწუხარო და საშიში მდგომარეობა და როდესაც მას ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია მის საქომავოდ,

...შეგსწირათ სისხლი, შაღამო, ფულადაც თვითო დინარი,  
გაუღესათ, ძმებო, ხანჯლები, გადაკარხინათ მკმინარნი,  
მკუსნათ ტანჯვა, ვაჟა და სისხლი მჩქეფრად მდინარი!  
ამაფიქრნათ ქრისტეს ღრგუენი, მუხთადი, შერადი მძინარი!  
ჩვენცა ვეფიქრნათ ამ დღეში, უსჯულთაგან წყდულითა,  
მაშ მავკმარათ მამკეთა: სისხლით, ნიჭით და ფულითა,  
ჩვენ გავისხენათ ძველი ღრგ, ვეცნეთ შტერს რკინის გულითა,  
ხაცვლად გვიძღვნიან მაღლობას სულითა დადაგულითა“ (გვ. 102.)

ამ ლექსში გამოთქმული გრძნობა, რასაკვირველია, საპატიო და ჰუმანიური. ტანჯული ერის ქომავობა, მისი შემწეობა „სისხლით, ნიჭით და ფულითა“ უმალღესის აღამიანურის და ქრისტიანულის მოვალეობის აღსრულებათ. მაგრამ ასეთი უანგარო საქციელი უფრო სავალდებულო და მოსათხოვია იმათათგან, ვინც შინაურობაში თითონ უზრუნველ ყოფილია ყოველის მხრით, ვისაც არაფერი და არავინ არ აფერხებს თავისუფალ გონებრივ და პოლიტიკურ წინსვლა — განვითარების გზაზე, — ერთის სიტყვით, ვისაც შინაურობაში სუყველაფერი მოწესრიგებული

— ამ დროს ის უცხო ერებისადმი სიყვარულს და სიბრალულს გატაცებით ქადაგებს, მათთვის გმირულ და უანგარო ბრძოლისთვის მოუწოდებს თანამოძმე ქართველებს! მაგ., აგვიწერს რა თავგანწირულს და მამაცურს ბრძოლას ბულგარელთა, სერბიელთა და შავ-მთიელთა „უსჯულო“ თათრებთან, რომლებიც მოხუცთა კლავენ, გმირთ სწვენ, ჩვილთა აჭმევენ დედათა, დედა-კაცებს აუბატვირებენ, ეკკლესიებს, სახლ-კარს, ყანას და პურს ანადგურებენ, — პოეტი მოუწოდებს ქართველთ სლოვიანებს — „ქართველების ძმებს“ — „მოცხმარონ ძმურად“.

აქვს, და გონებრივი, ზნეობრივი და ქონებრივი ძალ-ღონე იმდენი მოეპოება, რომ შინაც ეყოფა და უცხოთაც გასწვდება... მაგრამ თუ კი ის ერი, რომელსაც საგმირო და სათნოიან საქმისთვის იწვევენ, თვითონვე დაავადებულ და საშიშ მდგომარეობაში იმყოფება, მან თავდაპირველად თავის საკუთარ თავისთვის უნდა იზრუნოს. ნათქვამია, ბალებს თუ შინ შიათ, ტაბლას გარედ რა უნდაო. ჩვენს პოეტს კი, ზოგადი ჰუმანიური გრძნობით აღზნებულს, სამწუხაროდ, ამ ანდაზაში განთქმული კემბარიტება დავიწყებია!



ადამიანთა ცხოვრებაში ხშირია ისეთი შემთხვევები, რომელიც უსიამოვნებით და სხოგჯერ კი ტანჯვით უყვებს მას მთელს არსებას. ასეთია, მაგ., დაკარგვა შვილისა, მშობლებისა, ახსანაგ-მეგობარისა, სატრფოსი; ასეთია გაცრუება იმედისა, უბედურება ოჯახური, გაჭირვებული და საშიში მდგომარეობა სამშობლოსი და სხვა და სხვა... პოეტი უბრალო და მორიგ ადამიანზე უფრო ღრმად გრძნობს ამ ცხოვრების სიმწვავეს, რადგანაც მისი გული უფრო სათუთია, უფრო მგრძობიარეა. ამისათვის იშვიათად შეხვდებით ისეთს მგოსანს, რომლის ღირიულის ლექსებში ელევას საპატიო ადგილი არ ეჭიროს. რასაკვირველია, ხასიათი მგოსნის ჭმუნვა-მწუხარებისა მისი აზრი და იდეების, რწმენა და შეხედულობის, გრძნობა და განცდის შემადგენლობაზე და ხასიათზეა დამოკიდებული. ამ ისრივ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ხასიათისაა, რა უძევს საფუძვლად და რითია გამოწვეული რ. ერისთავის ელევური ლექსები, რომელშიაც გამოთქმულია მისი პირადი დარდი, ჭმუნვა და მწუხარება. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე შევნიშნოთ, რომ ასეთის ხასიათის ლექსები რ. ერისთავს ძლიერ ცოტა აქვს: სჩანს, რომ პოეტი საზოგადოდ კმაყოფილი ყოფილა პირადის ცხოვრებით, რომ საზოგადოებრივი მდგომარეობა და ცხოვრების პირობები მას არ აფიქრებს, არ ანაღვლიანებს, და ეს შეიძლება იმისთვისაც კი, რომ საზოგადოების და ერის ცხოვრება მას ნორმალურს პირობებში ეგულება. ასეთის რწმენით და შეხედულობით მაშინ არა ერთი და ორი საუკეთესო, მამულის შვილი ცხოვრობდა და მოქმედებდა. საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი სასიქადულო, სამშობლოსთვის თავდა-

დებული, დიმ. ყიფიანის ცხოვრება და აზროვნება...

ერთს ლექსში „ჩემი ლოცვა“ (გვ. 38) რ. ერისთავი „მოწამლული მიილტვის იესოს დედისკენ“ და „შესთხოვს“, განუკურნოს მისი ჭრილობა, წყლული“. ამ ლექსში პოეტი არას გვეუბნება, თუ რამ დაუწყალა მას გული. გადავიკითხოთ მისი სხვა ელევური ხასიათის ლექსები, შეიძლება მათში ვიპოვოთ ახსნა პოეტის გულის მოწამლისა და დაწყალულებისა. ერთს ოთხ სტრიქონიან ლექსში „კითხვა“ ამ საკითხს მგოსანი ცოტათი ხსნის ფარდას და გვაგებინებს, რომ ისმბედს ემდურის მარტობისათვის.

„რამ მომიდრუბა ბედი წყუელი? შავნა სეკდანს გუჯს მწვებიან. რადა ვარ მარტო, რეგობრე უელი, დმერთუბი რადის დამიტკებუიან?“

პოეტის მთელს შემოქმედებაში ვპოულობთ მხოლოდ ამ ერთად ერთს მიზეზს მისი ჭმუნვისა და უკმაყოფილებისა!

გარდა ზემოდ ნაჩვენები ორგინალურ ლექსებისა, რომელშიაც პოეტის პირადი გრძნობაა გამოხატული, მას კიდევ ორი ამგვარივე ხასიათის ლექსი აქვს რუსულიდან გადმოთარგმნილი: ერთი — „ჩივილი“ (გვ. 39) გრეკოვიდგან, მეორე — „ვინ შევიყვარო“?, რომლის ავტორი არ არის ნაჩვენები. ლექსი გრეკოვისა, ავტორისაგან მშვენიერად გადმოღებული, პესიმისტურის ხასიათისაა. „ტვინი სდუღს, სული კი მტკივა, დღესასწაულობს შავ-ბედი, ჩემთვის ნუგეში აღარ სჩანს, სრულად მომესპო იმედი“-ო, მოსთქვამს ავტორი. პოეტის გარშემო გამეფებულა საშინელი გულცივობა, შური, შეუბრალებლობა:

„ვინდა აფასებს სიყვარულს, ვინ აძლევს გულთ გულს ზასუსს?“





ვინ გიშეგებრებს, გაგიტანს, ვინდა დაგიტკობს მტკიანეს გუფს? ჰგოდებს პოეტი.

საკურადლებო ის არის, რომ ორიგინალური ელევია „ჩემი ლოცვა“ და ეს ნათარგმნი „ჩივილი“ რ. ერისთავს 1861 წ. დაუწერია (მარტოდ მარტო ეს ორი ლექსი). ეტყობა, რომ პოეტის ცხოვრებაში ამ დროს რაღაც ისეთი ცვლილება მომხდარა, რომელსაც ნაღვლიანად მიუმართავს მგონის ქამანჩა, და, თუ მას თავის საკუთარს სიტყვებში მძლავრად ვერ გამოუთქვამს ეს მისთვის ასე იშვიათი და შეუსაბამო განცდა სულისა, სხვისი (გრეკოვის) ლექსში მაინც უპოვია სიტყვა და მოტივები გამოსათქმელად!

ლექსი „კურთხევა“, ჩვენის აზრით, რ. ერისთავის პირველ დროის რწმენის და იდეალის ნამდვილი გამოხატვაა. პოეტი ნატრობს მყუდრო, თბილ, აუშფოთებელ ცხოვრებას; ამ ცხოვრებას უნდა აშუქებდეს „სიცოცხლე ამა სოფლისა“ — სიყვარული, „სულის სიწმინდე“ და „მხურვალე ლოცვისა“. თუ ამას კიდევ დაემატა „სულგრძელობა, მოთმინება, სინანული“, სიბრძნე სულისა, მეგობრული და ძმური სიყვარული, მაშინ ხომ ასეთი ცხოვრება განხორციელება იქნება ადამიანის ბედნიერებისა! ვინ იტყვის, რომ ასეთი იდეალი დასაწუნი იყოს, მაგრამ მას მაინც, დამეთანხმებით, მიმზიდველი ძალა აკლია: ეს იდეალი კაცს არ აღაფრთოვნებს, უძლურს ძლიერად ვერ შექმნის, ადამიანს თავგანწირვის სურვილს ვერ შთაბერავს... ძლიერ ტკბილია, ძლიერ „ნორმალურია“

ეს იდეალი, სწორეთ ისეთია, რასაც, გორაციის ზედგავლენით, ქდაგებდა რუსეთის მე XVIII-ს. პოეტი ანტ. კანტემირი! სულის სიმშვიდე, მოთმინება, თავის დაქერა, სუყველათერში ზომიერება, საკუთარი კარგად მორთული სახლ-კარი, მდიდარი წიგნსაცავი და კარგი პირადი მეგობრები — აი მყუდრო, აუშფოთებელი და აზრიანი ცხოვრება კანტემირის შეხედულობითაც.

დრო ისეთი იყო, გარემოებაც იმას მოითხოვდა და იმას უკარნახებდა, რომ დაბეჩავებულ და საშიშ გზაზე დამდგარ „ქართლის შვილს“ სხვა იდეალი და მისწრაფება ჰქონოდა, სხვა ღმერთისთვის ემსახურნა და ცხოვრების სხვა გვარი მსვლელობაში ეპოვნა მიზანი არსებობისა?! უეჭველია, რომ რ. ერისთავი ნ. ბარათაშვილის სულიერ მემკვიდრედ ვერ გამოდგება, რომ ის მებრძოლ პოეტად არ არის დაბადებული. სხვათა შორის, პოეტს არ ეხერხება მკაცრი გაკიცხვა, მწვავე სატირა, თუმცა მის ნაწერებში საკმაოდ მოიპოვება სატირულის ხასიათის ლექსები. ასეთებია: „ყადის ჯორი“ (გვ. 23), „ერთი კაცის სურათი (62), „ცრუ მოფიცარს“ (67), „ციება“ (147), მუხთალი“ (226), „ბუზი“ (232), „ღმერთი, დიღია, ღარიბო“ (242), „მილოცვა ახალ წლის“ (244), „მილოცვა ახალ წლის“ („ივერიის“ რედაქტორს) (235), „მაჯლაჯუნა“ და სხვ. დავაკვირდეთ, თუ ვის და როგორ ამხილებს ჩვენი მგოსანი. „ახალი წლის მილოცვაში“ ის ნატრობს, რომ

...„ქალებს, კუდაიებს, დაუმკადჯეს კაბის კუდი,  
შვილებს გვერდით მისხდომდნენ, ადარ ითქვას მათზე ცუდი!  
ბუფჯანქე არ დადიდნენ, ესაქმოდ და უხეიროდ,  
თუ მოსწეინდეთ, ხანდასხანა, ბადს მიმართონ სასეირნოდ...  
„კადუში“ დამეს ნუ ათევენ, ნუ იდუბვენ თავს „ბალებში“...  
ვინატრი, რამ ქმრებს და შვილებს შესცქერდნენ სულ თვალებში.



დმერთს ვსთხოვ, რომ საქართველოს განათლება მიეფინოს,  
დმერთს ვსთხოვ, რომ ქართველ კაცს სულით-გულით მიეღოსინოს!..  
ვნატრბობ, რომ ის არ დაშინჯდეს, შერჩენდეს იმას ენა,  
რომ „პრიკაზსაც“ გადაუჩნეს და მიეტეს ამით ღებნა.

მსურს, მუშა ხაზს გამაძვავოს თავის ოფლით და სწავლითა,  
ვევლას უხვად მისცემდეს, მაძღარ იყოს მისავლითა!  
მამასხლისს არ ეჩაგრბოს, „პრისტავს“ და იასაუღს...  
დმერთო, შენით შეიძლება, შენ მბახდენ ამ სასწაულს...

ნეტამც გაძდეს ადოკატი, მიეტეს მდვდეღს და მბხეღეს,  
ეგებ ცრტა შევისვენობთ, თბრემ ჭიბე გაგვითხეღეს“...

პოეტი გრძნობს, რომ წუთისოფელი  
„ცრუ არის, აქ ყოფა ერთი წამია“;  
ხედაღს, რომ აქ ძლიერი სჩაგრავს უძ-  
ლურს, მდიდარი—ღარიბს, უფლებით  
აღჭურვილი—უუფლებოს. მას ესმის ტან-  
ჯვა ჩაგრულისა, თანაუგრძნობს მას, სურს  
ანუგეშოს, გასამხნეღებელი რამე უთბრას,  
იმედი ჩაუკვესოს სულში, მაგრამ ამას  
ჯეროვანად ვერ ახერხებს; ბორძიკის და  
და სტერეოტიპულის ფრახის მეტი ვერ  
მოუძებნია მის გასამხნეღებლად თავის  
ლექსიკონში.

...„რცტა რომ იასაუღა,—  
უმართლად ჩაგაფრინდებს,—  
გული ნუ შეგიშინდებს...“

რაც დაგდა ბეღმა ვაღადა  
თავ-თავის დრბზე აძლიე,  
სათემა სამსახურები  
არ შეირჩინა,— დასძლიე;  
და მაშინ მამასხლისი  
თუ რასმე ავიხინდებს,—  
„დმერთი დიდაა, დარბობ,—  
გული ნუ შეგიშინდებს“

მდვდეღს საქარწილად, საკურთხი  
მიართვი დაწესებუღი,  
რომ ვეღარ გისავეღდურბოს  
მაშინ იქნები ქებუღი;  
თუ შეტს დაიწეღებს თბფანას,  
იქმდინ გამბტფინდებს,—  
„დმერთი დიდაა, დარბობ,—  
გული ნუ შეგიშინდებს.“

პოეტი ერთს ლექსში კიცხავს ისეთს ადა-  
მიანს, რომელიც არ არის „მისანდობე-  
ლი“ და რომელიც ფიცს აძღღღეს ქალს  
და მერე კი რყენის. ასეთის მოვღღენით  
უკმაყოფილო, ის ამბობს:

„...უძღღურება გამრავღდა ჩვენში,  
ფიცი სიწრუის გვიზურბაა ხეღში“

როგორც მკითხველიც ხედაღს, სატი-  
რა, დაციწვის კილო პოეტისა წყნარი და  
მსუბუქია. მას მძღღავრი, აღუფოთებუღი,  
ქექა-ქუბილის მსგავსი გაკიცხვა არ ებერ-  
ხება. მხოლოდ ერთხელ ძლიერის გულის  
წყრომით ააჟღღრა მან თვისი ჩანგი თვა-  
ლთმაქცობის, სიმუბთლის და გაუტანლო-  
ბის გასამართახებლად.



„შე მას უმზერდი, კაცად ვხდიდი, კაცი შეგანა,  
 არ ვთავილობდი, შე იმისთვის თავი შექმნა...“

სულ ქადაგებდა, მარად იყო მისგან ჩივილი:  
 განა მარტო შენ,—ერს ეკუთნის, ქვეყნისა შვიდი,  
 მისთვის ვიტანჯვი, და მწვევია გულის ტკივილი!“  
 იმ დროს კაცს ჭკავდა და უქრდა ტუჩზე ღიმილი...

დრომ მოიტანა ერის საქმე, ქვეყნისა ვადი,  
 შეიძრა ერი, გადააფლტო წარსულსაც თვალი;  
 არად იამა... სხვას ითხოვდა დრო მონაგადი:  
 აქ ჩვენი გმირი გამომგვადგა ფლიდი, მუხთაფი!

დმერთო, მტკითხე, ვინც დალატობს მოძმეს და ერსა,  
 ვინც მათსა საქმეს, მათსა იმედს ჩაუგდებს მტერსა,  
 შენ ამოფხვერი, გრიგაფს მიეც, შეერთე მტვერსა!  
 დმერთო, დასტანჯე ფლიდი, ერში გამორჩეული,  
 რომ ცრუ, მუხთაფი დადიოდეს როგორც ეული:  
 კეთნს ნუ მთაკლებ, სულ, მარადის იყოს სნეული,  
 ხვდეს რისხვა შენა, მეხი ცისა, იყოს წვეული?!

ამოწერილ ადგილებიდან სჩანს, რომ ჩვენი მგოსანი თურმე არ გაურბოდა საზოგადო კითხვებს, ჩახედული ყოფილა თავის ერის ჭირ-ვარამში, ნათლად ჰქონია შევნებული მისი ნაკლულეფანება და თურმე „შეკაცრი გაკიცხვა, მწვავე სატირა“ შესძლებია. და ეს კი ჩვენს მთავარს დებულებას, ამ წერილის თავში გამოთქმულს, თითქოს აბათილებს, ე. ი. უარს ჰყოფს იმას, რომ ვითომც პოეტის შემოქმედება მოკლებულ იყოს სერიოზულ ხასიათს... პირველ შეხედვით ასე გამოდის, მაგრამ პატივცემულს მკითხველს ნუ დაავიწყდება ისიც, რომ ჩვენ რ. ერისთავის პოეტურს მოღვაწეობას ვყოფთ ორ ხანად: პირველი ხანა — 1852 წლიდან 1880 წლამდე; მეორე — 1880 წლიდან პოეტის გარდაცვალებამდე. პირველი ხანის შემოქმედება მართლაც რომ იდეურის მხრით უმნიშვნელოა, „მსუ-

ბუქია“, უბრალო მოშირობაა, შეგნებული და აწონ-დაწონილი მიმართულებით არ არის გაშუქებული. ამას ყველა შეამჩნევს, ვინც კი გადიკითხავს რ. ერისთავის ლექსთა კრებულის პირველ ნახევარს...

რ. ერისთავის ნიჭი მომწიფდა გვიან, თითქმის ოცდა ათი წლის შემდეგ, რაც მან წერა დაიწყო; ის უკვე გაჭალარავებული იყო, ორმოცდა ათმა წელმა თავში ჩაუკაკუნა, როდესაც გონივრულად ააქდერა ჩანგი; ასე რომ, როგორც რუსის ლიტერატურას, ერთის კრიტიკის თქმისა არ იყოს, კრილოვი ორმოცი წლის დაიბადა ისე, ჩვენს მწერლობას რ. ერისთავი ორმოცდა ათის წლისა და კიდევ მეტის მოეფლინა. ლექსები: „ახალი წლის მოლოცვა“ და „მუხანათი“ სწორედ ამ მეორე ხანას ეკუთვნის...

იპ. ვართაგავა.

(დასასრული იქნება)



# ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

## ჰიგიენა

(წერილი მეოთხე)

ტყე და მისი ჰაერი

(დასასრული)

თ ა ვ ი ო

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“...

გრ. ორბელიანი.

მთხელ გადაჭყდეთ ვამბობრიდან. თე-  
ლავიდან აღაზნის ხეობას, ჩაუფლეთ თვალი  
გაღმა-გამოდმა, ჭარ-ბელაქნისკენ. შეჭნედეთ  
ბუბებრასს კავკასიონის ქედს, სადაც „თეთ-  
რნი ზოღნი შორის მთებისა ლაყვარდ სიკრ-  
ცეში შთაინთქებიან“. ერთხელ გაიარეთ რკი-  
ნის გზით თბილისიდან ბათუმამდე, შეტად-  
რე სურამის ქედიდან დაწეებული მთლად შავ  
ზღვამდე, განა შეგიძლიან მოჭმორდე ვაგო-  
ნის ფანჯრებს! ადარ იცი მარჯვნივ შავარდე  
თუ მარცხნივ, რადაც გრძეული ჯადღასნი ძა-  
ლა გიზიდავს, თვალი ვეღარ მოგიშორებია  
ადტარებულ, განხლებულ ტურფა ბუნების  
თვის. მერე ამასე უადრესი და უმშვე-  
ნიერესი სურათები კიდევ რავდენია ჩვენს სა-  
მთხეში, რომელსაც საქართველო ჰქვია.  
მიბრძინდით, ნახეთ, რომ უზენაეს დასტებეთ  
ბუნების სიტურფით და სამარადისა სახსრფ-  
რად დაგრჩეთ მისი აჭვევაებული, საუცხროთ  
მოქარგულ — დასტული სურათები.

გინახავთ ბორჯომის ხეობა, ასუფხანთ  
რკინის გზით ბაკურანს! გინახავთ ზატარა  
ცეში? აქ დექტორს ვახტანგ ღამბაშიძეს მშვე-  
ნიერ მზის გულა ადგილას უცხო ფიჭვნარ-  
ში გაუმარტავს სახატორია, სიცოცხლის წყა-

რც ბავშვების საჯანმრთელად, სადეგრძე-  
ლად.

ანამდეთ უაფხუფს, ფიჭვნარს ტეეში ზამ-  
თრობით უფრო მომხიბლავი სურათებია. ხო  
გინახავთ ზამთარში ბორჯომის ხეობა! ცა  
ლაყვარდი, ცა მოწმენდილი. აქა იქ შიშველი  
კლდეები, შიშველი ხეები; დახავსებული ცი-  
ხე-კაშკაბები და ძირს მუხლამდე თავალი.  
ტეეში დაბურული, დაბარდული ბუჩქნარი, ჯა-  
გნარი, მწვანე ქობრიანი ნაძვნარი, ფიჭვნარი  
და აქა იქ სოჭი და ღვია წენგოს ფრად გა-  
ფითრებული. თფლით, ყინვით გაჭირსლულ  
მწვანე ხიჭებს (ფოთლებს) მზის სხივები  
ცეცხლს უგადებენ. ჭირსლის ნემსები შვიდი-  
ვე ფერად აღმასობენ, ბრწეინავენ; თრთიან,  
კრთიან, გამოკრთიან, გატარებით ეღვარებენ.  
თფლის ფერები მწვანე ხიჭებით, ყინულის  
ეკლებით იჩხვლიტებიან, იჩქმითებიან, ხელ-  
შიკს ჭინჭარივით გსუსხავენ, ეურებს გწკმე-  
ტავენ, ცხვირს გიწითლებენ. ამ დროს თუ  
გინდაც კურდღელმა გზა გადავირბინოს აი-  
ნუნში ადარ იგდებ, სულაც გაგიწელებს ხალხის  
ეს ცრუ რწმენა.

ჭო და ერთს წამს წარმოვიდგინათ, რომ  
ვისიძე გრძეულის ყინანობით, ბუნების კა-  
ნონ გარეშე, რაიმე მოვლენით მთლად საქარ-  
თველას მთები და გორები უეცრივ გამელო-  
ტდა, გატიტულდა — ტეე მოისზო, ამფარდა,  
მაშინ სად გაჭქრება საქართველას სიტურფი?  
მაშინ იცით რა მოხდება: გადაზარსეთ თავი





მშვენიერს, ჰერკულანს ტურფა ქალწულს და უტყუარ საქართველს ამ მელოტს ქალს დაემსგავსება.

საქართველს ბუნების სასრავო სიკვლეუტე, მისი აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე, ეს ზომიერი ჰავა და სადი ჰერი, მისი ზედაგი დედამიწა, სადაც ხარობს უფელი ნაზი და სათუთო მტენარეც კი—ხაი, ზაფრანა, ლიმონი, ფორთხალი, ბაზა, აბრეშუმი (თუთა), ბრწყინელი, უნაბი, ფისტა, ნუში, ლეღვი და ყურძენი. ესე უფელივე და მისი ფირუზ-ლაჟვარდი მოწმენდილი ცის კამარა, სხვა ხალხს სიზმრად თუ მოლანდებია, ზღაპრად თუ გაუგონია, ოცნებობს, ენატრება. აკი ამიტომაც ყველა რჯულის და მილიეთის ხალხი ეტანება, ყველა ცდილობს, იბრძვის, ღამობს აქ ფეხის ჩადმას, საქართველოში მიწა-წყალის შექენას, აქ დამკვიდრებას.

რაც ვერ შესძლო აშკარად მტრის ამოღებულმა ხმაღმა, გამძვინვარებულმა ისლამმა—არაბმა, ლეგმა, თათარმა, ოსმალომ, სპარსეთმა, შაჰ-აბაზმა, ლენგთემურმა, დღეს ბრჭყვიალს უზალთუნით თვალს და გონებას გვიბნელებენ, გვიბრმაგვებენ და ჩვენს სამტროდ მოსულეებს გადათიელებს ვიგინდარას ადგილ—მამულს ვაძლეფთ ჩვენს ტურფა ქვეყანაში. დიად ჩვენს სამთხეში სხვას ვუთმობთ ბატონობას, ბრძანებლობას. საქართველს დვიძინი შვილნი ბედაურდვან ჩამოდინ და ვირზე ჯდებიან, მაგრამ მტონი იმ დღესაც შევსწრებით, რა იტრელი უზალთუნები ვირიდანაც ჩამოგვაბანებენ და მერე კი უცხოელთა კარზე, ჩვენსავე ნაქონებ მამულშივე, სხვითა ნაქარ—მეჭვინიბედ დაუხდებით, მათი ღორხობს მოწყემსებად შევიქნებით.

**თ ა ვ ი**

ბოლოს ისიც უნდა ვსთქვათ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქ ადგილას გაშენებულ ბაღვენახებს, „ზარკს“ და „სკვერებს“.

მოგესვენებად, რამ ზაფხულობით მოლად ქალაქი თავის ქვითვირის შენობებით და რკინის სასურავებით, ქვა-ფენილ ქუჩებით და კლდეებით ძალზე ხურს, ჰერს ახმობს, სული გვეხუტება, სუნთქვა გვიტონს, ფილტვები გვიავადდება, სიონიავი გვენატრება და ამ დროს დაუბერავს ფეხისსლაგის არსებიდან სურნელავანი ჰერი „გულის გამაგრებელი“. ქალაქის უფელივე უწმინდურება სიცხე-ზაზანებაში უფრო სწრაფად იხრწება, დუღს და საშინლად ეარს, ჰერს სწამლავს. ჰერში თუ კი რამ აზონი ერია, მოლად იხარჯება უწმინდურობის დასაწავად, დუდილის ზრცვის დასასრულელებად, ყველა ჰონის ბაქტერიასაც აი ახლას, ზაფხულობით უდგებათ დონანი. ამ სიცხეში\*) ცოტა რამ ნოტიო ადგილიც თუ შეზღაოთ, მზათ არის მათი საფუფუნებელი ნიდავი.

აი ამისთანა გაჭირვების დროს, გაჭირვების ტალკვესად გვევლინების ქალაქებში აქა-იქ გაშენებული ბაღები და ხეივანები, სადაც ჰერი შედარებით უფრო სუფთას, სინოტიეც ზომიზუა და თანაც თავის ჩრდილ—ჩეროთი ხეები გვიფარავენ გადაჭარბებულ სიცხისაგან. თუ მდინარიდანაც სუფთა ჰერმა სიონიავმა დაუბერა, მაშინ ხო მოვცოცხლდებით, მოკეთდებით და ღამ-ღამეობით ხო მდაც გვეხსნება.

რდა თქმა უნდა, რამ ქალაქის ხეებს (ბაღებს) ვერ შეუძლიანთ თავის სუნთქვით ისეთი წმინდა ჰერი შექმნას, რეგორიც ტუეშია), მაგრამ მაინც უეტველი სარგებლობა მოაქვსო. ჯერ ერთი რა თვალს იამება ამწვანებული, აუფავებული მტენარეულობა—სულსა და გულს გვიხარებს, ნერვებს გვიმაგრებს ესთეთიური კამეოფილება...

\*) ბაქტერიების გასამრავლებლად საუკეთესო და მათი საყვარელი ტემპერატურა არის 30—40 სიცხე.



ბეგრსაც ძრეულ უფვარს ბაღებში უვაგილე-  
ბის მოქმედა-მოვლა. ეს ჩვეულება რატომ  
უნდა საქებურია და სსსიამოვნოც არის, ხე-  
ლთ ესევე არ ითქმის, რადგანც უვაგილების  
მოტრთვადენი შინ ოთახებში ინახვენ უვაგი-  
ლებს, ვისაც დიდი სახელ-გარა აქვს და სიც-  
ხეგრებლად ბეგრი ოთახ-ღარბაზე, ეგ კი-  
დეგ არაფერი, შეიძლება ერთი ღარბაზე უვა-  
ვილებს, სულაც დაეთმოს. მაგრამ ხშირად  
გვინახავს ხელ მოკლე კაცი 1—2 ოთახში  
მცხეგრები (ზოგჯერ სარდაფის სართულშიაც),  
რამელსაც მზის გულა ფანჯრები სულ შთლად  
გაუყვია უვაგილებით. ამ გვარად თავის შვი-  
ლებს, მოზარდ თაობას მზის სხივებს აკლებს  
ასეულებს და უვაგილებს კი ახარებს.

ბეგრს გაცხილი აქვს, ან წაუკითხავს, რამ  
უვაგილები სარეგრებელ ოთახის ჭყერს სწმენ-  
დენო ე. ი. ჭყელაზავენ ჩვენთვის მავნებელ ნა-  
შირმუყავა გაზს და სმაგიეროდ მუყაბადს კი  
ამრავლებენ. ეს სრულებით შემცდარი აზ-  
რია და აი რეგრ.

ზრდვისსორის პეტრეოფერის გამოკვლე-  
ვით თუნდ ცივი „ქოთანა“ უვაგილიც იღებს  
ოთახში, მაინც ძლივ-ძლივად იმეორებენ  
იმდენი ნახშირმუყავა გაზი მოგაშარონ, ჩაუ-  
ლანონ, რამდენსაც დღე-ღამის განმავლობაში  
ერთი ბავში ამოიქმენს. მაშასადამე, რა შე-  
სადარებელია ეს საეჭვო სარგებლობა იმ  
დიდ ზარალთან, რამელიც ოთახში მცხეგრებ  
უვაგილებს მოაქვთ.

ამასთანავე ნურც იმას დაივიწყებთ, რამ  
მცენარენი დღისით, მზისით ჭყელაზავენ ჩვენ-  
თვის მავნებელ ნახშირმუყავა გაზს, დამ-და-  
მურობით კი პირ-იქით უვაგილები თითონ ამო-  
ქმენენ და გვიმრავლებენ ოთახის ჭყერში ნახ-  
შირმუყავა გაზს.

ამიტომაც ჭიგიენა და თვით გონიერებაც  
მოითხოვს ოთახებში მცენარეები სულაც არ  
გავიზინოთ და თუ არ დაგიძლიათ, სძლიო  
ოთახში მაინც ნუ დასდგამთ უვაგილებს, რად-

გან მთელი დამე გიწამლავენ სისხლს, მეტად-  
რე ძილის დროს კარ-ჩაკეტილში.

ქუჩის ხეებს და ხეივნებს კარდა ესთეთი-  
ურ გავლენისა, დიდი ჭიგიენური მნიშვნე-  
ლობაც აქვსთ. უფველივე უწმინდურებით გაუ-  
ღენთილს ქალაქის ზედადიდან ხეები და ბუჩ-  
ქები სწოვენ ზედადგის მომხამულს წვეწს და  
მით ასუფთავებენ წაბილწულ ადგილებს, ხე-  
ლთ მოჭარბებულ წვეწს ჭყერში ჭიანჭველ-  
ფეთლების შემწეობით.

მარტო ის რათაც უნდა დიხს, რამ ბაღებს  
და „სკვერებს“ სუფთად ინახვენ და მეტი  
ადგილი ამწვანებულ უვაგილოვან მცენარეულ-  
ბას უჭირავს. მტვერიც აქ ნაკლებად იცის  
და ჭყერიც ხე უფრო კრილი და სუფთაა.  
ამიტომაც სანატრელია ჭყერის ამისთანა აუ-  
ზები, რეზერვუარები ბლამად იყოს გაფან-  
ტული ქალაქის უფელა უბანში.

მაგრამ იცით რა... უფელა ეს თავის მოტ-  
უფლებას არის და სხვა არაფერი. დიდ ქალა-  
ქებში (თუ რა ფაბრიკა-ქარხანებიც ბლამად  
არც), ჯერ ზამთარშიაც კი აუტანელ პირ-  
ბებში სცხეგრებენ, არამც-თუ საფხულის სიც-  
ხეში, აეროლებულ ცხელ და ხმელს ჭყერში.  
ჭიკქენისტ-მეცნიერთა აზრით\*), ქალაქები კა-  
ცობრიობას თავის ჭირად თუ მოუგონიან.  
თითქოს განგებ შეუქმნია ადამიანს ბინძურ-  
ბის და უწმინდურობის მორევი, ჯურღმული,  
რამ მერე თავი შიგ ჩაიკლას. ბეგრი, ბეგრი  
სამ თაობამ ძლივს გაიაროს, ქალაქის  
მცხეგრები ან გადაგვარდება ან ამოხრცება  
ხელმე. აბა ახლა საჭიროა დანაკლისის შეუ-  
სება, განახლება და აგერ ამოხრცილების ბად-  
ლად აკი სოფლებიდან მოზიან ბუღისა და  
დიდების მადიებულნი, რამ ახლა ამთმა ჩამო-  
მავლობამ ქალაქში ჩაიკლას თავი. ვერც ერთი

\*) Jaen Jacques Rousseau, აგროთვე Dr. Sagneau Dr. Cullerre.





ქადაგი, დასახელებულ მეცნიერთა აზრით, თავის მკვიდრ მცხოვრებლებით ერთს საუკუნესაც ვერ გასტანდა, ვერ იცოცხლებდა, თუ რა სოფლები არა სწირავდნენ მისგერძლს. სოფლები თავის-და საუბედურად უგზავნიან ქადაგს ჯანმრთელს და ნერვებით ძრეულ ხაფხს, რამეღნიც ქარწინებით შეკრევიან ხელმე და აახლებენ, ახალისებენ მქადაგეთა დაძაბუნებულ, მიმქრალ თაობის ჯანსა და სისხლს\*)

განვლილ საუკუნოს ნახევრიდან ევროპაში ძრეულ გამწვავდა საკითხი ქადაგებში მცხოვრებთა საშეკლად, ჯოჯოხეთიდან გამოსასხსეკლად. მას აქეთ შემოიღეს საზაფხულად სოფლად სააკარაკოდ გახიზუნა ტუიან მთაში და სხვ. უფრო შეძლებულთათვის შემოიღეს კურორტები და საგანგებო „დაჩეობ“ ზღვის შირად და ფიჭვნარ ტუეებში. დღეს ჩვენშიაც ჩვეულებად შეგვექმნა, რომ ვისაც კი საღსარი, საშუალება და შეძლება აქვს სოფლად გაიხიზნოს; დიდი უგუნურება იქნება ზაფხულში ქადაგ ადგილას (თბილისში, ბაქაში) დარჩეს საცხოვრებლად. შეტადრე ბავშვების ჯანმრთელობა ეველას გვავალებს ქადაგების მოფარათ ზაფხულდობით შინც, თორემ აქედან იწყება ბავშვების სხეულში ფილტვების და კუჭის სისუსტე, სისხლნაკლებულობა და ჭლექის ნიადაგი. სიცხეში ბავშვს გერათერი უჭამია, მადან მოკლებულია, უფრო ხილს ეტანება და ხშირად დამზალ ხილსაც, წყაღს ბეგრს სვამს. ახლა აუტუდება ტანში ფაღარათობა (ივნისი, ივლისი, აგვისტო) „ხელერინა“ და საცოდავ ბავშვს სისხლს უშრობს, ტყავსა და ძვალზე დაიუვანს, ჩამახმობს ხელმე. ჭო-და ამათ ცოდვაში შინც ნუ ჩავდებთ.

თ ა ვ ი VII

ექს! თქვენი არ ვიცი და მე კი ამ უგანს-გნულ სტრექებს მადალ მთაზე ვწერ. თქვენ რა დღეს, დამდეგ მკათათვისას ქადაგში სული გეხუთებათ და სიცხისაგან ვერც კი რამე გიჭამიათ, მე აგერ აბსთუმნიდან დილა ადრინ ფეხით ამოველი ზეკარის ქედზე, \*) გადასახელებე.

ამოველი თუ არა, მთელი ქარავანი დრულებისა დავაფრთხე! თურმე წუხელ აქ ქედზე სძინებიათ და ახლა კი ჩემს დანახვასე შერცხვინილნი აბარგდნენ.—ზანტად, მძიმეთ, ჩმუნებით, ზღაზვნით ცის გამარისკენ დარბაისლურად გაცურდნენ. შერე კი ჭყერის ზემო სართულებში დასაფლეთის ქარმა აიტაცა და, სიცოცხლე გაქვსთ, რა ასტეხეს დრულებმა ალიაქთით, აბა ვინ წინა და ვინ უგანაო. უფრო მძიმე, შთის ოღენა დრულებმაც კი ფეხი აუჩქარეს და ამომავალ მზეს დაეჯახნენ, ჩამადეს.

მე დამიტოვეს ტიტუვალი, უტყეო, დანამული მთა მშენიერ ევაჯილებით, ალბიურ მტენარეულდობით, ჭრეკლად, მწვანეთ შობობიხე. დიდაც რა საგრძნობლად მტოვა, მაგრამ ჩემს ბედზე მზეს დრულები მოშორდა, გვერდები გამიბოა. მზეზედ მოხრიალე, ბამბის ქუდასაებრ თეთრი დრულები, შორს წავიდნენ, ჭყერში დნებთან, ტენხლს ახლებენ \*\*) სამშობლად ცის ლაჟვარდ, მოკრიალ-მოწმენდილ სარკეში, მზის სხივებმა ზღვა და ხმელეთი, მთა და ბარი დამხატეს, გულის ძეგრამ მომიმატა, ხარბად ვსუნთქავ უკვდავებას ცხოველ მეფთელს სურნელფავან უმწიკვლო, უბიწო გრილს ჭყერს...

\*) ახალციხის და ქუთაისის მაზრებთა მიჯნაზეა. გზა ვადაღის აბსთუმნიდან ბაღდადში.

\*\*) გელათის გუმბათის ოღენა დრუბელს ჩავაცივდი, თან საათს ვადვენებდი თვალს და რაღაც 8—9 წამში ჩემი დრუბელი მთლად ვაღნა ჰაერში, როგორც შაქარი ცხელ წყალში.

\*) აქ მეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ ცნობილ მეცნიერებს დიდრონი ქალაქები აქეთ სახეში, სადაც მილიონობით ითვლებიან მცხოვრებნი. მაგალითად: პარიზი, ლონდონი და სხვ.



აკერ შავი ზღვაც და მთლად დასავლეთ საქართველოს წალკატ-ედემი ფიანდაზად გადაიქცა. ვით შეიძლება აღამიანმა გული ისრულას, თვალი გააძღოს ამ გრძნეულ ბუნების ზნარამის ხილვით, ცქერით! ეს შავი ზღვა, აკერ მარჯვნივ კავკასიონის მთავარი ქედი, მთა გრებილი, იაღბუზ-მეინვარე თვლის გვირგვინებით გაბრწყინებული, აკერ ძირს მწვანე მდელო აღმასის გველებით, მდინარებით აჭრელებული, ზურმუხტის მთაბარი, დედე-ხეგები, ბორცვნი და გორაკნი დასეთქილ-დადარეულები.

ერთს წამს დავეკითხეთ მეცნიერებს: რათ არის ზეკარის ქედი მოტიტულებული, აქამდე ტყემ რატომ ვეღარ უწია?

ამ კითხვაზე ზასუხს გვაძლევს ია. ს. მედვედვის ცნობილი შრომა „Очерки Закавказскихъ Лѣсовъ“.

საქართველოს მეცნარეულობის შესასწავლად სჯობს ავიდეთ რომელიმე მთა და მის ვერტიკალს \*) კაფთიდან მწვერვალამდე ავევოთ. ია. ს. მედვედვი ოთხ ზოლად ანუ სარტულად ქუთის დასავლეთ საქართველოს მთებზე გაზდილ ტყეებს. მის მერმე უვალა ბოტანიკოსებმა, ვინც კი ჩვენს მთებზე იმოგზაურა, სრულის თანხმობით დაადასტურეს მედვედვის დადგენილება. მაგალითად, დავიწყოთ თუნდა სურამიდან, ზღვის პირიდან.

1) პირველი სარტული მეცნარეულობის იქნება ზღვის პირიდან, კალთებიდან დაწყებული ვიდრე 3000—3500 (სამათას ფუტის სიმაღლემდე). ამ სარტელის არე-მარეში ტყეში იზდება: კალთებზე ორი ჯიშის მუხა Quercus pedunculata და Q. Sessi tiora); აქვე იზდება იან რცხილა (Carpinus Betulus

S.); ძელქვა, Zelcowa crenata Spach); ხეჭვი და სხვა გვარი ნაკერხალი, ქორაფი, ბზა, ცაცხვი, ვერხვი და სხვ. გარდა ამისა ნოტიო ადგილებში ხვდება მურყანი ანუ თხმელა (Alnus) და ლაფანი (Pterocarya caucasica kunth); მთის ფერდა-გვერდაზე უფრო სჭარბობს რცხილა, მაგრამ საკმაოდ ხვდება აგრეთვე მუხა და სხვ. აქაურ ტყეებში მეტად ხშირად აღმოცენებულიან სხვა და სხვა ჯიშის ხეები, რომელნიც მთლად გადაბოლ-გახსართულ არიან ღიაებით: კატაბარდა, უსურვაზი, ციცაბარდა, მხურიჩი, თეთრი ბარდა, ლიჭი, ბრწამლი, ბურწუმელი, ეკალა, შაშვის პურა, კაკილარი. ესენი სუვეკლანი ატეხილან და ისეთ ნაირად დაუბარდნათ, გაუსლართ-გამოუსლართავთ ხეები, რომ კარგი ვაჟკაცი იქნება, ვინც ხანჯლით მანც გაიკვლევს გზას. ამ ტყურებშივე იზრდება იშვიათი ხე (ისს მსგავსი) ცხამაზი, რომელიც მედვედვიმ პირველმა გააცნო მეცნიერებს და ამიტომაც ეწოდა Phillyrea Medwedew, მის ზატოვისცემად. აქვე იზდება ზღვის პირა ფიჭვი (pinus maritima) და მარადის მწვანე ბზა ანუ შამშირი (самшитъ) ძალზე მაგარი ხე (Buxus sempervirens), აქვე ხვდება შქერი ანუ კვალჩი (Rhododendron Ponticum L.) მწყავი ანუ წყავი (Prunus laurocerxsus). აქ არამთუ იმის შიში უნდა გვეტხდეს, რომ ტყეები არ განეხონ, არ მოსმონ, პირ-იქით აღამიანი ებრძვის ტყეს, რომ როგორმე ერთი ქტევა მიწა მანც წაართვას და ძრიულ ხშირად ვერც კი მიადწევს ხელმე ამ თავის მიზანს. მაგალითად გურიაში, ჩოლოყის მდინარის ხეობაში, იქ სდაც სამინდის ეანისთვის ტყე გაუჩხიათ, 1—2 წელიწადში უკვე ტანს იყრიან ხელმე სამი საყენის სიმაღლე მურყანთხმელას და ლაფანის მოზარდი თაობა. მხოლოდ სამინდის დერეთი (ფუჩხიით) მის-

\*) ვერტიკალი ლათინურია და პორიზონალი ბერძნული. ეს ტერმინები ქართულ ლიტერატურაშიაც ასევე უნდა შემოვიღოთ.





ვდებით, რომ აქ ამ ატეხილ ტუის ტევრში  
რდესზე სიმილი უთესიათ, ყანა ქქინათ.

2) შემდეგი სარტყელი 3000 და 3500  
ვიდრე 5000 ფუტამდეა. ამ სიმაღლეზე  
ისე მდიდარი აღარ არის ტყე სხვა და  
სხვა ჯიშის ხეებით. აქ სჭარბობს უმთავ-  
რესად **წიფელი** (*Fagus silvatica* Z.) ზოგან  
მთლად წიფელნარი ტყე ხვდება, კარგში ამ  
გვარ ტუისა უფრო ბუნქნარითაა მდიდარი. აქ  
იზდება **მწყავი**, **ბაძგარა**, **შქერი** და **მოც-  
ვი**, რომელიც ეხლა დიდ ხმარებაშია და დი-  
დი გასავალიც აქვს მის ფოთლებს \*). ხმა-  
რებენ მაცვს ჩაის მაგივრად და ამიტომ ჩაის  
ბუნქის ეძახიან, ძრეელ მოხდენილი ბუნქია.  
ტუის ამავე სარტყელში ტურფად განვითარე-  
ბულან **წაბლის** ხეები, **ურთხმელი** (*taxus*  
*baccata* Z.) და **თვის ბაბა** (*Sorbus termina-*  
*lis*), სხვა და სხვა ჯიშის ქორაფი და ნაკერ-  
ჩხალი, აგრეთვე **ცაცხვი** და სხვ. ამ სარტ-  
ყელის ტყეში განსაკუთრებით რაიმე ჯიშის  
ხე არა იზდება-რა. უურძენი თავდება ამ სარ-  
ტყელის დასაწყისშივე და მას ზევით ვეღარ  
შეხვდებით სზოგადოთ ვერავითარ კულტუ-  
რულ მცენარეულობას. აქ უკვე სარტყლის  
ზემო ზოლში შეხვდებით ხიჭვიან ხეებს, ნაძვს  
და სოჭს, მაგრამ ეს ხეები უფრო კარგად  
ხეირბენ და სრულად ვითარდებიან მესამე  
სარტყელში.

3) ასე 5000 და 5500 ვიდრე 7000  
ფუტამდე აღის, ვრცელდება მესამე სარტყელი  
ტუისა. აქ მეფოფს ნაძენარი, **ნაძვის** ხე  
(*Picea orientalis*). თითო იმ სიმაღლე იზრ-  
დება, რომ მის კენწეროს, ქაჩხოს კაცი  
თვალს ვერ შეაწვდენს, ხომალდებისთვის ან-  
ძებდა სულ აქაურ ნაძვს ხმარებენ. სხვა ჯი-  
შის ხეები ამ სიმაღლის მთასე, ტყეში, იმ-

\*) კავსასიურ ჩაის ეძახიან და დიდი გასავა-  
ლიც აქვს მთელს რუსეთში. ხელ-მოკლე ხალხი  
ჩინურ ჩაის მაგივრად ხმარობს.

ვითად ხვდება და ბალახ-მცენარეულობა და  
ბუნქნარებიც შედარებით ისე განვითარებული  
აღარ იზდებიან.

4) მეოთხე უკანასკნელი სარტყელია ტუი-  
სა, და ძალიან ვიწრო ზოლად ერთმის მისი  
სივრცე, განაზივად იზრდებიან აქ ხიჭვიანი  
ხეები (ნაძვი, სოჭი და სხვ.) ამათ ზევით  
უკვე იწყება აღბიური მცენარეულობა, საძო-  
ვარი მინდვრები. აქაურ მეოთხე სარტყელის  
ტყეში სჭარბობს: **არყი** (*Betula alba*) თუმცა  
კი ვერა ხარობს რივიანად, აგრეთვე იზრ-  
დება მთის ქორაფი, ცირცელი ანუ **მწორი**  
(*Sorbus aucuparis* Z.) და სხვა და სხვა ჯი-  
შის დაბალტანის **წნორები**.

გათავდა ტყე და ახლა ასდევს აღბიური  
ყავილები, ბალახ-მცენარეულობა.

რაც გინდ დიდხელგონი იყოს მებადე,  
რაც გინდ მხატვრობითი დიდი ნიჭიც ქქინ-  
დეს, ვერც ერთი უვავილოგონი ბაღი ადამი-  
ანის ხელით ნაშენი, არსად მთელ ქვეყანაზე,  
ვერ შეედრება ამ ტურფად, დიდებულად  
შესამებულს ფერადებს, ამ აუარებულ ფერად  
კაკლურც უვავილებით აჭრელებულს ხალიხას,  
რომელსაც გრძიული ბუნება ქმნის და ქქარ-  
გავს და მერე სად?! **უმბალღეს მთის** მწვერ-  
ვალზე (7000—9000) ფუტის სიმაღლეზე!..  
აღტაცებული მოგვითხრობს შედეგადევი.

დაბრუნებისას მოკლე ბილიგით თავქვე და-  
ვეშვი, ახლა კი დამთბა. გზა ამერია, შუადღის  
სიციხემ მისწრო და მეც სმირ ფიჭვნარის  
ხრდილო ჩერაში ლადად წამოგვკარდი.

წარმოიდგინეთ თქვენი თავი ბუნების წია-  
ღზე, მწვანე ხავერდზე ფიჭვნარის ტევრში  
გულ-აღმა მწოლარე... შეჭნარი ამ მშვენიერ  
ხეებს ანძა-ძელივით ცისკენ ატყორცნილთ,  
უცხოთ ტანაყრილს, მწითურ ფიჭვეებს, კე-  
ლაპტრებივით ღვანან ეს ტან-წვრილი, ტან-  
შიშველნი სწორე ხეები, ხიჭვიან ფოთლებს



საქართველო

მკვლე ტოტებს კენწეროში შეუკრავთ მწვანე კამარა, შენც შესცქერი სეების აუფლებს ცის ლაყვარდ გუმბათს, იცი ესლა რა მზე არ ანათებდეს აგერ ამ ადგილას სხვა ვარსკვლავთა შორის ჩრდილოეთის დიდი ვარსკვლავი (პოლიარული) იკაშკაშებდა.

სრული მუედრება... მხოლოდ შორით გიტბობს ყურთა სმენას მთის ნაკადულის ჩანგის ყლერა, სიმთა წკრიალი.

ცის გუმბათზე, მზის ცეცხლით მოელვარე, თფლივით სპეტაკ დრუბლების ნაკვლეკებმა გადაიარეს—ჟერ დამიჩრდილეს მერე კი მიმტრეს, შორს გაიფანტნენ. აგერ ჩრდილოეთის გრილმა ნიავმაც ფიჭვნარის კენწეროებს მიუაყრეს, გაუთამაშა; მწვანე ხიჭები შეაშრიადა, შეახშაურა, მზის ცეცხლი ძირამდე ჩამოსწვდა, ფიჭვის კვლავტრები, ანთო, ააბრიადა; საცეცხლური გადვივდა, ბუნების ტრახეზის წინ ფიჭვის კევი აკმევდა, გუნდრუკის სურნელბამ ტეფრი მოიცვია.

კენწეროს ტოტები, ზურმუხტის ფოთლები კვლავ ირხევიან, შიგვიან, მწუბობრად, ნაზად შრიალებენ—მთის ნაკადულთა სიმების წკრიალს, მის ჭარმონის ბანს აძლევენ, ქებათა ქებას ჩანგზე აწეობენ, ბუნებას ძილის ზიკს, გიხაროდენს უკალობენ.

ბუნების ტაძარზე გრძნებით მიჯაჭულს განუენებელი აზრები და გებადება, —სამარადისო მსოფლიო კითხვები ირევა შენს გოკებაში. აქ და მხოლოდ აქ, ბუნების შვილი, ბუნების კალთაზე; ამ სამოთხებრის მუედრებაში, განსვენებაში განდებოლად გრძნობ შენს თავს.

ცხოვრების ვაი-ვაგლასით, უკუდამბრუნებულ მიწიერ ბიწიერებით აღშოფოთებული სული და გული მხოლოდ აქ ჭბოებს სრულს სიმშვიდეს, ნავთსაყუდელს, ჭეშმარიტებას. ბუნების დმერთს აი აქ ეტევი წრფელს აღსარებას. აქ ელირსები ცოდვითა მონანიებას, შემსუბუქებას, სრულს შენდობას, „გული წმიდა დაჭბადე ჩემთანა დმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“...

მზის სხივებმა აიტაცეს ნებსითი თუ უნებლიეთნი ჩემნი შეცოდებანი და თავის ელვარე ცეცხლში დასწვეს, მოსპეს და ნაცარი ჭბაკს მისცეს.

აქედან, ბუნების ამ ცხოველ მეფეულ ემბაზილამ, გამოდინარ აღამიანი ახლად მირან ცხებოული, განკურნებოული.

ზეციურ წმიდა აზრებით გრძნობა მოცუელი, ზესკნელს ატაცებოული, ვინიცის რადის და გამოვირკვეოლი სააქოდ, რომ ვილაცას ძალუმად მუჯლეგუნი არ ეკრა შიგ გულის კოვზთან, დიაფრეგმაში.

სათს დაფხედე და ექვსის ნახევარი იუკ... ჭბ და აწი მივხვდი...

დიდება შენდა უოკელთა მძლეუთა-მძლეო, ძალაო ბუნებისავ—კუჭა!! სიტაცხლის ჩარხის მთავარო ღერძო. შენს ბრძანებას არამც თუ მე, თვით მეფეთ-მეფე, ბრძენი სოლომონი ვერ აღუდგებოდა.

ილ. ალხაზიშვილი

ზეკარის ქელი.  
7 ივლის 1913 წ.







# ბავშვების აღზრდა და სწავლება

სწავლა-აღზრდის საქმე ძლიერ ცუდად არის დაყენებული ჩვენს სასწავლებლებში. სახალხო სკოლებში კურს დამთავრებულებს ისიც არ შეუძლიანთ, რომ ორი, სამი აზრი-წინადადება—სწორად სთქვან, ან დასწერონ ქართულადაც კი და რუსულად ხომ ერთ წინადადებასაც ვერ იტყვიან. ბევრს იმდენი შეძლება არა აქვს, რომ სოფლის სკოლის გათავების შემდეგ სწავლა განაგრძოს. გამოდის ცხოვრებაში ბავშვი, რომელსაც ელემენტარული ცოდნა ვერ შეუძენია სხვა და სხვა საჭირო საგნებიდან, ზნეობა-ადამიანობა—გამოსცლია ბევრს ხელიდან, ცხოვრების შესახებ, რასაკვირველია, არაფერი არ იცის; უახლოვდება გარყვნილ ძმა-ბიჭებს, მათთან ერთად თარეშობს, საქმისთვის ხელი ვერ მოუკიდია და მთლათ შეტოპილა უზნეობის მორევში. სკოლაში კარგი ვერაფერი შეიძინა, ვერც დღევანდელ გათახსირებულ საზოგადოებაში ხედავს კარგს რასმე და თვითონაც ისე იქცევა, როგორც სხვა ათასი! სკოლასა და ოჯახს რომ მისთვის შესაფერი აღზრდა მიეცა, რომ ჩვენერგა მის გულში გრძობა პატიოსნობისა და შრომისათვის შეეჩვია, მაშინ ყმაწვილი ასცდებოდა ცხოვრების ბრუნდგზას და საზოგადოების სასარგებლო წევრი იქნებოდა. დღეს კი ხრათუ ვისთვისმე სარგებლობის მოტანა არ შეუძლია, პირიქით, ყველას სიცოცხლის დამამწარებელი და მტერია! თავისი თავისაც


ვინც დაასრულა სოფლის სკოლა და შემდეგ ბედნიერება მიეცა, რომ სწავლა განეგრძო, — შედის სხვა დაბალ სკოლაში (უფრო ხშირად სამოქალაქო სასწავლე-

ბელში) და აქ თითქო ახლა იწყებს სწავლას! მისთვის მსწავლებლებიც უცხოა და საგნების სწავლებაც სხვაგვარათ მიდის. სახალხო სკოლების მასწავლებლებს სემინარია, ან სამოქალაქო სასწავლებლებთან არსებული სამასწავლებლო კურსები აქვს გათავებული, სამოქალაქო სკოლის მასწავლებლებს კი მეტი ცოდნა მიუღიათ და ამიტომ ეს უკანასკნელები პირველზე უფრო უნდა იყვნენ დახელოვნებული სწავლა-აღზრდის საქმეში. მაგრამ, სამწუხაროთ, ბევრ მასწავლებლის შესახებ მსმენია ცუდი რამე: ზარმაცია, ცუდად გვიხსნის ვაკვეთილებსაო... საქალაქო სასწავლებლის მოწაფეები დიდათ განსხვავდებიან სხვა მოწაფეებში. მათ უმეტეს შემთხვევაში ზნეობა დაუკარგავთ: ღვინის სმა, ქუჩური ლანძღვა-გინება, პაპიროზის წევა, ჩხუბი და ერთმანეთის თავპირის მტვრევა, — აი, როგორ იქცევიან ისინი. ეს მათი აღზრდის ბრალია. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და მოიპოს ყველა ის პირობები, რაც ხელს უშლის ბავშვთა ზნეობრივად და გონებრივად განვითარებას.

ყური მოგვკარი, რომ ერთი გიმნაზიელი ამხანაგს ელაპარაკებოდა: „იცო, სანდრო მარჯვე ბიჭია? რამდენჯერ უჩხუბნია და ერთხელაც ვერავის შემოუკრავს მისთვის! მთელ გიმნაზიაში ისეთი მოჩხუბარი არავინ მოიპოება. ყველა პატივს სცემს მას და ეშინია მისი“.

კიდევ ვალაპარაკოთ ეს გიმნაზიელი. ერთხელ მე და სანდრო ღამით გვიან გადმოვედით ბულვარიდან და გენერლის ქუჩისკენ გავისეირნეთ. დავინახეთ — ვილაც





გიმნაზიელი (მოლაპარაკე სათავად-აზნაუ-  
რო გიმნაზიაში სწავლობს) მოწაფე ქალს  
მოყვება. გაგვისწორდენ ჩვენ. ვიცანი—  
ყმაწვილი, ჩემი ბიძაშვილი იყო. „მაგან  
გუშინ შეურაცხყოფა მომაყენა, უნდა  
ვცემოო. მითხრა სანდრომ. მე დავუშალე  
—არ მინდოდა ჩემი ბიძაშვილი გაელახა,  
მაგრამ არაფერი გამეწყო. დაშორდა თუ  
არა ქალს, მივარდა სანდრო, სთხლიშა,  
დასცა; ახლა სხვა მისი და ჩვენი ამხანა-  
გები გამოჩნდნენ, შეიქნა ჩხუბი... მეორე  
დღეს რამდენიმე მოჩხუბარი სკოლას არ  
მოკარებია—აღბათ მალამოს ისობდა გვერ-  
დებზე“... და ის გიმნაზიელი როცა ამას  
ამბობდა, სახეზე სიამოვნებისა და სიამა-  
ყის ღიმილი უკრთოდა, თითქო კარგ  
საქმეს სჩადიოდნენ, როცა ჩხუბობდნენ.  
ჩვენი მოწაფეები—სწავლისათვის ძვირფას  
დროს ხედავთ რას ანდომებენ... გა-  
მოვფხიზლდეთ. შევიყვაროთ მოწაფეები,  
დავუახლოვდეთ მათ, შევისწავლოთ მათი  
სული, გული და ავაშოროთ ეს ნორჩი  
თაობა ცხოვრების მრუდე გზას!

სემინარიებში უკეთესი ზნის არიან  
ყმაწვილები. ეს იმიტომ, რომ აქაური  
მოწაფეები ღიდებია, მათ ჭკუა მოეთხო-  
ვებათ. ამას გარდა კარ-ჩაკეტილობაც  
დაღს ასვამს მოწაფეთა გულს. მაგრამ პან-  
სიონს მომაკვდინებელი გავლენა აქვს სი-  
ჯანსალეზე. ადამიანის ბედ-იღბალი მის ჯან-  
მთელობაზეა დამოკიდებული. და რა ქნან  
პანსიონში მცხოვრებლებმა, რომელთაც  
ყოველ წუთს ეკარგებათ ენერჯია და სი-  
ცოცხლის ძალა ცხოვრების ცუდი პირო-  
ბების გამო?..

არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაშია  
ბავშვების სწავლებაც.

სკოლა იმას უნდა ცდილობდეს, რომ  
ბავშვს გონება გაუხსნას, შეაყვაროს სწავ-  
ლა და შრომის მოყვარეობა. თუ ბავშვს

უყვარს სკოლა, მოსწავლე, მაშინ  
გად ისწავლის, რადგან გაკვეთილების  
სწავლას ყოველთვის ხალისით შეუდგება.  
ბავშვს მაშინ შეუყვარდება მასწავლებელი,  
როცა ეს უკანასკნელი სიყვარულით ეპ-  
ყობა მას. ბევრს ჩვენს სახალხო სკოლა-  
ში (და სხვა სასწავლებლებშიაც) მასწავ-  
ლებელთა და მოწაფეთა შორის არ არის  
სულიერი კავშირი. მასწავლებელი ვერ  
იცნობს მოწაფეთა სულსა და გულს; ეს  
ძლიერ აფერხებს სწავლის საქმეს. არაფე-  
რი არ არის ისე ცუდი, როგორც ეს—  
როცა გამოუცდელ, უღირს და თავის  
საქმის არ მცოდნე კაცს ჩაუვარდება ხელ-  
ში ნორჩ ბავშვთა ბედი! რამდენია, რომ  
სწავლების კარგი წესებისთვის ვერ მიუგ-  
ნია და საშინლათ აწამებს ბავშვებს! ზოგ  
მასწავლებელს ჰგონია—კარგია, როცა  
ბავშვმა—გაკვეთილები ზეპირათ იცისო და  
თუთიყუშივით აზებირებინებს ლექსებს...  
დიახ, კარგია, მაგრამ ბავშვმა უნდა იცო-  
დეს ის, რასაც ამბობს. წინააღმდეგ შემ-  
თხვევაში ჩვენი წინდაუხედაობით ბავშვს  
გონებას დავუჩლუნგებთ და ღიდათ ვავ-  
ნებთ მას. ყველა გაკვეთილი ისე უნდა  
აუხსნან ბავშვს, რომ შიგ მისთვის გაუ-  
გებარი სიტყვა და აზრი არ დარჩეს. ამ  
მხრივ რუსული ენის სწავლება არა სასურ-  
ველ ნიადაგზეა დაყენებული. ბევრი პე-  
დაგოგი ამ აზრისაა: თუ გვინდა ბავშვმა  
რომელიმე ენა ჩქარა შეისწავლოს, უნდა  
ვეცადოთ, რომ ამ სენის სწავლების დროს  
იშვიათად მივმართოთ დედაენას აზრთა  
და სიტყვების ასახსნელად. ბავშვს უნდა  
ესმოდეს მხოლოდ ის ენა, რომელი ენაც  
მან უნდა შეისწავლოს. მაგალითად, ნორ-  
ჩი ყრმა ადვილათ სწავლობს ენას, რად-  
განაც მას მხოლოდ ერთი ენა—მშობლიუ-  
რი—ესმისო. მართალია, მაშინ ბავშვი  
მართლაც ჩქარა შეისწავლის ენას, მაგ-





ქართული  
საზოგადოებრივი  
საბავშვო

რამ ჩვენს მიზანს ის უნდა შეადგენდეს მხოლოდ, რომ ბავშვმა უნდა ისწავლოს? ამისთვის განა სასურველია, რომ ბავშვს დავავიწყოთ ყოველივე მშობლიური, ვასწავლოთ ენა და ვაზიაროთ სხვა ეროვნებას? ამ აზრს ემხრობა სამოსწავლო მთავრობაც. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა ჩვენს სკოლებში შეუძლებელია. კარგი, ვეჩიინოთ ბავშვს სკოლაში მთელი 4—5 საათი სხვა ენაზე! ბავშვი შინ დაბრუნდება და იქ მშობლიურ ხმას გაიგონებს. ამგვარი გზით შეგვიძლიან მხოლოდ დავამახინჯოთ ბავშვი, რომ ისინი არც ჩვენი იქნენ, არც სხვისი. მასწავლებლები რუსული ენის სწავლების დროს რუსულ სიტყვებს რუსული სიტყვებითვე უხსნიან. მხოლოდ ხანდისხან თუ მიმართავენ დედა ენას. ხშირათ მასწავლებელი სტყუვდება და უცნობ სიტყვა-აზრებს უცნობი სიტყვებითვე უხსნის ბავშვს. და ეს ბავშვისთვის მხოლოდ წამებაა! მე ვფიქრობ, რუსული გაკვეთილების ახსნის დროს არც ასე უნდა გავუბრუნდეთ დედა ენის ხმარებას. აი, რატომ: მაშინ ბავშვს თითქმის არც ერთი სიტყვა არ დაჩრება გაუგებარი. ბავშვი ასეთია:—როცა რომელიმე სიტყვა ან აზრი არ იცის, ვერ ბედავს სხვას ჰკითხოს, რცხვენნიან კიდევ. ზოგჯერ სიმორცხვე არ უშლის ხელს, მაგრამ ემყარება შემცდარ აზრს (შეიძლება მან ახსნილ სიტყვას სხვა მნიშვნელობა მისცა) და საჭიროთ არა სთვლის ჰკითხოს მასწავლებელს. ხან, კიდევ რომ ჰკითხოს, მასწავლებელი გაუჯავრდება—ყური რათ არ მიგდე, წეღან აგისენიო. ბევრს ასე შეუსწავლია რუსული ენა: გაუგონია რუსული სიტყვა, ეს სიტყვა აუხსნიათ მისთვის ქართულათ. ქართულ აზრებსაც რუსულათ უთარგმნიდენ მას... ეს საკითხი არც ასე უბრალო მგონია და კარგი იქნება, რომ სხვებიც

გამოთქვამდნენ თავის აზრს ამის შესახებ.

ქართული გაკვეთილების ახსნის დროსაც ბევრი სიტყვა გვრჩება აუხსნელი.

„დედა ენაში“ ბევრ ისეთ სიტყვებს ნახავთ, რომლებსაც ბევრ ჩვენს მხარეში არა ხმარობენ. მაგალითად: „გეთაყვა“, „ფლატო“, „ნეტავი“, იმერეთში არ იხმარება...

მაგონდება, თუ სიტყვის—„ნეტავი“-ს უცოდინარობამ როგორ დაუბნია ერთ მოწაფეს აზრები. მან ასე წაიკითხა სტატია „პატარა ქალის ნატვრა“: ნეტა ვირად მე მაქცია (ნეტავი რადმე მაქცია)... ბავშვმა, ვფიქრობ, არ იცოდა რას ნიშნავს სიტყვები „ნეტავი“ და „რადმე“. იმერეთში ხმარობენ „ნეტა“-ს. ბავშვს უნდოდა გაეგო წაკითხულის აზრი; ამოიკითხა, შეაერთა მარცვლები და ისე დამახინჯა სტატია. „ბუნების კარიდან ვისწავლე ლექსი „სამშობლო“. ამ ლექსში შემხვდა სიტყვა „ევასებრ“: „იქ ვერ ვხედავდი ევასებრ მშვენეირებსა დედებსა“. მასწავლებელმა ახსნის დროს გვკითხა, „ევასებრ“ რას ნიშნავს ხომ იცითო. კი, კიო, ჩემმა ამხანაგებმა მიაძახეს. მასწავლებელმა საჭიროთ აღარ სცნო აფხსნა ეს სიტყვა და მე მხოლოდ რამდენისამე წლის შემდეგ გავიგე მისი მნიშვნელობა. „დედა ენაში“ ბევრი სიტყვაა მასწავლებელთათვისაც გაუგებარი. მასწავლებელმა როცა არ იცის ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა, ცდილობს გვერდი აუაროს ამ სიტყვებს. ფრიად საჭიროა გვეჩვენოს ლექსიკონი, სადაც ახსნილი იქნება ისეთი სიტყვები, რომლებიც არ იხმარება ამა თუ იმ მხარეში.

არც ერთი საგანი არა სძულს ბავშვს ისე, როგორც საღვთო სჯული. საღვთო სჯულის გაკვეთილები — მოწაფეთათვის ტანჯვაა! გულის კრთომით მოელიან ბავ-






შვები იმ საშინელ დროს, როცა მღვდელი კლასში შვეა სამეცადინოთ. საღვთო სჯული საძულველი საგანი არ არის. თავის მომბეზრებელ საგნათ ხდის მას ის გარემოება, რომ მისი სწავლება ცუდათ არის დაყენებული ჩვენს სკოლებში. ბევრს სკოლაში ღვდლებმა სწავლება არ იციან... და სამრევლო სკოლების ბედილბალი ამისთანა მამების ხელშია ჩაფარდნილი. „სკოლის მმართველი მღვდლები სკოლებში არაფერს არ აკეთებენ, არ იციან სწავლების კარგი წესები, და ასეთი უვიცები შენიშვნას გვაძლევენ—ასე და ასე ასწავლეთ ბავშვებსაო“—სჩივიან სამრევლო სკოლების მასწავლებლები. მღვდლები თავის მოვალეობას არ ასრულებენ, თვეში სამჯეროთხჯერ თუ ეწვევიან სასწავლებელს; საღვთო სჯულის გაკვეთილებზე კლასში დიდი უწესრიგობაა: ჩურჩული, ლაპარაკი, კინკლაობაც კი. ბავშვი გამოხტება, როცა მღვდელი სხვა განყოფილებასთან მეცადინეობს, დაჰკრავს თავის ამხანაგს და ისე სწრაფად ჯდება თავის ადგილზე. „იაა“! დამკრა, ბატონო!“—ვინა? „იმიან“.. ატყდება ხმაურობა და იკარგება დრო. წესრიგის დაცვისათვის საჭიროა ბავშვს გაკვეთილის დროს მუდამ საქმე ექნეს. როცა ერთ განყოფილებასთან მეცადინობს მასწავლებელი, სხვა განყოფილება უსაქმოდ არ უნდა დარჩეს. მაგრამ წიგნი რომ დაუტოვო საკითხავათ ბავშვებს, ეს არ შევლის საქმეს: ბავშვებს მაინც ბევრი დრო აქვთ ეშმაკობისთვის. უკეთესია საწერი სამუშაო გამოგნახოთ. ხანდისხან საკითხავიც უნდა მივცეთ. როცა ბავშვს რამე საქმეს ვაძლევთ უნდა ვიცოდეთ, თუ

რამდენათ მომზადებულნი არიან მოწაფეები ამისათვის. ისეთი საქმე არ უნდა მიეცეს ბავშვებს, რისი გაკეთებაც მათ არ შეუძლიანთ. არც ის ვარგა რომ, მაგ. ისეთი სტატია დაუტოვონ ბავშვს დასასწავლათ, რაც მან ან იცის, ანდა მისი დასწავლა ძალიან მცირე დროსა და ენერგიას მოითხოვს მისგან. ამ დებულებით უნდა ვინებომძღვანელოთ ყველა საგნების გაკვეთილებზე.

ზოგიერთი მასწავლებელი ბავშვებს „უქკუოს“, „ჩერჩეტს“, „უზრდელ“, „ვირს“ და სხვა გასახელებელ სახელს უძახის, მაგალითად: აი, შე შავო... უშნო... ხედავთ, როგორ საზარლათ დაიზღაზნება... მახინჯი“... ერთი ბავშვი სამდღეს არ მიჰკარებია სკოლას, რადგანაც მას მასწავლებელმა „კრუხი“ უწოდა. ასეთს მასწავლებელს განა შეუძლიან ბავშვებს შეაყვაროს თავი? და თუ ბავშვს მასწავლებელი არ უყვარს, მისგან ის იძულებით ბევრს ვერ შეიძენს. ბავშვებს უნდა უყვარდეს მასწავლებელი და პატივს უნდა სცემდეს მას. და ეს მოხდება მაშინ, როცა თვითონ მასწავლებლები მოწაფეთადმი წრფელი ტრფობით იქნებიან გამსკვალულნი და სიყვარულით მოეპყრობიან მათ... მაშ, მასწავლებლებო და აღმზრდელებო! დაუახლოვდით ბავშვებს, თქვენს პატარა მეგობრებს; შეისწავლეთ მათი სული და გული; ყოველი წუთი თავისუფალი დროსი მოანდომეთ იმას, რომ სწავლა-აღზრდისთვის საჭირო, მეტი ცოდნა შეიძინოთ! წრფელი გულით შეიყვარეთ პატარა ყმაწვილები—ახალგაზდობა—ეს ჩვენი დიდება და მომავალი!

გერასიმე.





# საზოგადოებრივი აზრები

მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში\*)

„ბატონებო! ყოვლის უწინარეს, მთელი თქვენი არსებით შეიყვარეთ თქვენი სამშობლო, შეისწავლეთ მისი მდგომარეობა, ემსახურეთ მას შეძლების გვარად და მხოლოდ მაშინ შეიძლებთ გაიგოთ, დააფასოთ და შეიყვაროთ სხვებიცა. ვინც უარპყოფს თავის სამშობლოს, ახლობელთ, საკუთარ ოჯახს, მას არ ძალუძს წმინდის გულით შევიდეს სხვის ოჯახში და თუ შევა, მხოლოდ როგორც კბიერი მონა ან როგორც ფლიდი ფარისეველი, ერთიც და მეორეც ქართველის ბუნებას ეწინააღმდეგება...“<sup>2)</sup> ამ სიტყვებით დამოძღვრებული გამოსიტუმრა პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა საქართველოსაკენ ის ბრწყინვალე თაობა, რომელსაც „თერგ-დალეულთა თაობა“ ეწოდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, ევროპაში ხალხის აღზარდების შემდეგ, აუტანელ ტვირთად მიაჩნდა ბატონ-ყმური ურთიერთობა; ეს ის დიდებული დრო იყო, როდესაც ხალხში გადასროლილმა აზრებმა შეარყია აქამდის დაწყნარებული ცხოვრების ზღვა და მთავრობამაც ძლიერ წინ დახედულად მოინადირა ხალხის გული. ეს ის დრო იყო, როდესაც კორსიკანელი გენიოსი ბედის მაძიებელის ხმლით მთელს ევროპაში, ვითომდა, კოსმოპოლოტიზმს,

ნამდვილად კი ფრანგულს სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმს ამყარებდა და რომელსაც შეერთებულის გულისწყრომით შეხვდა ყველა ცოტათი მაინც სასიცოცხლო ძალით აღჭურვილი ერი. მაშინ ჩეხებმაც-კი, რომელთაც მარქსი „მომაკვდავ“ ნაციას<sup>3)</sup> უწოდებდა, მოითხოვეს თავისი ეროვნული უფლების აღდგენა, ამ დროს დაიწყო ბრძოლა იტალიის აღდგენისათვის, გაერთიანდა გერმანია, ავსტრიის ერებს მიენიჭათ ავტონომია და საბერძნეთმა თავისუფლებისათვის სისხლი დაღვარა. ამ დრომ დაჰბადა ისეთი პატრიოტები, როგორც მაძინი და გარიბალდი, რომელთა თავგანწირულ ბრძოლას ევროპა აღტაცებაში მოჰყავდა. ისინიც იმავე მისწრაფებით იყვნენ გამსჭვალულნი, როგორითაც თავისი სამშობლოს სახელოვანი შვილი მაკიაველი, რომლის ძეგლის წარწერაც ამბობს „tanto nomini nullum par elogiym“, ასეთს სახელს ქება არ ექირვებაო, ე. ი. ისინი იბრძოდნენ იტალიის გაერთიანებისათვის, მის აღორძინებისათვის. თვით მეცნიერებაც კი, რომელთაც ამბობენ: ყოველ ნაციონალურ იდეაზე მაღლა უნდა იდგესო, თვით მეცნიერებაც კი შეიღება ნაციონალური ფერადებით. მაგალითად: „იურისპრუდენციაში (საგინი); პოლიტიკურ ეკონომიაში ლისტის; ფიზიკის პლანი ნაციონალური აღზრდისა და ნა-

\*) იხ. ჟურნალი „განათლება“ №№ 1, 2, 3, 5—1913 წლისა.

<sup>2)</sup> პროფ. ა. ცაგარელი. Свѣд. о памяти груз. письмен. т. ввѣд. LXXV გვ.

<sup>3)</sup> К. Маркс: Революция и контр-револ. въ Германіи“.



ციონალური პოლიტიკა და ფილოსოფია (გერმანიაში); საფრანგეთში მიშლე; რუსეთში სლავიანო-ფილები და ნაროდნიკები; პოლონეთის მესსიანიზმი; ჩეხური ჰუმანიზმი (გერმანიის მზგაესად ნაციონალურ ფილოსოფიის შექმნის ცდა)\*. ყოველივე ამას შეუძლებელი იყო თერგ-დაღეულთა თაობაზე არ მოეხდინა ძლიერი შთაბეჭდილება და ჩვენშიაც არ გაფართოვებულ იყვნენ ის ეროვნულნი მისწრაფებანი, რომელნიც, როგორც ზემოდ დავინახეთ, აქამდისაც არსებობდნენ. „თერგდაღეულები“, რომელნიც აღიზარდნენ მე-60 წლების რუსეთის მწერლობის გავლენის ქვეშ და გაჟღენთილი იყვნენ ევროპის ახალი აზრებით და კეთილშობილური მისწრაფებით, თავდავიწყებით მიეცნენ სამშობლო ქვეყნის ბედისთვის ზრუნვას. სამშობლოს ინტერესების ფართო შეგნებამ და პატიოსანმა მისწრაფებამ მიხვედრა ეს თაობა, რომ ქვეყნის ჭირ-ვარამი ერის იმ უმრავლესობას შეუძლიან იტვირთოს, რომელსაც აქამდისაც მისი ბედი თვისი ძლიერი და დაუღალავი მხრებით უტარებია. ინტელიგენციამ მხოლოდ მათში იპოვნა ჯერ კიდევ გაურყვნიელი გრძობები და მტკიცე გული, მხოლოდ გონების განვითარება იყო საჭირო და ამისთვისაც გულის სიწმინდით გადასდო თავი მათ წრეში ცოდნის სინათლე შეეტანა. გამარჯვებული გამოვიდა ეს თაობა, რადგანაც იგი იმ ახალი იდეების წარმომადგენელი იყო, რომელთაც ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაყენებს, როგორც მთიდან დაქანებულს ნაკადულს.

არ არის ისეთი აზრი, ისეთი სიმართლე, რომელიც უკუნისამდე იდეალად და სიმარ

თლედ დარჩეს, — ისინი ძველდებიან; აგრეთვე ის ახალი იდეებიც დაძველდებიან; რომელნიც წასულმა საუკუნემ გვიანდერდა. მაგრამ ჯერ კი ისინი ისევ სპეტაკნი არიან და ისევ ისე მომხიბლველნი. ჩვენს ქვეყანას იგინი ჯერ არ მოუწვლელია და ამიტომაც ის პირნიც, რომელთაც ეს იდეები დასთესეს უწინდებრ დიდების შარავანდედით არიან მოსილნი. ეს თაობა საკმაოდ მომზადებული გამოდგა მაშინდელ საქართველოს მარტივის, თითქმის სრულიად უიდეალო ცხოვრებისათვის ელფერი შეეცვალათ; მან შეიძლო სამოღვაწეო ასპარეზი ფართოდ შემოეფარგლა და საზოგადოებისათვის ჩაენერგა ღრმა საზოგადოებრივი აზრები. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან ამ თაობიდან ის დეე-გმირნი, რომელნიც ბუმბერაზ ასდრერობის მზგავსად ისეთ ღრმა კვალს სტოვებენ, რომ აგერ 50 წლის განმავლობაში მათ ნაკვალევს დღემდისაც არ გადასცილებია ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა. რომაელები ამბობდნენ: „ყველა გზა რომში მიდისო“ და, ამ თქმისა არ იყოს, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: ყოველივე მიმდინარეობა ქართულ ცხოვრებაში მე-60 წლებამდის ამ თაობის მოღვაწეობას შეერთო და შემდგომ მიმართულებათაც ამან მისცა დასაბამი. ამ თაობამ გაასპეტაკა და გააფართოვა ის აზრები, რომელიც ძველ თაობას აფიქრებდა და მკაფიოდ გამოჰხატა ის ახალი აზრებიც, რომელიც აფერადებს აწინდელ ცხოვრებასაც.

თავდაპირველად ინგლისში ჩასახულმა დიადმა იდეებმა საფრანგეთში დიდი რევოლუცია გამოიწვია; ტალღა განახლები-სა ერთი ქვეყნიდან მეორეს გადასწვდა და, თუმცა მაშინვე არ დაინგრენ კედლები საუკუნოებით განმტკიცებული უსა-

\*) проф. Массарик. „Философия и социол. осн. Марксизма 388—415 გვ.





მართლობისა, მაგრამ მონასაც შეაგნებინა თავისი ღირსება, ეგ კი იმისი უტყუარი თავდები იყო, რომ ადრე თუ გვიან, ასე თუ ისე, ცხოვრება გამოიცვლებოდა. იმ დროს, როდესაც ევროპაში იმსხვრევა ბორკილი და ითრგუნება მონობა, რუსეთში იგი სრულ ძალაშია, მაგრამ აქაც დიდხანს არ დარჩენილა ცხოვრების ზღვის ზედაპირი შეურყეველი. მე-XIX საუკუნეში რუსეთი უკვე ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცევა მაშინდელ ომების წყალობით, რომელნიც მის სასარგებლოდ დაბოლოვდნენ. ამის შემდეგ იგი იძულებული იყო ევროპის საქმეებშიაც ჩარეულიყო. რევოლუციონურ საფრანგეთის წინააღმდეგ ომი ჯერ კიდევ პავლეს დროს იყო დაწყებული და ახლა ალექსანდრე იდგა ნაპოლეონის მოპირდაპირედ. 1812 წელს ნაპოლეონის ძლიერება ნაფოტივით დაიმსხვრა რუსეთის ბუნების და რუსის ხალხის ეროვნულ ინსტიქტის მკერდზე; რუსეთის ძლიერად მოსიღმა მხედრობამ მისდია მას პარიზამდე, სადაც „სამთა კავშირის“ დროშა აღიმართა. საფრანგეთში და მთელ კონტინენტზე ჰაერი ძალზე გაჟღენთილი იყო რევოლუციის სუნით, თავისუფლების იდეები ჰაერში დაფრინავდნენ და რუსის მხედრობა ამ ჰაერიტ მოწამლული დაუბრუნდა თავის სამშობლოს. დეკემბრის ამბები, პოლონეთის ამბოხებანი და რუსის მოწინავე საზოგადოების თანაგრძნობა, ასობით შეთქმულობა, იდუმალი წრეები და ბოლოს ამ წრეებიდან გამოსულ მწერლებისაგან შექმნილი პროგრესიული ლიტერატურა, ყოველივე ეს ნაყოფი იყო რუსეთის ევროპასთან დაახლოვებისა. აწმყოს სარკე და მომავლის წინასწარმეტყველი მწერლობაც კვალ და კვალ მისდევს ცხოვრებას, აცოცხლებს და ამოძრავებს კაცობრიობის

მოწინავე ნაწილს. რუსის ჯარის ევროპაში მოგზაურობამ შეავსო ის ნაცნობობა, რომელიც რუსეთს ჰქონდა ევროპიულ ლიტერატურის და მეცნიერების საშუალებით და 1812 წლის ამბებმა იმდენად შეარყია ცხოვრება, ისე გაათართოვა ეროვნული თვითშეგნება, რომ ყველასთვის ცხადი შეიქმნა სახელმწიფოს სტუქტურის ნაკლულევანება. მთავრობამ ხალხს სრული უნდობლობა გამოუცხადა და ისეთი რეაქცია გამეფდა, რომ პრ. ლიუბიმოვი ამბობს: „თევზი იმიტომ დასცურავდა წყალში და ფრინველი ტყეში იმიტომ გალობდნენ, რომ ეგ მთავრობისაგან ნებადართული იყო“-ვო. მთავრობამ თავისებური შეხედულება შეიმუშავა რუსეთის ცხოვრებაზე, რუსეთის სახელმწიფოზე, რუსეთის ცხოვრებაზე, რასაც აკად. პაპინმა „ოფიციალური ეროვნება“ უწოდა. ამ შავზნელ დროის საწინააღმდეგოდ შემუშავდა ის დიდებული მწერლობა, რომელსაც შეიძლება ფესვები უფრო ადრეც ჩაჰყროდა, მაგრამ მისი მკაფიო გამოხატულება კი გოგოლიდან იწყება. მეორედ რუსეთის მიძინებული ცხოვრება სევასტოპოლის აღებამ შეარყია ისე ძლიერად, რომ მთელი მისი ყალბი მხარეები დღესავით გამოაშკარავდა და ყველამ იგრძნო მისი გადაკეთების საჭიროება. რუსეთის ლიტერატურამ თავს იდგა ამ საჭიროებათა განმარტება, ძველის დანგრევა და ამ ნანგრევებზე ახალი შენობის აგება. ეს მთელი ახალი ძალა დაუღალავი ენერგიით შეებრძოლა დახავსებულ ცხოვრებას, რომელიც ისევ ბატონყმურ ქერქში იყო გახვეული. ინტელიგენციას ასეთი პრობლემა წარმოუდგა გადასაწყვეტად: „მაქვს თუ არა უფლება უმაღლეს განათლებას ვეპოტინებოდე, როდესაც ერის უმრავლესობა გონებრივ და ზნეობ-



რივ სიბნელეშია და ეკონომიურადაც წელში სწყდება“-ო და მის საუკეთესო ნაწილმა გადასწყვიტა ამ დაჩაგრულ მოძმეთა სასარგებლოდ სიცოცხლე გაეწირა. ლიტერატურაში დამყარდა „ხალხოსნური“ მიმართულება. თითქმის ამავე დროს ევროპის ფილოსოფიურ გავლენით რუსეთის აზროვნებაშიაც ისახება ახალი მიმართულება, ეგრედ-წოდებული მატერიალიზმი, რომელიც ისეთ გამოჩენილ ბუნებისმეტყველთა თეორიების დახმარებით, როგორცაა ლიბიხისა, ბერისა, დარვინისა, ბიუხერისა და სხვ. წინააღმდეგობას უწევდა მეტაფიზიკურ ფილოსოფიას. ამ მატერიალისტთა მარტივმა მოძღვრებამაც დიდი გავლენა იქონია საზოგადოებაზე. ორივე ამ მიმართულებამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდი გავლენა იქონია ქართულ ცხოვრებაზედაც, რომელიც რუსეთის ცხოვრებას ასე მჭიდროდ დაუკავშირდა.

საქართველოშიაც ძალაში იყო ბატონყმობა, რომელიც ბევრ რამეთი განიჩეოდა რუსეთის ბატონყმობისაგან, მაგრამ აღამიანის ბუნების გამათახსირებელი თვისება მას ყველგან ერთნაირი ჰქონდა. როგორც ზევეთაც ვსთქვით\*), ქართველი თავად-აზნაურობა ყოველ დარგში ბიუროკრატიამ გამოსცვალა და ოდესმე მას თუ ერის ცხოვრებაში რამე მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა იგი პარაზიტად გადაიქცა. ამან გაამწვავა ბატონსა და ყმის შორის ურთიერთობა და ამ უკანასკნელის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. ძნელი სათქმელია, როგორ გადაწყდებოდა ბატონყმობის საკითხი საქართველოში, რომ იგი რუსეთში არ გადაეწყვიტათ, თუმცა ისიც კი სათქმელია, რომ რადგანაც ერთი და

იგივე მიზეზი ერთ და იმავე შედეგს იწვევს, შეიძლებოდა, აქაც ხალხის განუწყვეტელ ბრძოლას თავისუფლება მოჰყოლოდა. მე-XIX საუკ. პირველ ნახევრის მწერლობა ერთიანად გატაცებული იყო იმ განსაკუთრებული მდგომარეობით, რომელსაც საქართველო პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვით განიცდიდა. მწერლობა მხოლოდ წარჩინებულ წოდების ხელში იყო და რადგანაც პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვამ, გლეხებთან შედარებით, უფრო ეს წარჩინებული წოდება დააფიქრა, ამ საკითხმა დაიჭირა მთელს მათ მოღვაწეობაში სამწერლო ასპარეზზე უპირველესი ადგილი; ხალხის ვრცელ მასას ჯერ კიდევ არა ჰქონდა შეგნებული ამ პოლიტიკურ პერტურბაციების მნიშვნელობა ისე, როგორც წარჩინებულ წოდებას, რადგანაც ეგ უკანასკნელი უმეშვეოდ განიცდიდა ამ ცვლილების კარგსა და ცუდს მხარეებს. რადესაც ერს თავის დიდებულ წარსულიდან აღაფიქრებდა და რადგანაც მწერლობაში საიმედოს ვერაფერს ვხედავს და მამაყადა კი ბურუსით არის მოსიფი, მაშინ მგონია, რომელნიც ხალხის უმადლეს გრძობათა დუდილის ნაყოფიან არიან გუჯაბასკებით დასტირთან ერის დამსხვრეულ იმედს, თუ აქამომდე სსხმატკბილად ჟღერდა მათი ადფრთფანებული ჩანგი. ერთობ დიდი დანაკარგი იყო საქართველოსათვის პოლიტიკური თავისუფლება, ერთობ ბევრი სისხლი დაიღვარა და „თავგანწირულმა სულისკვეთებამ“ უნაყოფოდ ჩაიარა, რომ ქართულ ეროვნულ ლიტერატურაში მის მოგონებას უმთავრესი ადგილი არ დაეჭირა. პირველად ამ ხმებზე დავით გურამიშვილმა ააჟღერა ჩანგი და შემდგომ მგონებმა კი იგი უფრო გაამშენიერეს, გააღრმავეს და ეროვნული შეგნება განა-

\*) განათლება № 1.





ვითარეს და დროს შეუფარდეს. ამ წარსულმა ღირსეული შინაარსი მისცა მწერლობას, რადგანაც *longa est iniura—longae amlaques*, დიდი იყო უსამართლობა და ვრცელი მოსათხრობელი.

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“ აი რა კითხვებზე ეძებს პასუხს შორი ქვეყნიდან თავის სამშობლოში მომავალი, ენერგიით სავსე ახალგაზდა „თერგდალეულთა“ ჯგუფიდან. „გული უტოკავდა და მკლავი უთრთოდა“ (მგზავრის წერილები) მომავალ მებრძოლს, როდესაც თავის სამშობლოს უახლოვდებოდა, რადგანაც მას კარგად გათვალისწინებული ჰქონდა, რომ დაუღალავი ბრძოლა მოელოდა, ბრძოლა თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ, ბრძოლა თავისი ერის წარმატებისათვის. ეს მოუსვენარი სული ჩაჰბერა მას და ახალი სისხლი აუჩუხჩუხა სამშობლოს კარზე გადაშლილმა არემარემ, სადაც მან პირისპირ იხილა ორგვარი მშვენიერება. მისმა პოეტურმა წარმოდგენამ ეს ორი დიდებული სანახაობა ადამიანის ბუნების გამოხატულებად დასახა. ეს ორი ხილული სურათი უხილავ ცნებათა იყო ერთი მხრით ის ადგილი

„... სადაც დადებულს მთასა შეინჯარსა  
ფრხნი, არწივნი ვერ შექცებიას,  
სად წვიმა-თაფლნი ყინულად ქმნიდნი  
მზისგან არადეს არა სდნებიას,  
სად უდაბურსა მას მუუდრებას  
კაცთ ურამუედი ვერა სწვდენია,  
სად მუუფება ჭექა-ქუხილსა,  
ყინულს და ქართა მხალფად შთენია“...

მეორეს მხრით კი „თავზე ხელ-ალებული, გიჟი, გადარეული, შეუბოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი, რომელსედაც ვრ. ორბელიანმა სთქვა:

„წყალნი მთით დაქანებულნი აღმასებრ უფსკრულს სტვივიან თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ხანს ეუბნებიას“.

ამ ორ სურათიდან მხოლოდ ერთში— „დაუღალავ სტიქიაში“ ჰპოვა მგოსანმა მზგავსება თავის ქვეყნის ცხოვრებისა, იმის „მღვრიე წყალში“ მისმა გამჭირებმა თვალებმა „მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“ დაინახეს: იმისმა დაუღალავმა სრბოლამ მას თვალ-წინ დაუყენა „ამაღლებული და ღირს-საცნობი სახე ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა“ და გადაჭრით იგი ამ ცხოვრების მხარეს დადგა. იგი უარჰყოფდა „განზე განდგომას, მიუკარებლობას“; მას არ მოსწონდა მყინვარი, რომელსაც „ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მაღალ შუბლზე ერთს ძარღვსაც არ აუტოკებს“; იგი გადაჭრით თერგის მხარესა და სიხარულით შენატრის მას: „ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“; — აღფრთოვანებით განაგრძობს მგოსანი. ტყუილად კი არ არის მგოსანი „გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი („უვარელის მთებს“), მისი მშობლიური სფეროა მუდამ მოძრავი და ძლიერი სტიქიონი. მისი დიდბუნებოვანი პიროვნებაც გაჩენილი იყო მუდმივი მოქმედებისათვის. ილიას თაობის მოღვაწენი ნამდვილი მოქალაქენი იყვნენ და, როგორც თევზი უწყლოდ, ისე ისინი საზოგადოების გარეშე ვერ გადგებოდნენ. ეს თაობა დამარღვეველი და იმავ დროს მაშენებელი ძალა იყო და იქით მიეშურებოდა, სადაც შეეძლებოდა ამ ძალისათვის უფრო ვრცელი ასპარეზი მოეძებნა



ქართული

და მისი შეხლა-შემოხლით იგი ევარჯიშებინა. იგი იქითკენ მიიწევდა, სადაც ხალხი უფრო შეჯგუფებული იყო, სადაც სიცოცხლის ზღვა უფრო ჰღვავდა, სადაც ბოროტი და კეთილი უფრო გამოჩენით ებრძოდნენ ერთმანეთს. იგი სხვებზე ნაკლებად არა გრძნობდა სამშობლოს ცის სიმშვენიერეს, მისი მოციმციმე ვარსკვლავები მასაც კი უცინოდნენ მომხიბვლელად, ისიც სიამით გასცქეროდა საამოდ აბიზინებულ ზურმუხტოვან მინდვრებს, მაგრამ მათ პირადი სიამოვნება, სიყვარული, ბედნიერება ქვეყნის ჭირ-ვარამს ანაცვალეს და ამიტომაც გვესმის ილიასაგან ასეთი სიტყვები: „ვთუ რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უაღამიანოდ!.. არა, წაიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი ღღე თავისი ტანჯითა, წვალეები-

თა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლანითა“  
 სოციალური ცვლილება საქართველოსათვის მის დამოუკიდებლად სადაც ცხრა მთას იქით წყდებოდა, და ამ მხრით ჩვენს მწერლობას არავითარი გავლენა არ ჰქონია ჩვენს საზოგადოებრივ წყობილების შეცვლასა და დამყარებაზე. მწერლობა ამ დროს ცხოვრებას ფეხ და ფეხ მისდევდა, როდესაც მე-ნო წლებში განხორციელდა დიდებული აქტი თავისუფლებისა, იგი ამ ცვლილების შეგუებას უადვილებდა გონებას. მართალია, მე-ნო წლების მწერლობამ დაჰგმო ბატონ-ყმური ურთიერთობა მხოლოდ მის შემდეგ, რაც იგი მთავრობისაგანაც იქნა უარყოფილი, მაგრამ ილია თავისი ლირიულ ნაწარმოებებში იმ თავითვე რუსეთის ბრწყინვალე მწერლებთან ერთად უარჰყოფდა მას.

ს. დადიანი.

(შემდეგი იქნება)

## თავისუფლად აზრის გამოთქმა

(საკუთარის დავირვებიდან)

მასწავლებელი რაც უნდა მომზადებული იყოს თავის მძიმე მოვალეობის აღსრულებისათვის, სწავლების დროს თანამედროვე სკოლაში ის მაინც ხშირათ ვარდება უხერხულ მდგომარეობაში, ეძლევა სრულ უიმედობას, რადგანაც ვერ აღწევს მიზანს, ვერ ხედავს თავის შრომის სასურველ ნაყოფს; ასეთ შემთხვევებში გონიერ მასწავლებელს ხშირათ ებადება ასეთი კითხვები: მაგალითად, ვუძეადინობ, მაგრამ მიზანს მაინც რატომ ვერ ვაღწევ? რათ მიძინებდა გაკვეთილების მიცემა სკოლაში, რატომ ჯერჯერობათ ვერ ვიზერობ კლასის უურადლებას? რატომ ვერ ვიცი ვის-

რიგის სკოლაში? და სხვა.—უველს ამ საგნით დაინტერესებული ზირი მიხვდება—თუ რა მწარე მნიშვნელობა აქვს ამ კითხვებს მასწავლებლისათვის.

რა არის უმთავრესი მიზეზი მასწავლებლის ასეთ უიმედობადის მისვლისა? ის, რის შესახებაც არა ერთხელ თქმულა, უფსკრული თანამედროვე სკოლასა, ოჯახსა და ცხოვრების შრომის. ჩვენ სკოლებში დღემდის გამოუბუდი დახვსებული ჰედაგოგია, რომელიც დამყარებულია ლევიტსკის მუნჯურ მეთოდზე და გაკვეთილების შექანკურათ „გაზუბრების“ საფუძველზე, არამტუ სზობს ამ უფსკრულს





და აერთებს სკოლას ცხოვრებასთან, პირიქით ხელს უწყობს და აღადგინებს მას; ჩვენი სწავლა-განათლების სათავეში მეოფი „მაშობიც“ ხელს უწყობენ ამ გარემოებას, პეტი უურად-ღება მათი პოლიტიკანობისკენ არის მიქცეული; მათ რომ ჩვენი სკოლების ბედ-იღბალი ანტიკრესტდემო, მაშინ ხომ ხელს შეუწყობდენ ახალი ჰელაგოგიკის რომელიმე დარგის გადმოტანას ჩვენ სკოლებში, მით ხელს შეუწყობდენ მასწავლებელსაც და ეს უკანასკნელი ადარ გაეხვევოდა ზემოდ მოხსენებულ მწარე კითხვების ბურუსში; მაგრამ, როგორც ზევი-თაც ვსთქვა, ჩვენს „ჭირისუფლებს“, «ადმიზრდელებს» უოველავე „ახალი“ გადმოხერ-გვა ჩვენ სკოლებში აშინებთ და ამისათვის მის წინმსვლელობას აფერხებენ.

მიუხედავად ზემოთ ნათქვამ დაბრკალებიან, მასწავლებელმა თავის-თავად მაინც უნდა იმუ-ცადინოს, გაეცნოს ახალ ჰელაგოგიკას და თან-და-თანობით შემოაშუქოს მისი სხივები ჩვენს სკოლებში. ახალი ჰელაგოგიკის ძირითად პრინციპად, საფუძვლად, ჩემის აზრით, უნდა ვა-ღააროთ თავისუფალი აღზრდა ბავშვი-სა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მაგ-რამ ამ ჰელაგოგიკის ახალს სულისც ჩვენს სკოლებში ხომ უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ბავშვის სკოლაში შემოსვლისთანავე მის მა-გიერ, რომ მისი პირველება უფრო გავადგო-თ, თავი უფრო თავისუფლად ვაგრძობინოთ, ჩვენ ვაგდებთ ბავშს თანამედროვე სკოლის ვიწრო ჩარჩოებში და მით უხუთავთ სულის ახალგაზრდა ინდივიდუუმს, ამ, ბუნებრივად, თავისუფლების მოყვარეს; ვართმევთ იმ შეზ-ღულულ თავისუფლებასაც, რომელიც მას ჰქონ-და მინიჭებული ოჯახში, სკოლაში ოქვის შამდგომამდის. ამის გამე ბევრ ბავშვს სძუ-ლდება სკოლა, ერთი საათი გაკვეთილის დრო მას ეჩვენება საუკუნედ, სკოლაში ცმუტავს, ეშმაკობს, დროებით გასწავლისუფლებლათ სთხოვს მასწავლებელს კარში გასვლის ნებას;

მასწავლებლის „ტიმეს“ „ტიმეს“ ძახილს საძღვარი არა აქვს, მაგრამ სკოლის დისცი-პლინას მაინც ვერ იცავს, რადგანაც ცენტრუ-რად ვერ აკისრეფილებს თავისუფლების მო-ტრფილყო ბავშვების სულიერ მოთხოვნილებას. ბოლოს სრულიადაც ინტრევა ხიდი სკოლასა და ზოგიერთ ბავშვებს შორის: ბავშვი საბო-ლოდოთ იძულებს სკოლას და სცილდება მას; ასეთ ბავშვს მშობლებიც და მასწავლებლებიც ნათლავს უნიჭოთ; ვინ იცის ეს უნიჭოთ ცნობილი ბავშვი რომ მისწრებოდა მომავალ სკოლას, რომელიც იქნება დამყარებული თა-ვისუფალი აღზრდის პრინციპზე, არა ჩვეუ-ლებრივ ნაწეს გამოიჩინდა და ცხოვრებაში გა-ოსვლის შემდეგ შეიქნებოდა სასარგებლო წევრი საზოგადოებისა. ბავშვის სკოლაში შე-მოსვლისთანავე ვიწყებთ წერა-კითხვას, რაც სრულიად ეწინააღმდეგება პირველ ხანებში ბა-ვშის სულიერ მოთხოვნილებას. თავისუფლად მონაზარდე ჩიტი უცბად გვლიაში ვარდება, აქეთ-იქით ეხეთქება, ეძებს გამოსასვლელს კა-რებს, მაგრამ ამაოდ, გამოსასვლელ გზას კი მიგნემდით ბავშვს, რომ მისი თავისუფლება არ შეგვეზღუდა, რომ მასთან გვემოქმედნა-ისე, როგორც ამას მისი (ბავშვის) ბუნება მოითხოვდა, მაგრამ დღეს, თანამედროვე სკო-ლაში ბავშვის ამ ბუნების მოთხოვნილებას ვერ ვაკმაყოფილებთ, რადგანაც თავისუფალი აღზ-რდის პრინციპს, ახალ-ჰელაგოგიკის ამ საღ მი-მართულებას გვერდს ვუგლით. მასწავლებელმა რომ თანამედროვე სკოლაში რადენიმეთ მა-ინც დააკმაყოფილოს თავისუფალი აღზრდის მოთხოვნილება, უპირველესთ ყოვლისა სა-ჭიროა, ჩემის აზრით, პირველი ხანები მო-ანდომოს ბავშვის განცობას; გაიგოს თვით-ეული ბავშვის სულის კვეთება, მისწრაფება, ოჯახური ცხოვრება და სხვა. ეს არც ისე ადვილია, როგორც პირველად გვჩვენება, მაგრამ ხელგაწანი მასწავლებელი ამ მიზანს მიაღწევს ბავშვებთან მარტივისა და თავისუფა-



ლი საუბრით, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის თვითმომქმედებასაც. საუბარში უნდა გაატაროს ზირველი თვეები. საუბარი ზირველ ხანებში უნდა იყოს დაკავშირებული ბავშვის ოჯახურ ცხოვრებასთან; ისე ოსტატურად უნდა იქნეს ეს საუბარი შესრულებული, რომ ბავშვი აზრით (МЫСЛЕННО) ვატაროთ თავის საკუთარ ოჯახში. საუბრის დროს შემდეგი კითხვებით უნდა მივმართოთ: რამდენი ძმან და გვყავს, ვინ არის მისი კარგი ამხანაგი, რომელი თამაშობა მოსწონს, როგორი ოჯახური მოწოდებლობა აქვს, რომელი შინაური ცხოველი უფრო მოსწონს, რომელი სოფელია იმის სოფლის მახლობლათ და სხვა. ასეთი საშუალებით გარდა იმისა, რომ ვეცნობით ბავშვს, ამავე დროს ვაფრთხილებთ მის სულს თავისუფლად ვახვეთ და ვაფარებთ სკოლას, ვეცნობით ბავშვის ოჯახს და იმას დამოკიდებულებას ოჯახთან და უველას ეს კი ხელს შეუწყობს თავისუფალი აღზრდის საქმეს. საუბრის დროს გამწვანებულ კითხვებით მასწავლებელს შეუძლიან შინაც მისცეს საშუალება ბავშვს; მაგ. შემდეგი კითხვები: გაიგე და მითხარი ხვალ, რამდენი წლისაა შენი უნცროსი ძმან და, რამდენი გვაფთ ცხვარი, რამდენით მეტი გვაფთ ან ხაკლები ქათმები ბატებსე; ასეთ კითხვების შესახებ დასამზადებლათ ბავშვი შინ თავისუფლად აზროვნებს, მუშაობს. ასეთი საუბარი ოჯახიდან და ბავშვის წასულის ცხოვრებიდან გადადის ხელ-ხელა სკოლაზე, ბავშვს სკოლაში უფროა შემდეგ ბუნებრივათ ეხვეება, იფარებს სკოლას, თავის მასწავლებელს და თანდა-თანობით უფრო ფართოდება თავისუფალი თვითმომქმედება ბავშვისა. ამ მიზნით ხელაფრთხილად შესრულებული საუბარი სკოლაში მასწავლელ სავსებასაც უმზადებს მკვიდრ ნიადაგს. როდესაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მან თავის სკოლის ბავშვები გაიცნო, სავსებით ჩასწვლად თვითუფლი ბავშვის გულის სიღრმეში, მხოლოდ შემდეგ იწყებს წე-

რ-კითხვის მწავლებას; მაგრამ წინააღმდეგობის დროსაც მასწავლებელი სრულიან თანაგრძობით უნდა შეხვდეს თვითუფლი ბავშვის თავისუფალ აზროვნებას. ბავშვს გავეთილში მოხსენებულ სავსებაში თავისი შინაური ცხოვრებებიდან რამე აცნობდა, უნდა სთქვას, მაგრამ ვერა ბედავს, რადგანაც არა აქვს, ამდენათ თავისუფლად აზროვნების ნება მინიჭებული. თუ მასწავლებელმა წერა-კითხვის დაწვებამდის თავისუფალ საუბრის საშუალებით ჯეროვანათ განავითარა ემწვილში თავისუფალი აზროვნება, შემდეგ ბავშვი გავეთილში მოხსენებულ სავსებაზედაც თავისუფლად და გაბედულათ გამოსთქვამს თავის შთაბეჭდილებას, შეხედულებას, აზრს. მოგახსენებთ საკუთარ დაკვირებიდან ამის შესახებ მაგალითს: I განუწლის მეორე ნახევარში მქონდა გავეთილად „ვეთილი სანდალა“; გავეთილის ასხნა-განმარტების შემდეგ ერთი მოწაფე მთხვარ სიტყვის ნებას და ამბობს: „მასწავლებლო, ერთი კვირას რაც ჰავაღეს ჰურას წამოღება ავიწყდება, უფაღ-ღღე მე ვაჭმევ ხოლმე ჰურას“. თითქმის უფაღ გავეთილის დროს ვისმენ ბავშვებიდან ასეთს და უმთრო კიდევ მნიშვნელოვან თავისუფლად გამოთქმულ აზრებს, თანაგრძობით და სიამოვნებით ვუსმენ უველას, რადგანაც დარწმუნებული ვარ ბავშვის თავისუფლად მოქმედება ხელს შეუწყობს ბავშვის

**მკვიდრ ნიადაგზე აღზრდას.**

**გრ. საქაროქედელი.**

P. S. ეს წერილი დაწერილი მქონდა, რომ მომეცა შემთხვევა მომესმინა გავეთილი კიცხის სკოლაში მასწავლებელ სავაღე აბულაძესთან; ს. აბულაძეს ჯეროვანათ განუწროვანია მოწაფეები თავისუფლად აზრის გამოთქმასში; მესუთე განუ. გავეთილად მქონდა ქართულ ენაში „ბედურა“ („კუთანიდან“), რომელშიაც გატარებულია დედობრივი სიყვარულის ძალა; თვითუფლმა მოწაფემ ისეთი კარგის





ენიო შინაარსიანი მაგალითები სთქვა საკუთარის დაკვირვებადან, შთაბეჭდილებიდან, დედობრივი სიყვარულის შესახებ, რამ სიხარულით განცვიფრებაში მოვედი; სსსურველია

სხვა მასწავლებლებმაც მიბაძონ სსსურველ და ჰირველ განყოფილებიდანვე ავარჯიშონ ბავშვები თავისუფლად აზრის გამოთქმაში.  
გრ. საქ.

# ნიკოლოზ ბარათაშვილი

(გაგრძელება)

**ბედი ქართლისა.** ამ სათაურის ქვეშე მოვათავსებთ პოეტის ყველა იმ ლექსთ, რომელნიც სამშობლო ქვეყნის წარსულს, მის აწმყოს და მომავალს შეეხებოდა, და რომელთ შემწევობით ქართული პოეზია ერის ცხოვრებას და მის საუკეთესო შვილთა სულის რეალურის კვებებას დაუახლოვა.

პოეტი თავყვანს სცემდა, შეტრფოდა, აღმერთებდა თავისუფლებას: ჰიროვნულს, ურთუნულს (საზოგადოებრივს) და სსხედიწითულებრივს. ის შეიწროების, თავისუფლების დახმავრის, ჰიროვნობის დამონების დიდი წინააღმდეგი იყო. ეს თავისი ჰაზრები მან გამოთქვა თავის ლექსში: „სუშბუდი და მწირი“ (1842 წ.) მწირი (თავის თავსაც ეძახდა პოეტი) სუშბულს მიმართავს და ეუბნება: სადაა მისი საამოფეროვნება და სუნი. სუშბუდი სჩივის იმას, რომ მოაშორეს სამშობლოს გულსა, სწორ ყვავილთ, შვენიერს ცას და ბულობულს. „აგერ შაისი აყვავებს ტურფად ბუნებას, მოვა ბუღბუდი და დაუშტყენს სიყვარულის ხმას“

და ის, ხშული ბნელსა სადგურს და სევილიანსა, ველარ იხილავს ამ მგოსანს... მწირი: ეკითხება, ნუთუ ვერ ხედავს სუშბული აქ სანაცვლოს და რამ საამურს, ოქრო ვერცხლით შემკული, სიცხისა და

სიცვიისაგან დაცული. სუშბუდი: იმას ნაღვლობს, რომ არღა ევლება გარე წყაროცივი, კამკამი, არღა ეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი, გრილი ნიავი მისთა ფურცელთ არ უაღერსებს და მაყვლის ბუტკი მხისა სხივთა არღა უჩრდილებს... ნაღვლობს, რომ უყამოდ ეღება ბოლო და ნატრობს ველად ცხოვრებას, ბულობულის კვლავ ნახვას და სიტურფით კვლავ გაშლას. მწირი:

„მშვიდობით, წავად, მეც მოვძებნი ჩემსა უვაჯილსა; ისიც შენსავით განაშორეს სამშობლო ველსა! ვაჲ თუ მასაც უდრად ატყობს უწყალო ხელი, და არღა მომხვდეს სუნი მისი, ჭირთ უკუშერელი!“

პოეტს ამ ლექსში სახეში ჰყავს თავისი სამშობლო, რომელიც თვისი ცხოვრების ჩვეულებრივს მიმდინარეობას ლექსის დაწერილამ ორმოცდა ერთი წლის წინ ჩამოშორდა, მშობლიურს ნიადაგს მოწყდა და შთავარდა უცხო გარემოებათა შორის. სუშბულის მსგავსად, პოეტის სამშობლოს ენატრებოდა თვისი ბულობულის ნახვა და ხელ ახლა აღყვავება ახალ პირობათა და გარემოებათა შორის, თუნდ რუსულევროპიული კულტურის ზედგავლენით. თვისს პოემაში: „ბედი ქართლისა“ პოეტმა აალაპარაკა ჩვენის წარსულიდამ სამი ვვა-



მი, რომელთაც თავგაწირულად უყვართ თვისი სამშობლო. ესენი არიან: მეფე — ირაკლი II, მისი მსახური სოლომონ ლეონიძე (თავადი) და ამ უკანასკნელის მეუღლე სოფიო (თავადის ცოლი). ესენი თითქოს ერთმანერთს ეჯიბრებიან სამშობლოს სიყვარულში და ყველანი ერთად და თითოეული ცალკე მკითხველზე თვისი აზრებით დიდს შთაბეჭდილებას ახდენენ. გზა და გზა პოემის პოეტი თავისს საკუთარს აზრსაც გამოსთქვამს ამა თუ იმ საკითხის გამო. პოემა შეეხება უმთავრესად საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს და ქართული ერის მდგომარეობას რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ. მეთვრამეტე საუკუნის გასულს საქართველოში გაჩნდა ორი პარტია: ერთი მათგანი იყო რუსოფილური (რუსთა მომხრე), ხოლო მეორე — რუსოფობური (რუსთა მოძულე). პირველს პარტიას შეადგენდნენ უმთავრესად თავად-აზნაურები, რომელთაც ისტორია მრავალსაუკუნეთა განმავლობაში აკისრებდა სამშობლო ქვეყნის დაცვის საქმეს. მაგრამ ეს წოდება დაიღალა მტერთან და ურთიერთ შორის ბრძოლით და მეფეთა წინააღმდეგ შურით და მტრობით. იმათ ძლიერ სურდათ რუსთა ბატონობის დამყარება საქართველოში და ამით თვისი უპირატესობის და ბატონობის შერჩენა ახალ მთავრობის ხელში. მეორე პარტიას ეკუთვნოდა თავად-აზნაურთა და სამღვდლოების ერთი ნაწილი. ეს პარტია რუსეთთან საქართველოს შეერთების მომხრე არ იყო და იმ აზრს ადგა, რომ საქართველოს კვლავ შერჩენოდა თვისი პოლიტიკური თვით არსებობა, როგორც ერთად ერთი წყარო ერის კეთილდღეობისა და ბედნიერებისა. პირველ პარტიის წევრნი ორს ბანაკად იყვნენ დაყოფილი:

ერთს ბანაკს თავის კერძო ინტერესებში უფრო ჰქონდა სახეში, ხოლო მეორეს — სურდა რუსთა ბატონობის ქვეშ საქართველო ავტონომიური ერთეული ყოფილიყო თავის კანონებით, საკუთარი ფულით ჯარით ელფერით და მეფითა.

„ბედი ქართლისა“ ორს ნაწილად განიყოფება. პირველს ნაწილში აღწერილია ქართველთა თავგანწირული ბრძოლა კრწანისის ველზე (თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით) სპარსთა წინააღმდეგ .. (1795 წ. 11 ენკ.) მცირე მხედრობით გმირი მეფე ირაკლი შეებრძოლება სპარსეთის სამოც ათასს ჯარს და პირველს დღეს სძლევს მას. გამარჯვებული მეფე ნარიყალის ციხეს (ხარფუხში) ამაგრებს და მის კედელთ შორის შეათარებს თავს თავის მხედრობით... მაგრამ ვიღაც იუდა-მოლალატემ ხოჯა ალა-მაჰმად ხანს, სპარსეთის მეფეს, ციხის კარი უჩვენა... სპარსნი ციხეში შეკვიდნენ... ირაკლიმ მთიულეთში გაქცევა მოასწრო. პოემის წინ უძღვის წინასიტყვაობა: „კახთა მიმართ“, რომელშიც ნათქვამია, რომ პოეტი თვისს პოემას მიუძღვნის კახელებს, რომელთ შორის აღიზარდა პატარა კახი (მეფე ირაკლი) ამიტომ კახელებს, როგორც პოეტი ამბობს, უყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალე გულით. პირველი თავის ჩაწილება: ლოცვა ირაკლი მეფისა ომის წინ. გამოჩნდა თუ არა მტერი, მეფემ გამამხნევებელი სიტყვით მიმართა ჯარსა. მან სხვათა შორის სთქვა:

„საქართველს დღეს გადაუწყდება  
თავისი ბედი და უბედობა.  
დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა!  
დღეს მეტა თქვენში ვარ მეამანი,  
ვითა თქვენგანი ერთი მსედანი.  
დღეს გამაჩნდება, ვინაწს ერთგული,





ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული“  
ჯარმა აღტაცებით პასუხი გასცა.

„ჩვენ თუნდ სულ ერთს დღეს დავიხრცებით,  
ოდნად შენ იყუგ, შეფეგ, დღეგრძელი!“

დაიწყა მწარე, ძლიერი, ომი. ბინდისას  
ქართველნი დარჩენ გამარჯვებულნი. მა-  
გრამ,

„მრავალთ უმაწვილთ კაცთ, ნუგეშთა ქა-  
რთლის,  
დასდგეს აქ თავი მამულისათვის.“

აწ საფლავიცა აჩსად სჩანს მათთვის;  
ჭაკში განჭრა მათი სახელი

და აჩსად ჟამთა მწაშე ძეგლი  
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;

დუმილნი ჭთარგენ ერთგულთა ძეგა!..  
მაგრამ, ჭთი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,

თქვენ სასიკვარო გაქვსთ თვით განგებით;  
რაც ერთხელ ცხოვრად სულს დაჩნდების,

საშვილიშვილად გარდაეცემის;  
ქართლი თქვენს ღვაწლსა ვერ დაიდუმებს,

აღამაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს“  
გამარჯვებულმა მეფემ თავის მხედრო-

ბით ნარიყალას ციხეს შეათარა თავი...  
„დადნდა სმარსთა შეფე ბორგვნილი,

და თურმე უოგლით იმედ მიხდილი  
ქართლიდამ წასვლას დააპირებდა!

მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა...  
და მუხთაღისა ანჯართა ხედთა

აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი,  
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი“.

გულდამწვარმა საქართველოს თავზე მო-  
ვლენილის მწუხარებით და თავისიანთა

ლალატით ირაკლი მეფემ ცხენით გაქუს-  
ლა მთიულეთისკენ... ვინ იცის, რას ფი-

ქრობდა საქართველოს ბედზე მზრუნველი  
მეფე, ოდეს ჩქარი არაგვის ხეობაში

ცხენს მიაკენებდა... მოახლოვდა საღამო.  
მზემ ჩასვლა დააპირა. პოეტს მოუსმინოთ:

„მზე დამავალი მოფენს სიამეს  
მთიულეთისა ხეობის ანეს,

და ამ მშვენიერს არაგვის ხეობას  
ძუკელი ჩარდახი ზედ გადმოეურეს...“

ამ ჩარდახში ბრძანდებოდა მეფე  
„მოწეენის თვალით გადმოშინრადი.“

და ქარვის მარცვლებზე ართობდა თა-  
ვის გულის ზრახვათა... თან ახლდა მას

ცნობილი მამულისშვილი სოლომონ ლე-  
ონიძე,

„ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული  
და მისი შინაჟმა, უმა სუფარელი“

დიდი ხნის მღუმარების შემდეგ ირაკ-  
ლი მეფე ეუბნება სოლომონს შემდეგს:

ქართლის უწინდელი ვითარება, ძალა და  
ყოფა-ცხოვრება შენ იცი. შენი რჩევანი

ბევრჯერ ჩემთვის სასარგებლონი გამომ-  
დგარან. მე მსურს შენ გაგიმტლავნო დღეს

ჩემი სულის ტვირთი და გულის წადილი.  
იცი, თუ ვით მიღალატეს ჩემმა შვილებ-

მა. აღა-მამამად-ხანი გაქეზებული აღარ  
მოგვისვენებს, ლეკები და ოსმალინიც თავს

დაგვესხმიან:  
„თუმცა კვლავ გგრძნობ სულის სიმტკიცეს,

გარნა დონენი წელთ წარმოტაცეს;  
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,

მატარა კახად რამ გინახვივარ.  
ახა რამეღის შვილს ხელავ დირსეულს,

რამ ექმნას კვერთხად მამულს დარდვეულს?  
აწ გათქმულია რუსთა სახელი,

ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი;  
დიდისნია გვაქვს ჩვენ ერთობა,

მტკიცე კავშირი—სარწმუნოება, —  
მას მსურს, რამ მივცე შემგვიდრეობა


და მან მოსტეს ქართლს კეთილ-დღეობა!“  
ამის გამგონე მსაჯული განცვიფრდა

და უთხრა მეფეს:  
„ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა...“

ჯერ სამაგისო რა გვემართება,  
რამ განვისუფილთ თავისუფლებას!

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა  
აჩა რას აჩვენებს, ოდეს თვისება





ერთა მის შიშის სხვადა სხვაობდეს.  
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,  
ვით შეიწყაროს რუსთ შეულობა,  
რაც მისიურავს ქართველებმა?!  
მაშინ, შეუეა, რადუნთ კაცთ მართალთ  
მეუკლან გული ტანჯვით იღუშაღთ!

ამ ღრმა—მნიშვნელოვანს აზრებს მე-  
ფე ირაკლი სრულიად დაეთანხმა, მაგრამ  
მეფე ამართლებდა თავის ასეთს გადაწყვე-  
ტილებას იმ გარემოებით, რომ საქართ-  
ველოს არსებობა ძნელია, როდესაც ყო-  
ველდღე ომშია გართულიო. ირაკლი ფი-  
ქრობდა ქართლისთვის, როგორც

„მამაკეთილი, —  
რამეღსაცა სურს, რამ თავის შვილი  
თვისს სიღცხსეჲშივ დასახსკარს“  
ომით დაღლილს საქართველოს მშვი-  
დობა ეჭირვებო:

„მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის  
ამოიყაროს ჯაფრი სპასეთის,  
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გრწამდეს,  
რამ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს  
საფლავზედ ჩუენთა მამაშაშათა,  
და განისვენონ ჩრდილთა მათთა“.

მსაჯულმა მიუგო.  
„განზრანვა შენი, შეუეე, მკვირვებს!  
ირაკლიმ იცის, რამე ქართველებს  
არად მიაჩნით უბედურება,  
თუ აქვსთ თვისთ ჭერ ქვეშ თავისუფლება“

მეფე ირაკლის მშვენივრად ესმოდა სო-  
ლომონ მსაჯულის სიტყვების ჭეშმარიტე-  
ბა, — მაგრამ იცოდა ამასთანავე რუსთა  
სამეფოს მოახლოება კავკასიონის საზღვარ-  
თან და მისი სურვილი საქართველოს  
თვისთან შეერთების შესახებ. ამიტომ  
სთქვა:

„დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება  
ქართლსა დაიცავს რუსთხელმწიფება“  
რუსთაგან ძალად დამორჩილებას აჯო-  
ბებდა საქართველოს რუსეთთან თავისნე-

ბით შეერთება. ირაკლიმ უკანასკნელი  
ამჯობინა... სოლომონ მსაჯული მეფემ  
ქალ. თბილისში გაგზავნა მთიულეთიდან  
და თავის სახლისკენ გამოიარა, რომელიც  
ქსნის ხეობაში იყო. აქ შიშიანობის დროს  
მისი ცოლი სოფიო სცხოვრობდა... გზა-  
ზე მიმავალი სოლომონი მეფეს თავის გუ-  
ნებაში უსაყვედურებდა ქართლის ბედის  
გადაწყვეტილათვის.

„...შენ, შეუეე, ვინ მოგცა ნება  
სხვას განუბოძა შენთ უმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულის კვეთებას  
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?...  
შენ ერმან მოგცა პირველ დიხსებას,  
რათა დაუტყა ყოფა-ცხოვრება,  
და რად იფიქვებ, რამე მარადის  
ერსა ეკუთვნის გულის თქმა შეთვის!“

მაგრამ სოლომონს ცოტა ეჭვი შეეპარა  
თავის აზრების ჭეშმარიტებაზე, როდესაც  
გაითვალისწინა საქართველოს მაშინდელი  
უკიდურესი მდგომარეობა... თანაც შეერ-  
თება რუსეთთან და საქართველოსთვის  
სრულის თვით მართველობის დატოვება  
იმ სახით, რა სახითაც ეს განმარტებული  
იყო 1783 წლის ხელშეკრულებაში, მაინ-  
ცა და მაინც არც თუ საზარალო იქნე-  
ბოდა მისთვის. ალბად ამის გამო სოლო-  
მონმა სთქვა:

„მაგრამ ვინ იცის, იგი (ირაკლი) იქნება  
უკეთ ფიქრობდეს, რაც ვეკვირება:  
ბევრჯერ დეთიურსა ზრუნვასა შეთვის  
განება უმათა ვერა მიხვდების!“

სოფიოს სოლომონმა უამბო მეფის გა-  
დაწყვეტილების შესახებ და თან დაუხატა  
ის განცხრომა და ფუფუნება, ის მშვიდო-  
ბა და მრავალი სიამე, რომელიც ქართ-  
ველს ქალებს მოელოდათ რუსეთის ბატო-  
ნობის დამყარების შემდეგ,

„რის საცხოვრებლად დიდ კაცის ცოლებს  
შეტრეს ქალაქში გადასახლენ...“





მასინ ვისადა მოესურვება,  
 ნახოს ქართლის კვლავ ამბოხება!“  
 სოფიომ ამის პასუხად, სხვათა, შორის  
 უთხრა სოლომონს:

... „რას არგებს კაცსა დიდება,  
 თუ მოაკლდება თავისუფლება?  
 თავის მამულში მას გაჭირება  
 სხვა და სხვა რიგად ენუგეშება.  
 მუნ სუფსა სული თვისად მიანჩნის  
 და გუფსა გუფის ზასუხი ესმის.“

პოეტი გულდაწყვეტილი თავის თანამედროვე ქართულ დედებზე, რომელთაც ძლიერ მალე შეეპარათ გადასხვაგვარების სენი, ჯერ მოაგონებს ძველს, სოფიოს მსგავსს, დედებს ამ სიტყვებით:

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,  
 კურთხევა თქვენდა, ტკბილ სასოფარნო!  
 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
 სულიცა თქვენი გამოჰყოფოდათ  
 და შემდეგ ამბობს თავისი თანამედროვე  
 დედების შესახებ:

„ვინდა ჰეავს გულის შემატკივარი  
 მამულს ასული, ახლა თქვენგვარი?“  
 ქარმან ჩრდილსმან უგვლახუ ზირველ  
 გამოუცვალა მათ გული ცხოველ!  
 ჯანი გავარდას აწ შვილსაც, მამულს,  
 ოდნოდ ვამოთ ჩვენს საკუთარს გულს;  
 რის ქართველობა, რა ქართველობა!  
 მითამ რას გვავნებს უცხო ტომობა?

ნიკ. ბარათაშვილმა, როგორც სჩანს, ძლიერ ადრე შენიშნა ჩვენს მოწინავე საზოგადოებაში ეროვნული გადაგვარების კვალი. უფრო განსხვავებულად ამ მხრით ქართველი ქალები, რომელნიც თავის დედა-ენაზე ლაპარაკს არ ჰკადრულობდენ, მისდევდენ თავისს საკუთარ სიამოვნებას, თვით არ ზრუნავდენ თავის შვილთა აღზრდის შესახებ, არ ნადვლობდენ მამულის დაგირავებას და გაყიდვას, ოღონდ მიენიჭებიათ თავის თავისთვის საპირადო

სიამოვნება. ამის შესახებ ერთს თავის წერილთაგანში, როგორც ვიცით, ბარათაშვილი ცხადად ლაპარაკობს. ქალები სკლილობდენ ცოლებად გაჰყოლოდენ სამხედრო პირებს, რომელთ სამსახური დიდ დიდი ჯამაგირებით იყო უზრუნველყოფილი. ქართველ ქალების გულში ეროვნული გრძნობის განელება მეტად აფიქრებდა მგოსანს, რომელსაც ძლიერ მშვენივრად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედას ბავშვის მომავალ ბედის გამოჰედვაში. ნიკ. ბარათაშვილი პირველი მგოსანია, რომელმაც ქართველს დედებს მხილების სიტყვით მიმართა. როგორც უკვე ვიცით ალ. ჭავჭავაძე ქალთა ხორციელს სილამაზეს უმღერდა და მათში ხორციელ ვნებათ დამაკმაყოფილებელს წყაროს მეტს ვერას ხედავდა... ბარათაშვილმა ქალი აღამალლა იმ საფეხურზე, რა საფეხურზედაც იდგა მამაკაცი... „ბედლი ქართლისა“ საუკეთესო პოემათაგანია. მასში გამოიხატა პოეტის რეალური მიმართულება... მითაა ის შესანიშნავი, რომ პოეტმა მასში მიაქცია ყურადღება საქართველოს წარსულს, რომლის პატივისცემას გვიმოძღვრებდა რომანტიზმი... მართლაც საქართველოს წარსული დაუმრეტელი წყაროა ჩვენის მწერლობისათვის... ჯერხანად ეს წარსული ჩვენს მწერლობაში მოსჩანს მკრთლად... საქმე ისაა, რომ ჩვენი წარსული საკმაოდ შესწავლილი არაა. რაც რამ მასალა იმეჭონება, ისიც კრიტიკის ქარცეცხლში არაა გატარებული. თითო ოროლოა მკვლევარს, მეცნიერული მეთოდით აღჭურვილს, ვერ ვაფასებთ... ჩვენ უფრო პატივისცემთ მენისტორიებს, რომელნიც მემატანის სოფლმხედველობას ვერ ვასცალებიან... ერთი ვრცელი, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენს დროში, საკმაოდ შემუშავებული



სახელმძღვანელოც კი არ მოგვებოება, რომ მის შემწეობით ჩვენი წარსული გავიცნოთ ისე, როგორც იყო, მისი სიგრძე-სიგანით, მისი ღირსება—ნაკლულე-ვანებით... ჯერ ხანად ჩვენს ისტორიაში ჩვენი წარსული გმირების მხოლოდ გაზაფხულები და გადაჭარბებული ქება გვესმის. რამდენადმე ასეა თვით ბარათაშვილის „ბედი ქართველისა“—ში... ძველ ქართველთა სიყვარული სამშობლოს მიმართ, მათი ურთიერთშორის დამოკიდებულება, მათი ერთგულება მეფედადმი სამაგალითო იყო თუშვე. თუ ეს ასე იყო, რამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა კრწანისის დამარცხებამდის, რომელიც ხსენებულ პოემაშია მოხსენებული?!. რით აიხსნება ის კრწანისის და-

მარცხება, რომელიმაც საბოლოოდ გადასწყვიტა ბედი ქართლისა, მთელი საქართველოსი?! საქართველოში დიახ ხშირი იყო ისეთი მოვლენა, რომელიც აღწერილი აქვს ბარათაშვილს:

„იუდა ჟამს ეძიებდა..  
 აჰა მან იგი აწ მოიხედათა  
 და მუხთადისა ახგართა ხედათა  
 აჰყარეს მამუდს სიმტკიცის ბტენი!  
 მან მტკრთ უმსხვერვლა თვისნი მოძმენი!..“  
 სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთადობა,  
 მოემუთა თვისთა ესდენ დამცრება,  
 მუისვე ადენთა ხედაშვიფეს გული,  
 მტკრზე ამაყად გამზადებული!

ი. ფერაძე

(დასასრული იქნება)

## ნ. მ ა რ ი

(მისი 25 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამე)

ველს შესრულდა 25 წელიწადი, გამოჩენილი მკვლევარის, მეცნიერ ორიენტალისტის ნიკოლოზ იაკობის ძის მარის სამეცნიერო მოღვაწეობისა. ძნელი წარმოსადგენია ისეთი ცოტათი თუ ბევრად განათლებული არამც თუ ქართველი, არამედ საერთოდ კავკასიელი, რომელიც მარს არ იცნობდეს, მისი სახელი არ გავგონოს. არავის არ მიუძღვის იმდენი ღვაწლი კავკასიის ძველი კულტურის შესწავლაში, როგორც მარს. რასაკვირველია მისი აუარებელი სამეცნიერო ნაშრომით მარს კარგად იცნობენ საზღვარ გარედაც და ანგარიშსაც უწევენ მისს მეცნიერულ თეორიებს.


ნ. ი. მარი დაიბადა ქ. ქუთაისში 1864 წელს, მისი მშობლები სცხოვრობდნენ

ფერმაში, ქუთაისის განაპირას—ჭომისაკენ. აქ ჰქონდა მამა მისს იაკობს ფერმა და აქვე აღიზარდა პატარა მარი. ბევრს ქუთათურს ეხლაც კარგად ახსოვს განსვენებული მამა მეცნიერისა და სიამოვნებით იგონებენ მას როგორც საუკეთესო, პატიოსანს, სტუმართ მოყვარესა და ქართველების ერთგულს მეგობარს. პირველ-დაწყებითი განათლება მარმა მამის ხელმძღვანელობით მიიღო. შემდეგ იგი მიაბარეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. საოცარი ცოცხალი, ცნობის მოყვარე, წლებთან შედარებით მეტად განვითარებული ბავშვი თავიდანვე იპყრობდა მასწავლებლების ყურადღებას, და სწავლის დასრულებამდე ერთადად დამსახურებული ჰქონდა. ქუთაისის ხელოვნები და უბრალო





ხალხიცი იცნობდა მოწაფეს—მარს. ბევრისაგან შემდეგში გამიგონია:—მარი ისეთი იყო აქავე გიმნაზიაში, რომ ხანდახან მასწავლებლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ მის კითხვებსაო.—შეიძლება ეს ასე არ იყო, მაგრამ უბრალო ხალხის ასეთი აზრი მოწაფის შესახებ, კარგი დამახასიათებელია მაშინდელ მარისა.



ნ. მარი.

ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ მარი გაემგზავრა ს.-პეტერბურგს და იქ მეცადინეობდა უნივერსიტეტში, აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ სტუდენტმა დასწერა რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევა ქართულ-სომხურ ენების შესახებ; ეს შრომები იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ მას ანგარიშს უწევდნენ დამსახურებული პროფესორებიც კი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ნ. მარი დასტოვეს პეტერბურგის უნივერსიტეტთან სამეცნიერო

მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად, მას აქეთ იგი განუწყვეტლივ შრომობს და მისი ნაშრომი ფასდაუდებელია. 1891 წლიდან იგი ითვლება აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის პროფესორად და ჰკითხულობს ლექციებს ქართულ-სომხურ ფილოლოგიის შესახებ. 1910 წელს ნ. მარი ს.პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის აღიარებული იქნა არჩეული და შემდეგ აკადემიკოსის ხარისხიც მიიღო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მან დიდი სამსახური გაუწია აღმოსავლეთის კულტურას. მისი მეოხებით და განუწყვეტელი შრომით გათხრალ იქმნა მე-XII საუკუნის კულტურის დამახასიათებელი ძველი სომხური ქალაქი ანისი, ყოფილი პროვინცია საქართველოსა, სადაც აგრეთვე მრავლად მოიპოვება ქართული კულტურის ნაშთები. შარშან აქედან ორმოცამდე კაცი გავემგზავრეთ ანისში. ჩვენ გაგვაოცა ანისის გარეშემო მდებარე ადგილების უდაბნურმა ხასიათმა. მხოლოდ რკინის გზის სადგურს ეტყობოდა ცოტაოდენი სიცოცხლე, და ანისის ახლო-სოფელ ხარკოვში\*) მოიპოვებოდა ცოტაოდენი სანოვაგე. თვით ძველი ქალაქის ნანგრევებში კი მხოლოდ თვით ნ. მარი და მისი მოწაფეები შრომობდნენ მუშებით პაპანაქება სიცხეში.

მხოლოდ მეცნიერებით გატაცებული და საქმის უსაზღვრო მოყვარე ადამიანი თუ დასტოვებდა ზაფხულში თავის საუცხოვო ამწვანებულ სამშობლოს გურიას (ნ. მარის დედა გურულია და ნ. მარიც

\*) ხარკოვი ამ სოფელს იმიტომ ჰქვია, რომ იქ დასახლებულები გოლიციის მმართველობის დროს ქალაქ ხარკოვში გადასახლდნენ, მაგრამ შემდეგ ნება დართეს აქ დასახლებულიყვნენ და მათაც ახალ სოფელს ხარკოვი უწოდეს.



თავს გურულად სთვლის) და წამოვიდოდა ამ უდაბნოში. და სწორედ საუცხოვო იყო ნ. მარი, როდესაც ანისის სიძველეთა გამო გვიხსნიდა ყველაფერს და გვაჩვენებდა. ისეთის სიყვარულით ლაპარაკობდა ყოველი ნივთის შესახებ, რომელიც ინახება მისი მეოხებით შექმნილ მდიდარ მუზეუმში, თითქოს ესა თუ ის ნივთი ცოცხალი არსება ყოფილიყო და არა ძველი ქვებისა და რკინების ნაჭრები. მთელი ორისამი საათის განმავლობაში თავაზიანად გვიამბობდა ყველაფერს, საუცხოვო ლექცია წაგვიკითხა და ჩვენში ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ დაგვაფიწყა დაღლილობა და ეხლაც ბევრი დამსწრე საუკეთესოდ იგონებს ამ დროს. ანიდან ეჩმიაძინს, ერევანს და სხვა ადგილების დასათვალიერებლად გავემგზავრეთ; უკან დაბრუნებისას მატარებელში ვერთობოდით იმით, რომ ფურცლებზე ჩამოვწერეთ, ვისთვის რა მომენტი იყო ყველაზე ძვირფასი მთელ ექსკურსიაში. სწორედ საოცარი, იყო როდესაც უმრავლესობამ ერთგვარი პასუხი დასწერა: „მართან ყოფნისა და მისი ლექციის კითხვის დროვო“.

არც გასაკვირია, რადგან ვინც ერთხელ ნახავს მარს, ვისაც ერთხელ მოუხდებდა მასთან პირადად საუბარი, ის გაიგებს თუ რა მძლავრ, მომნიბლავ პიროვ-

ნებასთან აქვს საქმე. უნივერსიტეტში თუ შინ მუდამ იმას იმეორებს: „კულები ვართ, ჩვენი კულტურა არ გვანტერესებს, არ ვეცნობით არ ვსწავლობთ, სხვათა კულტურებს დავეძებთ, როდესაც ჩვენი კულტურა გაცილებით უფრო ძვირფასი და საინტერესოა“. მუდამ სჩივის აგრეთვე, რომ ქართველი სტუდენტობა ნაკლებ ეტანება აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტს. თუმცა ბოლო ხანს გარემოება შესამჩნევად შეიცვალა და ქართველი სტუდენტების რიცხვი კარგა დიდია. ნ. მარს მშვენივრად აქვს შესწავლილი თითქმის ყველა დასავლეთ ევროპის უმთავრესი ენა, აგრეთვე: ასურული, სპარსული, არაბული, სანსკრიტული, ძველი ებრაული და ბევრი სხვა. რიცხვი ამ ენათა მგონი თვრამეტს აღემატება (კარგად არ მახსოვს). მის აუარებელ ნაშრომთა შორის აღვნიშნავთ ზოგიერთს\*).

წელს ნ. მარი იყო იმერეთს, დაათვალიერა ზოგიერთი სიძველენი და ეხლა აპირებს გეგუთის ახლო დარჩენილ ძველ ნაშთების გათხრას. ვულოცავთ გამოჩენილ მეცნიერს და მკვლევარს 25 წლის მოღვაწეობას შესრულებას და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

მეგობარი.

**\* ) Тексты и разысканія по Армяно-грузинской филологіи.**

Кн. I. Ефремъ-Сиринъ, А. О лняхъ празднованія Рождества. В. Обьоснованіи первыхъ церквей въ Иерусалимѣ. Армянскій текстъ съ сирійскими отрывками въ армянской транскрипціи ХП—ХІІІ в. Изсл. изд. и пер. Н. Марръ, Спб. 1900.

Кн. II. Иосифъ Аримаѳейскій. Сказаніе о построеніи первой церкви въ городѣ Лидѣ, грузинскій текстъ по рукописямъ X—XI вѣковъ (съ двумя палеографическими таблицами. Изслѣд., изд. и перев. II. Марръ, Спб. 1901 г.

Кн. III. Ишполить, Толкованіе пѣсни пѣсней. Грузинскій текстъ по рукописи X вѣка, переводъ съ армянскаго (съодною палеографическою таблицею). Изслѣд., пер. и изд. Н. Марръ. Спб. 1901.

Кн. IV. Древнѣгрузинскіе одописцы (XII в.) I. Пѣвецъ Давида Строителя. II





# ს ი ბ ყ ვ ა

წინამძღვარინათ კარის სასაფლაო-სამეურნეო სასწავლებლის 30 წლის  
იუბილეს დღეს.

მაღალი შესახედათ, ჩამოსხმული სანთელივით სწორი, არც მთლათ წვრილი და არც მთლათ სქელი, აბრეშუმის თეთრი თმა-წვერით შემოსილი, ღია ციხფერი, საამო სითბოს მაფრქვევი, სანდომიანი მომსხო თვალეებით—ასეთია გარეგნული სურათი იმ სასიქადულო პირისა, რომელსაც დღეს აღფრთოვანებით თავს ევლებიან ცნობიერი ქართველები და გულისათადს მადლობას უხდიან, რომ ამ ოცდაათი წლის წინეთ თავის საკუთარ მამულში მან მოზარდ ქართველობას, განსაკუთრებით მშრომელი კლასის შვილებს, დაუარსა სამეურნეო სასწავლებელი.

ეს ბედნიერი კაცი არის ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილი.

ილიას დღეს არც ცოლი ჰყავს, არც შვილები, არც ფული აქვს, არც თავშესაფარი სახლ-კარი. იყო კი დრო, როდეს-

საც მას მამული ჰქონდა და შემოსავალიც, ფულიც მოეპოვებოდა და ხორაგიც, ახალგაზრდაც იყო და ჯანსაღიც, მაგრამ ყველა ეს მან დაუთმო სამშობლოს, ყველა ეს წმინდა სანთელივით და საკმეველად შესწირა საზოგადოების სიკეთეს, მრავალ სხვებივით მას არ შეუტოპავს შვება ფუფუნებითი ცხოვრების მორევში, მრავალ სხვებივით თავისი ქონება არ მოუპირქევავებია პირადი სიამოვნების უძირო ხვიმირში.

ამ რჩეულ გვამს სიყრმიდგანვე ჩავარდნილი ჰქონდა გულში სამშობლოს სიყვარულის ცოცხალი თესლი და იმდენს ხანს ატარა იგი გულით, იმდენ ხანს ხელშეწყობით და თავდადებული ზრუნვაპატრონობით ზარდა თავისი არსების მაცოცხლებელი წვენი, სანამ იგი (თესლი) არ შეიმოსა საკუთარი სისხლით და ხორ-

Пъвецъ Тамары. Грузинскій текстъ. Изслѣд., изд. и словаремъ снабдилъ Н. Марръ  
Спб. 1909. 1909

Кн. V. Н. марръ, Критика и мелкія статьи. Спб. 1903.

Кн. VI. Физиологъ. Армяно-грузинскій изводъ. Грузинскій и армянскій тексты  
изслѣдоваль и перевелъ Н. Марръ, Спб. 1904.

Кн. VII. Георгій Мерчуль, Житіе св. Григорія Хандзтійскаго. Грузинскій текстъ  
Введеніе, изданіе, переводъ Н. Марра съ Дневникомъ поѣздки въ Шавшію и Клард-  
жію (65 рисунковъ), Спб. 1911 г.

Кн. IX. Антиохъ Стратигъ, Плѣненіе Іерусалима персами въ 614 г. Грузинскій  
текстъ изслѣдованъ, изланъ, перевелъ и арабское извѣщеніе приложилъ Н. Марръ,  
Спб.—Тифлисъ 1907—1909.


Кн. X. Н. Марръ, О раскопкахъ и работахъ въ Ани лѣтомъ 1906 г. (Предва-  
рительный отчетъ). Съ 1 въ краскахъ, 13 фототипическими и 3 цинкографическими  
таблицами и съ 18 рисунками въ текстѣ, Спб. 1907.

Кн. XI. Н. Марръ, Вступительныя и заключительныя стр фы Витязя въ бар-  
совой вождѣ Шоты изъ Рустава, грузинскій текстъ, русскій переводъ и поясненіе съ  
этудомъ „Культь Женщины и рыцарство въ поэмѣ“, Спб. 1910.



ციო, არ გადიქმნა ცალკე ორგანიზმად, არ მომწიფდა ჯეროვანად და, თანახმად გადუვალი ბუნების კანონის მოთხოვნილებისა, არ იშვა, ე. ი. არ მოშორდა მშობლის შინაგნობას, არ შეიქმნა და-

სინახ სინამდვილედ, არ ჩამოყალიბდა იმად, რასაც წარმოადგენს ღუშეთის მაზრაში დღეს არსებული წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.



ილია წინამძღვარიშვილი.

ილია ივანეს ძე, თუ შესაძლოა ასე თქმა, განთავისუფლდა ამ ფეხმძიმეობიდან 1883 წელში. ხსენებული წლის ენკენისთვის ოთხი რიცხვის თბილისელმა გაზეთებმა აუწყეს ქარულ საზოგადოებას, რომ დღეს ღუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვარიანთ კარში დიდი დღესასწაუ-

ლობის გადახდით გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და მისმა დამაარსებელმა ბ. ილია წინამძღვარიშვილმა, დაუთმო მას ყველაფერი, რაც მამა-პაპური ან თავისაგან კეთილ შენაძენი უძრავ-მომრავი ქონება გააჩნდაო. ამასთან ერთად იმავე გაზეთებმა მოუტანეს ქართულ





ქართული  
ენების  
სწავლის  
სამეცნიერო  
საზოგადოებრივი  
ცენტრი

საზოგადოებას ჩვენგან უღვთოდ მოკლული დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვა, რომლითაც მან მისებური ხელოვნებით დაუსურათა სასწავლებლის გახსნაზე დასმწრე გლენკაცობის ფართო შეკრებილებას, თურა დიდი სასიკეთო დაწესებულებას ჩაეყარა მათ თვალწინ საძირკველი, სიტყვა, რომელმაც ელექტრონივით გაურბინა მათ ფრჩხილებამდე, რომელმაც აალაპარაკა იმ დროის მთელი საზოგადოება და რომელიც დარჩება სამუდამოდ ქართული მჭერმეტყველობის უებრო ნიმუშად.

მაგრამ ბ. წინამძვარიშვილმა ზოგიერთა უგულო მშობელსავით უცხო ლალებისა და გადიების ამარა როდი დასტოვა ნორჩი სასწავლებელი. პირველიდგანვე თითონ დაიკისრა სასწავლებელზე ზრუნვა და ჭირის უფლობა, იმ თავიდანვე თითონ შეუდგა მხარში სასწავლებელს, თითონ ეძებდა და ირჩევდა შესაფერ მასწავლებელს, თითონ ადევნებდა თვალყურს სწავლა მუშაობაში ვარჯიშობის მიმდინარობას, თითონ ადგა დაუძინებელ დარაჯად როგორც მოსწავლეების, ისე მათი ხელმძღვანელების მოქმედებათა ყოველ მხარეს და ცდილობდა თავიდანვე სასწავლებლის პრინციპად, ტრადიციად და ატმოსფერად შეექმნა შრომა, პატიოსნება და საქმისათვის წრფელი თანაგრძნობა.

სკოლის ალაღმა მამამ საცხებით მიაღწია თავის საწადელს. სასწავლებლის ოცდაათი წლის არსებობის პირუთვნელი ისტორია ხმა მალლა მოწმობს, რომ მოსწავლენი და მასწავლებლნი მუდამ იდეალურად ყოფილან ურთერთ შორის განწყობილნი და სწავლების საქმეში არასოდეს ალაგი არა ჰქონიათ ისეთ სავალალო მოვლენებს, როგორიც არიან სიზარმაცე, თაღლითობა, თუთიყუშური ზეპი-

რობა, განყენებულობა და სხოლოსტიკური მიმართულება, მოვლენებს, რომლებიც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი თითქმის ყველა ჩვენი დროის სასწავლებელს.

დუშეთის მაზრის მშვენება და სამკაული, საუცხოვო გეგმის ფართო ტაძარი სასწავლებლისა, რომელიც იმავე ღარიბი ილია წინამძღვარიშვილის ოფლითა და მუყაითობითაა აშენებული, თვალსაჩინო საბუთთა ამ მაღლიანი კაცის გონებრივი საღიანობისა. ბ. ილია წინამძვარიშვილი კაცის ბედნიერებისათვის საკმარისად არსთვის მხოლოდ ცოდნის შეძენას, გონების განათლებას, მარტო ტვინის განვითარებას და გამახვილებას. არა, მისი რწმენით და შეხედულობით, მარტოდ მარტო გონების განვითარებაზე დანდობილი კაცი მსგავსია ცალ ფრთა ფრინველისა, რომელსაც არ შეუძლია აღმაფრენა, ჰაერში ჩავარდობა და საამო კამარების შეკვრა. სრული და ნორმალურია, მისი შეხედულობით, მხოლოდ განვითარება, რომელიც ამოძრავებს კაცის ყველა სულიერ ძალებს, რომელიც ამაღლებს კაცს როგორც გონებით, ისე ზნეობით და სარწმუნოებით, რომელიც ერთსა და იმავე დროს უმზადებს საზოგადოებას შეგნებულ მოქალაქეს და ზეციერ მამას მოსიყვარულე შვილს, ქვეყნის ჰმატებს სასარგებლო მუშაკს იმავე საიქიოს ჰსძენს სასურველ მემკვიდრეს. ამ აზრითაა, რომ გონების განვითარების ტაძარს ბ. წინამძღვარიშვილმა გვერდი დაუმშვენა მოხდენილი, ძვირფასად მოწყობილი ღვთის სახლით და ვინ იქნება, გარდა გონებრივ სწორწონაობას მოკლელეული პიროვნობისა, რომ რამე საწინააღმდეგო ჰქონოდეს ასეთი შეხედულობისა?



ილია წინამძღვრიშვილი, მსგავსად ფრინველისა, რომელიც პირით უზიდავს ხოლომე საზრდოს ჯერ დაუფრთოვანებელ და ღიღველა ბარტყებს, ოცდაათი წლის განმავლობაში პირიდან ლუკმას იცლიდა, რომ გაეძლო, ჯანი მიემატა, ხელი შეეწყო და წელში გაემართა ახლად და ბადებული სასწავლებელი. თუ კი რამ გაჩნდებოდა სასარგებლო მისი სასწავლებლისათვის სახელმძღვანელო იქნებოდა თუ საკითხი წიგნი, სურათი, რუკა თუ სასკოლო ავეჯი, ხატი, ჯვარი თუ შესამოსი, გაუმჯობესებული ჯიშის მცენარე, თესლეთულობა თუ საქონელი, ნემსის ყურწში გაძვრებოდა, გლახაკის თოფრას ჩამოიკიდებდა და უცილობლად გააჩენდა მას საყვარელ სასწავლებელში. მოგახსენებთ არა გაგონილს, ან წიგნიდან ამოკითხულს, არამედ იმას, რაც მრავალჯერ საკუთარის თვალთ მინახავს, რის მოწამეც არა ერთხელ ვყოფილვარ.

დღეს ამ ბედნიერმა მშობელმა თავისი ბარტყი ფრთებით შემოსა, ოცდა ათი წლის საყვარელ ვაჟკაცად მოყარა, როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთ გურიისაოდიშში სეტყვის გამფანტავი შუშუნებივით ჩამოამწყრივა თავის სასწავლებელში მომზადებული მეურნეები. დღეიდან ამ პატარა სასწავლებლიდან გამოსული პატარა მეურნეების წყალობით აღარაა შიში, რომ ჩვენს მამულს უცხოელები დაეპატრონებიან, ჩვენს მიწა-წყალს გარეშეები მოხდიან ნალებს, ჩვენს მთებს და ველებს სხვები გაუხსნიან გულს გასაძარცვავად; დღეიდან ამ პატარა სასწავლებლიდან გამოსული პატარა მეურნეების

მეოხებით ჩვენ მშობელი დედის მასაზრდოებელი ძუძუსავით შევიყვარებთ თავის კარმიდამოს, ბოსტან ვენახებს, მთაველებს, ტყე-მინდვრებს, შევიყვარებთ საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ტერიტორიას, იმას, რაც საფუძველია ეროვნული თვით არსებობისა და, აი, სწორეთ ეს უხარია დღეს ქართველ ერს, ამას ჟმადლის იგი ილია წინამძღვრიშვილს, ამის გამოა, რომ დღეს ყოველი გაგებული ქართველი სულით და გულით თავს დასტრიალებს წინამძღვარიანთ კარის მიდამოებს და, აღესილი უსაზღვრო პატივისცემით მისდამი, ვინც ასე მარჯვეთ აადგმევიანა ჩვენში ფეხი სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, ქედმოხრილი შეჰყურებს მას მოწიწებით და უგალობს გულიდან ამოვარდნილ სამადლოზელს!

გავიზიაროთ ჩვენც, ძვირფასნო მსმენელნო, ეს საერთო მზიარულება ჩვენი თანამემამულეებისა, მათთან ერთად ჩვენც მოკრძალებით მოვიხაროთ ქედი ილია წინამძღვრიშვილის დიდებული პიროვნების წინაშე და წრფელი გულით შევთხოვოთ უფალსა როგორც ამ იშვიათი კაცის მრავალჟამიერობით სიცოცხლედ და სიმრთელედ, ისე ის, რომ ქართველ დედას მამავალშიაც მრავლად გამოეზარდოს მამულისათვის ილია წინამძღვრიშვილისთანა შეილები, რომ მათი წყალობით საყვარელი სამშობლო მიკლდე დროში კიდით კიდემდე მოიქარგოს წინამძღვარიანთ-კარის მადლიანი სამეურნეო სასწავლებლის მსგავსი სკოლებით! ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.





# ქართული ენის მოყვარულთა საუკრძდებოდ

**ჩვენის** აზრით, ამ წყრილში მოყვანილი ფაქტები საინტერესო უნდა იქნეს ქართული ენის მოყვარულთათვის, რისგამცა ესლათათქმის რმმც წლის შემდეგ ვხედავ საჭიროდ გამოვაქვეყნო, მით უფრო რამ, რამდენადაც ვიცი, ამაზე ქართული ენის შეცნიერებისაგან უკრძდება არ ყოფილა მიქცეული, თუმცა 1878—9 წლებში მათ შესახებ წერილი იყო გადაცემული განსვენებული ზრთოქისრე შეტრიაშვილისაგან ა. ცაგარელზე. ფაქტები, რამელზედაც აქ არის ღაზარაკი, რნაირნი არიან: ერთი მათგანი ენება მეგრულ ენის განსაკუთრებით თვისებას, რამელიც გამომხატვის ქართულ ენის აღფაფიტი და მეორე კი ეკუთნის ჩინეთის ხლდ მხლდ ქვეყნებში დაკვარებას.

რგორც ვიცი, ყოველი ასო ქართულ აღფაფიტისა წმინდათ და სრულად გამომხატავს აგრეთვე მეგრულ ენის ხმებსაც, კარდა ერთი ხმისა, რამელიც ისმის მეგრულ სიტყვებში: ყუჯი-ყური, ყვალ-ყველი, ცჟაღეში-საყელა და სხვანი. ეს ხმა(ყ) თუმცა ქართულ აღფაფიტში დღეს არ არის, მაგრამ, ცოტა დღეს რამ დაუკვირდეთ, დავინახავთ, რამ იგივე ქართულ აღფაფიტის ხმა-ყ-არის, ხლდ ძლიერ რბილად და მსუბუქათ გამომთქმული, ეს მტკიცდება იმით, რამ ყოველი ქართული სიტყვა, რამელიც ისმის ხმა „ყ“, რგორც სძირკველი სიტყვისა, ზირდაზირ გადადის მეგრულ სიტყვებში დასუბუქებული და სუსტი „ყ“-რად, მაგალითად: ყურძენი—ყურძენი, ყური-ყუჯი, ყველი-ყვალ და სხვანი. თუმცა დღეს ქართული ენა არ ხმარობს

ამ ხმას, მაგრამ საფიქრებელია, რამ დღესმე მასაც ქონია ის და, რგორც მეონია, მისი ნაშით ისმის რრრდღე იმერულ სიტყვებში:  
(ყ) იმე! (ყ) გვიწახო!

აქ საჭიროა მეგრულ ენის გამომთქმსზე რრრდღე სიტყვა ითქვას: მეგრულ ენის გამომთქმულია (ВЫГОВОРЪ) რნ ნაირია: ზირველი ზუგდიდის მაზრის და მეორე კი სენაკისა. იმ სოფლებში, რამელიც მასდგრენი არიან ერთის მხრით იმერეთისა, და მეორეს აფხაზეთისა, მეგრულ ენაზე ქქონიათ დიდი გავლენა რგორც ქართულს, აგრეთვე აფხაზეურ ენებს, ხლდ ამ საზღვრებზე მმმრეობით რაიონებში (ცენტრში) დარულია ნამდვილი გამომთქმა მეგრულ ენისა, ეს ცენტრი არის, საზოგადოთ რამ ვსთქვათ, ზუგდიდის მაზრა, კაღმა-კამდმა ენგ-ურის ნაზირები რ წყალთა შუა: ხობი-და ერი-წლისა, კარდა რნსამ სოფლისა სამურზაყანოში. აქ მფიყვანთ რრრვე გამომთქმის მაგალითებს ერთის და იმავე სიტყვებისა:

სენაკის მაზრა	ზუგდიდის მაზრა.
ტიბუ	ტბუ—თბილი
ზატონი	ზატონი—ბატონი
ზატუნბი	„
კინტური	კნტრი—კიტრი
ტირხუ	ტრხ—ტედება
ჭკჭკუნტია	ჭკჭკუნტია—ჭკანჭკვალა.

რგორც სჩანს აქ მფიყვანილი მაგალითებისაგან, სენაკის მაზრის გამომთქმაში სიტყვებს ერთვის ხმარანი ასრები და მასთან ძლიერ რბილათ გამოსთქვამენ.



რომ დავაკვირდეთ ზოგიერთ შეგროვულ სიტყვების ეტიმოლოგიურ ხასიათს, დავინახავთ, რომ ისინი ერთობ დატვირთულნი არიან ჰრეფიქს-სუფიქსებით და რომ მოკაპოროთ მათ თავსართ-დაბოლოებანი, დარჩება მხოლოდ სძირკველი (ძირი) სიტყვისა, რომელიც ხშირად გამოთქმის ერთი რომელიმე ხმით ქართულ ალფაბეტსა. ავიღოთ, როგორც მაგალითი, შეგროვული სიტყვა ოჭიშიაწელი (СПИНА) სიტყვა ოჭიში რთულია, ის არის შემდგარი სამის ელემენტისაგან: ო, ჭ, და შ, ჭ არის სძირკველი სიტყვისა. ო—თავსართი და შ დაბოლოება. ჰრეფიქსი ო შეგროვულ ენაზე აღნიშნავს ადგილს, სადაც რამე არის მოთავსებული, — იმყოფება და უდრის ქართულ ჰრეფიქს-„სა“-ს, მაგალითად: ოცხენე—საცხენო, ოსიმიინდე—სსიმიინდე და სხვანი, ხოლო შ არის ნიშანი ნათესაობითი ბრუნვისა, ან და ნიშანი ზედსართავის სახელისა. მაგრამ ეს შეგროვულ სიტყვების თვისება მით არის საინტერესო, რომ მარტოკა ხმით გამოთქმულ სიტყვის სძირკველს თან დაუბა აზრიც და ზოგ-ერთ შემთხვევაში ორი და სამიც.

ეს განსაკუთრებით ხასიათი შეგროვულ ენისა ეტიმოლოგიური ანალიზისა და ზოგიერთი ზმნის ფორმის გარდა გამოაშკარავდება ქართულ ანბანში, როცა ჩვენ თითო ანბანს გამოვსთქვამთ, აგრე წოდებულ სახეო მეთოდით, ამასთან ეს თვით აზროვნანი ხმები არიან სძირკველად როგორც შეგროვლის, აგრეთვე ქართული ენის სიტყვებისა. ამ ნაირად სძირკველ „ჭ“ სიტყვა „ოჭიში“ ნიშნავს ნაწილს (ТОНКАЯ КИШКА) და იგი—ჭ—შეედრის ქართულ ხმას-წ-ს.

როგორც ვიცით, 27 თანხმეფანი ასოა, ამ 27 თანხმეფან ხმათაგან 14 შეგროვულ ენის სიტყვებში არიან სძირკველად და გამოხატუბიან თითო თან-აზროვნან ხმებით. ხოლო თუ მოვიგონებ, რომ იცვლებიან სხვა და სხვა

ხმებთან ერმანეთზე, როგორც მაგალითად: შ=ს =რ=ც, ჩ=ც, ს d, ჯ, დ და სხვანი, დავინახავთ რომ მათი რიცხვი უფრო მეტიც უნდა იქნეს. რომ კარგათ დავაკვირდეთ ამ 14 ხმათა ხასიათს დავინახავთ, რომ 1) შვიდი მათგანი (ლ, ქ, ღ, ხ, ჩ, ნ და ძ) არიან გამოხატუბელი მხოლოდ მარტოკებისა (ГЛАГОЛОВЫ) 2) ოთხი (კ, ც, ჯ, და ჭ) მარტო სახელ ანსებითი სიტყვისა, 3) ხმას წ-ს თან დაუბა როგორც მნიშვნელობა სახელ ანსებითი სიტყვისა, აგრეთვე ზმნისა, 4) გარდა შ და გ არიან გამოხატუბელი სამ-სამ აზრის: ა) შ—არ მარტოკებისა და ერთ ზედშესრულ სიტყვისა, ბ) გ—არ მარტოკებისა და ერთ სახელ ანსებისა. უფროავე ესე სხანს ქვემო მოყვანილ ფაქტებში.

1) ლ—არის შესამე ზირი მხლ. რიცხვი აწმეო დროისა და ნიშნავს: ის ვარდება (ОНО ПАДАЕТЬ, ВЫПАДАЕТЬ) და არის სძირკველი იმ სიტყვებისა, რომელშიაც ასე თუ ისე გამოხატუბიან ლტოლეულები: ლაფარე (ЗАВАЛИНКА) ლაფა (ПОКАТОСТЬ СБРЫВЪ) და აგრეთვე ისმის ქართულ სიტყვებში: ლაფა (ЗАВАЛИНКА), სვლა, მოსვლა და სხვანი. აქ მოვიყვან შეგროვულ ზმნის ფორმას, საიდანაც ნათლად დავინახავთ ზემო მოყვანილ ფაქტებს.

აწმეო

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი.
მა ბ-ლ-ქ	ჩქ ბ-ლ-თ
სი ლ-ქ	აქვა ლ-თ
თინა ლ.	თანეფი ლ-ნა.

აქედამ სხანს, რომ ხმა „ლ“ არის სძირკველი სიტყვისა: ლაფა — (ПАДАТЬ, ВЫПАДАТЬ) და შესამე ზირში მხოლოდ. რიცხვში გამოხატუბის მარტოკა ერთის ხმით „ლ“-ი, რაც შეეხება ქ-ს, რომელზედაც ბოლოვდებიან ორი ზირი მხ. რიცხვში ზემო მოყვანილი ზმნის ფორმებში, ჩვენის აზრით, ის ნაშთი უნდა იყოს ზმნისა: ვიქ-ბ-ქ და თავის დროზე





უნდა ყოფილიყო ზმნის ფორმა აგრე: ღა-  
ფას-ობ-ქ ღაფას-იქ და სხვა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ბოლო ხმა  
ზმნაში-„ქ“ ხან ემატება და ხან არა, მაგა-  
ლითად:

ბჭარ-ანუ ბჭარნქ-ვწერ.

ჭარ „ „ ჭარნ-ქ-სწერ.

2) ძ არის შესამე ზირი მხ. რიცხვი აწმყოფსი  
ღანიშნავს: ის ძეგს (ОНО ЛЕЖИТЬ). ეს ხმა,  
როგორც საძირკველი არის უფუელივე იმ სი-  
ტუეებში, რომელშიაც გამოიხატება აზრი და-  
ღებულობის: ძეგალი, ძირი, ბოძი, შეძობუ-  
ლი, ძუძუ, ძეგს და სხვანი. ამასთან არ უნდა  
დავივიწყოთ, მრც ხმა „ძ“ იცვლება-ზ-ნად,  
ს-ნად, ჯ-ნად. 3) ქ-იმავე ხსიათისა, რო-  
გორც ზემო მყოფანილი ხმები, ხოლო არა  
შესამე ზირი, არამედ მეორე და ნიშნავს: შენ  
ბქვავ (ТЫ МЕЛИШЬ) და როგორც სიტუვათ  
საძირკველი ისმის შემდეგ სიტუეებში: ქვირი,  
წისქვილი და სიტუვაში: იბ-ქ-კიქ. 4) ხ-ეს  
ხმა არის სრულად იმათვისებისა და გრამა-  
ტიკული ფორმისა, როგორც-ხმა ქ და ნიშ-  
ნავს: შენ ხეგ-და როგორც სიტუვის საძირ-  
კველი იბრავება შემდეგ მეგრულ-ქართულ სი-  
ტუეებში: ხულო—(დარღვევა), ხეგა, ხევი,  
ხსნა, ხასხარი და სხვანი.

აწმყო

მხ. რიცხვი მრ. რიცხვი

მს ბ-ქ-ანუ ბ-ქნ-ქ—ჩქ ბ-ქნთ

სი ქ. ანუ ქ-ნქ—აქვს ქნთ

თინა ქნც—თინეფი ქნა.

მს ბ-ხ-ანუბ-ხნქ—ჩქ ბ-ხნთ

სი ხ — „ხნქ—თქვას ხნთ

თინა ხნც „—თინეფი ხნა.

5) ნ-ავნო (Повредило, подѣйствовало)  
გრამატიკულ ხსიათით ეს ხმა არის შესამე  
ზირი მხ. რიც. აწმყო და იბრავება როგორც  
საძირკველი უფუელივე იმ სიტუეებში, რო-

მელშიაც გამოიხატება აზრი ვნება: ვნება,  
მავნე და ნადველი—ნეე (მეგრ.)

6) შესახებ ხმა ღ-ნის უნდა ვსთქვათ,  
რომ თუმა მისი თვით მნიშვნელობა ისე  
ცხადი არ არის, როგორც ზემო მოყვანილი  
ხმებისა, მაგრამ მის ზმნის ფორმებში ნამ-  
დვოლად დაუინახვოთ, რომ ეს ხმა ნამდვილი  
სიტუვის საძირკველია, მაგად.

მი-ღ—წა-მი-ღო

გი-ღ—წა-გი-ღო

ი-ღ—წა-ი-ღო.

მითავსებულის, როგორც საჭირკველი შემდეგ  
სიტუეებში: დაღა-ნადება, დაღ-ღეღე, ღმა-  
ღა-ქნება და სხვა.

7) უკანასკნელი ხმა ზემოგარჩეულ ხმათა  
შორის „ჩ“-ნიშნავს: მან აჭამა, ხოლო მისი  
ფესვი არის მითავსებულის ქართულ სიტუვა-  
ში—ჩქენა (ПРОДОВАИЛЬСТВОВАТЬ). თუ მო-  
ვიგონებთ, რომ ხმა ჩ როგორც მეგრულში,  
აგრეთვე ქურთულ სიტუეებშიც იცვლება ც-  
ნად, როგორც შეჩამა-მიცემა, ცთომას—ჩილათა,  
ჩან—ცუნ (ასუა-ჩანჩილია), მაშინ, რასაკვი-  
რველია ამ ხმისაგან წარმომდგარი სიტუეები  
უფრო მეტიც იქნება ბრძე ენებში.

ხოლო მეორე რიგის ბთხნი ხმანი (კ, ტ,  
ც, ჭ,) როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, არი-  
ან გამოიხატულები მხოლოდ სახელ არსებითი  
სიტუეებისა. ა) კ—რეო (ЖОЛУДЬ) არის  
როგორც საძირკველი უფუელივე იმ სიტუეე-  
ბში, რომელშიაც ასე თუ ისე გამოიხატება  
აზრი, მნიშვნელობა სიმაგრისა, სიმტკიცისა,  
მაგად: კლდე, კაჟი, და სხვა. ბ) ამა ხსიათ-  
ისა არიან ხმანი ტ და ც. ტ-ნიშნავს: ჯი-  
გარს (ВЫМЯ) და მეორე კი კვერცხის ცილს  
და ხეს კაპიტს (КЛЕНЬ). ვ) რაც შეეხება

ხმას „ჭ“-ს, რაც მასზე ზემოთ ითქვას მას  
უნდა დაუმატოთ, რომ ეს ხმა ისმის რო-  
გორც საძირკველი უფუელივე იმ სიტუეებში, რო-  
მელნიც არიან გამოიხატულები აზრთა სიმცი-  
რისა, სიწვრილისა და მიწვენილობისა (про-



ქართული  
ენის  
მეცნიერება

ТЯЖЕНИЕ): ჭიჭე-მანწანა, ჭიჭე—წვრილი, ჭიჭირკული-ქათმის კუჭი, მძჭინაშაფა-მწვეფა, ნჭაფა—წვდენა და სხვა. ხმა ჭ, როგორც სჩანს ზემომოყვანილი სიტყვებში, პირდაპირ იცვლება წ-ად ქართულ სიტყვებში.

8) წ—ამ ხმას თან დაუბაზა ორი მნიშვნელობა: მნიშვნელობა მოქმედებისა და სახელ არსებითი სიტყვისა. პირველ შემთხვევაში არის მეორე პირი მხ. რიც. აწმეოისა და ნიშნავს: შენ სწოვ (ТЫ СОСЕШЬ); ხელთ მეორე, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, სახელარსებითი სიტყვაა და ნიშნავს: წრეკანდელ წელიწადს.

9) ორ დანარჩენ ხმებს: გ-და შ-ს თანდაუვება რამდენიმე მნიშვნელობა როგორც მოქმედებისა და სახელ არსებისა, აგრეთვე ზედ შესრულ სიტყვისა. ა) გ—როგორც მოქმედება ნიშნავს: ის გაფს, ასვია; ხელთ გრამატიკულ ხასიათით არიან: მესამე პირი მხ. რიც. აწმეოისა. ბ) როგორც სახელ არსებითი გ ნიშნავს: ტუის ქათმს (ВАЛЬДШНЕПЬ). ამავე ხასიათის არის ხმა შ-ნიც გარდა იმი-სა, რომ ორ მოქმედების გარდა ის გამხსნაღს ზედშესრულ სიტყვისა. ა) პირველ შემთხვევაში შ-არის მესამე პირი მხ. რიც. აწმეო დროისა და ნიშნავს: მას ასხაფს, ხელთ მეორე შემთხვევაში არის მეორე პირი მხ. რიც. აწმეო რდ. და ნიშნავს: შენ ქსავ რასმე (ТКЕШЬ). ბ) ამათ გარდა შ-ს, როგორც ვსთქვით, თანდაუბაზა ზედშესრულ სიტყვის მნიშვნელობაც და აღნიშნავს სოველს (МОКРЫЙ). თუმცა მოვიგონებთ, რომ ხმა შ როგორც მეგრულში, აგრეთვე ქართულში იცვლება ხელმე ს-ნად, ვნახავთ, რომ ის, როგორც საძირკველი, არის მოთავსებული მრავალ სიტყვებში ორთავე ენებისა და მათ შორის მეგრულ სიტყვაში—შობრი (МОРОСИТЬ).

**შემთხვევითი მნიშვნაღნი.**

ხშირად შეხვედბოდით გაზეთებში 1900 წ. ჩინეთის არეულბობის დროს ისეთი მდინარეების საკუთარ სახელებს, რომელნიც ბოლოვდება ხელმე ხე-ზედ და აზრთ ასსოციაციის მოგონებით გვაგონებდენ ჩვენს ქართულ სიტყვას-ხევს. აქ მოვიყვანთ ჩვენ ზოგიერთ ამ სახელებს: სინჩიხე. ეს მდინარე არის 88 ვერსის მანძილზე ჩინეთურ ქალაქი აი-გუნბადში, რომელიც მდებარეობს მარჯვენა ამურის ნაპირზე ოც ვერსის სიშორეს ბლადოვესჩინსკიდან, აგრეთვე კუხ-ხე, კეტხე და სხვა. აქ სიტყვის დაბოლოება ხე ნიშნავს მდინარეს. რადგან ჩინეთურად მდინარეს ქვია ხუა. აქვე მანჯურიაში არის ქალაქი სახელად ჯიხე; ეს ქალაქი 1900 წ. იყო აღებული დერუნალი სახარებისაგან. ადვილად შესაძლებელია, რომ უფველივე ეს იყოს მხლოდ ხმათ მსგავსება, მაგრამ აგრეთვე ხმათ მსგავსება გვესმის ჩვენ შემდეგ სიტყვებშიც: ჩიტა, ციციკარი და შარაგული. შარაგული არის დიდი სათემო გზა (ТРАКТЪ) ირკუტსკის გუბერნიისში. შეიძლება, როგორც ვსთქვით, ეს მარტო ხმათა მსგავსება იყოს ქართულ სიტყვებისა, მაგრამ ეს საეჭვო საქმე უფრო სინამდვილეს დაემსგავსება, როცა ჩვენ მოვიგონებთ ერთს გეოგრაფიულ სახელს, რომელიც ნამდვილი ჩვენებური მდინარის სახელია. 1900 წელს ნერჩინსკის ოლქიდან იყო დაბეჭდილი კორნესპონდენტის გაზეთი „Амурскій Край“-ში, სადაც სხვათა შორის იყო მოხსენებული ერთი მდინარე, რომელსაც ეძახიან—ინგრს. აქ შესანიშნავია ის კონსპონდენცია, რომელსაც ხმარობს კორნესპონდენტი—ინგრი და არა ენგური. სწორეთ ასე ეძახიან ამ მდინარეს თავის სამშობლოში—სამეგრელოში. აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ჩინეთურ სიტყვებს, რომელნიც ძლიერ გვაგონებენ ქართულ სიტყვებს: თო—თავი (აგრეთვე ეს სი-





ტყვა ნიშნავს, ცას, მთას), თია-დღე მეგრულ-  
 ლი-თეკ-ადრე, სინთე-ნთ-ანთის ცეცხლი; წითლ  
 თითი. ეს სიტყვა ისმის, ჩვეთის აზრით, ქა-  
 რთულ სიტყვაში: წვთა და მეგრულ-წვიროთა-  
 ლი—წაშამიფურებელი; შუ-ხელი, მეგრულად  
 ხეში შუშაფა-უბეში გაცივებულ ხელის გათბო-  
 ბა, თხან-მადალი მთა, თეუჯა—ბაღიში,  
 მეგრ. ეუჯის ბაღიში, ეედ-ურე, მეგ. ყუ-  
 ჯი, ხუა-მდინარე-ხევი; თათა-მხე, მეგ. თუ-  
 თა-სანთე, ჩოა—მეგ. ჩქვაფუა (ПОЖИРАТЬ).

1870 წელში აი რა ნაირი ფაქტს შეგხვო  
 სპენსერის იმ თხუზულებაში, სადაც რელიგი-  
 ის ეგოლუნიცად არის ბასი.

ინდოეთში, როგორც ამბობს სპენსერი,  
 ერთი რომელიმე ხალხი თაყვანს ცემს საში-  
 ნელ მსამიან გველს, რომელსაც ეძახიან ჯო-  
 ჯოს და რომელსაც სხვერბლად სწირვენ კაცს.  
 საქმე ისაა, რომ სიტყვა ჯოჯო ქვემო იმე-  
 რეთში, გურიაში და სამეგრელოში უცნო რა-  
 დი არის: გურიაში ჯოჯოს ეძახიან მწვანე  
 სვლიკს და სამეგრელოში კი მამაკაცთა სახე-  
 ლია. საზოგადოთ სამეგრელოში უფართ მი-  
 თოლოგიურ ან შესანიშნავ გმირთა სახელების  
 დაქმევა (ქრისტიანულ სახელის გარდა). ეს  
 ხალხური ჩვეულება დღემდის არის დაცული  
 და ხშირათ გაიგონებთ სამეგრელოში უკანას-  
 კნელი ფორმადის სახელებსაც, როგორც მა-

გალითად: ბეუთოვი, შინსკი, ვითქმისი  
 ლევაშოვი და სხვა. ამ ტრადიციას თუ ვიქა-  
 ნიებთ სახეში, მაშინ სახელთა შორის „ჯოჯო“,  
 რომელიც ტრადიციას სამეგრელო-გურიაში  
 და ინდოეთში, რადაც კავშირი უნდა იყოს,  
 ეს ასე თუა, მაშინ ჩვენთვის ცხადია, რასაც  
 ნიშნავს ჩვენი სიტყვა-ჯოჯოხეთი. სიტყვა  
 ჯოჯოხეთი თავის ეტიმოლოგიური ხასიათით  
 უდრის სიტყვებს: რუსეთი, აფხაზეთი, სვა-  
 ნეთი, იმერეთი და სხვა. სადაც დაბოლოება—  
 ეთი \*) აღნიშნავს ადგილს, ქვეყანას, რომე-  
 ლიც უტყვია რომელსამე ერს, ანუ სხვა რამე  
 არსებას, მაშასადამე სიტყვა ჯოჯოხეთი ნიშ-  
 ნავს ადგილს, რომელიც არის საფ-  
 სე საშინელ მსამიან გველებით—ჯოჯოებით.  
 აი სად აგზავნის ქართველი ერთი თავიანთ  
 ცოდვითა სულებს!..

დ. ჩქოტუა.

\*) ამ უკანასკნელ დროში თითქმის ყველა ქა-  
 რთული გაზეთები ხმარობენ სიტყვას— „ბალკა-  
 ნეთი“. სიტყვა ბალკანი არის სახელი ადგილი-  
 სა და არა ერისა, ამის გამო არ შეიძლება ით-  
 ქვას: ბალკანეთი, რადგან ეს წინააღმდეგია ქარ-  
 თულ ეტიმოლოგიის კანონისა და ჰვავს იმას, რომ  
 ვინმემ სიტყვას: კავკაზეთი.

ავტორი.







ქართველთა  
წიგნების კავშირი

# კერბურს კა უსტმანი

„მიხეილ კრამერი“

ათხ მკმედეობანი დრმა

მოქმედეაა მოკა

სტენა წარმადგენს მიხეილ კრამერის სამხატვრო ათახს აკადემიაში, რომელიც ნაცრის ფერი ფარდით ორთა არის გაუფიქრო. სამუშაო ნაწილი არა ჩანს. ფარდის წინ მარჯვენა მხარესზე პატარა კარებია, რომელსაც პატარა კიბე აქვს მიდგომული, მარჯვენა მხარესზე, ავანსტენის მხალხობლათ, სდგას ძველი ტყავ გადაკრული დივანი და იმის წინ პატარა, სუფრას გადაფარებული სტოლი. მარცხნივ მჩინს დიდი ფანჯარა, რომლის ერთი ნაწილი ფარდას იქით არის დაფიქრებული. იმის ქვეშ პატარა სტოლი, რომელზედაც სხვა და სხვა სამხატვრო იარაღი აწევია. დივანის წინ რა სტოლია, იმაზე მჩინს—ქადალი, ძველი შანდალი, რომელშიაც სანთელია ჩადგომული და სხ. თეთრი თიხისაგან (გიშისი) გაკეთებული ხელი. ფეხი, ქაღის ბიუსტი და განსვენებული ბეჭეფების ნიღაბი—ეგვლა ეს ჭიკინია დივანის მდლა კედელზე, რომელიც მტრედის ფრად არის შეკლებილი. ფარდის იქით (ფარდა ჭიკინაგვს კედლის 2/3) მჩინს დიდი დაზვის კუთხე. ათხი ჩაღის სკამი დგას. მთელ ათახში სავანებო სისუფთავა და სისტიკი წესიერება. მიხეილ კრამერი ზის დივანზე და კუთვით ხელს აწერს ქადალებს. იქვე სდგას აკადემიის მასმასხურე—კრაუსზე და ელფდება. კრაუსზე მხარ ბეჭინი და ჩანსმული კაცი. კრამერი 50 წლისაა, ხშირ თმისა და წვეკში ბლამათა აქვს გამოკრული ჭადრა. ცოტა აწეულ მხრებში თავი და კისერი ჩამოგრალი უჩანს, თანაც კისერი წახრილი აქვს, ასე ჭიკინია უღელი ადგია. შავი, მიუსვენარი და ცოცხალი თვალები დრმათ უსხედს ფასობში; ხელ-ფეხი გრძელი აქვს. სიარული უშინ იცის. შორი-მჩინს აბიჯებს და ტარებში ფეხის ძირებს თითქმის იბრუნებს. შირისაზე მკრთალი და ჩაფიქრებული აქვს. ხშირათ კუთავს (კრუსუნებს). იმის ღაპარაგის მანერაში არის რაღაც უნებური სისისტიკე. ცუდი ფასობის წადები საუცხვოთა აქვს გაწმენდილი და საკეესავით ბჭეფრიალებს. ტანისამოხი სულ შავი აცვია: სერთუიცი, უიდეტიცი და შადვარიცი. ძველებური, თეთრი შირებ გადაკეცილი საუელე. შავი გელსტუიცი და ზემოდან ბლუსა. ეგვლაფერი სამავალითათ სუფთაა. სამაჯურება ფანჯარაზე უწევია. საერთოთ კრამერი წარმადგენს განსხვავებულს თვალსაჩინო მოვლენას. სრულიად მიუკარებულათ გეჩვენებთ იმისი სისე. ფანჯრის წინ მარცხნივ დგას ღახმანი, ზურგი ათახისკენა აქვს მიქცეული, ელფდება ვიღაცას და ფანჯარაში გაიუურება.

**კრამერი.** (ღახმანს) როგორც ხედავთ, ჩვენ ისევ განვადრძობთ მუშაობას. (კრაუსეს). ესე! მოკითხვა მოახსენე დირექტორს (დგება, აქუნებს ქადალებს და მასმასხურეს აძლევს, შემდეგ სტოლს ადა-

გებს) უთუოდ ჩვენი ალვის ხეების მზერი-თა სტებებით?

**ღახმანი.** (რომელიც სპაღინის ფირფიტასა შინჯავდა, ცოტა შეკრთება და მობრუნდება) უკაცრავათ!



**კრაუზე.** მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო კრამერი! მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ლახმანი!

**ლახმანი.** მშვიდობით, ბატონო კრაუზე!

**კრამერი.** ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ (კრაუზე გადის).

**კრამერი.** ხუთი წლის წინეა აქ, ჩვენთან ბიოკლინი იყო. იდგა ამ ფანჯარასთან, გესმის?.. და მზერით ვერ გაძღა.

**ლახმანი.** დიახ! მართლა რო საუცხოვო ალვის ხეებია. ამ რამდენიმე წლის წინეა პირველათ აქ რო ვიყავ, მაშინაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეტათ ღიდებულათ არის გამწკრივებული. აკადემიას რაღაც ტაძრის სანახაობას აღწევს...

**კრამერი.** ეგ თვალთა ხედვის მოტყუებაა... გესმით?

**ლახმანი.** მხოლოდ სულ კი არა! მე არც კი ვიცოდი, თუ ბიოკლინი ოდესმე იყო აქ.

**კრამერი.** მაშინ იქ პროვინციალურ მუზეუმში—აზრათ მოუვიდათ ბიოკლინისათვის დაეხატვინებინათ საპარადო კიბე... შემდეგ ეგ შრომა იტვირთა მეორე პროფესორმა. ოხ, გამიგონეთ, ხალხი მეტის მეტად ბევრსა სცოდავს!

**ლახმანი.** ამისთანებში ხომ სულ უზომოთ.

**კრამერი.** მაგრამ იცით, რომ ეს სხვაფრივ არასდროს არა ყოფილა. მხოლოდ ჩვენ ეხლა განსაკუთრებით უნდა ვწუხდეთ ამის გამო. რა საუნჯის მოგროვება შეეძლო ჩვენს დროს იმ აუარებელ საშუალებათ, რომელიც ეხლა, გესმით, ასე უთავბოლოთ იფლანგება ჩვენს ქვეყანაში! ამის გამო უკეთესი ადამინები შორს არიან ჩამომდგრები.

(ლახმანი იდგის ერთ კტიუდს (აფორტს) და შინჯავს).

**კრამერი.** ეს ისე საცდელათაა—ფიცარბა არ იყო გაწმენდილი და ამის გამო სურათი ხეირიანი ვერ გამოვიდა. ჯერ უნდა მივაგნო თუ რაში მდგომარეობს საიღუმლოება.

**ლახმანი.** მეცა ვცადე ჩემი ძალ-ღონე ფორტებში, მაგრამ მალე თავი მივანებე.

**კრამერი.** ლახმან, მაინც რას ხატავდი ამ ხნის განმავლობაში, რაც მე აღარ მიხახეიხართ?

**ლახმანი.** სურათებს, ლანდშავტებს, ამას, იმას... სამწუხაროთ, უნდა გამოვტყუდე, რომ ძალიან ცოტს ვშრომობდი.

**კრამერი.** უნდა იშრომოთ; გამუდმებით შრომა, შრომა, ლახმან. გამიგონეთ, ლახმან, უნდა იშრომოთ, თორემ ცოცხალს ხავსი მოგეკიდებათ!.. აბა დაუკვირდით ამისთანა კაცის ცხოვრებას, როგორიც, მავალითად ბიოკლინია!.. იცით მერე რამდენსა შრომობს? მხოლოდ მაშინ გამოდის რამე ხეირიანი, მხოლოდ მაშინ მიდის წინ ადამიანი!.. არა მარტო ის გამოდის უკეთესი რასაც ხატავს, არამედ თვით ადამიანი მთლად უმჯობესდება!.. შრომა-გარჯა—ეს თვით სიცოცხლეა! გესმის ლახმან!

**ლახმანი.** მაგაში მე სრულიად დარწმუნებული ვარ!

**კრამერი.** უშრომოთ ყოვლად უფარგისი ვარ. მხოლოდ შრომა—მუშაობა მაადამიანებს.

**ლახმანი.** სამწუხაროთ, დრო ტყუილ-უბრალოთ მეკარგება და ნამდვილი მუშაობისათვის ხელის მოკიდება როგორღაც ვერ მომიხერხებია.

**კრამერი.** გამიგონეთ, რატომ?

**ლახმანი.** ამიტომ რომ მე სხვა ისეთი საქმე მაქვს, რასაც, სწორეთ რო ვთქვით, მუშაობა არ ეთქმის.



**კრამერი.** გამიგონეთ, ეგ როგორ? რა აზრით ამბობთ?

**ლახმანი.** წინეთ მხატვარი ვიყავი და მეტი არაფერი, ეხლა სტრიკულისტი გავხდი.

**კრამერი.** ეგ რას ნიშნავს?

**ლახმანი.** გაზეთებში ვწერ.

**კრამერი.** ჰოო?

**ლახმანი.** სხვა სიტყვებით რო ვთქვა, ეს იმას ნიშნავს, ბატ. კრამერ, რომ ჩემი ძვირფასი დროის მომეტებულ ნაწილს იმაზე ვხარჯავ, რომ მწერლობით ცარიელი ლუკმა პური ვიშოვნო... სწორე მოგახსენოთ, კარაქისათვისაც კი არა მრჩება ხოლმე ფული! როცა კაცი ცოლ-შვილს მოეკიდება...

**კრამერი.** კაცს ცოლ-შვილი უნდა ჰყავდეს, ლახმან! ეგ ძალიან კარგია, კაცს ცოლ-შვილი შეშვენის. ხოლო რაც შეეხება თქვენ მწერლობას, — სწორეთ მხოლოდ სინიღისიერად. გამიგონეთ, თქვენ ხომ გაქვთ სინამდვილის შეგნების ნიჭი? ბევრი შემთხვევა გექნებათ, რომ მწერლობით საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოთ.

**ლახმანი.** მაგრამ ეს ხომ სიზიფური შრომაა: საზოგადოებაში ყველაფერი ძველებურადაა რჩება. მე კი უნდა ვაგორო ყოველ დღე ეს სიზიფის ქვა...

**კრამერი.** გამიგონეთ — უამისოთ აბა რანი ვიქნებოდით?

**ლახმანი.** ბოლოს და ბოლოს თავი უნდა შესწირო კაცმა. მხატვრობით გზავერ გავიკვლიე, უნდა....

**კრამერი.** გამიგონეთ, ეგ სულ ერთია, ჩემი შვილი რო მეჩექმე იყოს და, როგორც მეჩექმე, სვინიღისიერად ასრულებდეს თავის მოვალეობას, გესმით, მეტის პატივისცემით მოგვეპყრობოდი... შვილი გყავთ?

**ლახმანი.** ერთი ვაჟი მყავს.

**კრამერი.** აბა გამიგონეთ, მაშ თქვენ ერთი საქმე უკვე გაგიკეთებიათ!.. მაგაზე უკეთესი რაღაა?!. სტატიებს ეხლა უფრო ადვილათ უნდა სწერდეთ, გესმით? რაო?

**ლახმანი.** მაგის თქმა არ შემიძლიან, ბ. კრამერ!

**კრამერი.** მოვალეობანი! მოვალეობანი — დიდი რამეა! მხოლოდ მოვალეობას შეუძლიან მართლა ადამიანათ გვაქციოს. გესმით? შეგვაგნებინოს ცხოვრების ღრმა მნიშვნელობა, მხოლოდ ამის შემდეგ, გესმით, შეგვეძლება ცხოვრებაზე მალლა დადგომა...

**ლახმანი.** მაგრამ ხანდისხან ეს აგრე ადვილი არ არის.

**კრამერი.** გამიგონეთ, ეს ხომ მართლა ძნელიც უნდა იყოს, განა თქვენ არ გესმით!? აი სწორეთ აქ გამოჩნდება ხოლმე თვითოეულ ჩვენგანს რა ფასი აქვს. აქ შეუძლიან კაცს თავისი სიყოჩაღე გამოაშკარაოს. ეხლანდელ მუქთა ხორებს ჰგონიათ, რომ ქვეყანა გარყვნილების სარეცელიაო... ნამდვილს ადამიანს კი, გესმის, მოვალეობა უნდა სწამდეს!..

**ლახმანი.** მარალია, მაგრამ კაცი მოვალეა თავისი თავის წინაშე.

**კრამერი.** ჰო, გამიგონეთ, რასაკვირველია, თქვენ ამაში მართალი ხართ. ვინაც თავისი თავის წინაშე მოვალეობა სწამს, იმას სწამს მოვალეობა სხვების წინაშეც... თქვენი ვაჟი რამდენი წლისაა.

**ლახმანი.** სამისა, ბ. კრამერ.

**კრამერი.** გამიგონეთ, როდესაც ჩემი ბიჭი დაიბადა... ერთი რამ ავიხირო... თორმეტ წელიწადს ველოდი და ბოლოს ჩემს ცოლს ეყოლა არნოლდი. მაშინ მე კანკალმა ამიტანა, ბალღი შევახვიე, მასთან ერთათ ჩავიკეტე ჩემ სენაკში და, იმ დროს ის სენაკი ჩემთვის ტაძრათ ვადიქცა... მე





# ქართული ენის მოყვარულთა საუკრავი

**ჩ**ვენის აზრით, ამ წიგნში მოყვანილი ფაქტები საინტერესო უნდა იქნეს ქართული ენის მოყვარულთათვის, რისგანაც ესაა თითქმის რამდენ წლის შემდეგ ვხედავ საჭიროდ გამოვაქვეყნო, მით უფრო რამ, რამდენადაც ვიცი, ამაზე ქართული ენის მეცნიერებისაგან უურადღებს არ ყოფილა მიქცეული, თუმცა 1878—9 წლებში მათ შესახებ წერილი იყო გადაცემული განსვენებული პრფესორ ჰეტრიაშვილისაგან ა. ცაგარელზე. ფაქტები, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, ჩრჩინი არიან: ერთი მათგანი ესება მეგრულ ენის განსაკუთრებით თვისებას, რომელიც გამომხატვის ქართულ ენის ალფაბეტში და მეორე კი ეკუთვნის ჩინეთის ახლად მხლელ ქვეყნებში დაკვირვებას.

როგორც ვიცი, ყოველი ასო ქართულ ალფაბეტისა წმინდათ და სრულად გამომხატავს აგრეთვე მეგრულ ენის ხმებსაც, გარდა ერთი ხმისა, რომელიც ისმის მეგრულ სიტყვებში: ყუჟი-ყური, ყვადი-ყველი, ყყაღეში-საყელად და სხვანი. ეს ხმა (ყ) თუმცა ქართულ ალფაბეტში დღეს არ არის, მაგრამ, ცოტა ოდენ რამ დაუკვირდეთ, დაინახავთ, რომ იგივე ქართულ ალფაბეტის ხმა-ყ-არის, ხელა ძლიერ რბილად და მსუბუქათ გამომთქმული, ეს მტკიცდება იმით, რომ ყოველი ქართული სიტყვა, რომელშიდაც ისმის ხმა „ყ“, როგორც სძირკველი სიტყვისა, პირდაპირ გადადის მეგრულ სიტყვებში დასუბუქებული და სუსტი „ყ“-რად, მაგალითად: ყურძენი—ყურძენი, ყური-ყუჯი, ყველი-ყვადი და სხვანი. თუმცა დღეს ქართული ენა არ ხმარობს

ამ ხმას, მაგრამ საფიქრებელია, რომ ოდესმე მასაც ქონია ის და, როგორც მეჩინა, მისი ნაშთი ისმის ორიოდე იმერულ სიტყვებში: (ყ) იმე! (ყ) ვეიწახო!

აქ საჭიროა მეგრულ ენის გამოთქმასზე ორიოდე სიტყვა ითქვას: მეგრულ ენის გამოთქმულება (ВЫГОВОРЪ) ორ ნაირია: პირველი ზუგდიდის მაზრის და მეორე კი სენაკისა. იმ სოფლებში, რომელნიც მოსაღვრენი არიან ერთის მხრით იმერეთისა, და მეორეს აფხაზეთისა, მეგრულ ენაზე ჭქონით დიდი გავლენა როგორც ქართულს, აგრეთვე აფხაზურ ენებს, ხელა ამ საზღვრებზე მოშორებით რაიონებში (ცენტრში) დაცულია ნამდვილი გამოთქმა მეგრულ ენისა, ეს ცენტრი არის, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ზუგდიდის მაზრა, გადამა-გამოდმა ენგურის ნაპირები ორ წყალთა შუა: ხობი-და ერი-წლისა, გარდა ორსამ სოფლისა სამურხაყანოში. აქ მოვიყვანო ორივე გამოთქმის მაგალითებს ერთის და იმავე სიტყვებისს:

სენაკის მაზრა	ზუგდიდის მაზრა.
ტიბუ	ტიბუ—თბილი
პატონი	პატნი—ბატონი
პატუნი	„
კინტური	კნტრი—კიტრი
ტირხუ	ტრხ — ტყდება
ჭკუჭკუნი	ჭკუჭკუნი—ჭიანჭველა.

როგორც სჩანს აქ მოყვანილი მაგალითებისაგან, სენაკის მაზრის გამოთქმაში სიტყვებს ერთვის ხმოვანი ასოები და მასთან ძლიერ რბილათ გამოთქვამენ.



რამ დავაკვირდეთ ზოგიერთ მეგრულ სიტყვების ეტიმოლოგიურ ხასიათს, დავინახავთ, რამ ისინი ერთობ დატვირთულნი არიან ზრეფიქს-სუფიქსებით და რამ მოვაშორათ მათ თავსართ-დაბოლოებანი, დარჩება მხოლოდ სძირკველი (ძირი) სიტყვისა, რომელიც ხშირად გამოითქმის ერთი რომელიმე ხმით ქართულ ალფაბეტსა. ავიღოთ, როგორც მაგალითი, მეგრული სიტყვა ოჭიშიწელი (СПИНА) სიტყვა ოჭიში რთულია, ის არის შემდგარი სამის ელემენტისაგან: ო, ჭ, და შ, ჭ არის სძირკველი სიტყვისა, ო—თავსართი და შ დაბოლოება. ზრეფიქსი ო მეგრულ ენაზე აღნიშნავს ადგილს, სადაც რამე არის მოთავსებული, — იმყოფება და უდრის ქართულ ზრეფიქს-„სა“-ნს, მაგალითად: ოცხენე—საცხენო, ოსიმიხდე—სსიმიხდე და სხვანი, ხოლო შ არის ნიშანი ნათესაობითი ბრუნვისა, ან და ნიშანი ზედსართავის სახელისა. მაგრამ ეს მეგრულ სიტყვების თავისება მით არის საინტერესო, რამ მარტოკა ხმით გამოითქმულ სიტყვის სძირკველს თან დაუბავს აზრიც და ზოგჯერ შემთხვევაში ორი და სამიც.

ეს განსაკუთრებით ხასიათი მეგრულ ენისა ეტიმოლოგიური ანალიზისა და ზოგიერთი ზმნის ფორმის გარდა გამოაშკარავდება ქართულ ანბანში, როცა ჩვენ თითო ანბანს გაშვსთქვამთ, აგრე წოდებულ სახეო მეთოდით, ამასთან ეს თვით აზროვნანი ხმები არიან სძირკველად როგორც მეგრულის, აგრეთვე ქართული ენის სიტყვებისა. ამ ნაირად სძირკველ „ჭ“ სიტყვა „ოჭიში“ ნიშნავს ნაწილს (ТОНКАЯ КИШКА) და იგი—ჭ—შეედრის ქართულ ხმას-წ-ს.

როგორც ვიცით, 27 თანახმობანი ასოა, ამ 27 თანახმობანი ხმათაგან 14 მეგრულ ენის სიტყვებში არიან სძირკველად და გამოხატობიან თითო თან-აზროვანი ხმებით. ხოლო თუ მოვიკონებ, რამ იცვლებიან სხვა და სხვა

ხმებთან ერმანეთზე, როგორც მაგალითად —რ—ც, ჩ—ც, ს ძ, ჭ, ღ და სხვანი, დავინახავთ რამ მათი რიცხვი უფრო მეტად უნდა იქნეს. რამ კარგათ დავაკვირდეთ ამ 14 ხმათა ხასიათს დავინახავთ, რამ 1) შვიდი მათგანი (ღ, ქ, ღ, ხ, ჩ, ნ და ძ) არიან გამოხატველი მხოლოდ მჩქმედებისა (ГЛАГОЛЫ) 2) ოთხი (ქ, ც, ჭ, და ჭ) მარტო სახელასრებითი სიტყვისა, 3) ხმას წ-ს თან დაუვება როგორც მნიშვნელობა სახელასრებითი სიტყვისა, აგრეთვე ზმნისა, 4) გარდა შ და ვ არიან გამოხატველი სამ-სამ აზრისა: ა) შ—არ მჩქმედებისა და ერთ ზედმესრულ სიტყვისა, ბ) გ—არ მჩქმედებისა და ერთ სახელასრებისა. უფლებივე ესე სჩანს ქვემო მოყვანილ ფაქტებში.

1) ღ—არის შესაძენი მხლ. რიცხვი აწმუო დროისა და ნიშნავს: ის ვარდება (ОНО ПАДАЕТЬ, ВЫПАДАЕТЬ) და არის სძირკველი იმ სიტყვებისა, რომელშიაც ასე თუ ისე გამოხატებიან ღტოლვილები: ღლაფარე (ЗАВАЛИНКА) ღაფა (ПОКАТОСТЬ ობრЫВЬ) და აგრეთვე ისმის ქართულ სიტყვებში: ღაფა (ЗАВАЛИНКА), სვლა, მსვლა და სხვანი. აქ მოვიყვან მეგრულ ზმნის ფორმას, საიდანაც ნათლად დავინახავთ ზემო მოყვანილ ფაქტებს.

აწმუო

მხ. რიცხვი მრ. რიცხვი.

მა	ბ-ღ-ქ	ჩქ	ბღ-თ
სი	ღ-ქ	აქვა	ღ-თ
თინა	ღ.	თანეფი	ღ-ნა.

აქედამ სჩანს, რამ ხმა „ღ“ არის სძირკველი სიტყვისა: ღაფა — (ПАДАТЬ, ВЫПАДАТЬ) და შესაძენი მხლ. რიცხვში გამოხატვის მარტოკა ერთის ხმით „ღ“-ი, რაც შეეხება ქ-ს, რომელზედაც ბოლოვდებიან ორი პირი მხ. რიცხვში ზემო მოყვანილი ზმნის ფორმებში, ჩვენის აზრით, ის ნაშთი უნდა იყოს ზმნისა: ვიქ-იბ-ქ და თავის დროზე





უნდა ეოფილიყო ზმნის ფორმა აგრე: ლა-  
ფას-იბ-ქ ლაფას-იქ და სხვა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ბოლო ხმა  
ზმნაში-„ქ“ ხან ემატება და ხან არა, მაგა-  
ლითად:

ბჭარ-ანუ ბჭარნქ-ვწერ.  
ჭარ „ ჭარნქ-სწერ.

2) ძ არის შესამე ზირი მხ. რიცხვი აწმყოფსი  
დანიშნავს: ის ძვეს (ОНО ЛЕЖИТЬ). ეს ხმა,  
როგორც საძირკველი არის უოველივე იმ სი-  
ტუვებში, რომელშიაც გამოიხატება აზრი და-  
დებულობისა: ძველი, ძირი, ბოძი, შეძობუ-  
ლი, ძუძუ, ძვეს და სხვანი. ამასთან არ უნდა  
დავივიწყოთ, მრც ხმა „ძ“ იცვლება-ზ-ნად,  
ს-ნად, ჯ-ნად. 3) ქ-იმავე ხასიათისაა, რო-  
გორც ზემო მოყვანილი ხმები, ხელთ არა  
შესამე ზირი, არამედ მეორე და ნიშნავს: შენ  
ბქვავ (ТЫ МЕЛИШЬ) და როგორც სიტყვათ  
საძირკველი ისმის შემდეგ სიტუვებში: ქვირი,  
წისქვილი და სიტუვაში: იბ-ქ-კიქ. 4) ხ-ეს  
ხმა არის სრულად იმათვისებისა და გრამა-  
ტიკული ფორმისა, როგორც-ხმა ქ და ნიშ-  
ნავს: შენ ხევ-და როგორც სიტუვის საძირ-  
კველი იბოვება შემდეგ მეგრულ-ქართულ სი-  
ტუვებში: ხულთ—(დარღვევა), ხევა, ხევი,  
ხსნა, ხასხარი და სხვანი.

აწმყო

მხ. რიცხვი მრ. რიცხვი

მა ბ-ქ-ანუ ბ-ქნ-ქ—ჩქ ბ-ქნთ

სი ქ. ანუ ქ-ნქ—აქვს ქნთ

თინა ქნც—თინეფი ქნა.

მა ბ-ხ-ანუბ-ხნქ—ჩქ ბ-ხნთ

სი ხ — „ხნქ—თქვს ხნთ

თინა ხნც „—თინეფი ხნა.

5) ნ-ანო (Повредило, подѣйствовало)  
გრამატიკულ ხასიათით ეს ხმა არის შესამე  
ზირი მხ. რიც. აწმყო და იბოვება როგორც  
საძირკველი უოველივე იმ სიტუვებში, რომ-

მელშიაც გამოიხატება აზრი ვნება: ვნება,  
მაგნე და ხალველი—ნეე (მეგრ.)

6) შესახებ ხმა ღ-ნის უნდა ვსთქვათ,  
რომ თუმცა მისი თვით მნიშვნელობა ისე  
ცხადი არ არის, როგორც ზემო მოყვანილ  
ხმებისა, მაგრამ მის ზმნის ფორმებში ნამ-  
დვილად დაფინსავთ, რომ ეს ხმა ნამდვილი  
სიტუვის საძირკველია, მაგალ.

მი-ღ — წა-მი-ღო

გი-ღ — წა-გი-ღო

ი-ღ — წა-ი-ღო.

მითავსებულისა, როგორც საჭირკველი შემდეგ  
სიტუვებში: დაღა-ნადება, დაღ-ღეღე, ღმა-  
ღა-ქნება და სხვა.

7) უკანასკნელი ხმა ზემოგარჩეულ ხმათა  
შორის „ჩ“-ნიშნავს: მან აჭამა, ხელთ მისი  
ფესვი არის მითავსებული ქართულ სიტუვა-  
ში—ჩქენა (ПРОДОВИЖЬСТВОВАТЬ). თუ მო-  
ვიგონებთ, რომ ხმა ჩ როგორც მეგრულში,  
აგრეთვე ქართულ სიტუვებშიც იცვლება ც-  
ნად, როგორც მეჩამა-მიცემა, ცთამა—ჩილათა,  
ჩან=ცუნ (ასვია-ჩანრილია), მაშინ, რასაკვი-  
რველია ამ ხმისაგან წარმომდგარი სიტუვები  
უფრო მეტიც იქნება ორივე ენებში.

ხელთ მეორე რიგის ოთხნი ხმანი (კ, ტ,  
ც, ჭ,) როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, არი-  
ან გამოიხატულები მხოლოდ სახელ არსებითი  
სიტუვებისა. ა) კ—რკო (ЖОЛУДЬ) არის  
როგორც საძირკველი უოველივე იმ სიტუვე-  
ბში, რომელშიაც ასე თუ ისე გამოიხატება  
აზრი, მნიშვნელობა სიმკერისა, სიმტკიცისა,  
მაგალ: კლდე, კაჭი, და სხვა. ბ) ამა ხასია-  
თისა არიან ხმანი ტ და ც. ტ-ნიშნავს: ჯი-  
ვარს (ВЫМЯ) და მეორე კი კვერცხის ცილს  
და ხეს კაპიტს (КЛЕНЬ). ვ) რაც შეეხება  
ხმის „ჭ“-ს, რაც მაზე ზემოთ ითქვა მას  
უნდა დაუმატოთ, რომ ეს ხმა ისმის რო-  
გორც საძირკველი უოველი იმ სიტუვებში, რომ-  
ელშიც არიან გამოიხატულები აზრთა სიმცი-  
რისა, სიწვრილისა და მიწვინილობისა (про-



тяжение): ტიჭე-ზაწაწინა, ჭფე—წვრილი, ჭიკირკული-ქათმის კუჭი, მოჭიშთა-მოწივნა, ნჭაფა—წვდენა და სხვა. ხმა ჭ, როგორც სჩანს ზემომოყვანილი სიტყვებიდან, ზირდა-ზირ იცვლება წ-ად ქართულ სიტყვებში.

8) წ—ამ ხმას თან დაეობა ორი მნიშვნელობა: მნიშვნელობა მოქმედებისა და სახელ არსებითი სიტყვისა. ზირველ შემთხვევაში არის მეორე ზირი მხ. რიც. აწმუფისა და ნიშნავს: შენ სწოვ (ТЫ СОСЕШЬ); ხალხ მეორე, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, სახელარსებითი სიტყვაა და ნიშნავს: წრევანდელ წელიწადს.

9) ორ დანარჩენ ხმებს: გ-და შ-ს თანდა-უვება რამდენიმე მნიშვნელობა როგორც მოქმედებისა და სახელ არსებისა, აგრეთვე ზედ შესრულ სიტყვისა. ა) გ—როგორც მოქმედება ნიშნავს: ის გავს, ასვია; ხალხ გრამ-ტაკულ ხასიათით არიან: მესამე ზირი მხ. რიც. აწმონისა. ბ) როგორც სახელ არსებითი გ ნიშნავს: ტუის ქათმს (ВАЛЬДШЕНЕПЬ). ამავე ხასიათისა არის ხმა შ-ნიც გარდა იმი-სა, რომ ორ მოქმედების გარდა ის გაშხას-ტავს ზედშესრულ სიტყვასაც, ა) ზირველ შემთხვევაში შ-არის მესამე ზირი მხ. რიც. აწმუფ დროისა და ნიშნავს: მას ახსოვს, ხალხ მეორე შემთხვევაში არის მეორე ზირი მხალხობით რიცხ. აწმუფ რდ. და ნიშნავს: შენ ქსოვ რასმე (ТКЕШЬ). ბ) ამათ გარდა შ-ნს, როგორც ვსთქვით, თანდაეობა ზედშესრულ სიტყვის მნიშვნელობაც და აღნიშნავს სოკულს (МОКРЫЙ). თუმიც მოვიგონებთ, რომ ხმა შ როგორც მეგრულში, აგრეთვე ქართულ-შიაც იცვლება ხალხმე ს-ნად, ვნახავთ, რომ ის, როგორც საძირკველი, არის მოთავსებული მრავალ სიტყვებში ორთავე ენებისა და მათ შორის მეგრულ სიტყვაში—შმორი (МОРОСИТЬ).

შემთხვევით შენიშვნანი.

ხშირად შეხვდებით გაზუთებში 1900 წ. ჩინეთის არეულობის დროს ისეთი მდინარეების საკუთარ სახელებს, რომელნიც ბოლოვდება ხალხმე ხე-ზედ და აზრთ ასსოციაციის მოგონებით გვაგონებდენ ჩვენს ქართულ სიტყვას-ხევს. აქ მოვიყვანთ ჩვენ ზოგიერთ ამ სახელებს: სინჩიხე. ეს მდინარე არის 88 ვერსის მანძილზე ჩინეთურ ქალაქი აი-გუნდიამ, რომელიც მდებარეობს მარჯვენა ამურის ნაპირზე ოც ვერსის სიშორეს ბლაღოვესჩენსკიდან, აგრეთვე კუხ-ხე, კეტხე და სხვა. აქ სიტყვის დაბოლოება ხე ნიშნავს მდინარეს. რადგან ჩინეთურად მდინარეს ქვია ხუა. აქვე მანჯურიაში არის ქალაქი სახელად ჯიხე; ეს ქალაქი 1900 წ. იყო ადებული დერუნალი სახაროვისკან. ადვილად შესაძლებელია, რომ უოველივე ეს იყოს მხალხოდ ხმათ მსგავსება, მაგრამ აგრეთვე ხმათ მსგავსება გვესმის ჩვენ შემდეგ სიტყვებშიც: ჩიტა, ციციკარი და შარაკული. შარაკული არის დიდი სათემო გზა (ТРАКТЪ) ირკუტსკის გუბერნიისში. შეიძლება, როგორც ვსთქვით, ეს მარტო ხმათა მსგავსება იყოს ქართულ სიტყვებისა, მაგრამ ეს საეჭვო საქმე უფრო სინამდვილეს დაემსგავსება, როცა ჩვენ მოვიგონებთ ერთს გეოგრაფიულ სახელს, რომელიც ნამდვილი ჩვენებური მდინარის სახელია. 1900 წელს ნერჩინსკის ოლქიდან იყო დაბეჭდილი კორკესზონდენცია გაზუთი „Амурскій Край“—ში, სადაც სხვათა შორის იყო მოხსენებული ერთი მდინარე, რომელსაც ეძახიან—ინგრს. აქ შესანიშნავია ის კანსკრიზცია, რომელსაც ხმარობს კორკესზონდენტი—ინგრი და არა ენგური. სწორეთ ასე ეძახიან ამ მდინარეს თავის სამშობლოში—სამეგრელოში. აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ჩინეთურ სიტყვებს, რომელნიც ძლიერ გვაგონებენ ქართულ სიტყვებს: თა—თავი (აგრეთვე ეს სი-





ტყვა ნიშნავს, ცას, მთას), თია-დღე მეგრულ-  
 ლი-თე-ადრე, სინთე-ნო-ანთია ცეცხლი; წითლ  
 თითი. ეს სიტყვა ისმის, ჩვეხის აზრით, ქა-  
 რთულ სიტყვაში: წვთა და მეგრულ-წვინთა-  
 ლი—წაშამფურებელი; შუ-ხელი, მეგრულად  
 ხეში შუშათა-უბეში გაცივებულ ხელის გათბო-  
 ბა, თახან-მადალი მთა, თაუჯა—ბალიში,  
 მეგრ. ყუჯის ბალიში, ყედო-ურთი, მეგრ. ყუ-  
 ჯი, ხუა-მდინარე-ხევი; თათი-მხე, მეგრ. თუ-  
 თა-სანთე, ჩფა—მეგრ. ჩქვაფუა (ПОЖИРАТЬ).

1870 წელში აი რა ნაირი ფაგტს შევხთი  
 სხენსურის იმ თხუზულებში, სადაც რელიგი-  
 ის ეგოლურიაზგდ არის ბასი.

ინდოეთში, როგორც ამბობს სხენსური,  
 ერთი რომელიმე ხალხი თაუჯანს ცემს საში-  
 ნელ შხამიან გველს, რომელსაც ეძახიან ჯო-  
 ჯოს და რომელსაც სხეკრზლად სწირვენ კაცს.  
 საქმე ისაა, რომ სიტყვა ჯოჯო ქვემო იმე-  
 რეთში, გურიაში და სამეგრელოში უცნო რა-  
 დი არის: გურიაში ჯოჯოს ეძახიან მწვანე  
 ხვლიკს და სამეგრელოში კი მამაკაცთა სახე-  
 ლია. საზოგადოთ სამეგრელოში უფევართ მი-  
 თლოგიურ ან შესანიშნავ გმირთა სახელების  
 დარქმევა (ქრისტიანულ სახელის გარდა). ეს  
 ხალხური ჩვეულება დღემდის არის დაცული  
 და ხშირათ გაიგონებთ სამეგრელოში უკანას-  
 კნელი ფორმაციის სახელებსაც, როგორც მა-

გალითად: ბეუთოვი, მირსკი, ვითეგნშინი  
 ლევაშოვი და სხვა. ამ ტრადიციას თუ ვიქა-  
 ნიებთ სახეში, მაშინ სახელთა შორის „ჯოჯო“,  
 რომელიც ტრიალებს სამეგრელო-გურიაში  
 და ინდოეთში, რადაც კავშირი უნდა იყოს,  
 ეს ასე თუა, მაშინ ჩვენთვის ცხადია, რასაც  
 ნიშნავს ჩვენი სიტყვა-ჯოჯოხეთი. სიტყვა  
 ჯოჯოხეთი თავის ეტიმოლოგიური ხასიათით  
 უდრის სიტყვებს: რუსეთი, აზხაზეთი, სვა-  
 ნეთი, იმერეთი და სხვა. სადაც დაბოლოება—  
 ეთი \*) აღნიშნავს ადგილს, ქვეუანს, რომე-  
 ლიც უჭერია რომელსამე ერს, ანუ სხვა რამე  
 არსებას, მაშასადამე სიტყვა ჯოჯოხეთი ნიშ-  
 ნავს ადგილს, რომელიც არის სავ-  
 სე საშინელ შხამიან გველებით—ჯოჯოებით.  
 აი სად ავტავანის ქართველი ერი თავიანთ  
 ცოდვილთა სულებს!..

დ. ჩქოტუა.

\*) ამ უკანასკნელ დროში თითქმის ყველა ქა-  
 რთული გაზეთები ხმარობენ სიტყვას — „ბალკა-  
 ნეთი“. სიტყვა ბალკანი არის სახელი ადგილი-  
 სა და არა ერისა, ამის გამო არ შეიძლება ით-  
 ქვას: ბალკანეთი, რადგან ეს წინააღმდეგია ქარ-  
 თულ ეტიმოლოგიის კანონისა და ჰგავს იმას, რომ  
 ვინმემ სიტყვას: კავკაზეთი.

ავტორი.





# ჰერბარუ ჰ უსტმანი

„მინელი კრამერი“

ათხ მიქმედების დრმა

მოამბედა მოაჩა

სტენა წარმადგენს მიხუტი კრამერის სამხატვრო ათახს აკადემიაში, რომელიც ხა-  
 ცრის ფერი ფარდით ერთ ანის გაყოფილი. სმუშა ნაწილი ანა ჩანს. ფარდის წინ მარ-  
 ჯვენა მხარეზე ზატარა კარებია, რომელსაც ზატარა კიბე აქვს მიდგმული, მარჯვენა მხარე-  
 ზევე, ავანსტენის მხლობლათ, სდგას ძველი ტყავ გადაკრული დივანი და იმის წინ ზა-  
 ტარა, სუფრა გადაფარებული სტოლი. მაცნხივ მოჩანს დიდი ფანჯარა, რომლის ერთი  
 ნაწილი ფარდას იქით არის დაუფლებული. იმის ქვეშ ზატარა სტოლი, რომელზედაც სხვა  
 და სხვა სამხატვრო იარაღი აწევია. დივანის წინ რა სტოლია, იმაზე მოჩანს—ქაღალდი,  
 ძველი შანდალი, რომელშიაც სანთელია ჩადგმული და სხ. თეთრი თიხისაგან (გიპსი) გა-  
 კეთებული ხელი. ფეხი, ქაღის ბიუსტი და განსვენებული ბექტოვინის ნიდაბი—უკვლას ეს  
 ჰკიდა დივანის მდლა კედელზე, რომელიც მტრედის ფარდ არის შედებული. ფარდის  
 იქით (ფარდა ჰფარავს კედლის  $\frac{2}{3}$ ) მოჩანს დიდი დაზვის კუთხე. ათხი ჩაღის სკამი  
 დგას. მთელ ათახში საგანგებო სისუფთავა და სასტიკი წესიერება. მიხელი კრამერი ზის  
 დივანზე და კუთვით ხელს აწერს ქაღალდებს. იქვე სდგას აკადემიის მოსამსახურე—კრაუ-  
 ზე და ელოდება. კრაუზე მხარ ბეჭიანი და ჩანსმული კაცია. კრამერი 50 წლისაა, ხშირ  
 თმასა და წვერში ბლამათა აქვს გამოკრული ჭადრა. ცოტა აწეულ მხრებში თავი და კი-  
 სერი ჩამძვრალი უჩანს, თანაც კისერი წახრილი აქვს, ასე ჰგონია უღელი ადგიათ. შავი,  
 მოუსვენარი და ცოცხალი თვალები დრმათ უსხედს ფანჯარაში; ხელ-ფეხი გრძელი აქვს.  
 სიარული უშინ იცის. შორი-შორს აბიჯებს და ტარებაში ფეხის ძირებს თითქმის იბრუ-  
 ნებს. ზირისაზე მკრთალი და ჩაფიქრებული აქვს. ხშირათ კუთავს (კრუსუნებს). იმის ლა-  
 ზაკის მანერაში არის რაღაც უჩებური სისასტიკე. ცუდი ფანჯრის წადები საუცხვოთა  
 აქვს გაწმენდილი და საკკესავით ბჭევრიალებს. ტანისამოხი სულ შავი აცვია: სერთუიცი,  
 შიდეტიცი და შალვარიცი. ძველებური, თეთრი ზირებ გადაკეცილი საყელა. შავი გაღსტუიცი  
 და ზემოდან ბლუზა. უკვლასფერი სამაგალითათ სუფთაა. სამაჯურები ფანჯარაზე უწევია.  
 საერთათ კრამერი წარმადგენს განსხვავებულს თვალსაჩინო მოვლენას. სრულიად მიუკა-  
 რებელათ გეჩვენებთ იმისი სახე. ფანჯრის წინ მარცხნივ დგას ლახმანი, ზურგი ათახის-  
 კენა აქვს მიქცეული, ელოდება ვიღაცას და ფანჯარაში გაიფურება.

**კრამერი.** (ლახმანს) როგორც ხედავთ, ჩვენ ისევ განვაგრძობთ მუშაობას. (კრაუზეს). ესე! მოკითხვა მოახსენე დირექტორს (დკება, აქეხებს ქაღალდებს და მოსამსახურეს აძლევს, შემდეგ სტოლს ალა-

გებს) უთუოდ ჩვენი ალვის ხეების მზერი-  
 თა სტკებებით?

**ლახმანი.** (რომელიც სპილენძის ფირფი-  
 ტასა შინჯავდა, ცოტა შეკრთება და მობრუნ-  
 დება) უკაცრავათ!





**კრაუზე.** მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო კრამერი! მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ლახმანი!

**ლახმანი.** მშვიდობით, ბატონო კრაუზე!

**კრამერი.** ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ (კრაუზე გადის).

**კრამერი.** ხუთი წლის წინეა აქ, ჩვენთან ბიოკლინი იყო. იდგა ამ ფანჯარასთან, გესმის?... და მხერით ვერ გაძღა.

**ლახმანი.** დიხს! მართლა რო საუცხოვო აღვის ხეგბია. ამ რამდენიმე წლის წინეა პირველათ აქ რო ვიყავ, მაშინაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეტათ დიდებულათ არის გამწკრივებული. აკადემიას რაღაც ტაძრის სანახაობას აძლევს...

**კრამერი.** ეგ თვალთა ხედვის მოტყუებაა... გესმით?

**ლახმანი.** მხოლოდ სულ კი არა! მე არც კი ვიცოდი, თუ ბიოკლინი ოდესმე იყო აქ.

**კრამერი.** მაშინ იქ პროვინციალურ მუზეუმში—აზრათ მოუფიდათ ბიოკლინისათვის დაენატენებინათ საპარადო კიბე... შემდეგ ეგ შრომა იტვირთა მეორე პროფესორმა. ოხ, გამიგონეთ, ხალხი მეტის მეტად ბევრსა სცოლავს!

**ლახმანი.** ამისთანებში ხომ სულ უზომოთ.

**კრამერი.** მაგრამ იცით, რომ ეს სხვაფრივ არასდროს არა ყოფილა. მხოლოდ ჩვენ ეხლა განსაკუთრებით უნდა ვწუხდეთ ამის გამო. რა საუნჯის მოგროვება შეეძლო ჩვენს დროს იმ აუარებელ საშუალებათ, რომელიც ეხლა, გესმით, ასე უთავბოლოთ იფლანგება ჩვენს ქვეყანაში! ამის გამო უკეთესი ადამინები შორს არიან ჩამომდგრები.

(ლახმანი იდგებს ერთ კტიუდს (აფორტს) და შინჯავს).

**კრამერი.** ეს ისე საცდელათაა. ფიქსარი არ იყო გაწმენდილი და ამის გამო სურათი ხეირიანი ვერ გამოვიდა. ჯერ უნდა მივაგნო თუ რაში მდგომარეობს საიდუმლოება.

**ლახმანი.** მეცა ვცადე ჩემი ძალ-ღონე ფორტებში, მაგრამ მალე თავი მივანებე.

**კრამერი.** ლახმან, მაინც რას ხატავდი ამ ხნის განმავლობაში, რაც მე აღარ მიხახვიხართ?

**ლახმანი.** სურათებს, ლანდშაფტებს, ამას, იმას... სამწუხაროთ, უნდა გამოვტყდე, რომ ძალიან ცოტს ვშრომობდი.

**კრამერი.** უნდა იშრომოთ; გამუდმებით შრომა, შრომა, ლახმან. გამიგონეთ, ლახმან, უნდა იშრომოთ, თორემ ცოცხალს ხავსი მოგეკიდებათ!.. აბა დაუკვირდით ამისთანა კაცის ცხოვრებას, როგორიც, მავალითად ბიოკლინია!.. იცით მერე რამდენსა შრომობს? მხოლოდ მაშინ გამოდის რამე ხეირიანი, მხოლოდ მაშინ მიდის წინ ადამიანი!.. არა მარტო ის გამოდის უკეთესი რასაც ხატავს, არამედ თვით ადამიანი მთლად უმჯობესდება!.. შრომა-გარჯა—ეს თვით სიცოცხლეა! გესმის ლახმან!

**ლახმანი.** მაგაში მე სრულიად დარწმუნებული ვარ!

**კრამერი.** უშრომოთ ყოვლად უვარგისი ვარ. მხოლოდ შრომა—მუშაობა მააადამიანებს.

**ლახმანი.** სამწუხაროთ, დრო ტყუილათუბრალოთ მეკარგება და ნამდვილი მუშაობისათვის ხელის მოკიდება როგორც ვერ მომიხერხებია.

**კრამერი.** გამიგონეთ, რატომ?

**ლახმანი.** ამიტომ რომ მე სხვა ისეთი საქმე მაქვს, რასაც, სწორეთ რო ვთქვათ, მუშაობა არ ვთქმის.



**კრამერი.** გამიგონეთ, ეგ როგორ? რა აზრით ამბობთ?

**ლახმანი.** წინეთ მხატვარი ვიყავი და მეტი არაფერი, ეხლა სტრიკულისტი გავხდი.

**კრამერი.** ეგ რას ნიშნავს?

**ლახმანი.** გაზეთებში ვწერ.

**კრამერი.** ჰოო?

**ლახმანი.** სხვა სიტყვებით რო ვთქვა, ეს იმას ნიშნავს, ბატ. კრამერ, რომ ჩემი ძვირფასი დროის მოამეტებულ ნაწილს იმაზე ვხარჯავ, რო მწერლობით ცარიელი ლუკმა პური ვიშოვნო... სწორე მოგახსენოთ, კარაქისათვისაც კი არა მრჩება ხოლმე ფული! როცა კაცი ცოლ-შვილს მოეკიდება...

**კრამერი.** კაცს ცოლ-შვილი უნდა ჰყავდეს, ლახმან! ეგ ძალიან კარგია, კაცს ცოლ-შვილი შეშენის. ხოლო რაც შეეხება თქვენ მწერლობას, — სწორეთ მხოლოდ სინიღისიერად. გამიგონეთ, თქვენ ხომ გაქვთ სინამდვილის შეგნების ნიჭი? ბევრი შემთხვევა გქვებათ, რომ მწერლობით საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოთ.

**ლახმანი.** მაგრამ ეს ხომ სიზიფური შრომაა: საზოგადოებაში ყველაფერი ძველებურათა რჩება. მე კი უნდა ვაგორო ყოველ დღე ეს სიზიფის ქვა...

**კრამერი.** გამიგონეთ — უამისოთ აბა რანი ვიქნებოდით?

**ლახმანი.** ბოლოს და ბოლოს თავი უნდა შესწირო კაცმა. მხატვრობით გზა ვერ გავიკვლიე, უნდა....

**კრამერი.** გამიგონეთ, ეგ სულ ერთია, ჩემი შვილი რო მეჩქემე იყოს და, როგორც მეჩქემე, სინიღისიერად ასრულებდეს თავის მოვალეობას, გესმით, მეტის პატივისცემით მოვეპყრობოდი... შვილი გყავთ?

**ლახმანი.** ერთი ვაჟი მყავს.

**კრამერი.** აბა გამიგონეთ, მაშ თქვენ ერთი საქმე უკვე გაგიკეთებიათ!.. მაგაზე უკეთესი რაღაა?! სტატიებს ეხლა უფრო ადვილათ უნდა სწერდეთ, გესმით? რაო?

**ლახმანი.** მაგის თქმა არ შემიძლიან, ბ. კრამერ!

**კრამერი.** მოვალეობანი! მოვალეობანი — დიდი რამეა! მხოლოდ მოვალეობას შეუძლიან მართლა ადამიანათ გვაქციოს. გესმით? შეგვაგნებინოს ცხოვრების ღრმა მნიშვნელობა, მხოლოდ ამის შემდეგ, გესმით, შეგვეძლება ცხოვრებაზე მაღლა დადგომა...

**ლახმანი.** მაგრამ ხანდისხან ეს აგრე ადვილი არ არის.

**კრამერი.** გამიგონეთ, ეს ხომ მართლა ძნელიც უნდა იყოს, განა თქვენ არ გესმით!? აი სწორეთ აქ გამოჩნდება ხოლმე თვითოეულ ჩვენგანს რა ფასი აქვს. აქ შეუძლიან კაცს თავისი სიყოფიერე გამოაშკარაოს. ეხლანდელ მუქთა ხორებს ჰგონიათ, რომ ქვეყანა გარყვნილების სარეცე-ლიაო... ნამდვილს ადამიანს კი, გესმის, მოვალეობა უნდა სწამდეს!..


**ლახმანი.** მარალია, მაგრამ კაცი მოვალეა თავისი თავის წინაშე.

**კრამერი.** ჰო, გამიგონეთ, რასაკვირველია, თქვენ ამაში მართალი ხართ. ვისაც თავისი თავის წინაშე მოვალეობა სწამს, იმას სწამს მოვალეობა სხვების წინაშეც... თქვენი ვაჟი რამდენი წლისაა.

**ლახმანი.** სამისა, ბ. კრამერ.

**კრამერი.** გამიგონეთ, როდესაც ჩემი ბიჭი დაიბადა... ერთი რამ ავიხიარე... თორმეტ წელიწადს ველოდი და ბოლოს ჩემს ცოლს ეყოლა არნოლდი. მაშინ მე კანკალმა ამიტანა, ბალღი შევახვიე, მასთან ერთათ ჩავიკეტე ჩემ სენაკში და, იმ დროს ის სენაკი ჩემთვის ტაძრათ გადიქცა... მე





იქ ჩემი შვილი ღმერთს შევწირე... თქვენ სრულებით არ იცით რა არის შვილი. მე კი ვიცი, ღმერთია მოწამე! გუნებაში ვფიქრობდი: ჩემი სიცოცხლე შენ შეგემატოს! რაც მე ვერ გავაკეთე, იქნება შენ შესძლო მეთქი. (ნაღვლიანად) ჩემი ვაჟი საძაგელი გამოდგა, ლახმანი! მაგრამ ხელ ახლა რომ დამებადოს ისევ ისე მოვიქცევი...

**ლახმანი.** ოჰ, ბატონო კრემერ! არა მგონია, რომ არნოლდი საძაგელი იყო!

**კრამერი.** (ღიზიანებით და გაჯაჯრებით) გამიგონეთ, თავი დამანებეთ! არნოლდი საძაგელი სალახანაა და მეტი არაფერი. მაგრამ უკეთესია იმაზე ლაპარაკი მოვსპოთ, ლახმან, აი რას გეტყვით: ის ჩემი ცხოვრების მატლია, გესმით, ტვინს მიღრღნის... მაგრამ კმარა.

**ლახმანი.** უეჭველათ გამოიცვლება.

**კრამერი.** (ისევ წინანდებულად ღიზიანებითა და რისხვითა და მწუხარებით) არა, არ გამოიცვლება, ის აღარ გამოიცვლება! ერთი ხერიანი ძარღვი აღარა აქვს. ბიჭი თავიდან ფეხებამდის წამხდარი და გაფუჭებულია! საზიზღარი ადამიანია! მაგისი გამოცვლა შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი! გამიგონეთ, ყველაფერს ვაპატიებ, მაგრამ სისაძაგლეს, ბედსლობას კი—არასოდეს. მდაბალი სული მძაგს, მეზიზღება. იმას კი, გესმით, მდაბალი, მშიშარა, სული უდგა. ეს თვისებანი ჩემში მისდამი სიძულვილს და ზიზღს იწვევს. (შიდას უბრალოდ, ნაცრის ფერად შედებულ განჯანსთან) გამიგონეთ, აი ამ საზიზღარს ისეთი ნიჭი აქვს, რომ კაცი ვაკვირებიდან გამოვა! იქ, სადაც სხვა შრომობს, ცდილობს, იტანჯება, ღღესა და ღამეს ასწორებს, მაგისათვის საკმარისია ერთი ხელის განძრევა... აბა ერთი ნახეთ იმისი ესკი-

ზები და ეტიუდები. განა სავალალო არაა?.. გულის დადების მეტი არაფერი უნდა—რაც გინდა დახატოს. ყველაფერი ცოცხლად გამოხდის. მოხედეთ—ყველა ეს იმისი დახატულია. ამ სურათებზე კაცმა შეიძლება ცრემლებიც დააფრქვიოს. (წინ და უკან სიარულს იწყებს. ამ დროს ლახმანი ესკიზებსა და ეტიუდებს შინჯავს. კარებას კაკუნის ხმა ისმის) შემოდით.

**მიქალინა.** (სასეიანო კაბა აცვია) მამი, მე მხოლოდ ლახმანის წასაყვანათ მოველ.

**კრამერი.** (სათვალეების შემადან გამოფურება) გამიგონე, სკოლას თავი დაანებე?

**მიქალინა.** ეს კი იყო გავათავე სურათების სწორება. ლახმან, შენ ცოლს შევხვდი და მითხრა გადმოგცე, რომ საშინლათ მობეზრდა იმ ყავახანაში ყოფნა და დედაშენთან წასვლა ამჯობინა.

(აჩივიანი იცინიან).

**კრამერი.** რატო აქ არ მოიყვანე?

**მიქალინა.** ამისთანა სახელოვნოსათვის სწორეთ შეუფერი სტუმარია.

**კრამერი.** სისულელეა!.. ეგ რას ნიშნავს მე არ მესმის?

**მიქალინა.** (შიდას ლახმანთან და უყურებს იმ ეტიუდს, რომელსაც ლახმანი შინჯავს) მაგ წისკვილს ოდესღაც მეცა ვხატავდი.

**კრამერი.** მ... გმ... ჰო, მაგრამ სხვა ნაირათ.

**მიქალინა.** სხვა მხრიდან.

**კრამერი.** ჰო, სხვა მხრიდან!.. (ლახმანი იცინის).

**მიქალინა.** მამა, მე ეგ სრულებითაც არ მეთაკილება: ადამიანი თუ აკეთებს იმას, რის ვაკეთებაც შეუძლიან, მეტი არ უნდა მოეთხოვოს.

**კრამერი.** შვილო, შენ თვითონაც ხომ იცი, რომ ხელოვანისთვის ყველაფერი ადვილია.



**მიქალინა.** რასაკვირველია, ვიცი და ძალიან კარგათაც ვიცი, რომ არაფრათ მაგდებ!

**კრამერი.** გამიგონე, ეგ საიდან გამიყვანე?! არნოლდს, რომ შენი მუყაითობის ნახევარი ჰქონდეს და აი აქ, თავში, იმისი მესამედი მაინც, რაც შენა გაქვს, მაშინ ის ნამდვილი ადამიანი იქნებოდა... ამეგებში არნოლდი შორი ახლოც ვერ მოგწვდება; მაგრამ რაც შეეხება დანარჩენს ე. ი. ნაპერწყალს—ის შენში არ არის! ადამიანს თავის თავზე სწორე, გადუქარბებელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. შენ კიდევაც იცნობ შენ თავს ამ გვარათ და აი სწორეთ კიდევ ამაშია შენი უპირატესობა. ამიტომაც შენთან ლაპარაკი შეიძლება. ყველა, რის გაკეთებაც შეუძლიან ბეჯითობას, მუყაითობას, ხასიათის სიმტკიცეს, შენ უკვე გააკეთე, მიქალინა, და ამ მხრივ შეგიძლიან სრულიად კმაყოფილი იყო (სახში ჩაიუყრება) ათია. ლახმან, ეხლა აღარა გამოვა რა! თქვენმა მოსვლამ ძალიან გამახარა. ამიტომ სიამოვნებით გამოვივლი თქვენთან ერთათ და ჩვენ იქნება რომ სადმე თითო ჭიქა ლუდი დავლიოთ. მაგრამ ამ საათში კლასში უნდა შევიარო. თერთმეტი საათისათვის კი ჩემი ვაჟი მყავს დაბარებული.

**მიქალინა.** (სერიოზულად) მამი, არ შეიძლება ამ ხელათ ლახმანს შენი ნახატი სურათი აჩვენო?

**კრამერი.** (ძაღდათ შემოტრიალდება) ვერა, მიქალინა! ეგ საიდან მოგივიდა აზრათ?

**მიქალინა.** როგორ თუ საიდან? ლახმანს გაუგია მავ სურათის ამავი და მეც გამიზიარა, რომ თურმე ძალიან უნდა იმისი ნახვა.

**კრამერი.** მაგისტანა რამეებით ნუ მაწუხებთ, გეთაყვა! ყველას ძალიან უნდა, რომ ჩემი ნახატი სურათი ნახოს!.. თქვენ

თვითონა ხატეთ სურათები, რამდენიც გინდათ! ლახმან, მე იმ სურათის ჩვენება არ შემიძლიან...

**ლახმანი.** მაშ მეტი თხოვნით თავს არ მოვაბეზრებთ, ბ. კრამერ...

**კრამერი.** იცით, ეგ ჩემ ძალ-ღონეს აღემატება... შეიდი წელიწადი ვცხოვრობ ამ სურათთან ერთად... სულ პირველად მიქალინამა ნახა,—ჩემ ვაჟს არც კი უკითხავს,—შემდეგ იყო სანახავათ დირექტორი მიურინგი... ეხლა კიდევ... არა, ჩემთვის ეს მეტის-მეტია! გამიგონეთ, ეგ შეუძლებელია! მე ეგ არ შემიძლიან!.. თქვენ რომ სატრფო გყვანდეთ და ყველა იმას ჩაუგორდეს ლოგინში... ეს ხომ სივირე იქნება და მეტი არაფერი... ამის შემდეგ ყოველი ტრფობა დაგეკარგება... ლახმან, ეგ შეუძლებელია! თხოვნას ვერ შეგისრულებ!..

**მიქალინა.** მამი, მე არ მესმის შენი შედარება! ასეთი გულ-ჩახვეულობა და მიუკარებლობა—სისუსტის ნიშანი მგონია...

**კრამერი.** ამ კითხვის შესახებ შენ რაც გინდა ის იფიქრე, მაგრამ ერთი გამიგონე კი რას გეტყვი: ყოველი არა ჩვეულებრივი, ღრმა, ჭეშმარიტი და ძლიერი წარმოიშობება მარტოობის დროს. ჭეშმარიტი ხელოვანი მუდამ განდევნილია. ასე! ეხლა კი წადით და თავი დამანებეთ.

**მიქალინა.** სამწუხაროა, მამავ! უფრო ისა მწყინს და თანაც მაკვირებს, რომ ლახმანის წინაც სანგლებს იშენებ... არავითარ წახალისებას ახლო არ იკარებ, ყველას ხელსა ჰკრავ... მაგრამ იცი, თუ გულწრფელად იტყვი... მას შემდეგ რაც დირექტორი მიურინგი იყო შენთან... უნდა გამოტყდე, რომ იმის შემდეგ შენ განახლდი... მეტი სიცოცხლე დაგეტყო!

**კრამერი.** ჯერ არაფერია დახატული.





საქართველოს  
ქრონიკალი

ჯერ სრულებით არაფერია! გამიგონე, ნუ გამაუბედურებთ! უნდა იყოს რამე, რო გაჩვენო?! ხუმრობა ხომ არ არის, რო-გორა გგონიათ!? გამიგონეთ, რომ ვინმე გაბედოს იმ კაცის დახატვა, ეკლის გვირ-გვინით თავზე—გესმით?—ამისათვის მთე-ლი მისი სიცოცხლე საჭირო! არა აფო-რიაქებული, მხიარული, დარდიმანდული, გესმით?—არამედ განმარტოებული საათე-ბი, დღეები, განმარტოებული წელიწადე-ბი, გესმით? გამიგონეთ, ის უნდა დარ-ჩეს მარტო-მარტო, განდევილათ, თავის ტანჯვითა და ღმერთით. ის ყოველ დღე უნდა აკურთხებდეს თავის თავს! გესმით? არაფერი მდაბალი მასში და მასთან არ უნდა იყოს! მაშინ, გესმით, როდესაც აღამიანი განმარტოებული იბრძოლებს, შეიძლება გადმოვიდეს სული წმინდა, მაშინ შესაძლებელია იმასაც ხვდეს რა-მე... მაშინ, გესმის, სურათი იწყებს ხორცის შესხმას, გრძობა მალღდე-ბა, ხედავ მაცხოვარს სრული მისი სიმ-შვიდით და სიმშვენიერით, არა თუ ხედავ, გრძობ კიდევ!.. მაგრამ როდესაც გარ-შემო კარებს აჯახუნებენ, მაშინ კი მა-ცხოვარს ვერცა ხედავ და ვერც გრძობ. მაშინ ის შიდის სრულებით, გესმით? მი-დის შორს...

**ლახმანი.** ბ. კრამერ ეხლა მე ძალია-ნა ვწუხარ...

**კრამერი.** ოჰ, გამიგონეთ, — აქ რა არის სამწუხარო!.. ამისთანებებში ყველა თითონ უნდა ზრუნავდეს თავის თავზე. ადგილი, რომელზედაც უნ დგებარ, წმი-დაა! აი რას უნდა ეუბნებოდე შენს თავს მუშაობის დროს... თქვენ, სხვები. დარ-ჩით გარეთ, გესმით? იქ ბევრია ალაგი ბაზრულ ჩოჩქოლისათვის! ხელოვნება — სარწმუნოება... როცა ლოცულობ ჩაიკე-ტე შენს ოთახშიო. განვედით ტაძრი-

დან ჩარჩო და ვაჭარო (შემოსავალი კა-რებს გასაღებით კეტავს).

**მიქაელინა.** მამი, ჩვენ არც ჩარჩები ვართ და არც ვაჭრები.

**კრამერი.** რასაკვირველია, არა! ღმერთმა დაგიფაროთ! მაგრამ ჩემთვის ესეც მეტია. ლახმანის სურვილი 'ეე ძალიან კარგად მესმის; უნდა იცოდეს იმ ფარდას იქით რა სურათია. აქამდის მხოლოდ პრტყელ-პრტყელი სიტყვები ისმოდა, ეხლა უნდა, რომ თვალთ დაინახოს რამე. მაგრამ აკი ვეუბნები ჯერ არაფერია მეთქი, მოვ-ხუცდი და აღარაფრად ვარგივარ. ხან-დისხან რაღასაც ვხედავ და ვგრძობ კი-დეც, მაგრამ მერე ვიღებ შახტელს, ვფხეკ იმას, რაც წინეთ დავხატე (აკაკუნე-ბენ) აკაკუნებენ, ლახმან, იქნება როდის-მე მერე შემოიაროთ. სულ ერთია ეხლა მაინც არაფერი იქნება. ვილაცა აკაკუნებ-და—არა? შემოდით.

**მიქაელინა.** მამი, აკი დაკეტე კარები.

**კრამერი.** მე? როდის?

**მიქაელინა.** ეს კი იყო, ამ წუთს.

**კრამერი.** (მიქაელისას) გააღე და ნახე ვინ არის.

**მიქაელინა.** (გამოადგებს გარებს) ვილაც ქალია, მამი.

**კრამერი.** უთუოდ მოდელი იქნება, არა მჭირია.

**ლიზა ბენში.** (გარედან) ბ. პროფესო-რის ნახვა არ შეიძლება?

**მიქაელინა.** რა გნებავთ?

**ლიზა ბენში.** მე მინდოდა თვით 'ბ. პროფესორის ნახვა.

**მიქაელინა.** ვინ პროფესორი გნებავთ?

**კრამერი.** უთხარი რა აქ პროფესორი არავინა სცხოვრობსთქო.

**ლიზა ბენში.** განა პროფესორი კრა-მერი აქ არ ცხოვრობს?



**კრამერი.** მე მეძახიან მხოლოდ კრამერს. შემოდით! (ღიზა ბენში ქეშდის, მოხდენილი ქაღია, ძაღიან გამხზანჭუღია)

**კრამერი.** ყმაწვილებო, თქვენ მუზეუმში წადით... აკი მუზეუმში წასვლას აბირებდით, თორმეტ საათზე კი მოგელოდებით, ლახმან. (კარკამდის გაცდილებს, ღახმან და მიქაღინა გაღიან.) ვისთან მაქვს პატრივი საუბრისა, ვინა ბრძანდებით, ან რას გაუჯიხნართ?

**ღიზა ბენში.** (ცოტა დატყუპებითა და ჰრანჭკვით) ბატ. პროფესორო, მე ღიზა ბენში გახლავარ. თქვენთან ვიახელი ერთი მეტი საჩოთირო საქმის გამო

**კრამერი.** დაბრძანდით, გეთაყვა! თქვენ მოდელი ბრძანდებით.

**ღიზა ბენში.** არა, ბ. პროფესორო. სცდებით. მადლობა ღმერთს, მოდლობა ჩემთვის საჭირო არ არის, მადლობა ღმერთს მოდელი არა ვარ.

**კრამერი.** მადლობა ღმერთს, მე კიდევ პროფესორი არა ვარ, ქალბატონო რას უნდა ვუმადლიდე თქვენ მობრძანებას?

**ღიზა ბენში.** ასე უცბათ გინდათ მაგისი გაგება? ასე ერთბაშით. უყოყმანოთ? იმედი მაქვს ნებას მომცემთ ჯერ ცოტა დავისვენო! ძალიან დამცხა... ემანდ, ქვევიდან ვაპირებდი გაბრუნებას, მაგრამ მალე ისევ ძალ-ღონე მოვიკრიბე და გამოვწიე.

**კრამერი.** დაისვენეთ, გეთაყვა, რამდენიც გნებავთ!

**ღიზა ბენში.** (ჯდება, ახველებს, ფრთხილად იმშალებს წასმულ და ჰირბადით აფარებულ ჰირსისხეს) ღმერთო ჩემო, და მერე ჩემ შესახებ მაგისთანა რამე როგორ იფიქრეთ! კარგია რომ ჟორჟიკმა, ჩემმა დანიშნულმა ვერ გაიგონა, სასამართლოში მსახურებს... უცბათ იცის აბილპილება. განა რითმე ვგვეარ მოდელს?

**კრამერი.** (ერთი სარკმლიდან ფარდას უგადასწევს.) ეს იმაზედ არის დამოკიდებული, თუ ვინ მოისურვებს თქვენიდან გადმოხატვას. ამა თუ იმ პირობაში ყველა ჩვენი შეიძლება მოდელათ გამოდგეს. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მოდლობა სასიცოცხლო რამეა, — დიდათა სცდებით.

**ღიზა ბენში.** არა, იცით, სწორე ვითხრათ, თქვენი ძალიან მეშინიან. ნუ კი გეწყინებათ, ბატ. კრამერ, მე მართლა თქვენი მეშინიან...

**კრამერი.** მოკლეთ რო მოსჭრათ, მაინც რა საქმე გაქვთ ჩემთან?

**ღიზა ბენში.** მე ძალიან მინდოდა თქვენი ამბევი ცოტა მაინც გამეგო, მაგრამ ყველანი თქვენზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს, ღმერთო კი ნუ მიწყენ... ადამიანი კი არა ქაჯი და ეშმაკი იყოთ...

**კრამერი.** გულწრფელად გამდლობთ. მაინც რა გნებავთ? გარწმუნებთ, რომ აქ თავიდგან ერთი ბეწვიც არ ჩამოგვარდებათ.

**ღიზა ბენში.** არნოლდსაც ასე ეშინიან თქენი!

**კრამერი.** (თავზარდაცემული, შეშფოთებული) არნოლდს?! ეს რა მესმის? რა სთქვით?

**ღიზა ბენში.** (შეშინებული ფეხზე წამდგება). ბატონო კრამერ, რა ძალიან მიბრიალებთ მაგ თვლებს?! უმჯობესია მალე წავიდე აქედან. არნოლდიც ყოველთვის მაგრე დატყუტავს ხოლმე თვლებს და...

**კრამერი.** არნოლდი? მე იმას ვერ ვიცნობ!

**ღიზა ბენში.** (დაკრთომით და წინადათ). ბატონო კრამერ, — გთხოვთ, — ეგ ხომ არაფერია! ჩვენ შეგვიძლიან ამას თავი დავანებოთ. ჩემი აქ წამოსვლა დედ-მამისათვის არ გამიგებინებია... ეს, როგორც მო-





ქართული ენციკლოპედია

გახსენეთ, ცოტა საჩოთირო საკითხია... უკეთესია იმის შესახებ სრულებით არაფერი ვსთქვა.

**კრამერი.** (თავის თავს ძაჯას ატანს). დღეს თქვენ პირველათა გხედავთ, ამიტომ გულკეთილობა უნდა გამოიჩინოთ და მაპატიოთ... მე მყავს შვილი, რომელსაც არნოლდს ეძახიან. და თუ თქვენ არნოლდ კრამერზე ლაპარაკობთ...

**ლ. ბენში.** არნოლდ კრამერზე მოგახსენებთ, რასაკვირველია!

**კრამერი.** მაშ კარგი! საკვირველია... საკვირველი აქ არაფერია... რა შეგიძლიანთ მაუწყოთ იმის შესახებ

**ლ. ბენში.** ოხ, საშინელი სულელი და დამთხვეულია; არ მისვენებს.

**კრამერი.** ჰოო!? მაშ ასე! რა აზრით ამბობთ. რას თქმა გნებავთ მაგით?

**ლ. ბენში.** იმის თქმა მინდა, რომ მასხარათ მივდებ, ქვეყანას ჩემზე აცინებს, არ იქმნა—გონზე ვერ მოვიყვანე.

**კრამერი.** ჰოო! ეგ ძნელია. მჯერა.

**ლ. ბენში.** მე ვეუბნები ხოლმე: არნოლდ, წადი სახლში მეთქი! მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყს—ზის მთელი ღამეები.

**კრამერი.** მაშ უკანასკნელ ღამეს თქვენთან იყო?

**ლ. ბენში.** ადამიანი იმას ვერას გზით თავიდან ვერ მოიშორებს! მამა ცალკე ეცადა, დედა, სტუმრებიც კი, მე ცალკე, — მაგრამ სულ ამაოთ. ის ერთავათა ზის თვალზე დაჰყეტილი; აი როგორც ეხლა თქვენ, — და ვიდრე უკანასკნელი სტუმარი არ ვავა სახლიდან, — ის ადგილიდან არ დაიძვრის ხოლმე.

**კრამერი.** მამა თქვენს ტრახტირი აქვს გამართული?

**ლ. ბენში.** რესტორანი.

**კრამერი.** ის ყმაწვილები — სტუმრები — რა ხალხია?

**ლ. ბენში.** ასესლორი შაბელი, ხუროთ მოძღვარი ცინი, ჩემი დანიშნული და რამდენიმე სხვა ყმაწვილი.

**კრამერი.** მერე ეგენი ყველანი სცდილობდნენ არნოლდის გამოძევებას?

**ლ. ბენში.** არნოლდს ისინი მეტ სახელათ მარაბუს ეძახიან. მარაბუ ერთგვარი ფრინველია, უეჭველია გეცოდინებათ. ჩვენი სტუმრები ამბობენ, რომ არნოლდი იმ ფრინველს საშინლათ წააგავსო. ალბათ იმიტომ, რომ ისიც, მარაბუსავით, ცოტა კუზიანია.

**კრამერი.** ჰო, ჰო, სწორეთ მაგისტნაა. ის თქვენი სტუმრები ძალიან, ძალიან მხიარული ყმაწვილები უნდა იყვნენ!

**ლ. ბენში.** საშინელი! ადამიანს სიცილით მოკლავენ. უნდა მოგახსენოთ — ისინი რომ ხუმრობას დაიწყებენ, ადამიანმა მუცელი ხელით უნდა დაიჭიროს! არნოლდი მეტისმეტად ბევრსა სჭამს, რადგანაც პურის ფულს ცალკე არ ვახდევინებთ — და აი ამ უკანასკნელ დროს ამ ყმაწვილებმა პურით სავსე კალათა დაჰკიდეს სწორეთ იმ სტოლის ზემოთ, სადაც არნოლდი ზის ხოლმე. გვესმით? ქერიდან კალათა დაბლა ეშვება, მაგრამ იმდენად კი არა, რომ კაცი შესწვდეს. იმ დროს მთელი დარბაზი სიცილით იფხრიწება ხოლმე.

**კრამერი.** მერე ჩემი შვილი მათთან ერთად სტოლზე ზის?

**ლ. ბენში.** სრულებითაც არა! ჩემი დანიშნული თავის დღეში მავას არ იზამს. არნოლდი მუდამ ცალკე ზის განმარტობით და ყურადღებას არ აქცევს სხვების სიცილ-ხარხარს. ის საიდგანლაც ამოაპარებს ხოლმე ქალღმერთს და ყარანდაშს და ცბიერათ აშტერდება სტუმრებს. სტუმ-



რებს ხანდისხან ასეთი ქცევა არნოლდისა არ ებრტნავენათ, რასაკვირველია, ერთმა მათგანმა შენიშვნაც კი მისცა.

**კრამერი.** იმ ვაჟბატონს ჰგონია რომ იმისთანა ადგილას ხატვის ნება არა აქვს?

**ლ. ბენში.** დიახ, რადგანაც არნოლდი კარიკატურებს ხატავს, ეს ყოველად მოუხერხებელია ბატონო, კრამერი. არნოლდმა ერთხელ როგორღაც მაჩვენა თავისი ნახატი: ერთ პატარა ძაღლს მრავალი დიდი ძაღლები ასდევნებოდნენ, — საზიზღარი რამ იყო:.. სწორეთ საშინელება!

**კრამერი.** არნოლდი იმის ფულს ხომ იხდის, რასაც რამეს გართმევთ?

**ლ. ბენში.** დიახ! მე მაგისათვის არ მოვსულვარ. არც ბევრსა ხარჯავს: ორი ან სამი ჭიქა ლუდი რო დალიოს ბევრია. სხვა რომ არაფერი იყოს, ბატონო კრამერი!..

**კრამერი.** მაშ თქვენ, როგორც იტყვიან, კეთილი სული ყოფილხართ. აბა, თუ თქვენ ნალაპარაკევს კარგათ მივხვდი, მაშ ჩემი შვილი, ასე ვთქვათ, თქვენ სახლში რაღაც ტაკი მასხარა ყოფილა, მაგრამ ისეთი კი, რომლის თავიდან მოშორება უფრო სასიამოვნოა. შემდეგ ამისა, ვგონებ არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ არა თქვენი სტუმრები — უმჯობელია ძალიან საპატიო გვამნი — არა ლუდი და პურ-მარილი თქვენი ღირსეული მამისა იზიდავს არნოლდს თქვენი სახლისაკენ?..

**ლ. ბენში.** (პრანჭვით) მე აქ სწორეთ არაფერ შუაში ვარ.

**კრამერი.** არა, რასაკვირველია არა! ან თქვენ ვინ რას გაბრალებთ. მაგრამ მაინც რა გნებავთ ჩემგან?

**ლ. ბენში.** ბატონო კრამერი! არნოლდისა ძალიან მეშინიან! ყოველი ქუჩის მოსახვევში მიდარაჯებს და, გარდა ამისა, მთელი საათობით თვალს არ მაშორებს,

თავი ვერ დამიხწყევია. ღმერთმანი, მაშინ მგონია რომ ამიტყვავს რასმეს მეთქი.

**კრამერი.** ჰოო! დაგემუქრათ როდისმე?

**ლ. ბენში.** არა, მაგას ვერ ვიტყვი, არ დამუქრებია, მაგრამ არნოლდში არის ისეთი რაღაცა... მთელი საათობით ზის ხოლმე გარინდებული შუალამემდის და ხმას, კრინტს არ იღებს. მაშინაც კი, როდესაც თავის თავ-გადასავალს გვიამბობს — ის ხომ საშინელ ზღაპრებსა სთხზავს ამ დროს... — უჰ! მერე იმნაირათ მიყურებს, იცით?

**კრამერი.** და თქვენ კი ის არაფრათ გეპრტნავენათ არა? (ზარს რეკს)

**ლ. ბენში.** ახა, ღმერთო ჩემო, რასაკვირველია არა!

**კრამერი.** კარგი. თქვენა გნებავთ აქ შეხვდეთ არნოლდს?

**ლ. ბენში.** სრულებითაც არა! ქვეყანაზე არაფრის გულისათვის.

**კრამერი.** სწორეთ თერთმეტი საათია, (ეს კი იყო სსათმა თერთმეტი დაჭკრა.) თერთმეტი საათზე აქ უნდა მოსულიყო გვერდის ოთახის კარებს ადებს.) მაშ აქ მობრძანდით, გეთაყვა, გარწმუნებთ რომ ვეცდები რაც შემძლიან. (ლ. ბენში გადის გვერდის ოთახში. კრამერი ადებს შემოსავალ მთავარ კარებს, საიდანაც შემოდის არნოლდი. იმის უსიციფცხლო სახეს თავნებობის, ზიზღის და შიშის ბეჭედი ახის). მოიცა აქ — ფარდას იქით (შეჭყავს არნოლდი ფარდას იქით, ფარდას აფარებს ისევ და გვერდის ოთახის კარებს ადებს. ღიზს გამდის. კრამერი ტუჩებსზე ხელს იფარებს და ღიზს ფარდაზე ანიშნებს. ღიზს ფთხილათ გამოდის. პრფექსონს ღიზს მიჭყავს გამოსავალ კარებთან და ისიც ჩუმთ, ფუნჯკეთით გადის. კრამერი შედგება, ღმნდება, შოფთავს და მერე შუბლზე ხელს იტაცებს, შემდეგ იწყებს წინ და უკან სიარულს. ეტყობა თავის





თავს ძაღას ატანს, რომ მღვდელმთავრებს მოე-  
რიოს და ეკლში მოწოდები სისხლი. შეხე-  
ტოს. მტინე ხნის შემდეგ თავს იმაგრებს,  
ფარდას გადასწევს და ეუბნება (ანხლდს).  
არნოლდ, მე შენთან მოლაპარაკება მინ-  
დოდა. (ანხლდი შიშით გამოდის. ჭრედი  
გაღსტუეი აქვს გაკეთებული და ტანზედაც  
კახტად აცვია). ძალიან გამოპრანჭულხარ!

**არნოლდი.** როგორ?

**კრამერი.** შენ წითელ გაღსტუეზე ვამ-  
ბობ.

**არნოლდი.** მერე რა?

**კრამერი.** ჩვეულნი არა ვართ შენს ამ-  
ნირათ ყოფნას? მაგრამ უკეთესს იზამ,  
თუ პრანჭვას სრულიად თავს დაანებებ.  
რა ჰქენი, არნოლდ, მოამზადე ნახატები?

**არნოლდი.** რომელი, მამი!

**კრამერი.** ჰ! განა ამისთანა რამე კაცს  
უნდა დაავიწყდეს? აბა იფიქრე, იქნება  
მოგაგონდეს.

**არნოლდი.** ჰო, შენ უეჭველად მესტო-  
ლის ნახატებზე ამბობ?

**კრამერი.** ჰო, თუნდაც მესტოლისა;  
ამას ხომ არავითარი მნიშვნელობა არა  
აქვს. ის ვინ არის. იმ ნახატებისათვის  
უთუოდ აღარაფერი წაგვიმატებია? გამი-  
გონე, თქვი სწორეთ—არა თქო. მიკი-  
ბულ-მოკიბულს ნურას დაიწყებ. რას უშვ-  
რები ამდენ დროს, რას აკეთებ?

**არნოლდი.** (გათამ განცვიფრებული) ვმუ-  
შაობ, მამი.

**კრამერი.** რას მუშაობ?

**არნოლდი.** ვხატავ, ვწერ. ვაკეთებ  
იმას, რასაც სხვები აკეთებენ.

**კრამერი.** მე კი მგონია, რომ ტყუილა-  
უბრალოთ ჰფლანგავ ღვთისაგან მოკრემულ  
სიცოცხლეს. აბა, მე ძალიან მოხარული  
ვარ—თუ ვცდები. მაგრამ მე ხომ შენთან  
საქმე აღარა მაქვს რა. ისე პატარა აღარა  
ხარ, რომ შენ თავზე ზრუნვა არ შეგეძ-

ლოს. მე აღარ მინდა შენი ზედამხედველი  
ვიყო. როცა სიტყვა მოიტანდა—მინდოდა  
მეთქვა: თუ ოდესმე გულში გექნება რა-  
მე... საქმე ის არის, რომ მე, ასე ვთქვათ  
შენი მამა ვარ. გესმის თუ არა? მოიგონე  
ეს სიტყვები მაშინ...

**არნოლდი.** მამი, მე გულში არაფერი  
მაქვს.

**კრამერი.** მე მაგას არც ვამბობ: არც  
ვამტკიცებ. მე მხოლოდ ისე ვთქვი: თუ  
რამე გულში გქონდეს მეთქი. იქნება შე-  
ვიძლო რამენაირათ დახმარება. ცხოვრე-  
ბაში მე ცოტა უფრო ღრმათა ვარ ჩახე-  
დული. ამას ისე ყოველ შემთხვევისათვის  
ვამბობ! გესმის თუ არა? უკანასკნელი  
ღამე სახლში არ გაგიტევი... შენს თავსა  
ჰლუზავ. ავად გახდები. გაფრთხილდი:  
სად სხეულში—სულიც სალია. სალი ცხო-  
ვრება—სად ხელოვნებას ჰბადებს. გუშინ  
სად დაიკარგე? მაგრამ ეს ხომ ჩემი საქმე  
არ არის... რის თქმაც შენ არ გინდა—  
არც მე მინდა იმისი გაგება. ან ნებაყოფ-  
ლობითა სთქვი, ან და სულ გაჩუმდი...

**არნოლდი.** მე და აღფრედ ფრენკელი  
ქალაქს გარეთ ვიყავით.

**კრამერი.** ჰოო? მერე სად წახვედით?  
პირშმანში თუ სხვაგან?

**არნოლდი.** არა, იქით მხარეს შაიტ-  
ნინგსა და მის მიდამოებში.

**კრამერი.** ორთ მთელი ღამე იქ გაა-  
ტარეთ?

**არნოლდი.** არა, შემდეგ ფრენკელის  
სახლში დავბრუნდით.

**კრამერი.** და იქ იყავით დილის ოთხ  
საათამდის?

**არნოლდი.** ჰო, თითქმის ოთხ საათამ-  
დის... შემდეგ ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდით.

**კრამერი.** დახეთ! შენ და ფრენკელი?  
მარტო თქვენ ორნი? ძალიან მეგობრები  
ყოფილხართ! მაინც რას აკეთებთ, როცა



ორნი ხართ ერთად იმ დროს, როდესაც სხვები ღრმა ძილში არიან?

**არნოლდი.** პაპიროზს ვეწვეით და ხელოვნებაზე ვსაუბრობთ.

**კრამერი.** ჰოო! არნოლდ, შენ დალუბული კაცი ხარ!

**არნოლდი.** რათა?

**კრამერი.** შენ დალუბული ადამიანი ხარ! გაფუჭებული ხარ თავიდან ფეხებამდის!..

**არნოლდი.** მაგას შენ პირველად არ მეუბნები

**კრამერი.** შენ მაიძულებ, რომ ეს გითხრა! არნოლდ, დამიმტკიცე რო ვცდები, დამიმტკიცე რო ვცდები, დამიმტკიცე, რომ უსამართლოდ გექცევი! ოღონდ ეს დამიმტკიცე და ათასჯერ ბოდის მოვიხდი, ფეხებს დაგიკოცნი.

**არნოლდი.** მე ვამბობ... მე ვფრქობ.

**კრამერი.** რას? რო წამხდარი ადამიანი ხარ? (ძალზე გაფითრებული ფანჯა მხრებს იჩეჩავს). მერე რა უნდა გამოხვიდე თუ ყველა მართლა ასეა?

**არნოლდი.** (გულდრძობ) ჰო, მამი, ეგ არც მე ვიცი.

**კრამერი.** მე კი ვიცი. მე ვიცი, რომ თავს დაილუბავ! (შეტად აღეგებული დადის ოთახში, ხელებ უკან დაწეობილი, მერე მიდგება ფანჯარასთან. ნაცრის ფერ გადაკრული და ჭაფურისაგან სხე დაზნანტული არნოლდი იღებს ქუდს და მიდის კარებისაკენ. იმ წამს, როდესაც არნოლდი დააბრკებს გასულას, კრამერი მოტრიალდება.)

**კრამერი.** სათქმელი არაფერი გაქვს? (არნოლდი კარებს ხელს უშვებს და ბაიუშად, მრისხანედ უყურებს მასს).

**კრამერი.** არნოლდ, ნუ თუ გულში არაფერი გიჩუჩუნებს? განა შენ ვერა გრძნობ როგორ ვიტანჯები? თქვი რამე! თავი იმართლე! მელაპარაკე, როგორც ვა-

ჟაკი კაჟაკს. ისე მელაპარაკე, როგორც ვა-  
და, როგორც მეგობარი თავის მეგობარს.  
შეურაცყოფა მოგაყენე? გამამტყუნე და გამამხილე, დამარიგე! თქვი რამე! შენ ხომ შეგიძლიან ჩვენსავით ლაპარაკი, მუდამ ჩემ წინ რათ როხავ? მძავს და მეზიზღება ასეთი შიში, სიმხდალე, ეს ხომ იცი შენ! თქვი მამაჩემი მტარვლია თქო! თქვი - მამაჩემი მტანჯავს, ჭკუიდანა მშლის. კვალ და კვალ მდევს, როგორც ეშმაკი თქო. მაგრამ მითხარ პირში!! მითხარ როგორ გავისწორო ხასიათი. პატროსან სიტყვას გაძლევ, რომ ხასიათს გამოვიცვლი, გავსწორდები. ან იქნება ჰფიქრობ, რომ მე ყველაფერში მართალი ვარ?

**არნოლდი.** (ძალიან გულგრილად) მეგონი რომ მართალი ხარ.

**კრამერი.** კარგია, თუ ეს შენი აზრია. მაგრამ ნუ თუ შენ არ გინდა შეეცადო, რომ გამოსწორდე? არნოლდ, აი გაძლევ ჩემ ხელს. აჰა ჩამომართვი — მიინდა დაგეხმარო. მიმიღე ამხანაგათ, მიმიღე მეგობრათ მეთორმეტე ჟამს. მაგრამ, არნოლდ, კიდევ დადგა ეს მეთორმეტე ჟამი. მოიკრიბე ძალი-ლონე და შეეცადე, რომ ამალდე. მოწადინება გინდა, რომ საქმე აღვილათ გაკეთდეს. გაუკეთესოებისაკენ ერთი ნაბიჯი გადადგი, მეორე და მესამე თავის თავად გადაიდგება. გინდა? ჰოო? არნოლდ, გინდა გასწორდე?

**არნოლდი.** (ვითომ და გაკვირვებით) მერე როგორ?

**კრამერი.** ყველაფერში! ჰოო?

**არნოლდი.** (მწაჩეთ და რაზრფანთ) საწინააღმდეგო არა მაქვს რა. რატომ არა. ჩემი მდგომარეობა მაგრე რიგათ არც მე მომწონს.

**კრამერი.** ეგრეც უნდა იყოს. მაგას კი დავიჯერებ. შენ ვაკლია შრომის კურთხევა არნოლდ, ეს კურთხევა შენ უნდა





მოიხვეკო. (იღებს ბეთსეფანის ნიღაბს) აბა, ერთი კარგათ დაუკვირდი ამ ნიღაბს. იქნება შენა გგონია, რომ ის ლამაზი იყო? ნუ თუ შენი პატივ-მოყვარეობა იმაში მდგომარეობს, რომ კობაქია ქარაფშუტობა ინატრო? ან იქნება ჰფიქრობ, რომ ღმერთი ზურგს გაქცევს, იმიტომ რომ ბეცი და ცული ტანადობის ხარ? შენში შეიძლება იმდენი სიმშვენიერე იყოს, რომ ყველა ფრანტები შენ წინაშე ლატაკებად გამოჩნდნენ. არნოლდ, აი ჩემი ხელი! გესმის? მენდე ეხლა მაინც. თავს ნუ მარიდებ. ნურას დამიფარავ. შენთვის გეუბნები, თორემ ჩემთვის სულ ერთია გუშინ შენ სადაც იყავ; მაგრამ ერთი ეს მითხარი. გესმის, შენი გულისთვის. იქნება ეხლა მაინც გაიგო სწორედ რა ადამიანი ვარ! მაშ აბა სთქვი, გუშინ ღამ სად იყავ?

ფითრდება. შემდეგ ფარული ბრძოლას) მისი გითხარი, მამავ!

**კრამერი.** მე დამავიწყდა, შენ რაც მითხარი. მაშ აბა თქვი სად იყავ? არ გესმის? იმიტომ კი არ გკითხავ, რომ ამის გამო შენი დასჯა შეწადოს. მხოლოდ სიმართლის გულისთვის გკითხავ. გამოიჩინე სიმართლე,—და მეტი არაფერი მინდა.

**არნოლდი.** (ჭოუტათ და თავსედათ) მე მაინც ალფრედ ფრენკელთან ვიყავ.

**კრამერი.** ჰოო!

**არნოლდი.** (გაუბედავთ) მაშ სად ვიქნებოდი?

**კრამერი.** შენ ჩემი შვილი აღარა ხარ. შენ არ შეგიძლიან იყო ჩემი შვილი!.. წადი, წადი! მეზიზღები! გული მერევა, რო გიყურებ!

(აჩნდება საჩქარათ გადის).

ი. გომელაური.

(შემდეგი იქნება)

**არნოლდი.** (გაჩუქდება. საშინლათ გა-

## ძველი პერკი

(ი. მეუნარკიას)

**კერპი** ძველთ-ძველი, ნახავს-ნაობი, სულ ერთიანად გავაცამტვერე და განაჩენი მის მოსასპობი ჩემივე ხელით მევე დავწერე!

და ქვეყნის დეზმა,—ცხოვრებამ რა-კი იცვალა გეზი, იცვალა ფერი,— მეც სულ ახალი შევქმენ ქანდაკი, სულ მთლად ახალი, დროს შესაფერი!

მსურს საიდუმლო რამედ ვაქციო ქანდაკის აზრი და გამოცანა,—

რომ ვერ სცნონ: სით ჰქრის ახალი სიო და თავს იმტვრევდეს მთელად ქვეყანა! —

რომ ბევრი ითქვას და დაიწეროს შეხლა-შემოხლა აზრთა იდიდოს, თუ აზრმა დენა ვერ შეაჩეროს, მაშინ თვით მაზე ხიდე გაიდოს!

კერპი ძველთ-ძველი, ნახავს-ნაობი, სულ ერთიანად გავაცამტვერე და განაჩენი მის მოსასპობი ჩემივე ხელით მევე დავწერე!

ლადო გეგეჭკორი.



# კითხვა

ცისკრის ვარსკვლავს მოსხლტა სხივი,  
სხივი ცეცხლად აგზნებული;  
ზღვის ბნელ უფსკრულს ჩაექარგა,  
ოქროს ზოლად ჩავლებული!..

სხივმა ფიქრი წარიტაცა,  
შავი ფიქრი ყარიბ გულის  
და ზღვის ტალღას შეუერთა—  
მძებნი აწმყოს დასასრულის...

მიჰქრის ტალღა, ზღვა ბობოქრობს—  
შენამკობი სხივთა კდემით;  
მიჰქრის ფიქრიც აზრთ მორევში  
იმედის და ეჭვის გემით!..

ჩაჰქრა სხივი განთიადის!..  
ამოცურდა მზე დიადი,—  
ცეცხლი მოსდო მთლათ სამყაროს,  
უფსკრულს ჩაჰკლა ბნელ-წყვდიადი.  
ცის ედემის დარ წალკატში

ტყის მგოსანი შეჰყეფს ვარდსა;  
კუკურია-კი გაუშლელი  
ელის ახალს განთიადსა...  
—

...კვლავ დაბნელდა!.. — ცისკრის ვარ-  
მოსხლტა სხივი აღგზნებული [სკვლავს  
და კვლავ ახალს განთიადს  
მიულოცავს ვარდს ბუღბუღი!..

სხივმა ფიქრი წარიტაცა,  
დაატყვევა კითხვამ გული:  
—სად, სად არის ჟამთა ბრუნვის  
დასაბამი, დასასრული?!—

მიჰქრის ჟამი, ზღვა ბობოქრობს—  
შენამკობი სხივთა კდემით;  
მიჰქრის ფიქრიც აზრთ მორევში  
იმედის და ეჭვის გემით!..

ილ. გოგია.

# დნეპრის პირას

(უძ. ნიკა მაჭავაცხაძის)

ღამეა. ფიქრთა აღფრთოვნებისა  
ცელქი ნიავი ლაღად დაჰფრინავს,  
გადახარკულსა მდინარის ზვირთში.  
დაღალ გაღმომულილ მთვარესა სძინავს.  
წალკატ-ბაღნარი ვარდ-ზამბახ-ით  
და ცა ვარსკვლავთა ტკბილ სიმფონიით  
დნეპრის სულმნათის  
მგოსნის საფლავსა  
უწნავს გვირგვინსა  
უხრწნელს, უკვდავსა.  
მე კაემანით გარემოცული,  
სამშობლო მხარეს მოშორებული

მარტოკა ვდგევარ სერზე მღუმარი,  
დაწვზე გაღმომჩქეფს ცრემლი მღულარი.  
სამხრეთის ცაზე ღრუბელს გაწოლილს,  
სნეულისავით სახე გაცრეცილს  
თვალს არ ვაშორებ... მივსდევ ფიქრებით,  
ვესაუბრები მთრთოლვარე ხმებით:  
„ნისლო, ჰე, ნისლო, მშობელ ქვეყნის მთებს  
„ზურმუხტის მდელიოს, წალკატ-ქალაქებს  
„გარს ევლებოდი, გულში ეკვროდი,  
„ნანინას წყნარად ეუბნებოდი.  
„მაქრვი: რომ ტკბილად ეუბნებოდა,





საგარეო  
კავშირების  
მინისტროს  
განყოფილება

„სატკბილ-ოცნებო ფერიათ გუნდი  
„ხომ ნახ გალობით ესიზმრებოდა?..“

მესმის:

წუთსაც არ ესვენებოდა,  
მტერი მარადის ეჩვენებოდა,  
ულმობლად დანთქმას ემუქრებოდა,  
ჰქუხდა ჰგმინავდა  
შავ-სხივთ მფრქვეველი,  
სწუხდა... ჰგმინავდა  
ლამის მთევველი...

\* \* \*  
ლამეა, ლამე აღფრთოვნებისა,  
ანცი ნიავი ლალად დაჰფრინავს,  
დნებრის მტრედის ფერ ზვირთთა ლივლივში  
სხივებ გადმოშლილ მთვარესა სძინავს.  
მე კი კვლავ ვფხიზლობ... განამწარები  
ხან მუდარებით, ხან რისხვით დავჰქრი...  
შავო ყორანო, მშობელ ქვეყანას  
ცოვ-ბნელ სამარეს ნუ, ნუ გაუთხრი...  
**დ თურდოსპირელი.**

ქ. კაჯვი.

## ჩემი მხარე

**მ**ცნებით შეჰქმნილ სამყაროს, ოცნებით შექმნილ მხარესა,  
შორეულ სალამს მიუძღვნი დიად მზეს, შუქ-მფენ მთვარესა!..  
ვარსკვლის ციმციმმა დასერა შავი ღუმილი ლამისა,  
ცისკარმან აღმოსავლეთი—მანტია დღიურ ჟამისა!..  
დაობლებულო მიდამო, დაობლებულო მხარეო,  
შორით მოცურავს მნათობი, ნახე და გაიხარეო!..

\* \* \*  
მთის მწვერვალოს ნისლი ბურავს, მზის ისარი არ სწვევია,  
ელოდება მძლე განთიადს, ნისლს გადარეკს დღის მღვევია!..  
მაღალ სივრცით მოჭრილ გვირგვინს, ლამაზ გვირგვინს მაღალ სივრცის,  
თავს დაიდგავს ჩემი მხარე, მთვარე ამბობს, მზემაც იცის!..

\* \* \*  
ოკვანეს ვინ, ვინ დასძლევს ზვირთებს წინ ვინ აღუდგება?  
ქვეყნად მტოკავ ტალღათ გროვას, ვინ დაამსხვრევს, ვინ იქნება?..  
შორით მოჭრილ სხივთ ციმციმში ნათელს ბინა უზოვნია,  
დღეს ვინ დაძლევს? ლამის მღვევი?—არ იქნება, ნუ გგონია!

\* \* \*  
მაღალ სივრცით მოჭრილ გვირგვინს, ლამაზ გვირგვინს მაღალ სივრცის,  
თავს დაიდგამს ჩემი მხარე, მთვარე ამბობს, მზემაც იცის!..

**გელა.**



# ელეგია

ბნელმა წყვილიაღმა,  
 მამცნო სიკვდილი  
 რიყედ გამრიყა,  
 ცხოვრების შვილი...  
 გაღმემტვრა ქნარი;—  
 შეება გულისა,  
 გამიწყდა სიმი, —  
 სინანულისა...  
 ახ, საღ ვეძიო,  
 მე ნავთ-სადგური,  
 ახ, შეების აჰნგსა,  
 საღ მოვკრა ყური...  
 ვინ სთქვა, იშვებდეს,  
 ერის მგოსანი,  
 ვინ სთქვა: ჰყვაოდეს  
 ველად სოსანი...  
 ვინ სთქვა: დადგაო,  
 ცხოვრების ხანა,  
 ვარდით გაივსო,  
 მთელი ქვეყანა...  
 არა, ვერ ვუმზერ  
 მდღელოზე იას,  
 საღგურის კარებს  
 ვერ ვხედავ ღიას...  
 ყვაველი ველად  
 ჩემი არ არი,  
 მას პატრონი ჰყავს  
 პირქუშ-მედგარი!..  
 სული მომიკვდა,  
 სული შვებისა

ალარ მაქვს აზრი  
 — ქანდაკებისა...  
 რითმათა გუნდი  
 თავს არ მეფლებს,  
 ობოლი თვალი  
 ცრემლით სველდება!..  
 სამსხვერპლო ტრაპეზს  
 მოჰშორდა ალი,  
 იქ ველარ ვბოვო,  
 მე ნაპერწკალი...  
 ვინ მომალხინოს  
 ობოლი მწირი,  
 ვინ მომაშოროს  
 თავიღვან ქირი...  
 „ობოლი, ობლად,  
 მარად ჟამს ვვლიდე,  
 და მოცემულს ბედეს  
 არა ჰყვედროდე!..  
 მესმის ეს სიტყვა,  
 სიტყვა გრძნეული,  
 სევდად ყურებთან  
 შემოჩვეული...  
 საღ არის ჩემთან  
 ვარსკვლავი, მთვარე,  
 ჯანყით მოცულა  
 მთლად არე-მარე...  
 საღ არის, საღა  
 სიყრმისა ჟამი,  
 საბედნიერო,  
 ნეტარი წამი!..  
 გ. ლეონიძე.





# ნიავე რას მეჩურჩულები?!

ნიავე, რას მეჩურჩურები, რას უბნობ ნეტა?! მამცნებ იმას, რომ „ორგულობა, შური—სიმუხთლე ადამიანთა მოისპობა!?!—ნუ თუ ამას ჩურჩულებ! მწადს, შენს ჩურჩულში სწორედ ეს სიტყვები ამოვიკითხო და იყოს სინამდვილე და არა მხოლოდ ჩემი ოცნებისაგან გამოწვეული მოლანდება.

არა მსურს ჩამაქროლო ყურში საიმედო სიტყვა, საიმიტომ ამიძგერო გული და საჩქაროდვე ჩამიქროლო გვერდით და თანვე წარიღო, მე კი ისევ ნაღვლიან ფიქრებით დამტოვო.

აი, ამ ჩემ სიტყვებზე შენ საჩქაროდ აფრიალე აქოჩვრით ჩემი რვეულის ფურცლები, რომელიც ხელთ მიჭირავს, და თითქო ჩაიკაკანესო ფურცლებმაც: „ნუ სთვლი ოცნებათ იმას, რაც ნამდვილ უნდა მოხდეს. დიახ, ნიავეს მოაქვს დღეს კარგი, კარგი ამბავი! ნიავემა გადასწყვიტა—ნავაფთან, ქუჩის მტვერთან ერთად წაჰგავ—წალეკოს ისინიც, ვინც სანაგვე გოდორს მოგვაგონებენ,—რომლებიც ცდილობენ ძირ გამოთხრილ გოდორის მსგავსად,—სპეტაკ ადამიანთ—უსუფთაობა ნავაფი შეაფქვიონ... შურიან ხასიათის გამო რომ ცდილობენ მკბენარებათ გადიქცენენ.

„გჯეროდეს, მოისპობა შეუგნებლობა—მტრობა და დადგება ისეთი დრო, რომ დაშთებიან მხოლოდ რჩეულნი,“ ახ, რა კარგია ამის მოსმენა! რა საამოა ამ ფურცლების და ნიავეს ერთად შეწყობილი შრიალი!

ნიავე მპირდება შეიტანოს სასიკეთო ცვლილება ჩვენს ცხოვრებაში!.. თანაც საამურად მეცაცუნება, მიწეწსმ იბურდნის

თავზე თმებს და, თითქო სწადს ჩამთვლი-მოს, რომ სულიერად ცოტა ხნით მაინც მომასვენოს... აი... მთვლემს კიდეც... მოისმის ჩუმი, თითქო გაუბედავი ბუტბუტიც აქვე, ახლოს წყნარად მიშავალ მდინარის პაწია ნაკადულისა, —ნელო, შეუმჩნევლად მიცქრიალებს მზისაგან ვერცხლის ფრად აციმციმებული და თითქო, არ უნდაო ვისმე შეენიშვნინოს პატარა კენჭებზე, ჩუმის ხტუნვით—მიილტვის წინ. ისიც ცდილობს ჩარეცხოს თავის ნაპირები, წალეკოს—წარიტანოს თან, თუ სადმე უშნო, უსუფთაო რამ ჩაჩხირულა, რომ ყველგან, თავის გარშემო სისპეტაკე სუფევდეს! დათენთილ საძილეთ მილუღვილ თვალებით ვუცქერი მას... ნიავე, მზის სითბოსთან ერთად პარმონიულად შეზავებული—მესალმუნება და გამოურკვეველ ბურანში მახვევს, ტკბილ ძილსა მგერის..

ნიავე განაგრძობს ჩურჩულს... ფურცლები რვეულისა გაჩქარებით ფრიალებენ, წყალი რაკრაკებს, ხის ფოთლები საამურათ შრიალებენ გაუგიათო თითქო ნიავეს გადაწყვეტილება და უხარისთ!—შტოების რხევით ცდილობენ ხელის მომართვას!

აჰ, რა საამოა ასე გარინდვით ყოფნა თავისუფალ ბუნებასთან—მხატვრულ მთა—ველ-მინდორთა შორის!.. ნიავეთან ერთად შენც მიჭირხარ სივრცეში... ნიავემა აგიტაცა მალლა, გაგტყორცნა შორს—წვრილმან, ღუხჭირ ცხოვრებიდან, რომლის სიდუხჭირე არც შეიძლება ამ დროს გაგონდებოდეს!.. შთაგბერა რაღაც ზეაღმტაცმა ძალამ ღვთიური სხივი, გაგიტა-



საქართველო

ცა შორს, დავაშორა დროებით—უმაღლურადამიანთა ბრბოს და განმარტოებით ბუნებასთან დაგახლოვა, სადაც გავრძობინა სულის სიმშვიდე.

არ ვიცი, რას ნიშნავს ეს გამოურკვეველი მდგომარეობა და, ამ წამს კი, მე ბედნიერიცა ვარ და ძალიან, ძალიან უბედურიც! მეტირება და არა ვტირი, ვიმედოვნებ სრული სიმშვიდე სიკვდილში ვპოვო და მიხარის კი, რომ ჯერ ისევ ქვეყნად ვარსებობ, რომ ვჭვრეტ დიად ბუნებას! ისევ მივიღებ სასიკეთო მომავლისაკენ, გული კი მიკვნესის... მენატ-

რება სიკვდილი და იმავ დროს, უმწადად სიცოცხლეს!

ეჰ, ისევ შენთვის ჩამიბარებია ჩემი თავი, ნიაგო! შენთვისვე დამითმია როგორც —საზოგადოდ რთული ბუნებისა, ისე —კერძოდ ჩემი გამოურკვეველ ბუნებისაც—გამოცნობა!.. ნიაგო, შეუძლებელია ნამდვილად გაგება, თუ რას ჩურჩულებ!—მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ შენმა—ჩურჩულით მონაბერმა სიომ,—მხატვრულ ბუნებასთან განმარტოებით ყოფნამ—წამიერთათ მაინც—თუნდ გამოურკვეველი სიამოვნება მაგრძნობინა.

გულგატეხილი.

### უკანასკნელი ძახილი

„Отець, отець! нельзя ли миръ зажечь мечтами?“  
„Царь-голодь“. Л. Андреевъ.

ჭირველი სიმღერა, რომელიც სუგდის აკკორდათ აღმოცენდა გულის სიღრმიდან, სრულყოფილი მძლავრი სულის უკანასკნელი ძახილი იყო... მე არ ვიცი ჟამი ჩემი დასაწყისისა არც დასასრულის! უაზრთა ჩემი ტრფიადი, რადგან იგი შესამთავრა აღსავსე, სიზმარივით მასსრულს, ოდეს ძლიერი სული ცეცხლის ნაკვერცხლით მომიასლოდა და ჩემ გულში გაანაღდა სიუარულის დაუშრეტი ალი; აი მაშინ... მხოლოდ მაშინ ვიცანი აღმავანი, ცა, ურუ ქვეყანა! და ჭა! მე მსურს დავიწვა ამ ცეცხლით!..

— ნუ მომიასლოდებოთ, თორემ თქვენ დაგწვამთ ჩემი სიუარულის ცეცხლი!..

— მე მინდა აზრი ჭქანდეს ჩემს ანსებობას! არ მინდა უმიზნოთ ჩაგვლა ჩემი სიცოცხლეს! აი, ვით მსურს მზე ვიყო, მზე, რომ ცხველ მუთუელი სხივებით გავანათო უოვე-

ლი კუნჭული ბნელით მოცულ ჭეშმარიტებისა!.. ნუ იტყვიოთ, რომ ჭეშმარიტება ცხადი იყო... მარტივი!.. იგი თქვენთვის მიუწვდომელია... თქვენი გონება უძლეულია და იგი ვერ ახდის მას საიდუმლოების ზეწას!.. ეძიეთ და მხოლოდ ძებნაში იყოთ, თქვენი ბედნიერება...

— მე, კი მე დავიდალე ამ ძებნით!.. თვალნი ჩემნი ავსენ ცრემლთა ნაკადით!..

— ჭა! ვით მსურს ვიყო თავისუფალი... თავისუფალი ისე, რომ არ ვგრძობდე ცნობების სიმწარეს!..

— ჭა! ვით მსურს ვიყო ბრმა, რომ თავლათა ჩემთა არ შეხედონ სხვის ტანჯვას.

— ო, ვით მწუერია დამეხშოს სმენა, რომ არ მესმოდეს სხვის ოხვრა... ტირილი!..

—...დამის სიბნელე ჩამოწვა. სამოთხის





მზგავსი ანუ-მარე დაინრდილა ღამის ბინდით!  
 ჭა! ორბი ფრთათა ბარტუენით მისწედა თა-  
 ვლიან მწვერვალს და მისძებნა ბინა თვისი.  
 ტუის უფსკრულით გამტკრილი მთის გამო-  
 ძახილი უხმოდ მიკვდა მდინარის პირად და  
 ანე კვლავ მუედრებამ მობრვა. ესლა უფრთ  
 გარკვევით მისმა ღამის იღუმალებში მწუ-  
 ხრულ ჭანგზე სათანაელის სიმღერა... ო, ეს  
 სიმღერა... რა რიგ მიყვარს მე იგი.. ასე  
 ღრმად, აღბად იმიტომ მწვდება გულს, რომ  
 იგიც ჩემ სულსავით ნადვლიანია!.. არასოდეს  
 ასე არ შემეყარებია ეს სიმღერა, რეგორც  
 დღეს!.. ჩემ სულს წეურია ნადვლი და იმი-  
 ტომ!.. თქვენ იცნობთ ჩემ ნადვლს!.. ო,  
 თქვენ ვერ იცნობთ მას!.. თქვენი სული არა-  
 სოდეს არ ყოფილა შეყვარებული და იმიტომ!  
 თქვენ სულს წეურია ბედნიერება, ისე რა-  
 გორც ჩემ სულს ნადვლი და თქვენ არ გე-  
 სმით ბედნიერება.. გინდათ იცოდეთ რა არის  
 ბედნიერება?..—ბედნიერება არის თავისუფ-  
 ლება. თუ გსურთ იყოთ თავისუფალნი — დაჭ-  
 გეთ ყოველი მიწიერი. დაუმორჩილეთ ხორ-  
 ცის უზრთ ვნება სულის უმაღლეს მისწრა-  
 თებათ და თქვენ ამაღლებით ყოველ ბიწი-  
 ერზე და მამაკვდავზე. შეიქმნებით სხეტაკნი  
 ვით ჭავლი ტბისა.

— მე ვეტრფი თქვენში ამაყ სულს!.. იყ-  
 ვით ამაყნი, რამეთუ თქვენ არა ხართ დანა-  
 შაულნი თქვენს ტანჯვაში!.. იყავით გულ-კე-  
 თილნი და მწყალენი. იყავით მშვიდნი. ვით  
 უმანგა კრავი. და შემბრადებულნი ვით მამა  
 ზეცაერი... მე მინდა გინილოთ თქვენ

სრულ-ყოფილნი და ამაშია ჩემი მინდა-  
 ველი!.. რად აღმართულა ცხაკრება ჩემი  
 გონების თვალის წინ სთენქისის უთქმელი  
 ამტანად?.. რად არ ძალ მიძს გაგმარტო  
 იგი?.. რად არ შემწვევს ძალა ეველათრის სა-  
 იღუმელს ჩაწვდა და ეველათერი ნათელ  
 ვეო... რად სდევს ჩემ სიტტონს სემების  
 ჩრდილი? რად მეჩვენება, რომ გარემოს აზრი  
 არა აქვს?..—ჩემ სულს სწეურია ეველავება  
 და მეც ვქრები ღამის სინთელეში, რომ მზის  
 ამოსავლისს ხელ-ახლად ვიშვა!..

— დღეს მე სეკდა მწვია!.. სეკდა, რომ-  
 ლის გამთქმა არ შეიძლება უძღური სიტ-  
 უვით!.. იგი მძლავრია ვით კლდე და ღრმა  
 ვით უფსკრული. ჩემი სული ფარვანას მიაგავს,  
 რომელმაც იგრძნო საშინელება სიეფრულის  
 აღისა, მაგრამ მაინც არ გაურბის მას! მე ამ  
 სიეფრულში ეველავებას ვეზიარე და თუ  
 თქვენ არასოდეს არ გეყარებიათ — არც განგი-  
 ცდიათ წუთი მარადისობისა!.. მარადისობა  
 მწეურია მე და რად ვარ მამაკვდავი?.. ბრმა  
 არის ჩემი მისწრათება და მეც მივუვები მას,  
 — ვით ქარიშხლის მძლე ფრთებს ოკიანის  
 თვალ-უწვდენ სიფრცეში გზა დაბნული ნაფი!  
 და ასე მუდამ: ძებნაშია ჩემი ბედნიერება...  
 მასშია ჩემი მისწრათება!

...პირველი სიმღერა, რომელიც სეკდის  
 აკვარდათ აღმომხდა გულის სიღრმიდან სრბო-  
 ლით მოღლილი სულის უკანასკნელი ძახილი  
 იყო!..

ვ. ვორგაძე.







ქართული  
წიგნების  
კავშირი

# ვაჟა-ფშაველას

მისი ლექსის გამო: „ვინ არის კაი ყმა“

შენ იმას თვითონ ბრწყინვალე  
ამკობ ქებათა-ქებითა  
და კვლავ სამეტოდ „კაი ყმის“  
პრთავ სხივ-შარავანდელითა.

მაგრამ იმ ხოტბა-შესხმასა,  
რახან „კაი ყმა“ ყოფილა,—  
უნდა დავჰძინოთ, რომ მასთან  
დიდი დარდაკიც ყოფილა\*).

თორემ ჩვენს დროში კარგ ყმობას  
ვინ იზამს ტუტუტის მეტი?  
და ვინ შეაქებს ამისთვის  
ძველის თათქარიძის მეტი?

ბაჩანა.

\*) დარდაკი—გამოჩრჩვებული.

## ამაოდ ლოდინი

ედღვის ა. შანშიაშვილს

„ახ, რადემდის ცრემლი ვდვარა,  
ახ რადემდის ვიფაგჯახა?!“

სოლხეთის ტურფა ასულო, შენ, რომელმაც ჩამიდგი სული უკვდავი და მომეძალა არსებობისა; მოუთმენლად გელოდება, შენგნივ ტყვეთ ქმნილი, გული ჩემი.

მშვენიერო! ვინ მიხვდება, თუ რა ძნელია ლოდინი! ვის არ უგრძენია თავი თვისი მოლოდინში! ცელქი ნიაფი, რომელიც გარს მევლება, შენი პირთავან ნასუთქი ჰაერი მგონია და შენს მოახლოებას მანიშნებს...

ბალახთა და ფოთოლთა შრიალი, შენი ტანის რხევისაგან გამოწვეულ ხმაურობას მაგონებს.. შევცქერი ოთხივე კუთხეს და არსად სჩანს შენი სახე, შენი მშვენიერება.

ჩემო სიცოცხლე! რათ არ ინახულიე აქობამდის შენი მავედრებელი, შენი მლოცავი, რომელმაც ცრემლთა დენა დაისაკუთრა? მე ვწყევლი წყვდიად ღამეს, რადგან აღარ მიშუქებენ, ბნელაში მანათობელ ვარსკვლავივით, შენი თვალები... ვკრულავ მარტოებას, რადგან შენმა ლო-

დინმა დამისაკუთრა მწარე სევდა, მწუხარება, სულის შფოთვა, სივაგლახე! რად იგვიანებ რად, სად არი ბინა შენი?.. სად ჰპოვებ შენს მგზავსებას, ჯერ ხომ მიწის არ უნახავს შენი შესადარი!.. იქნება რომელიმე ბოროტი ხელი შეგეხო და შეაჩერა შენი ჩემდამი სწრაფვა... არა! ვინ გაბედავს, ვინ გაუძღვებს ჩემს რისხვას, მას ხომ მიწის მკერდზე ბინა არ ექნება.

ყველაფერს ნაცარ-ტუტათ ვაქცევ, ჩემო სიცოცხლე შენი თავისუფლებისათვის.

ჩემი წყევლით, ხშირათ, თვით მიწა და მზეც კი იღუშება ხოლმე, რომელნიც პირველი შენ ფეხის გულის ჰკოცნის და მეორე ხუჭუჭა თმებს.

იქნებ, პირველი ჩემი მუდმივი მტერი, მიწა, მისწვდა შენს უმშვენიერეს დაწვეებს და სამუდამოთ მკერდში ჩაგიკრა... ან იქნებ, მზე სხივოსანმა შორით ვეღარ გაუძლო შენს სიკეკლუცეს და ზე აგიტაცა?

— არა! ეს შეუძლებელია...





მე შენ მოგელი, ჩემო მშვენიერო, და  
მწამს კვლავ მინახულებ, კვლავ დამიბრუ-  
ნებ სიამეს... საცაა ლურჯ ფოთლებში  
გამოჩდება შენი მშვენიერება...

მალე, მალე დამენახე და მომფინე სი-  
ხარული!...

მწარეთ ბუტბუტებს ჭაბუკი, თვალ

კრემლიანი გასკქერის ოთხივე კუთხეს  
და ელოდება კოლხეთის ტურფა ასულს,  
მაგრამ ამაოა ლოდინი მისი...

— ასული იგი, ტყვეთ ქმნილი, ბნელ-  
სა და ნესტიან სენაკშია გამოწყვდელი  
და ელის თავის მხსნელს.

ზ. ვაშაძე.

\* \*

**3**ოეტს ლერმონტოვს საწყალსა  
ის ჰქონდა სანუკვარადა,  
რომ მომკვდარიყო, მის ლეშსაც  
გრძნობა ჰქონიყო მარადა \*)

მე კი რომ საფლავში ვიწვე,  
ზედ ლოდი მედვას შავადა,  
ღმერთმა დამიხსნას, რომ გრძნობა  
მქონოდა გულსაკლავადა.

მერჩივნა ჩახმობ, ჩაღბობა  
მგრძნობელს ტყუილად გდებასა,  
თუ ველარ ველირსებოდი  
სამშობლო მიწის ხედვასა.

ღიახ! ჰჯობს დაჰრჩეს სიკვდილსა  
თავისი უღმობელობა  
და მკვდარსა მიწის წიაღში  
თავისი უგრძნობელობა.

თორემ კუბოს და მიწაში  
იმას რა გააჩერებდა?

აკვნესდებოდა და ისეთს  
ცოდვებრალს დააყენებდა,\*\*) )

რომ მიწაც გულგახეთქილი  
ზეზედვე ამოაგდებდა...

განა ვის უნდა სიკვდილი,  
არ გრძნობა არაფერისა?

ვნების დაკარგვა, სამუღმოღ  
გაწირვა თავის ერისა.

ამაზედ მოთქმა საწუთროს  
სხვაცა ჰსმენია ბევრისა,  
მაგრამ სად არის წამალი  
ამ საზარელის ხვედრისა?

ვინ არ მომკვდარა? სამისოდ  
ერთი დღე ვის არ ჰვალავო?  
ვინ იხსნა თავი ქრთამითა,  
ვის გაუვიდა ძალოა?  
ან მეტის ტირილ-წუწუნით  
თავი ვინ შეაბრალაო?  
ვინ გაეხვეწა გაქცევით,  
ან სად ვინ დაემალაო?  
არას დაგიდევს სიკვდილი,  
წაგვასხამს დღეს თუ ხვალაო.  
მაშ როგორ უნდა სიკვდილი  
ზიზლით, თუ ტირილითაო?

— ვაჟაკს ზიზლით და გულგრილად  
ღიაცას წუწუნითაო. \*)

უკვნესრად მომკვდარს ვაჟაკსა  
არც უნდა ზიარებაო.

კაცის გმირული სიკვდილი  
უფალსაც უამებაო.  
დავიხოცებით? — რა ვუყოთ!  
ახლა სხვა გაიზრდებაო.

ბაჩანა.

\*) მარად — სამარადისოდ.

\*\*) ცოდვა-ბრალს — საცოდვობა.

\*) ღიაცა — კნინობითი სახეობაა სიტყვისა  
„ღიაცი“. ლაჩარს ფშავში სხვათა შორის „ღი-  
ცასაც“ უხმობენ.



## შინაური მიმოხილვა

შარგა ხანია ქართულ სკოლებზე ასეთი ძლიერი იერიში აღარ მოუტანია ჩინოვნიკობას, როგორც მოიტანა ამ უკანასკნელ დროს... ამ იერიშის მიზანია რამდენათაც შეიძლება შეასუსტოს ჩვენი ეროვნობის უმთავრესი იარაღი და ძალა — ქართული ენა. იმათაც კარგად იციან დიდებული უშინსკის აზრი: „მოკვდა ენა, — მოკვდა ერიო“ და ამიტომ ჩვენი ერის სიკვდილის და გადაგვარების მსურველნი მოდიან თავგამეტებული იერიშით სწორეთ ამ დედა ბოძის წასაქცევათ, ქართული ენის ჩასახრჩობათ... მაგრამ ტყუილად ლაღობენ რეაქციით წაქეზებული ჩინოვნიკები, რადგანაც საქართველოს ხალხმა, რომლისათვისაც მეტად საჭიროა და ურომლისათაც მართლაც რო სიცოცხლე არ შეუძლიან, — კარგა ხანია განაცხადა თავიანთის წარმომადგენლების პირით რუსეთის დიდებული ტრიბუნიდან ყველას გასაგონათ, რომ ქართველ ხალხს, როგორც ყველა კულტურულ ერს სურს სწავლა მიიღოს თავის დედა ენაზე... ეს ასეც იქნება, რადგანაც ქართული ენის და მასთან ქართული გონების და აზროვნების ჩაკვლა ჩინოვნიკური ხრიკებით ფუჭი ოცნებაა და როგორც ღამის ჯანდი მზის ამოსვლისათანავე განიბნევა სიბნელის მოყვარულთა შესარცხვენათ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ

ყველაზე მეტი იერიში წილად ხვდა ქუთაისის გუბერნიას!.. აქ ორივე უწყება თითქო ერთმანეთს ეჯიბრება. — აბა ვინ უფრო მაგრათ ჩასწიხლავს მოწაფეთა დედა ენასო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისევ სასულიერო უწყებამ ისახელა თავი და დამარხული ვოსტორგოვის პროგრამა ამოატივტივა ცხოვრების ზედა პირზე... სხვა მხრივაც არის საყურადღებო ეს შედარება: საერო სამოსწავლო მთავრობას თუ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ქალაქის (ქუთაისის) და ზოგიერთა მასწავლებელმა, სამაგიეროთ ქუთაისის ეპარქიალურმა სამასწავლებლო სამკომ ქედი მოიხარა სკოლების მეთვალყურის წინაშე და დასტური მისცა ახალთაობის დამამხინჯებელი პროგრამა ცხოვრებაში გაეტარებია...

ეს სამწუხარო ამბავი მთელმა საქართველომ იცის, მაგრამ იმ ვაუტატონების სახელი და გვარები ჯერჯერობით არსად არ ყოფილა გამოცხადებული, რომ შთამომავლობამ ღირსეულათ დააფასოს მათი ღვაწლი ახალი თაობის წინაშე... ჩვენ მოვითხოვთ ქუთაისის ეპარქიალური საბჭოს წევრთა სახელისა და გვარების გამოცხადებას.\*

კოწოლაური.

\*) ვოსტორგოვის პროგრამის შესახებ წერილს შემდეგ ნომერში დავსტამბავთ.  
რედ.



# ახალი ამბები

◆ „Рус. Слово“-ს დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდან: ქართულ სამ სკოლებს დაუგზავნეს ახალი სამოსწავლო პროგრამა, რომელიც გამსჭვალულია გარუსების ტენდენციით. ეს პროგრამა შეიმუშავა ფოსტოვროვმა საქართველოში ყოფნის დროს, რამდენსამე ხანს გაუქმებული იყო, ძაგრამ ეხლა ისევ აღადგინეს. („სახ. გაზ.“)

◆ იმავე გაზეთის ატყობინებენ: „განათლების“ საზოგადოებამ ნება აიღო 10 სექტემბრიდან გახსნას სამხატვრო სხელოსნო ქალთა სკოლა, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროს.

◆ ქუთაისის გუბერნიის პირველი რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორმა გროზდოვმა სოფლის სკოლების მასწავლებლებს მისწერა, რომ რუსული ენის შესასწავლათ შემდეგი სხეულმდგანელები შემოიღონ: პირველი ნაწილი ი. გოგებაშვილის „Рус. Слово“, მეორე ნაწილი გრიგორევის და ოლეინისა და შემდეგ ზედგინიძის და ჯაფარიძისა.

◆ წელს პირველ-დაწვებითი სასწავლებელი გაიხსნა დ. ონსა და სამტრედიაში. ასეთივე სასწავლებელი, ხოლო ქალებისათვის გაიხსნა დ. ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა ხარჯით.

◆ იმავე დაბა ჭიათურაში გაიხსნა დაბალი პირველ-დაწვებითი სასწავლებელი, ოთხ განყოფილებაანი, ხსენებული საბჭოს ხარჯით.

◆ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ამ ზაფხულს ჭიათურაში გახსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო ძალიან მოხერხებულ ადგილას დ. გაჩეხიძის სახლში. სამკითხველო მშენიანებათა მოწყობილი და ელექტრონიკის არის განათებული.

◆ თამბაქოს ქარხნის პატრონი ხმოსანი ა. ა. ეფენჯიანტი თავის ქარხანასთან ორ კლასიან სკოლას აარსებს ქარხანაში მომუშავე-

თა შვილებისათვის. სკოლაში სწავლა უფასო იქნება.

◆ სექტემბერში ს. ამაღლებაში გურიაში) აკურთხეს საქალებო ორკლასიანი სასწავლებელი. კურთხევას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

◆ ს. სუმბათოვის ერთ კლასიანი სასწავლებელი ორკლასიანთა გადააკეთეს.

◆ „თემს“ სწერენ ს. პატარძელიდან: წიგნთსაცავი, რომელსაც დათმობილი აქვს მშენიერი შენობა, ხუთი-ექვსი წელიწადია რაც დაკეტილია. აქამდის ვერ მოხერხებიათ საჭირო ნებართვის აღება, რომ ხელმეორეთ გახსნან.

◆ ზუგდიდიდან იწერებიან: აქაური სამკითხველოს საქმე ცუდათაა: მკითხველი ცოტა დადის, წვერთა რიცხვი კლებულობს, წიგნები ნაკლებათა აქვთ, რაც არის, არც იმას ჰყავს მკითხველი.

◆ „სახეგრის ბიბლიოთეკა-სამკითხველო უმწეო მდგომარეობაშია. სამკითხველოს „სახ. გაზ.“ ვერ გამოუწერია უსახსრობის გამო. მიწედა ხმები სამკითხველოსთვის საკუთარის შენობის აგების შესახებ. („იმერეთი“).

◆ 30 აგვისტოს ს. წყალტუბოში აკურთხეს აკაკის სახელობაზე გახსნილი ბიბლიოთეკა-სამკითხველო. კურთხევას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. („სიმ. ხმა“)

◆ ქ. შ. წ.-გ. ქუთაისის განყოფილებაში ნებართვა მიიღო ბიბლიოთეკა-სამკითხველო გახსნას ლეჩხუმის მაზრის ს. აღმანში და რაჭის მაზრ. ს. ამბროლაურში.

◆ 10 სექტ. ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა სადაძმოს კურსები გამართა.

◆ ქ. ქუთაისში ქალ. ყაუხჩიშვილის სკოლას მთავრობის სკოლის უფლება მიეცა.

◆ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში წელს მხოლოდ ორი ქართველი მიიღეს, ხოლო მიწის მზომელთა სკოლაში — ექვსი.



# რუსეთი

საბავშვო წიგნების გამოყენა კიევში

ჰელენ-კეი ამბობს: ჩვენს საუკუნეს უწერია „ბავშვის საუკუნედ“ გაჭნდეს.

შეიძლება ოდესმე გაუღიმოს ბედმა ზატა-რა ადამიანებს და ივინი გადაიქცნენ უყრად-ღების ცენტრად; შეიძლება ბავშვებს ხელ-სანი მასწავლებლების ნაცვლად ოდესმე მიუ-ჩინონ შემოქმედი აღმზრდელები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეჭვის თვალთ უყურებ თეო-რეტიკოს ქალის აზრს „ბავშვის საუკუნის“ თაობაზე. მართალია ჩვენ ძალიან შორს წა-ვვდივით, გაუსწართ იმ ძველ ქვეყნის მკვიდ-რთა შეხედულებას აღზრდაზე, რომელსაც ასე საუცხოოდ ახსნიან ერთი მაშინდელი თქმულება: თურმე როდესაც უბო-უკვლად დაიკარგებოდა ადამიანი— იტყოდნენ: ის ან დაიხრჩობოდა, ან მასწავლებლად წავიდო-და.

ღიად, გაუსწართ ასეთს შეხედულებას, მაგრამ არც ისე შორს წავდივით, რომ თავი დაგვიდგინო განათლების მინისტრის კასსოს შესაძლებლობისათვის; გარდა ამისა მართა-ლია ისიც, რომ რუსის ხალხის გენიის გა-მომხატველს „ასწავლა ზალიანა“-ში დაუხურეს სკოლა, სადაც სრულიად ახალს პედაგოგიკის პრინციპებს ხელმძღვანელობდნენ გლეხის ბავ-შვთა აღზრდის დროს.

ეს შეხედულება გაბათილების ნაცვლად უფრო გამომტკიცდა საბავშვო წიგნების გა-მოყენაზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

\* \* \*

საბავშვო წიგნების გამოყენის საქმე ფრი-ად ნაძრია. სულ სამი-ათხი წლის ისტორია აქვს. პირველი გამოყენა მიმართულია პე-ტრბურგში, შემდეგ მოსკოვში და ახლა კი-

ევში მოაწიეს. ეს გამოყენა ნაყოფის ორ სახედაგოგოა ურნადის; „Что и какъ читать дѣтямъ“— გამოდის პეტრბურგში და „Новости дѣтской литературы“— მოსკოვში.

ურნადთა მიზნისა დაეხმაროს საბავშვო წიგნების შეგნებულ ამოხვევაში ოჯახებს და სკოლებს, მთავარი ურადდება მიქცეული აქვს ბავშვთათვის (რომელთა წლოვანება 16 წელს არ აღემატება) გასვებად დაწერილ ახალ ლი-ტერატურას. გარდა ახლად გამოსულ წიგნ-ებისა და ურნალების კრიტიკულად განხილ-ვისა ამ სახედაგოგო ურნალებში იბეჭდება ძველი წიგნების განხვევა. ამ გზით ხელს შეუწყობენ ისეთის უდიდისი წიგნების გან-დევნას, რომელნიც ბლომადაა გავრცელებული და სამაგიეროდ საზოგადოებას ურადდება მიაქცევინებენ დაუმსახურებლად დავიწეებულ წიგნებს. ურნალებში იბეჭდება აგრედვე სა-ბავშვო ლიტერატურის თაობაზე საზოგადო წერილები \*).

ურნალების თანამშრომლებათ არიან საუ-კეთესო ძალები. ურნადის „Что и какъ читать дѣтямъ“-ის რედაქტორთან ელა-ჩინთან ლაპარაკი შექონდა. მე შევეკითხე: ქარ-

\*) ქართული საბავშვო ლიტერატურა რუსულ-თან შედარებით ძალიან უმწობას განიცდის. მართალია. რუსულ სახედაგოგო ურნალები-სთანაა ჯერ-ჯერობით ვერ დავაბრსებდით, მაგ-რამ საბავშვო ლიტერატურის კრიტიკულად გან-ხილვას ხომ შევძლებდით. ვინ იცის, რის თაო-ბაზე არა სწორენ ჩვენი კრიტიკოსები და აბა თუ ერთხელ მოიგონეს ის ლიტერატურა, რომელ-საც ყველაზე მეტი ყურის გდლება ესაჭიროება.

დ. თ.





თველებიდან რატომ არავინ მოვიწვევით, რომ ქართულ საბავშვო წიგნების მიმოხილვა მოათავსოს ხელში. ამ გზით ხომ თქვენ გაეცნობოდით ჩვენი ბავშვის ფსიხოლოგიას, ჩვენს წესსა და ადათს; ჩვენს ზეპირსა და კაზიმულ სიტუაციას და სხვაგვარად ხელფუნებს მეთქი.

რედაქტორმა მიხასუხა: რა თქმა უნდა ასეთს წერილებს ძალიან აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნებოდა. მრავალ ვურად-საღებს თქვენი საბავშვო ლიტერატურის ჩვენ შევიძინებთ, მრავალშიც ჩვენ დაგეგმავთ-დით.

გადმოვთარგმნიდით მხატვრულ ნაწარმოებს ჩვენს ვურნალებში, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ძნელია ამ განყოფილების ხელმძღვანელის შიგნით. რედაქცია თუ თვით არ გაეცნო მხატვრულ ნაწარმოებს, ისე ვერ ენდობა მის თაობაზე დაწერილ განხილვას. როგორ თანამშრომლებს მთელის წლებით ვეძებთ ხელში და მანც ვერ ვაბოულობთ.

იშვიათია ისეთი პედაგოგი ან მწერალი, რომელიც აცდებოდა იქნა ამა თუ იმ ტენდენციას. ტენდენცია კი უბირველესი მტერია საბავშვო ლიტერატურისა.

იმავე რედაქტორმა მითხრა: თქვენ კარგი მწერლობა გქვიათ. თუმცა მე სამწუხაროდ არ ვიცი ქართული, მაგრამ პეტერბურგში დაჯილდოვდით ქართული საუბარო წიგნები, გადავთარგმნე ქართული ცნობილი მწერლების პატარ-პატარა თხზულებანი და ნასამოყვებო დაგვრჩი. თქვენი ბავშვების ცა თან და თან უფრო გაშუქდეს იმისთანა მწერლების შემოქმედებით ნიჭის მქონებითა.

მან დარწმუნებოდა კიდეც მითხრა: თქვენ რაკი ისეთი ღამაზი და შინაარსიანი საუბარო ვურნალები გაქვთ—რადა თქმა უნდა სპეციალური ვურნალებიც გქვიათ. მე გულში მწარედ გამეცინა და მომგონდა. ერთად-ერთი ვურნალი „განათლება“, რომ-

ლის რედაქტორად, გამომცემად, გამომცემად და წარმოდგინეთ კორექტორად ერთი კაცი ითვლება, პრაქტიკაში რედაქტორი მთელი ექვსი წლის განმავლობაში მთავრდება სათანამშრომლოდ უმადეს განათლებით აღჭურვილთ, მაგრამ ამად. დღემდე ვერ მიუღია გამომცემი.

იგინი ვურნალები მონაწილეობის მიუღებლობის არკუმენტად „დრის უქონლობას“ ასახელებენ.

მართლაც! ნუ იქნებით უღმობელონი, კარიერით გატაცებულთ სადა სტალინთ თქვენი ხშირკვლელობისთვის.

\* \* \*

კიევში გამომგონა მანქანის ფრებლის სხვაგვარების სამოქალაქო სასწავლებელში. გამომგონეს ის წიგნები და ვურნალები, რომლებიც მოსულადა სარეცენზიოდ დასახელებულ არ რედაქციას ამ ორი წლის განმავლობაში.

გამომგონილი წიგნები და ვურნალები 1500 ცდას აღემატებოდა.

რედაქციებს თუმცა ეძნელებოდათ თურმე წიგნების რევიზიას დაფოთა, ვინაიდან ფრად ძნელია, ხშირად შეუძლებელიც არის გადაჭრით სოქვა, რომელი წიგნია მტრულ წიგნისათვის, რომელი მოზრდილთათვის, —მანც ზოგიერთ წიგნებისთვის გაუგებობათ იმშენი. ასეთი წიგნები დაფოთილას სამი კატეგორიად: უმცროსთათვის—7 წლამდის, საშუალო—8—13 წლამდის და უფროსთ—16 წლამდის.

ყოველ წიგნს უდის შიგნითა გვერდზე გაკრული აქვს ორივე ვურნალის რეცენზიები. ასე, რომ ვეუფას საშუალება ეძლევა გაეცნოს, როგორც საბავშვო ლიტერატურას, ისე მის კრიტიკას. რომელი წიგნიც ძალიან კარგად უცნიათ რედაქციებს—წაუწერათ. „მოწონებოდა.“





საზოგადოებრივადან ზოგიერთებმა განაცხადეს: ძალიან გვიძინდება ამოდენა წიგნებიდან სასარგებლოს ამოწმება, კარგი იქნებოდა, რომ ცალკე დაგვეტყვიანთ ის წიგნები, რომელსაც თქვენ ურჩევთ, მაგრამ გამოფენის ხელმძღვანელი წინ აღუდგა, ეს რომ სალდათური „პრიამი“ იქნება, რომ ზოგი მარჯვნივ გავეზავნათ, ზოგი მარცხნივ. თქვენ თვითონ გაეცანით და გაარკვიეთ, გააჩნით ხვენი რეცენზიები, საკუთარი კრიტიკის სამტრიცში გაატარეთ, ეს უფრო სასარგებლო იქნება.

შრომის განსაზღვრებლად ელჩინი დასთანხმდა უფრო დღე საათ-ნახევარი საზოგადოებისთვის განმარტება მიეცა საბავშვო საკითხებისა და აქნიშნა ზოგიერთ წიგნების დინსება-ნაკლუდეგანება.

ელჩინმავე წავითხა ორი ლექცია: „რა იკითხონ ბავშვებმა ბუნებისმეტყველებიდან“ და „საბავშვო ლიტერატურა და უფლება მის ასრებობაზე“.

წერილი რომ არ გამოგრძელებს და ერთ და იმავე საკითხს რამდენჯერმე რომ არ დაუბრუნდე, — იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც ლექციებიდან მივიღე — შევავსებ იმ შენიშვნებითა და მასალებით, რომელიც გამოფენის წიგნების დათვალიერებით.

\* \*

ლექტორმა სთქვა: როდესაც ამოდენა წიგნებს უყურებ, მაგონდება ბელინსკის სიტყვები: საბავშვო წიგნების გამომცემლობას ჰქონს უფლებები ისეთი პირნი, რომელიც არაფრით განიჩქვიან ბავშვებისთვის სათამაშო ნივთების გამომცემლებისაგან. ესენი იგივე მწარმოებელი არიან და მათი წიგნები ლიტერატურას კი არ ეკუთვნიან, არამედ, შეადგენენ საქონელს. მარტლაც სამი მეოთხედი ამ წიგნების უვარგისია, ჭირანია, ზიანის ეტი არა მიაქვს რა ბავშვებისთვისა. გვაჩ-

ვენა პირველი წიგნები, რომელიც მის წინ უდგას: ისინი იყო: სიტინის განსტემა „კვავა“ და ტილი ბუმი-ბუმი“. ესენი სულეური ზღაპრები არიან, თუმცა სამაგალითო ზღაპრები აქვს დართული, რომ ბაზარი მოუზოვნო.

„Газетка для детей и юношества“ ეკუთვნის იმ გამომცემებს, რომელიც შეიცვალ თვისებებს ლურჯი პრესისას, პინკეტონიჩინისას.

ესევე ათქმის ყურნალ „Ученик“-ზე. აქ ბავშვების თანამშრომლობა უკიდურესობამდისა მოუვანილი. აი რა „სტილსა“ და „იდეას“ უფითარებს „მწაფე“ პიოტოველ ბავშვებს იმ ლექსით, რომელიც მიძღვნილია მ. სტოლიპინისადმი:

„Не въ первый разъ на жизнь твою святую, Преступники точили подлый мечъ, Не въ первый разъ семью твою род-Они хотѣли подстеречь“.

ამ ყურნალს აქვს თურმე „ნოვოე ვრემია“, „როსისა“ და სხვა.

ქუხურ ლიტერატურას ეკუთვნიან საემ. ყურნალები:

„Мірокъ“, „Задушевное слово“, „Галченкокъ“.

შეხედეთ ამ წიგნს, რომელიც ძვირფასს ქადაგდზე დაუბეჭდიან, ფერადი საღებავებით მოურთავთ, მაგრამ განა ეს ცხაკული მართლა კურდღელია? სად არის ამ სურათში სიცოცხლე, სიმკვირცხლე; ეს გადამანინჯება, მაგრამ, სამწუხაროდ ამისთანა წიგნებს უფრო ეტანება. ხვენი მშობლებო.

საბავშვო წიგნების გამოცემა არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, საჭიროა გამომცემელ-შემდგენელს პირველ ყოვლისა ჰქონდეს შედარებითი ალფა, სიუფარული ბავშვებისა, უნარი დაკვირვებისა. ლიზოვსკია მრავალი წლების განმავლობაში





ჭმართავდა საფხანო, სასკოლო და საზოგადოებრივ სალიტერატურ-ფოკალურ საღამოებს, რომ საშუალება მისცემოდა შეეკრიბა სალიტერატურო კრებულისთვის მხოლოდ ისეთი ნაწერები, რომელნიც მისი დაკვირვებით ბავშვებსა და მშობლებზე უკეთესად დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ. მიუხედავად ასეთის დაკვირვებისა მისი კრებული, სადაც მოთავსებულია თხზულებანი ჰუშინის, ლერ-მონტავის, ნეკრასოვის, ზლეშჩეკოვის, ნადრონის და სხვათა, მანინ ვერ ასცდა ერთგვარ ტენდენციას.

ესევე ითქმის სურათებსზე. რომელსაც ბავშვს ზირველად გადასცემთ ხელში ის წიგნია, სადაც სურათები სჭარბობენ ტექსტსა. ეს სურათები სისუფთავით, დაკვირვებით, გასაკებად, სისწორით და ნიჭიერად უნდა იყოს შესრულებული, ვინაიდან ამ პირველ წიგნს შეაქვს გავლენა ბავშვის გემოვნებისა განვითარებაში. იგი ითვლება საფუძველად მომავალ მის დამოკიდებულებისა წიგნებისადმი. გარდა ამისა სურათები შეიძლება შესრულებული იყოს ნიჭიერი მხატვრებისაგან. მაგრამ სტილი სურათისა ბავშვებისას არ შეუფერებოდა. მაგალითად: კნებელის გამომცემაში სურათები ეკუთვნის გამხენილ მხატვრებს, მაგრამ ისეთი რთული კომპოზიციის შიგ, რომ ჩვენს კი გაგვიჭირდება მისი გაგება.

ექვეტომმა სთქვა: ზოგიერთები უარსებობენ საჭიროებას სპეციალ საბავშვო ლიტერატურისას. იგინი თხოულობენ საბავშვო წიგნების მაგივრად ბავშვს წასაკითხად მიერეს წიგნები საზოგადო ლიტერატურისადან.

ვინც უარსებობს საბავშვო წიგნებს— დიდ დანაშაულობას სჩადის. მცირე წლოვან ბავშვებს არ ძალუძთ გაგება დიდებისთვის დაწერილ წიგნებისა, იგინი უსათუოდ ქსაჭიროებენ წიგნებს, რომელიც შედგენილია ბავშვებისთვის გასაკების ენით. მაგალითად: „На-

ша библиотека“-ს ათ-თორმეტწლიან ბავშვებისთვის გამოუცდა მოხასხას-ნაწერებზე, მოხასხანი ძალიან მკრძანბიერი მწერალია, სურსოოდ ქსატავს ზატარა მოთხრობებით სურათებს ღრმა აზრობისა და მხატვრულ ფასილსა. მისი ნაწერები რთული ფსინოლოგიას კაცობრიობის სულისა. მოხასხანი მღერის საზმანდისო სიფარული სიმღერას, მაგრამ ეს სიმღერა ისეთის სველითაა მოვარაუბული, ისე აქანდაკებს ადამიანის გულში სულის ტრავიზმს, რომ შეუძლებელი ზხდება ბავშვისთვის მისი გაცნობა. მოხასხანს ერთი სტრიქონიც არა აქვს საბავშვოდ დაწერილი. იგი ძლიერ მძიმეა ბავშვებისთვის.

ესევე შეუფერებელია საბავშვოდ ბაირონის ნაწერების გამომცემა. ბაირონის ბნელი ზოცისა ბავშვისთვის ისევე საშიშარია, როგორც მქუთუშებული ცა ნაზი იისთვის.

ასეთი კითხვის ხადისს ბავშვს უხეუნებენ. მუდამ აწვდიან ბავშვებს ისეთს ნაწერებს, რომელიც მას არ შეუძლიან მინებულს, ბავშვი თუ რვა წლისსა, აწვდიან თორმეტ წლიან ბავშვისთვის შესაფერისს წიგნს. ბავშვს აძიულებენ ადრე გაიცნოს კაცობრიობის განცდანი მაშინ, როდესაც საჭირო იყო ჯერ-ჯერობით მათი დაფარვა. 8—9—10 წლის ბავშვებისთვის ჭეიდულბენ ვაგნერის ზღაპრებს, ვაგნერი ჭსატავს ბნელ ცხრებებს, ეს ღრმა ტრადიციული ზღაპრებისა და საჭიროა შევიბრალთ ბავშვთა ნერვები.

აწინდელი საბავშვო ლიტერატურა გავსებულია ზღაპრებითა. ბავშვებისთვის თითქმის ერთადერთ საკითხავ წიგნად უცნიათ ხადხური და არა ხადხური ზღაპრები.

ეს ძალიან საშიშარო მოვლენაა. მრავალი ზღაპრების აზრი ბავშვებისთვის მიუწვდომელია. მაგ. „გული ბნელი ტეისა“. ზაბ ტეის გულს როგორ გაიკებს, როგორ წარმოიღებენ ბავშვი, როდესაც თვით ნამდვილი გულისად არა გაიკება რა.



ხალხურ აურაცხველ ზღაპრებიდან ბავშვებისთვის მხოლოდ მცირედის ამოწმება შეიძლება. განა ხალხის შექმნილი ზღაპარი კარგია.

მრავალი ზღაპრების კითხვა მანვე გავლენას ახდენს ბავშვის შემეცნებაზე, ფსიხიკაზე. ზღაპარი სიმბოლოა, სახე, განყენება. ჩვენ მუდამ ექსპერიმენტალურ ფსიხოლოგიას მივმართავთ ხალხში, ხალხთ, რადესაც საქმე ზღაპრებსზე მიდგება, მაშინვე უკუ ვაგდებთ ექსპერიმენტს. ბავშვი რეალისტია, ფერები და ტუის დედოფლები ქაჯები, მკვდრის სულები მისთვის უცნობა, გაუგებარია. მას არ შეუძლიან განყენებულად მსჯელობა.

ბავშვები ხომ არ შიშობენ ხალხში ეშმაკს ისე, როგორც ჩვენ გვესმის. ისინი რეალურად ითვისებენ მათ და სწორედ ესაა მიზეზი, რომ ბავშვები შიშობენ აჩანს. ჩვენ ბავშვს ვაძლევთ ზღაპარს, მხატვრულ თხზულებას, სიმბოლოს—მაშინ, როდესაც მას მისი ჩონჩხის გაგების მეტი არა შეუძლიან რა. ავიღოთ ზღაპარი „წითელი ქუდი“. რას მისცემს იგი ბავშვს, რა საზღვარებს მისუტანს? ფილოლოგები ამტკიცებენ, ვითომც იგი იუფს მზის ეპოქის დროინდელი, ვითომც „წითელი ქუდი“ ჭინწავლეს მზესა. მაგრამ ბავშვი ხომ მას ვერ მიჭვდობა. მას

რეალურად ესმის ნამდვილი წითელი ქუდი ან ავიღოთ ლექსი, რომელიც მრავალკრებულში გვხვდება:

„ფეხებო, ფეხებო, სად მიდიხართ? — ტუეში, რომ ბინა ვიშოვნოთ და მშვიდათ ვიცხოვროთ“.

რა მნიშვნელობა აქვს ამ ლექსს? ფილოლოგები ძალიან ეშმაკები არიან. ისინი ამბობენ: ამ ლექსში სჩანს ის დრო, როდესაც ხალხის გადასახლება იყო ხალხში, დრო გამოშვებით ეძიებდა ხალხი ნაყოფიერ ბინას. ჩინებულისა. ეს ლექსი საუკეთესო მასალაა ფილოლოგებისთვის, მაგრამ ბავშვს რა? მისთვის იგი დარჩება სიტყვათა კანად და მეტი არაფერი.

სანამ ბავშვი არ გაიზრდება—ვერ გავიგებთ მხატვრულ ზღაპრების ფანტასტიურ ელემენტის სიღამაზეს.

ბავშვებმა უნდა იკითხონ რჩეული ზღაპრები, მაგრამ ზომიერად, ზღაპარი უნდა იუფს მისთვის გასაკები და მხატვრული. ასეთს კი ას ზღაპარში ათიოდეს ძლივს იშვინო.

ბავშვისთვის საჭიროა არსებობა მათთვის გასაკები და დამინტერესებელ არა ზღაპრულ სად ლიტერატურისა.

დ. თ—ლი.

(დასასრული იქნება)

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(წერილი მეორე)

## „გ უ თ ა ნ ი“

ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი

(დასასრული)

### II

#### ფრინველები.

1) ბჟიტები (გვ. 281 სტრ. 3. ქვ.) ბა-

ტის და იხვის მართვს ქართლ-კახეთში ჭუჭუელი ჰქვიან, ხოლო ბუტი: წეროსა, სავათისა, სარსარაკისა და მისთნათა მართვი (საბა). ქუთაისში გამიგონია იხვის ება





ხიან კვატი, მერე რაო ესეც ლიტერატურაში შევიტანოთ!..

2) ყურჭუმელოაობა, უნდა ითქვას ყურყუმელოაობა და ნამდვილიც ეს არის, აკი თქვენცა გაქვთ ეს სიტყვა ზოგან ნახმარი.

3) ახლად გადაფრენილი ბარტყები (გვ. 283). უნდა ითქვას ახლად დაფრენილი \*) ბლარტები. ეს სიტყვა ბლარტი უნდა გამეფდეს ლიტერატურაში, როგორც საუკეთესო და კეთილხმოვანი, თორემ აბა რა საკადრისია ბარტყი!?

4) ამავე გვერდზეა უცნაური სიტყვები: ტყიბინობენ, ფათქუნობენ, ჭია მილოლაგს, ხელს არ ახებს. ჯერ ერთი რო ჭია მიცლავს და არ კი მილოლაგს, თანაც უნდა ითქვას: ხელს არ ახლებს ანუ არ შეახებს.

5) მისისხნაი მტერი, (ამავე გვერდზე) უნდა იყოს მისისხლე მტერი. თვალს ვერაინ მოატანს უ. ი. თვალს ვერაინ მოჰკრავს, ქორი ხეებში მოძვრება უ. ი. დაძვრება. ბელურამ შეშინებულებით დაიხსავსა უ. ი. ბელურამ შექმნა წრიალი ანუ შესწივსა, ვინაიდგან ჩხვიან მხოლოდ კატები, და აგრეთვე ყვავი, ყორანი, კაჭკაჭი და მისთანანი (საბა).

6) „მოტყუებულ ავაზაკს (ქორს) მერცხლები სიცილოს აყრიან“ ეს სადაური ქართულია! უ. ი. მერცხლები დასცინიან.

7) „ბელურას წინწკლები არ აჩნია (გვ. 284 და 285) უ. ი. ან ამჩნევს. ზარალსაც ბეკრსა შვრებიან, ეს ვერ არის სადარბაზო სიტყვა-პასუხი, უნდა ითქვას: ზაზა-ჯიჯი ბეკრი მოაქვთ.

8) ლოკოკინა კი არ დახოხავს დაცლავს. თანაც ჯაქაჭა ზღვის ჯაფართქინა არის და არა ბოსტნის ლოკოკინა.

9) მუხას რკო სცვივდა. ზოგს ფრინ-

ველები ჰკეპკვენ. (გვ. 285 სტრ. 6 ქვე.) უ. ი. სცვივა, ხოლო რა ნაირი ნისკარტი ჰქონიათ თქვენს ფრინველებს, რომ მუხის რკოს ჰკენკვენ, ეს ჩვენთვის მეტად საოცარია!..

10) კრავის-ჭეჭა. ეს სათაური მე არაუერს მეუბნება: ვინ არის, რა არის კრავის ჭერი!? უნდა ითქვას: მუბატკე ანუ ვი, ეს არის მისი ნამდვილი სახელი.

11) არწივები „სჯამენ კაცისათვის საჭირო ჰაერის მომწამლველს მძოვრსა და აყროლებულს ხორცს“ ეს ხალასი რუსიციზმია. მე ასე დავწერდი: არწივები სჯამენ აუარებელ გახრწილ მძოვრს, აყროლებულს ლეშს და სხვ. ამით მეტად დიდი სარგებლობა მოაქვთ, რადგან ჩვენთვის სასუნთქველად საჭირო ჰაერი აღარ იწამლება, წმინდათ რჩება...

12) ახლა მიდგა საქმე კუდზე. თქვენ გიწერიათ: თეჯზის კუდი (!), მამლის კუდი (!), ფარშევანგის კუდი (!) და სხვ. აი ხათა, ბალა თუ გინდათ ეს არის! არ ვიცი კი ახლა ამას რაღა უწამლო. ბატონებო! ნუ თუ არ გაგიგონიათ ფრინველების სახელი: ბოლობეჭედა, ბოლო-კაკაზი, ბოლოქაქაზა, ბოლოშავა, ბოლოცეცხლა და სხვ. მაშ საიდან მოაქორეთ ეგ თქვენი კუდი!? ან ვის გაუგონია თეჯზის კუდი, ამაზედ მეტი მასხარობა განა შეიძლება. განა რაც იმერეთში გაიგონოთ ლიტერატურაში უნდა შემოგქონდეთ. პირიქით უნდა ეცადოთ ხალხს ასწავლოთ ლიტერატურული ენა, ნამდვილი ქართული და არა პროვინციებში წამხდარი სიტყვები დაგვიკანონოთ და ისიც სახელმძღვანელოში. აი კი დაგეპართოთ. მაშ ეგ არის ჩემმა შვილებმა თქვენს წიგნში უნდა ისწავლონ გარყვნილი ენა: ქათმის კუდი, ხოხბის კუდი, ლოქოს კუდი. აი! უწინამც დღე დამღვეია!..

\*) ჩიტმა ბლარტები დააფრინაო, იტყვიან ჩვენი.



კუდი, რომელთა ბალანი მოკლე აქვსთ, ვითარცა: კამბეჩია, გარეთხათა და მისთანათა, გინა მხეცთა, ძაღლთა და მისთანათა, რომელთამე უბალონ ვითარ: გველთა, ხელიკთა და მისთანათა (კუდი). ხოლო რომელთა კუდი ფრთოსანი აქვსთ, ვითარ მფრინველთა და ფარფლსანთა, ვითარცა თევზთა, ანა ითქმის კუდათ არამედ ბეჭდვად; რომელთა კუდი გრძელ თმიანი აქვსთ ვითარ ცხენთა, ჯორთა და მისთანათა ეწოდების ძუა... (საბა) \*

13) ყველა მტაცებელთ მართენი (და არა შვილები) ბრძენი კი არ ეჩვენებთ არამედ ჯერეთ თვალ აუხილავი. შემდეგ გამოცემაში უეჭველად უნდა აუხსნათ მოსწავლეებს: რა არის წიწილა და რა არის ბღარტი.

14) კოდორა (გვ. 299) უ. ი. კაღაჯა.

15) „თითებს შუა ტყავის თხელი აუკია გაკიმული“ აქ მრავალსიტყვაობა რა საჭირო იყო. პირდაპირ უნდა ითქვას: იხვი, ბატი და სხვ. ფეხბანდიანი ფრინველები არიან.

„ბანდად ითქმის მლამიობის ფრთე და წყლის ფრინველთა ფერხა (საბა).

16 მაღალ ფერხებიანი (გვ. 301) უნდა ითქვას წვივ მალაღი ფრინველები.

III

ქვეწარმავალნი.

1) მახრჩობელა გველი თხას ანუ ციკანს არკი სჭამს მთლად ჰყლაპავს.

2) ძლოკვი, სჯობს ითქვას გველსოკერა.

3) თავკობალა. უ. ი. თავკომბაჯა, (წარმოსდგება სიტყვიდა კომბალი (ჯოხი).

\*) მოიგონეთ აგრეთვე ანდაზა: „ფიცო მწამს და, ბოლო კი მაკვირებს“-ო უთხრეს მამლის ქურდს, რომელიც ჰფიცავდა არ მომიპარავსო და ჩოხის კალთაში მამალს კი ბოლო უჩანდა.

\*) ნიგოზი ვერც გატყდება, მხოლოდ იჩეჩქება, ინაყება.

IV

თევზები.

1) თევზი პირს მუწავს (გვ. 318) უ. ი. თევზი ჰიას კუმავს. ჩვენში იტყვიან ჰიასი მოკუმეო.

V

მწერები.

1) ნაყარი ფუტკარი, უ. ი. ნაბღარტი ფუტკარი.

2) „ფუტი კაკალი“ სათაური მშვენერი და მართებულია, ტექსტში კი გზას გადაუხვია მთარგმნელმა:

— ტაკ! გაისმა ხმა და ვანოს ნიგოზი ოთხად გატყდა (გვ. 333), ჰო და ნიგოზი კი არ გატყდა \*) ჩემო ბატონო, კაკაღი კრეფი გატყდა და აი ახლა როცა გატყდა კაკლის გულს ჰქვიან ნიგოზი. აქედან თვით ხესაც ეწოდება ნიგოზის ხე.

ცოტა ქვემოდ მართებულიათაა. „ზაფხულში ნორჩი კაკაღი მწვანე კანიითა დაფარული“ შერე მაგ მწვანე კანს რა ჰქვიან? ჰო და უნდა გეთქვათ წინგოთა დაფარული, რუსებს რო სიტყვა წინგო არა აქვთ, ნუ თუ ეგეც ჩვენი საზღაურია?! ისინი ამბობენ зеленая оболочка ореха.

ამასთანავე ის მწერი, რომელიც კაკლის ნორჩს ნაჭუქს გახვრეტავს ხოლმე და შიგ კვერცხებსა სდებს, სულაც არ არის ბუზასკაღი \*). მაგ გვარის მწერი ბევრია—ზოგს კაკალი უყვარს, ზოგს მუხა. მაგალ. გუნდა რომლითაც მელანს ვაკეთებთ და ქალებიც წარბებს იღებვენ მუხის მწერის ნაკმენისაგან არის წამომდგარი—შიგ ბუდობდა მისი კვერცხებიდან გამოჩეკილი თაობა. ამ მწერებს სხვა და სხვა გვარს ცნაფსებები ეწოდება

\*) ბუზანკალი Слѣпень бычачій (რ. ერისთავი). მაგრამ არც ეს არის მართალი.





ლათინურად და ჩვენც ეს სახელი უნდა შემოვიღოთ.

3) მოკატუტებული უ. ი. მოკატუტებული.

4) „თქვენც გინახავთ ფუტურა ნიგაზი და შიგ მკვდარი ჭია (გვ. 334). ასეთი ქართული უნდა ასწავლოთ ჩემს შვილებს! ფუტურა ნიგაზი სადაური ქართულია! უნდა პირდაპირ ითქვას: ფუტი კაკალი, ანუ ჭიანი კაკალი, მორჩა და გათავდა.

5) „გაადინა მიწაზე პერტა“ უ. ი. პარტყანი გაადინა.

6) სათაური: „მწერების ჯგუფები“ უ. ი. მწერთა ჯგუფი.

ამასთანავე ჭუპრის კანი კი არ იხსნება, იხუჯა. \*)

VI

1) ობობა და ბაბაჭუა ერთი და იგივეა. (გვ. 343, სტრ. 8, ქვ). მაგრამ რო ამბობთ, „მორიელი და ბაბაჭუა შხამიანია“ო იქნება ფაქტუა ეძახით ბაბაჭუას.

2) ნამის ჭია (мокрица) ნამდვილია და მესიამოვნა კიდევ სხვანი რაღაც ჯანდაბას უძახიან. ყველა თავის ფანტაზიას გვაჩეჩებს.

მოლლიუსკები.

1) მარგალიტის შესახებ წერილის შესადგენად ვერ გისარგებლიათ სანდო წყაროებით. შეცდომებითაა სავსე, მეტად რე როგორ მოულოდნელ მარგალიტს, რაღაც ზღაპრული ცნობებია.

სააღდგომოთ მე გაუგზავნე „ჯეჯილის“ რედაქციას დიდი მასალა (გაგრძელება წერილებისა „მტკვრის სათავე და ჭოროხი“) რიგით იბეჭდება. მარჯანზე უკვე იყო დაბეჭდილი და მარგალიტის შესახებაც უთუოთ ამ სექტემბერში გამოვა სტატი, \*

\*\*) ეს ტერმინი ჭუპრი Куколка, ესლა თქვენგნით ვისწავლე და დიდათაც გმადლობთ. რამდენს ვწვალობდი როცადღეთ! თუმცა ლექსიკონებში არის ეს სიტყვა, მაგრამ ახლა ვიპოვე.

გთხოვთ შეადაროთ. მე არ დაგხარდებოდით, აქაც ავხსნიდი დაწვრილებით, მაგრამ უამისოდაც ეს წერილი მეტად გაგრძელდა.

2) „ცხოველების თესლები“ (გვ. 351, სტრ. 4, ზევ.) ეს რეკლამა თუა. მახსოვს ერთხელ როდესღაც გაზეთებში აცხადებდნენ საუცხოო კაღმხის თესს ვედიოთ და ვინც გაიწერთ წყალში დათესეთ და ორიოდე კვირაში ვეებართელა კალმახები გაიზრდებაო.

3) ძრიელ სუსტია ეს სტატია მარჯანის მფაქტები. აბა შეადარეთ ჩემს სტატიას „მარჯანი“, რომელიც უკვე დაიბეჭდა „ჯეჯილის“ თიბათვის ნომერში და შემდეგ ნომერშიაც იქნება.

4) თქვენს სტატიასთან „უჩინარი ცხოველები უეჭველად მიკროსკოპი უნდა იყოს დახატული.

5) მშვენიერი, აზროვანი და ქართულის მხრივთაც სრულიად უნაკლოლო არის სტატია: „ცხოველების უდიდესი საზრუნავი“.

მცენარეთა შორის.

1) საუცხოო წერილია „სადილი უდაბნოში“ კაკასი. იქნება ქართულად ქოქოსი სჯობდეს.

2) მზეს უმზიჩეს, მზეუჭვრიტე ჰქვიან ანუ თქვენებურად ჯიჯიფარა.

3) შეუდარებელი წერილია, თანაც დიდთ სასარგებლო „როგორ შრამობენ მსწავლეები“. ამ გვარი ცნობები ცალკე ფურცლებით მილიონებით უნდა ვრცელდებოდეს ხალხში. დეე ყველამ შეიგნოს რა არის ტყე და რამდენად არის მისგან დამოკიდებული ჩვენი კეთილ დღეობა, ეკონომიური სიძრიელიე. \*)

\*) იხილ. აგრეთვე ჩემი წერილები „განათლებაში“ ტყე და მისი ჰაერის მნიშვნელობა ივნისის და ამ ნომერში.



4) არ ვარგა სათაური: „ხის ერთის წლის სიცოცხლე“. უნდა იყოს: ხის სიცოცხლე წლის განმავლობაში.

5) ფერები, ფერი (გვ. 367) საუცხოო ტერმინია და მეც ვისარგებლებ.

6) აბა რა ქმნას კაცმა! სტატია „რამდენ ხანს (ს) ცოცხლობს ხე“ უეჭველად თან უნდა ახლდეს სხემა, გადახერხილი ხის მორი, რაზედაც მოსწავლე თვით დასთვლიდა წლიურ წრეს, სალტეს (და არა ქდეს).

7) მიწის ზემოდ მოჭრილი ხის ღერო რო დარჩება მაგას ჭიჭიბი ჰქვია, ზოგნი კი ჩირგვს ეძახიან.

8) დაბერებამდის უ. ი. სიბერემდის.

9) სტატია „ყვავილი“ (გვ. 371) სრულებით არ ვარგა. თვით მასწავლებელნიც ათასში ერთი თუ მიხვდება. პირველი რა სხემა არა აქვს და ტერმინები ხო ღმერთო შეგცოდდე! აბა რა მაქნისია თქვენი „პალოები“ და „ფილთაქვები“. აი მე შემოგაწევთ სრული ყვავილის ტერმინებს:

**ყვავილი.**

თვითოეული ყვავილი თავის გულში შეიცავს სქესის ორგანოებს (ასოებს)\*, რომელთა დანიშნულება არის მცენარის გვარის გამრავლება. ეს ორგანონი ქმნიან თესლს, ნაყოფს. მთავარი ორგანონი არიან: თავმტვერა და სუკა, რომელნიც თითქმის ყოველთვის დაფარულნი არიან ყვავილის სამოსლით.

თავმტვერა (ТЫЧИНКА) ურჭვია ყვავილში. თავმტვერას ყველა ნაწილს ჰქვიათ ძაფი ანუ თავმტვერას ძაფი (ТЫЧИНОЧНАЯ

\* ხალხი ამბობს: დედალი ჯავში, მამალი ჯავში და სხვ. სჩანს უწინაც სცოდნიათ. უხსოვარ დროიდან ინდოეთში და არაბეთში ინდის ხურმას და სხვ. ყვავილის დროს ძრიელ შეარხვედენ, რომ მეტი ხილი დაისხასო.

НИТЬ) თავი თავმტვერას პარკვითა აქვს გაგანიერებული. აი ამის თავს ჰქვიათ სავტვერე (ПЫЛЬНИКЪ), სამტვერე შესდგება ყოველთვის ორ ბუდესაგან (ГНѢЗДЫШЕКЪ), რომელნიც სავსენი არიან ნაყოფიერ მტვრით (ПЛОДОТВОРНОЙ ПЫЛЬЦЕЙ ИЛИ ЦВѢТЕНЬЮ).

სამტვერე ბუდეები ანუ პარკები უწყებულ დროს იხსნებიან (სქდებიან) და ახვევენ მტვერს.

მეტი ნაწილი ყვავილთა შორის შეიცავს რამდენიმე თავმტვერას; ზოგს ყვავილში ბარე ათობით და ოცობით ურჭვია.

სანაყოფე სუკა (ПЛОДНИКЪ ИЛИ ПЕСТИКЪ) ყოველთვის მოთავსებულია ყვავილის შუაგულში. სურის გარშემო შემომჭკრივებულნი არიან თავმტვერანი.

სანაყოფე სურა შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1) ქვედა გაგანიერებულ ნაწილს ჰქვიათ ბუტკო (ЗАВЯЗЬ), ამ ბუტკოში ინასკვება მომავალი თესლი, ხილი.

სურის შუა ნაწილს შეადგენს სურის ექვი (СТОЛБИКЪ).

3) მესამენაწილს ჰქვიათ ტუჩი (РЫЛЬЦА) ანუ სურის პირი. ტუჩი ყოველთვის წებოიან ლორწოთია დაფარული.

ბუტკო (ЗАВЯЗЬ) გულში ჩაკვერცხილია სათესლე კვირტებით СЪМЯЧНЫЕ ЯИЧКИ ИЛИ СЪМЯЧОЧКИ). კვირტები თავის დროს განვითარდებიან ხოლმე და ბუტკო იფეება თესლებით. უფრო ხშირად თვითვეული ყვავილი რამდენსამე სანაყოფე სურას შეიცავს.

ყვავილის საფარი ანუ სამოსელი (ОКОЛОЦВѢТНИКЪ) შესდგება, უფრო ხშირად ორი საფარისაგან: 1) გარეგანი საფარველი შესდგება მწვანე ფოთლებისაგან და ამას ჰქვიათ ბაღია (ЧАШЕЧКА). 2, შინა-





განი საფარველი წარმოადგენს ფერადებით აჭრელბუღს ყვითლად, ვარდისფრად, ლურჯად, თეთრად და სხვ. ნაზს ფურცლებს, რომელსაც ჰქვიათ გვირგვინი (ВЪН-ЧИКЪ).

ყვავილის ეს ორივე საფარველი: ზადა და გვირგვინი დანიშნულ არიან უმთავრესად და მხოლოდ სანაყოფე სურას და თავმტვერას დასაფარავად: ცუდი ამინდისაგან, გარეგან მავნებელ რამ მოვლენისაგან და სხვ. ამასთანავე გვირგვინი თავის სილამაზ-სიკეკლუციით იზიდავს ხოლმე მწერებს, რომელნიც დიდს როლს თამაშობენ ყვავილის განაყოფიერებაში.

როდესაც ყვავილი გადიშლება თავმტვერების თავები ე. ი. სამტვერე პარკები სქდებიან, საიდანაც სცვივა ნაყოფიერი მტვერი. ეს მტვერი დაეყრება ხოლმე სურის ლორწოიან ტუჩს და ზედ მიეწებება. ამ გვარ დამტვერიანებაში ქარისა და მებალის გარდა, ძრიელ ხშირად მწერებიც იღებენ მონაწილეობას მაგ. ფუტკარი, პეპელა და სხვ. ეს მწერები როდესაც ყვავილის გულიდან ტბილს ნექტარს სწოვენ თავის პაწია ხორთუმით, მაშინ სანაყოფე მტვერში იგანგლებიან და ასე გადააქვთ ნაყოფიერი მტვერი ერთი ყვავილიდან მეორეზე და თავს აყრიან სანაყოფე სურის ლორწოიან ტუჩს.

სანაყოფე სურის ლორწოიან ტუჩს მოხვდა თუ არა ნაყოფიერი მტვერი, მტვრის მარცვალი იმ წამსვე გამოუშვებს ხოლმე წმინდა ძაფის სისხო მილს, რომელიც გატაცებით გზას იკვლევს ქვევით, სურის ყელში და მიისწრაფვის ბუტკოსაკენ. აქ

ბუტკოში წინ ეგებება სათქმელე კამრნეი (сѣвѣнные яйчки), რომლებშიაც ნაყოფიერ მტვრის მარცვალი ჩააწვეთებს ხოლმე ერთ გვარ ლორწოს და ამ სახით უკვე განაყოფიერდა ბუტკო.

ამის შემდეგ გვირგვინის ფურცლები; თავმტვერები და სანაყოფე სურის ყელიც ყველანი ჰქნებიან, რადგან მათ უკვე ასრულებს თავიანთი როლი და დანიშნულება. ხოლო განაყოფიერებულ ბუტკოში დიდი მუშაობა იწყება—ბუტკო იზრდება, სახე ეცვლება, სქელდება და ზოგჯერაც რბილ ცვრიან ხორცილ შეიშლება ხოლმე. დღითი დღე ნაყოფი მწიფდება, ლამაზდება, მშვენდება, სურნელება ემატება. აი ამდენ პროცესის შემდეგ წარმოსდგებიან ის საამო ნაყოფნი, ყოველგვარი ხილი, რომელნიც სუფრას გვიმშვენებენ, ყნოსვას და გემოვნებას გვიტკობენ. მაგ. ვაშლი, მსხალი, ატამი, ყურძენი, ლეღვი და სხვა და სხვ.

**ილ. აღზაზიშვილი.**

P. S. „გუთნის“ შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ დამრჩა სათქმელი, მაგრამ რა გვეჩქარება. იქნება მთელ წელიწადსაც ვერც კი მოვრჩე ყველა საბუნებისმეტყველო წიგნების გარჩევას.

ი. აღ.

რედაქტორ-გამომცემელი  
**ლ. გ. ბოცვაძე.**



# სნობეპი

## კ. უ. წერხ-პითხვის გამავრცელებ. საზოგადოებრივი მოქმედებისა.

### მღუსენება

ყალბიის სკოლის შესახებ

გამგეობის დავალებით 17, 18 და 19 მაისს ვიყავი ყალბიში სკოლის დასათვლიერებლად. ყალბის სკოლაში შემოდგომაზე 60 ბავშვი იყო, ახლა 36 დამიხვდა: 16 ვაჟი, 20 ქალი. დიდად სამწუხაროა ასეთი შემცირება მოწაფეთა რიცხვისა და ამ გარემოებამ მეტად გამაოცა. მიზეზი გამოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ ბავშვები გაუყვანიათ ბატების სამწყემსად და მინდვრებში სამუშაოთ.

სკოლაში ორი განყოფილებაა: 19 მაისს I განყოფილებაში იყო 27 ბავშვი; მეორეში 9. ბავშვები გამოვცადე საღვთო წერილში, ქართულ ენაში, ანგარიშში და რუსულ ენაში.

**ქართული ენა.** I განყოფილებაში გაუვლიათ „დედა-ენა“, I, სულ, ხოლო მეორე ნაწილიდან 60 გვერდამდის. მეორე განყოფილებაში „დედა-ენა“, II, — 173 გვერდამდის.

**ანგარიშში** გაუვლიათ ქართულად I განყოფილებაში ოთხი მოქმედება 20-ის ფარგალში, შესაფერი ამოცანები და ზომები; ოთხი მოქმედება ათეულებით 100 ფარგალში. მეორე განყოფილებაში 100-ის ფარგალში ოთხი მოქმედება, შესაფერის ამოცანებით; ხოლო ათეულობით და ოცეულობით 1000 ფარგალში.

**რუსული ენა** პირველ განყოფილებაში ლექსიური მოკლე შემეცნება სასწავლო ნივთებზე და შინაურ ცხოველებზე. მეორე განყოფილებაში „რუსკოე სლოვო“, I, 80 გვერდამდის და ლექსები: „Трудъ“, „Утренняя пи́сьня“ და „Козликъ.“

**საღვთო სჯული.** პირველ განყოფილებაში: მოკლე მოთხრობანი ათ-ორმეტ დღესასწაულზე და ლოცვები სწავლის დაწყების წინ და სწავლის გათავების შემდეგ, უფლის ლოცვა და სხვა პატარა ლოცვები. მეორე განყოფილებაში: იგი-



ვე ლოცვები, რაც პირველში, და ღვთისმშობლის ლოცვა. მოთხრობები საღვთო ისტორიიდან, სანიმუშო პროგრამის თანახმად.

ხატვასა და პრაქტიკულ გეომეტრიას, სამწუხაროდ, სრულებით არ გადიან, რაც შესამჩნევ ნაკლებეფანებად უნდა ჩაითვალოს.

გავლილი მასალა ბავშვებს კარგად ჰქონდათ შეთვისებული, ყველა საგნებში შეგნებულად უპასუხებდნენ. წერაც კარგი იყო შედარებით.

განწყობილება მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის მეგობრულია, დისციპლინა ჩინებული. სოფლებების პატივისცემაც დაუმსახურებია მასწავლებელს ვ. მაჭავარიანს. სწორედ მის ენერგიულ შრომას და უნარს უნდა მიეწეროს ყალამ-შაში სკოლის აგება. ის დაუზარელად გარბოდა, თურმე, ხან ერთ გლახთან, ხან მეორესთან და ეხვეწებოდა მასალის მოზიდვას, ან სხვა რაიმე საქმეს სკოლის შესახებ. როგორც მოგვხსენებათ სოფლებებს ნაკისრი ჰქონდათ სკოლის შენობისთვის მასალის მოზიდვა, მუშის მიცემა და ათი თუმნით დახმარება. ყველას ეძნელებოდა ერთიც და მეორეც; ემდუროდნენ კიდევ მასწავლებელს: „რალაც სკოლა მოიგონა თავისთვისაო“, ამბობდნენ თურმე. ზოგი სწყევლიდა და ლანძღავდა კიდევცო, მითხრა მამასახლისმა. მაგრამ ფულიც გამოიღეს, დახმარებაც გაუწიეს და ახლა მადლობელი არიან, რომ ასე ნათლად ხედავენ საერთო შრომის ნაყოფს.

19 მაისს დანიშნული იყო სკოლის შენობის კურთხევა. კურთხევას სოფლებს გარდა მასწავლებლის მოწვევით დაესწრნენ ბაშქიჩეტიდან მოწვეული სტუმრები: ორი ექიმი, ბოქაული თავის ცოლით, ფერშლები, გომარეთის მღვდელი, გომარეთის სკოლის მასწავლებელი მოწაფეებით. ჯერ წირვა მოვისმინეთ. წირვის შემდეგ მოხდა სკოლის შენობის კურთხევა. კურთხევის შემდეგ მოწაფეებმა წაიკითხეს რავდენიმე ლექსი და შეასრულეს რამდენიმე სასიმღერო. გომარეთის სკოლის ბავშვებმა, გარდი ქართულისა, რუსულადაც წაიკითხეს და იმღერეს. ასე რომ პატარა სალიტერატურო დილა გამოვიდა. ბავშვებმა ჩინებულად შეასრულეს სიმღერაც და კითხვაც, რამაც ძლიერ ასიამოვნა დამსწრენი. ამის შემდეგ ბავშვებს წ. კ. საზოგადოების სახელით დაფუძრევი კანფეტები და წიგნაკები. ამ უკანასკნელი გარემოებით ბავშვები აღტაცებაში მოვიდნენ.

და ბოლოს მასწავლებელმა სადილი გაუმართა დამსწრეებს თავის ხარჯით, 20 მანეთამდის დაუჯდა.

წინათ ყალამშიის სკოლა, მოთავსებული ერთს დაქირავებულს ბნელს ოთახში, ძრიელ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ახლა სკოლის შენობა წიმიკიშულია საუკეთესო ადგილას და მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ორი ოთახი მასწავლებლისთვის არის მომზადებული. ერთი დიდი ოთახი საკლასოთ. სასკოლო ოთახი საკმარისად ნათელია. თუმცა სკოლის შენობა შეხედულობით სულ მზად არის, მაგრამ ზოგი რამ წვრილმანი კიდევ აკლია. მაგალითად სარკმელებს არა აქვთ ქვედა ფიცარი (ПОДОКОННИКЪ), ოთახებს უნდა გაუკეთდეს გარშემო პლინტუსი, ჩარჩოები უნდა შეიღებოს ერთხელ მაინც, რომ წვიმამ არ დააღპოს, მასწავლებელს არ აქვს სამზარეულო და საჩხები, ბავშვებისთვის და მასწავლებლისთვის არ არის



გაკეთებული ფეხის-ალაგი. ყველა ამის გაკეთებას, როგორც იქ გამოვიანვარი შეთ, მოუნდება ალა ნაკლებ 150 მანეთისა.

ვსთხოვ გამგეობას, ეს ფული გადადოს ყალამზიის სკოლის დასამთავრებლად, რომ ენკენისთვიდამ სკოლის გარეგნული მხარე შეკეთდეს და მოწესრიგდეს ისე, რომ იგი სავსებით შეეფერებოდეს ადგილობრივ მასწავლებლის სიბეჯითეს და სკოლაში დამყარებულს სწავლა-აღზრდის საქმეს.

სკოლის ეზოს წინა ნაწილისთვის მასწავლებელს, მოწაფეების დახმარებით შემოუვლია ქვის ყორე (ზღუდე) და დაურგავს რავდენიმე ნერგი, რომლების უმეტესობას უკვე უხარნია კიდევ. ეზოს უკანა ნაწილი შემოყორილი არ არის. მე ვთხოვე ბოქაულს დაევალებინა მამასახლისისთვის სკოლის ეზოს შემოღობვა. ბოქაულმა იქვე დაუძახა მამასახლისის და შესაფერი განკარგულება მისცა.

სკოლის შენობის აგება იჯარით აღებული ჰქონდა ადგილობრივ გლეხს დევნოსაშვილს და, როგორც დავრწმუნდი, იხარალა. დევნოსაშვილმა და სხვებმაც მთხოვეს მეშუამდგომლა გამგეობის წინაშე, რომ უნუგეშოთ და დაზარალებული არ დარჩენილიყო დევნოსაშვილი. იმედია, გამგეობა შევა საწყალი კაცის მდგომარეობაში და ზარალს შეუმსუბუქებს.

საქმის მწარმოებელი გ. ბურჭულაძე.

## მღუსენება

ატენის სკოლის შესახებ

16 მაისს ამა 1913 წლის გაშვების დაჯავბით დავათვალიერე ატენის სკოლა. მასწავლებლად არის მარტო მარკოზაშვილი. კლასი მარტო ერთი განყოფილებისაგან შესდგება; სიით ითვლება 46 მოწაფე, კლასში კი მხოლოდ 25 დამისვდა. მიზეზი ასეთი დიდი რიცხვის დაკლებისა ის იყო, რომ წინა დღით წყალდიდობას ბევრი ხიდეი დაეხვეტა და გზები გაუფუჭებინა, რის გამოც ვეკლა ბავშვები ვეღარ მოსულიყვნენ სკოლაში.

**ქართული ენაში** სავსა მასალა გაუვლიათ: დედა-ენის მეორე ნაწილიდან 52 გვერდი უკლებლივ გაუვლიათ. მასალა ბავშვებს მშვენივრად აქვთ შეთვისებული; ასე რომ არც ერთი კითხვა უმასუხოთ არ გაუშვათ. თავლსახინო და დაკვირვებით სწავლის მასალა შესაუვრად არის არჩეული მასწავლებლისაგან. დაუწეით აგრეთვე სამშობლოს შესწავლა დალაგებით და მეთოდურათ. კითხვით კი ვეკლა ერთგვარად ვერ კითხულობს, ზოგს ამოსადებიც უჭირს. ეს გარემოება მასწავლებელმა იმითი ახსნა, რომ მოწაფეები ვეკლა ერთ დროს შემოსული არ არიან სკოლაში: ის თან და თან ავრავება შეკირდებს, რომელთა რიცხვში ბევრი იანვარში და თებერვალში შემოსულებიც ურევია.





**რუსული ენიდან** გაუგლიათ მთელი ლექსიური განყოფილება, გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ პირველ ნაწილში მოთავსებული. ბავშვს ზედვე ეტყობა, რომ რასაც ამბობს, ესმის კიდევ და ქართულადაც სიტყვა-სიტყვით სთარგმნის რუსულ ფრაზას. მასწავლებელი არც ერთ სიტყვას აუხსნევად არ სტოვებს. ეროად თქმა კი ცოტათ გაჭიანურებული იცინა, რაზედაც იქმნა მიქცეული უურადლება.

**არიომეტიკის** პრეგრამა სრულიად არის გაუგლი. ზეპირ ანგარიში კარგათ არიან გავარჯიშებულნი, ცოტათი ეშლებათ ტერმინები „რამდენით“ და „რამდენჯერ“ საჭიროა აგრეთვე მეტი ვარჯიშობა ტიპიურ ამოცანებში.

ოთხი მიქმედება ოცის ფარგალში და ათეულებით ანგარიში ასის ფარგალში მშვენიერად აქვთ შეთვისებული.

წერაში საზოგადოთ დიდი სისუფთავე და მხნდომება ეტყობათ. მასწავლებელი არც ერთ შეცდომას ან უშნო წერას, ეტყობა, შეუმჩნევლად არ სტოვებს, რის გამოც რვეულეუბი მეტად ფაქიზს შთაბეჭდილებას ახდენენ.


გულ ახლილათ უნდა მაკახსენო გამგეობას, რომ ატენის სკოლამ ჩემზე იშვიათი შთაბეჭდილება მოახდინა. მასწავლებელს რა გამგეობის დადგენილება ამ სკოლის დახურვის შესახებ მომავალ ივნისიდან, მე ცოტათი გულაურით შავდიოდი სკოლის დასათვალიერებლად, მაგრამ იქ ნახულ-ნახეზმა მე სავსებით დამარწმუნა, რომ ატენში სკოლა გამგეობამ უთუოდ უნდა შეინარჩუნოს, რადგან ის (სკოლა) მომავალში გამგეობის ერთი საუკეთესო სკოლათაგანი იქნება.

დიდი შრომა და ენერგია ჩაუდგია მასწავლებელს საქმეში და სკოლაც სწავლების მხრით ჩინებულათ დაუეენებია, მოწაფეებიც შეუკრებია იქ, სადაც სოფლელები სკოლას მტრული თვადით უეურებენ.

ბავშვების დალაგებულს ჰასუს ანავითარი ძალდატანება არ ეტყობა, დისციპლინა კლასში მშვენიერია, ეტყობა მოწაფეებს დიდი პატივისცემა აქვთ მასწავლებლისა, რომელიც თითქმის ამხნაგურად ექცევა მათ. ბავშვები „ნაკადულის“ კითხვასაც შესწევუიან და დიდის ხალისით მიაქვთ ნომრები სახლში მორიგეობით.

თუ გამგეობა გადასწევეტს ატენში სკოლის დატოვებას, რაც ჩემის აზრით უთუოდ უნდა მოხდეს, — მაშინ საჭიროა სკოლის მოწეობა სურათებით, წიგნებით და შვედური საანგარიშოთი.

გამგეობის წევრი **ფ. მგელაძე.**







ქართული  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საშენობის  
საქართველო

# მოხსენება

საგურამოს სკოლის შესახებ

27 მაისს ამა 1913 წლისა დაავთვალეგრე საგურამოს სკოლა, რომელიც მოთავსებულია ილიასეულ მამულში. მასწავლებლად არის ანა პარკაძისა. სკოლაში დამიხვდა სულ ოცი მოწაფე—ექვსი მეორესა და თოთხმეტი პირველ განყოფილებაში; სიით კი 28 მოწაფე ითვლება.

წინა მასწავლებელმა არისტოკლე რამინიშვილმა ავადმყოფობის გამო სკოლას თავი დაანება ოქტომბრის გასულს, რის შემდეგაც ოთხი თვის განმავლობაში, ე. ი. თებერვლის გასვლამდე სკოლა უმასწავლებლოთ იყო დარჩენილი. ის მცირე რიცხვი შეგირდებისა, რომელიც სკოლაში ითვლებოდა რომანიშვილის დროს, სრულებით გაიფანტნენ და ახალ მასწავლებელს პარკაძისას დიდი შრომა გაუწევია შეგირდების მოგროვებაზე.

შარშანდელთან შედარებით სკოლას გაუმჯობესობა ეტყობა, თუმცა პროგრამის შესრულებაზედ ლაპარაკიც არ შეიძლება. ყველა საგნებში ცოდნა ძალიან სუსტია. ეს იმით აიხსნება, რომ ეხლანდელი მასწავლებელი მხოლოდ თებერვალში დაინიშნა და სწავლის დასაწყისიც სწორედ ამ დროიდან უნდა ჩაითვალოს.

ბავშვები სუფთად და ერთგვარად არიან გამოწყობილი ლურჯ ტანისამოსში და ვალობენ მწყობრად საერო სიმღერებსა და საეკლესიო საგალობლებს სამ ხმად. ასეთი ტანთ-საცმლის შექმნა მოწაფეთათვის თვით მასწავლებელს უკისრნია ნაწილი თავის ხარჯით და ნაწილიც სხვების დახმარებით.

ჩანს მასწავლებელი მეტ ყურადღებას აქცევს გარეგნულ მხარეს სკოლისას.

სკოლაში ნასმენ-ნახულის მიხედვით საჭიროა მასწავლებელს მიეცეს შემდეგი წინადადებანი: მომავალ სამოსწავლო წლიდანაც ისევ ორი განყოფილება უნდა დარჩეს—პირველი და მეორე, რადგან მესამე განყოფილებისათვის მომზადებული შეგირდები სკოლაში არ არიან. პროგრამა უთუოდ შესრულებული უნდა იქმნას ორსავე განყოფილებაში. ამავე დროს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პირველ საფეხურებს, რომელთაც თან და თანობით სისტემატიურად უნდა დააშენდეს ზედ ახალ-ახალი ცნობები. პირველ განყოფილებაში საჭიროა ხელ-ახლა დაიწყოს ფრაზების სიტყვებად, სიტყვების მარცვლებათ და მარცვლების ხმებათ დაყოფა. მარცვლების და სიტყვების სინტეზი და ანალიზი მტკიცედ და საფუძვლიანად უნდა შეითვისოს მოწაფეებმა და მხოლოდ მაშინ შეიძლება წინ წასვლა. იგივე ითქმის რუსული წერა-კითხვის შესახებ მეორე განყოფილებაშიაც.

რუსულ ენაში წერა-კითხვის დაწყება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ბავშვებს საფუძვლიანად ექნებათ შესწავლილი ლექსიური განყოფილება. „რუსკოე სლოვოში“ მოთავსებული ლექსიური მასალა უთუოდ უნდა იქნას შეთვისებული





ბავშვების მიერ, თორემ ისე წინ ფეხის წადგმაც არ შეიძლება. ამ მასალის გავლას დროს მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს თვალსაჩინო საგნებით, სწორეთ იმავე მეთოდით, რომელიც განსვენებული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოშია გატარებული. მართა ქართული ფრაზის თქმა მასწავლებლის მხრივ და მისი რუსულად გადათარგმნა საკმარისი არ არის, რადგან ბავშვებს ფრაზა ადვილად დაავიწყდებათ, თუ თითონ საგანი და მისი მდგომარეობა არ იქნა აღბეჭდილი მათ გონებაში.

არიტმეტიკაში ბავშვს უნდა ესმოდეს გაყოფისა და გამრავლების პროცესი და პრაქტიკულად უნდა შეეძლოს მათი შესრულება. ტერმინები „რამდენით“ და „რამდენჯერ“ მტკიცედ უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.

მიუხედავად ზემო ნათქვამისა უნდა მოვახსენო გამგეობას, რომ მასწავლებელს ანა პარკაძისას დიდი მონდომება და შრომის მოყვარეობა ეტყობა, საჭიროა მხოლოდ შეიძინოს მეტი სწავლების ტექნიკა და შეისწავლოს მეთოდური საშუალებანი. მაშინ მისგან მივიღებთ ჩინებულ მასწავლებელს. ჩემის აზრით სასკოლო სექციამ ამ მხრით მას დახმარება უნდა გაუწიოს: მიაწოდოს ან მიუთითოს იმ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს, რომელნიც მას გამოადგებიან.

ამ საფუძვლზე უნდა იქნას შედენილი სკოლისთვის 20 ახალი პარტა, შვედური საანგარიშო, ლინოლეუმის საკლასო დაფა, მაგიდა მასწავლებლისათვის და არითმეტიკული ყუთი, რომლის ხმარებასაც უნდა გაეცნოს თვით მასწავლებელი.

გამგეობის წევრი ფ. მგელაძე.

## ღ ჭ მ ი

სენაკის განყოფილების წევრთა საზოგადო კრების 1912 წ.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე. კრებას დაესწრო 20 წევრი საზ. ადგილობრივი განყოფილების და 5 დელეგატი ადგილობრივი ბიბლიოთეკის ხელის მომწერთაგან. კრების თავმჯდომარემ ქ-ნმა ოლღა ხოფერიასამ კრების დაწყების წინ, აღნიშნა, რომ წარსულ წელში ჩვენმა სამშობლომ დაკარგა ქველმოქმედნი და საზოგადო მოღვაწენი: დავით ხარაჯიშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე და ნ. ლობერიძე, წინადადება მისცა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მათი ხსენებისათვის; შესრულებულ იქნა რა ეს წინადადება, თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ რა კი კრებას წევრთა რაოდენობის ერთი მესამედი ესწრება, ის კანონიერი და წინადადება მისცა მდივანს პ. ლორთქიფანიძეს წაეკითხა კრების განსახილველ საკითხთა სია.



მდივანმა ლორთქვანიძემ წაიკითხა: დღევანდელ კრებას გამგეობის მიერ წარდგინება შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება გამგეობისა საანგარიშო წლის მოქმედების შესახებ.

2. ანგარიშები 1911 წლის შემოსავალ ვასავლისა.

3. სარევიზიო კომისიის შენიშვნები და პასუხი გამგეობისა შენიშვნებზე.

4. ახალი წევრების მიღება.

5. გამგეობის წევრების არჩევნები.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას განაცხადონ თუ რა კითხვის განხილვა მიაჩნიათ სასურველად. ბ. კალანდარაშვილი თხოულობს შეტანილ იქნეს განსახილველ საკითხთა რიგში წინადადება, რომ ზაფხულში, როდესაც ახალსენაკში გაიმართება სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საპედაგოგიო კურსები, საზოგადოების გამგეობამ მოიწვიოს ამ მასწავლებელთათვის ლექტორი, რომელიც გააცნობს მასწავლებლებს კოოპერაციების საქმეს. ეს წინადადება მიღებული და შეტანილ იქნა განსახილველი საკითხთა რიგში.

მდივანი კითხულობს მოხსენებას და ანგარიშებს. 1911 წლისას. კრებას მოხსენდა სარევიზიო კომისიის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ანგარიშებში წიგნების ღირებულება არ არის აღნიშნული, წიგნების შეფასების საჭიროებას იცავენ: პეტრე დგებუაძე, გიორგი ქავთარაძე და ალექსი ჯანტურია; ეს უკანასკნელი სურვილს გამოთქვამს, თუ ნივთიერი საშვალეა იქნება, დაზღვეულ იქნეს ბიბლიოთეკის ქონება. ვ. ლორთქვანიძე: პრინციპიალურად გამგეობა მომხრეა ამ მოთხოვნისა, ხოლო ისეც უნდა აღვნიშნო, რომ მეტად ძნელი კია წიგნების სწორი შეფასება, მით უმეტეს იმ ნახშირი წიგნების შეფასება, რომლებიც სხვა და სხვა პირთაგან შემოაწირულია.

ვ. მანსვეტოვი. მე კი ეს მოთხოვნა სარევიზიო კომისიისა გადაჭარბებულ თავგამოდებად მიმაჩნია. დამეთანხმეთ რომ დავალება ადგილია და შესრულება კი ძნელი. როგორც ანგარიშიდან სჩანს, ბიბლიოთეკაში 1500-მდე წიგნი ყოფილა, უმეტესობა იმათგანი შემოაწირულია, მაშასადამე ბევრს თავი აკლია, ბევრს ბოლო, ბევრსაც შუაგულიდან აქვს დაკარგული ფურცლები, ცხადია ამისთანა წიგნის ნომინალური ფასი და ნამდვილი ღირებულება ძლიერ დაშორებულია ერთმანეთზე. ეს ერთი, მეორეც ისა, რომ წიგნის შემომწირველთათვის სულაც არ არის სასიამოვნო, რომ მის შემოაწირულებას ვინმემ კბილის სინჯვა დაუწყოს. ჩემ თავზე მოგახსენებთ—დიდაც არ მესიამოვნება ანგარიში, წავიკითხე მანსვეტოვმა წიგნები შემოსწირა 1 მანეთის საღირალი; მე შემომიწირავს წიგნი და არა მისი ღირებულება. რათ უნდა ჩავაყენოთ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში გამგეობა, რომელიც უანგაროთ და უსასყიდლოთ ემსახურება ამ საქმეს. მაგისთანა წვრილმან დეფეკტებს თუ კრიტიკა დაუწყეთ, დღესაც ხომ ყველას უჭირს გამგეობაში სამსახური და შემდეგში სულ არავინ იკისრებს, რადგან, დამერწმუნეთ მოცლილი არავინაა.





პეტრე დგებუაძე. ბატონი მანსვეტოვი უმართლოდ სდებს ბრალს საქართველოს კომისიას გადაჭარბებულ თავგამოდებაში, ჩვენ იმ მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ, როდესაც ამას მოვითხოვთ, რომ უამისოთ ანგარიშები გაუგებარია, გარეშე მკითხველს უეჭველია გაუკვირდება, როდესაც ანგარიშს წაიკითხავს; ნათქვამია დაიხარჯა ამდენიო და ის კი არ სჩანს, თუ რა ქონება აქვს საზოგადოებას.

გ. ქავთარაძე. დიახ ჩვენ იმას ვამბობთ: ანგარიშები გვეუბნება შეჰოვიდა, მაგალითად 500 მ., დაიხარჯა იმდენივე, გამოდის თითქო ცალიერზე დავრჩენილვართ.

ბ. ლორთქიანიძე. მე უკვე მოგახსენეთ, რომ გამგეობა პრინციპიალურად თანახმაა სარევიზიო კომისიის შენიშვნისა მეთქი, ხოლო, როგორც ბატონმა მანსვეტოვმა ბრძანა, ბევრი დაბრკოლება ელოდება წიგნების სწორად შეფასების სისრულეში მოყვანას. რაც შეეხება ბ. ბ. დგებუაძისა და ქავთარაძის პრაქტიკულ მოსაზრებას, მათ პასუხად შემოძლია ვსთქვა შემდეგი: შიშველი რიცხვები, თავისთავად დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. ანგარიშში აღნიშნულია: ბიბლიოთეკას აქვს 1464 წიგნი; ნუ თუ ეს არ ამცნებს ანგარიშის მკითხველს, რომ ცარიელზე არ გყოფილვართ დარჩენილი; თუ გნებავთ შევაფასებთ დაახლოებით, რადგან ნამდვილი ღირებულების განსაზღვრა, როგორც გამოიჩვენა სხვა და სხვა მიზეზებით, შეუძლებელია, დიახ, შევფასებთ და ვიტყვით ეს 1464 წიგნი ღირს 1464 მანეთი; თუ მანეთების ხსენება მეტს აგრძნობინებს ვისმე, დე ასე იყვეს.

ბ. კალანდარიშვილი. წიგნი რო დაიკარგოს მკითხველის ხელში, თუ შეფასებული არ იქნა, როგორ აზღვევინებს ბიბლიოთეკა დამკარგველს.

თ. ბ. მხეიძე. ერთი წიგნის შეფასება არ არის ძნელი, ხოლო 1500 წიგნის შეფასება კი სულ სხვაა, მე არ შემოძლია მხარი დაუჭირო სარევიზიო კომისიის მოთხოვნას, რომ ყველა წიგნი შეფასდეს. ეს სამძიმოც არის და უხერხულ მდგომარეობაშიც ჩააყენებს გამგეობას.

თავმჯდომარე ოლლა ხოფერიასა. თუ ვინცობაა დაკარგული წიგნის ფასი რაიმე მიზეზით ვერ ვავიგეთ, ან ვერ შევთანხმდით დამკარგველთან, მაშინ მოვითხოვთ, იგივე წიგნი იყიდოს, სადაც ნებაგს და შემოიტანოს. ყოველ შემთხვევაში გამგეობას განზრახვა აქვს, როდესაც ახალ ბინაზე იქნება გადატანილი ბიბლიოთეკა, და კატალოგები ხელ ახლად შედგენილ იქნება, შეფასდეს წიგნები, ხოლო ამ საქმეში უნდა დაეხმაროს გამგეობას სარევიზიო კომისიის წევრებიც; ეხლა წინადადებას ვაძლევ კრებას ფეხზე ადგომით გამოიჩვენებს, დამწრთავან რამდენია მომხრე წიგნების შეფასებისა. უმრავლესობა ადგა.

დადგენილ იქნა: შეფასებულ იქნეს წიგნები ახალი კატალოგების შედგენის დროს; დაეხმაროს გამგეობას წიგნების შეფასებაში ბ. პეტრე დგებუაძე. ერთხმად დამტკიცებულ იქნა წლის ანგარიშები. მიღებულ იქნა ახალი წევრები: 1) ვლადიმირ ლაბახუა, 2) ერმა ძიძიგური 3) სევერიან მუსყრიძე. 4) ნინო ფარნაოზის ასული კანდელაკისა. 5) გიორგი თოფურაძე. 6) ერმილე ბოჭორიშვილი. 7) მარიამ ფულარიასა 8) ალექსანდრა სალაყაიას ასული. 9) სოფიო გიორგი ლორთქიანიძის ასული. 10) დავით ფრენკელი. 11) ივანე იოსების ძე ქავთარაძე.



მდ. ბ. ლორთქვანიძე. ბ. კადანდარიშვილის წინადადება განსახილველი. ესთხოვთ კადანდარიშვილს განმარტოს თავისი წინადადება.

ბ. კადანდარიშვილი. საკმაოდ ვრცელებულ სიტყვაში ახასიათებს სოფლის გაქვირებას და იმ სარგებლობას, რომელიც შეუძლია მოუტანოს სოფელს კოოპერაციებმა, აღნიშნავს იმას, რომ სოფელი მოკლებულია კოოპერაციის მოწყობის საქმის მკოდნეთ, და სასურველად მიიჩნია, რომ სოფლებში გაფანტული მასწავლებლები იქნენ გაცნობილი ამ საქმესთან, რათა მათ საშუალება მიეცეთ მოფინონ სოფლებში კოოპერაციები. წინადადებას აძლევს საზოგადოებას ისარგებლოს მან შემთხვევით და მასწავლებელთა კურსების სეზონში მოიწვიოს ლექტორი, რომელიც წაიკითხავს ლექციებს კოოპერაციებზე. ნივთიერ საშვალებათა შესახებ ორატორი ამბობს, რომ 100 მანეთამდე თვით მასწავლებლები გამოიღებენ და სხვა ხარჯები კი საზ. იკისროს.

ან. ჭკადუასა. საექვოდ მიმაჩნია, რომ მთავრობამ ნება დაგვრთოს ამ საქმეში ჩარევისა. კურსები სულ 6 კვირას გრძელდება, ეს ისე მცირე დროა, რომ მასწავლებლები პედაგოგიურ საკითხებთან გაცნობასაც კი ვერ მოასწრობენ, არამც თუ სხვა ლექციებისთვის მოიცადონ. თვით ის უწყება, რომელიც კურსებს აწყობს არ დათანხმდება ჩვენც გავერიოთ საქმეში.

კადანდარიშვილი. უწყების წარმომადგენელთა აზრი მე ვიცი, რომ ისინი თანახმანი იქნებიან. გ. მალნარაძე. ბ. კადანდარიშვილის წინადადება უადგილოა, უმიზნო და უსარგებლო. მე ჩემდა თავად თვით ის უწყება, რომელიც კურსებს აწყობს, არავითარი ღირებულების მქონედ არ მიმაჩნია, არც იმისი იმედი მაქვს, რომ ამ უწყების მასწავლებლებმა, შესძლონ კოოპერაციის იდეის შეთვისება და იმისი ხალხში გავრცელება; ისინი თუ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას შეასრულებენ, იმისთვისაც მაღლობელი ვიქნებით, მაგრამ ვაი რომ ესეც საექვოდ მიმაჩნია.

ბ. მანსვეტოვი. ეხლა რა კი საკითხი ასეთ მწვავე კამათს იწვევს, მე, როგორც მაზრის უფროსი, ვიტყვი, რომ საჭიროდ ვრაცხ ეს კითხვა მოიხსნას, რადგან განსახილველი კითხვათა რიგში არ იყო შეტანილი კრების მოსაწვევ იმ განცხადებაში, რომელიც გამგეობამ ჩემთან წარმოადგინა.

ბ. ლორთქვანიძე. ბატონებო! კითხვა იმდენად სერიოზულია, რომ სამწუხაროთ, გამგეობასაც კი არ აქვს მაზრად შედგენილი საერთო კოლექტიური აზრი, და ეს იმიტომ მოხდა, რადგან ეგ სერიოზული საკითხი წინდა წინ უნდა განეხილა გამგეობას, რისათვისაც საჭირო იყო ერთი კვირით ადრე მაინც შემოსულიყო გამგეობაში განცხადება; რადგან ეს ასეთე არ მომხდარა წესდების თანახმად კითხვა უნდა მოიხსნეს.

კადანდარიშვილი. ბ. ლორთქვანიძეს ამ საგანზე არამც თუ ერთი კვირით ადრე, ორი კვირით წინდაც კი ველაპარაკებოდი, ნუ თუ ეს არა კმაროდა. განცხადებათ.

ლორთქვანიძე. ბ. კადანდარიშვილი მართალს ბრძანებს. სწორეთ ორი კვირის წინეთ კერძო ლაპარაკში ჩემთან ის შეეხო ამ კითხვას, მაგრამ მე არ მქონია





შემთხვევა, რომ ეს კითხვა გამგეობის განსახილველად წარმედგინა. ამის შემდეგ კრებამ ისურვა კითხვა მოიხსნეს რიგიდგან.

დასასრულს თავმჯდომარემ ითხოვა თანამდებობიდან განთავისუფლება; კრებამ ერთხმად თხოვა მას დარჩენა და ისიც დათანხმდა.

სენაკის განყ. თავმჯდომარე. **ოლღა. ხოფერიასა.**  
მდივანი **პ. ლორთქიფანიძე.**



# თელავის განყოფილების 1912 წლის მოქმედება

მიმდინარე საანგარიშო 1912 წელს ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის განყოფილების მოქმედების უმთავრესს მიზანს შეადგენდა ქართველ ხალხში ეროვნულ თვითშემეცნების აღორძინება.

ქართველთა ცხოვრების მიმდინარეობას და მის თვალსაჩინო მოვლენას ყოველთვის ანგარიშს უწევდა.

ამას გარდა გამგეობის მოქმედება მიმართული იყო განყოფილების სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმის უკეთესად დაყენებაზედ, რისთვისაც 1912 წელს (ენკენის-თვეში) სკოლას მეორე განყოფილება მოუმატა და მეორე მასწავლებელი მოიწვია.

გამგეობა ცდილობდა გაეფაროვებინა ვაჭრობა და გაეძლიერებინა განყოფილების ნივთიერი მდგომარეობა, როგორც წევრთა რიცხვის გამრავლებით, ისე ვასართობ საღამოების გამართვით.

გამგეობას განზრახული აქვს და მის ყოველდღიურ საჭირ-ბოროტო საკითხს შეადგენს- დიდებული ილია ჭავჭავაძის მამულის (ს. ყვარელში) მოწესრიგება, რომელიც ეხლა სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ ამას დიდი თანხა სჭირია (მკოდნე პირების გამოანგარიშებით არა ნაკლებ 3000 მან.) ეს თანხა კი გამგეობას არ მოეპოვება და ამისათვის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად ეს თანხა უნდა ეთხოვოს თბილისის თავად-აზნაურობას, რომელმაც ეს მამული შეისყიდა და გადმოსცა თელავის გამგეობას. ამ მამულში 1912 წელს გამგეობამ შეაკეთა წისქვილი, რაზედაც დაეხარჯა 150 მან.

არა თუ საანგარიშო წელს, არამედ თელავში განყოფილების დაარსებიდანვე, მის გამგეობას მოუხდა განსვენებულ ილია ზარათიშვილს ვალის საქმის წარმოება სასამართლოში.



ბ. ზარაფიშვილმა ანდერძით დაუტოვა სახლები ამ საზოგადოებას. (ზარაფიშვილს) ვალი მართებია, რომელიც თავის დროზედ მოუშორებლობისა გამო, კრედიტორმა უჩივლა ჯარიმა 2000 მანეთი ზარაფიშვილს და ჰლამობს ამ ფულში დაინარჩუნოს ის სახლები (ქ. შ. წ.-კ. გ. ს. თელავის განყოფილებისათვის ნაანდერძევი)

ეს საკითხი უკვე მოეხსენება მთავარ გამგეობას და სასამართლოში ამ საქმეს აწარმოებს მთავარ გამგეობის წევრი ბ. გრიგოლ რეხილაძე.

გამგეობის მომავალ მოქმედების გეგმას შეადგენს განყოფილების სკოლაში მესამე განყოფილების მომატება, ილია ჭავჭავაძის მამულის მოწეს-რიგება (თუ ქართველი თავად-აზნაურობა დაეხმარა), ამ მამულში სკოლის გახსნა საკვირაო სკოლების დაარსება, სახალხო წარმოდგენების მართვა, ბიბლიოთეკების დაარსება სოფლად და სსვა.

თავჯდომარის ამხანაგი **ალ. ვახვახიშვილი.**  
 მდივანი **ი. გორდენიანი.**

**განყოფილების შემოსავალი:**

	მან.	კ.
1. კასსა 1 იანვარს 1912 წელს	102	53
2. საწევრო გადასახადი	294	"
3. ილია ჭავჭავაძისეული მამულის შემოსავალი	168	"
4. 20 ივლისს გამართულ სადამოძან	261	42
5. შემოწირულება უფლად სამღვდელთ ეზის დაჯიფისაგან	50	"
6. წერა-კითხვის განყოფილების წიგნის მდარზიდან	150	"
7. ურნალ გაზეთების პრეტენტებიდან	61	44
8. წ.-კ. განყოფილების წიგნის მდარზიის საგატრო თანხა	885	"
9. ქ-ნ სოფიო ზარაფიშვილზე ვალათ ითვლება	100	"
<b>სულ</b>	<b>2072</b>	<b>39</b>

**გასავალი:**

1. წ.-კ. განყოფილების მდარზიის მეცა სესხდბრივ	350	"
2. ილია ჭავჭავაძისეული წიგნილის შეკეთება	150	"
3. ილია ზარაფიშვილის საქმეზე მოწვეულ ვეჭილს მეცა გზის ფულად	30	"
4. 1911 წ. შემოსავლის (527 მან.) 20 პრ. მთავ. გამ.	105	40
5. წ.-კ. განყოფილების სკოლას მოხმარდა	191	18
6. წერილი ხარჯი: საკანცელიარო, საფოსტო და სხვა.	35	35
<b>სულ</b>	<b>861</b>	<b>93</b>





**სკოლის შემოსავალი:**

1. 1911 წლის ანგარიშიდან დარჩენილი . . . . .	167	16
2. სკოლის სასარგებლოდ საღამოს წმინდა შემოსავალი . . . . .	334	46
3. მოსწავლეთაგან სწავლის ფული . . . . .	199	20
4. წ.-კ. წიგნის მღაზიიდან დაბრუნებული ვაჭი . . . . .	150	„
5. წ.-კ. განყოფილების კასიდან გადმოიწერა . . . . .	191	10
სულ . . . . .	1042	„

**გასავალი:**

1. სკოლის გამგის ჯამაგირი . . . . .	400	„
2. სკოლის მეორე მასწავლებლის ჯამაგირი (1 თქ. 1912 წ.) . . . . .	75	„
3. სკოლის სახლის ქირა . . . . .	240	„
4. მოსწავლეთათვის სკამები . . . . .	72	„
5. მოსამსახურეს ჯამაგირი . . . . .	50	„
6. გათბობა . . . . .	23	36
7. განათება . . . . .	16	„
8. წიგნების უკაფი . . . . .	7	„
9. წვრილი ხარჯი . . . . .	8	64
10. წ.-კ. წიგნის მღაზიას მიერა დრკები . . . . .	150	„
სულ . . . . .	1042	„

განყოფ. თავმჯდომარის ამხანაგი **ალ. ვახვანიშვილი.**

ხაზინდარი **ვ. პაატაშვილი.**

მდივანი **ი. გორდუზიანი.**





# გამგეობის მოხსენება

სახეუმის განყოფილების საზოგადო კრებისათვის

საანგარიშო 1911—12 სამოსწავლო წელს თქვენ მიერ არჩეულ გამგეობამ უმთავრესად თვისი ყურადღება მიაქცია ჩვენს ნორჩს სკოლასა და სასკოლო შენობის აგებას, და რადგანაც ჯერ წელში არ გამაგრებულ ახალგაზდა საზოგადოებას ეს ორი საქმეც საკმაო მძიმე უღლად დააწვა, ამიტომ სხვა მორიგი საქმეები, მას მიერ გათვალისწინებული, ჯერ ხნობით უყურადღებოთ დასტოვა. იმედოვნებს კი მომავალ სამოსწავლო წელს ჯეროვანი ყუღღებით ამათაც მოჰკიდოს ხელი: მოაწყოს საღამოს კურსები, საკვირაო სკოლა, სახალხო კითხვები და სხვა და სხვა. ხოლო უპირველესად საჭიროა ამათ ცხოვრებაში გასატარებელი შესაფერი ბინა და თუ კი ეს უკანასკნელი თქვენი შემწეობით იქნება, მაშინ მათი მოწყობა უზრუნველ ყოფილია... აი ამიტომ გამგეობამ მთელი თვისი ენერგია და ყურადღება მიაქცია ქართულ სკოლასა და მისთვის საკუთარ შენობის აგებას. ამ უკანასკნელ მიზნისათვის გამგეობამ გამოჰყო თავისი წრიდან ცალკე საამშენებლო კომიტეტი, რომელშიაც მცოდნე წევრნიც საზოგადოებისა შედიან. ამ კომიტეტის მოქმედების ანგარიშს მე არ შევებები, რადგანაც მის შესახებ ცალკე მოხსენებას წარუდგენენ თქვენ ყურადღებას. შეუდგა თუ არა საზოგადო კრების გადაწყვეტილების ცხოვრებაში გაატარებს, სკოლის გახსნას 1910 წელს, გამგეობას არც კი სჯეროდა, ასე თუ იყო მომწიფებული ეს საკითხი: პირველ წელსვე იმდენი ბავშვი მოაწყდა ახალ გახსნილ სკოლასა, რომ ჩვენდა სასწუხბაროდ, უადგილობის გამო, იძულებული ვიყავით მხოლოდ მიგვეღო 47 მოსწავლე და დანარჩენისათვის უარი გვეთქვა და სკოლის კარები დაგვეხუთა. ხოლო საანგარიშო წელს უფრო ნათლად აღმოჩნდა ეს მომწიფებული მოთხოვნილება სოხუმელ ქართველთა: პირველ სექტემბერს ჩვენ მივიღეთ 67 მოსწავლე, დანარჩენ მსურველთ უადგილობის გამო ისევ უარი უთხარით! თუ ასე დღითი დღე იზღება საოცარ სისწრაფით ბავშვების რიცხვი, უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ საზოგადოების შეგება თვისი მოვალეობისა ამ კულტურულ დაწესებულების წინაშე, რაიცა ნათლად გამოიხატება შემდეგი ციფრებით: 1910 წელს ნინობაბა მოგვცა 354 მანეთი, 1911 წელს კი თითქმის ორჯელ მეტი 602 მანეთი, ხოლო 1912 წელს იმავე საღამომ ყოველივე მოლოდინს გადააჰარბა და შემოიტანა 1048 მანეთი. ასეთივე ჩქარი ნაბიჯით მიდის საწევრო ფულის შემოტანაც: 1910 წ. შემოვიდა 150 მ., 1911 წ. კი 655 მ. აი, ბატონებო, ის მჭერმეტყველი ციფრები, რომელნიც დაღადებენ, რომ ჩვენც მოვმწიფდით საზოგადო საეროვნო საქმეთა წასაძღოლათ და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენც, ქართველებიც, გვერდით ამოუღებით ჩვენზე უფრო დაწინაურებულ მეზობელთა! საზოგადოათ უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი ჩქარი ნაბიჯით წინ მის-





წრადვის მთელი ქართველობა. სწორეთ აი ასეთმა სასიხარულო ფაქტებმა, ცხოვრების გულიდან ამოდებულმა, გამგებობას უკარნახა თქვენთვის მოეხსენებინა, 1911 წ. 23 აპრილს საზოგადო კრებაზე, მეორე მასწავლებლის მოწვევის საჭიროება და თქვენი ნებართვით პირველ ენკენისთვის მოწვეული იქნა მ—რე მასწავლებლად ბ. ნ. ქურიძე და ამ რიგად ჩვენ სკოლაში გვყავდა ორი მასწავლებელი და ას შვიდი მოწაფე; ხოლო მომავალ სამოსწავლო წელს კი ისევ მოსალოდნელია, რომ ჩვენ მოგვემართავს არა ნაკლებ 60 ბავშვისა. და ამდენი ბავშვები, ჩვენი ნორჩი შვილები, სამ-ორ მასწავლებელს თავს მოვხვებით, ეს კი გამგებობას საქმის ღალატად მიაჩნია. ყოველი საქმე მაშინაა შესაფერი ნაყოფით დაგვირგვინებული, როცა ეს საქმე არ აღემატება მისს ცხოვრებაში გამტარებელთ ძალღონეს, მეტადრე ეს ითქმის ისეთს სათუთსა, ცოცხალსა და საშვილიშვილო საქმეში სწავლა აღზრდის შესახებ, როგორც ყრმათა აღზრდაა. აქ თვითეული არა მარჯვედ გადადგმული ნაბიჯი საქმეს ერთი ასად აფერხებს, აფუჭებს და აუკუღმართებს. ჩვენს ბრძენს ერს უთქვამს: კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებსო. ხოლო იმ ადამიანის, გასწორება რომელიც კუზიანდება უკუღმართ სკოლის წყალობით, თვით საფლავსაც არ შეუძლიან. ის ნდობა და სიყვარული, რომელიც დაბადებისთანავე თან დაჰყვება ჩვენს სკოლას, უნდა გაუმართლოთ ხალხს. ამისთვის კი აუცილებლად საჭიროა მომავალ შემოდგომიდანვე მოვიწვიოთ მესამე მასწავლებელიც და ეს ნორჩი ეროვნული კერა გავადვიოთ, გავაძლიეროთ მისი ცხოველ-მყოფელი ძალა და ის თითო ოროლა ურწმუნო თაობანიც კი დავარწმუნოთ, რომ მხოლოდ საღს აღზრდას, აღზრდას, დაფუძნებულს სამშობლო ნიადაგზე შეუძლიან მოგვცეს საღი ადამიანები! დიდებული უშინსკი ამბობს: წაართვით ერს ყველაფერი, ის ისევ ერად დარჩება, წაართვით მას ენა, ის აღვიგვება დედა-მიწის ზურგიდან.

რა ენა წახდეს

ერიც დაეცეს.

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა. წმინდასო! სთქვა პოეტმა. და აი ამ მოსაზრებით იძულებულნი ვართ დაბეჯითებით ურჩიოთ კრებას — არ შეუშინდეს ცოტა ზედმეტ ხარჯსა და მესამე მასწავლებელი მოიწვიოს. რომ მითი ეს საშვილიშვილო საქმე მტკიცე ნიადაგზე დავამყაროთ.

გამტეხობის თავიშეღმარე მ. ნ. ანჩაბაძისა.

მდივანი ნიკო ჯანაშია.

ნამდვილთან სწორია ნიკო ჯანაშია.







# განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს ორი საპრემიო თანხა: უგანათლებულესი თავადის გრიგოლ დადიანისა და ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოდობერიძის. თ-ღ დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან პრემიად მიეცემა 400 მანეთი ორ წელიწადში ერთხელ; ხოლო ნ. ბ. ღოდობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან ყოველ წლობით 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. თ-ღ დადიანის სახელობის პრემიის მისაღებად წარმოდგენილი თხზულება უსათუოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი; ღოდობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად კი უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენასაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა - ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი, ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლისამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია, ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.





4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან და გამოკვლევა უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნეჩვეულებიდგან, ფიზიკურ აგებულებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა — გამოსარკვევად: 1) ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამამავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ შეკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ შემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა, გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1914 წლისა...

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1910 წელზე ადრე გამოცემული.





# განსხალება



გამოვიდა ახალი წიგნი

## იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად



გამოცემა უყრნაღ  
„განათლების“ რედ.


წმინდა შემოსავალი  
ამ კრებულისა მონ-  
მარდება სახალხო გა-  
ნათლების ფონდს, რო-  
მელიც განსვენებულმა  
იაკობმა დაარსა.

კოსტია  
კონა  
კუწულა  
იანე. აა კიბია  
ნანიჩისი რში  
თავად. ჯაკო  
სოსოპლის შანა  
შაკაპლი მუშა და  
ფინაილი ბაღი  
აბილი  
ნაზარე. თამა  
ნაკაში მსოფს.  
ნანი ვი. გულის  
კახული ნაზიკ.

და შვი

წიგნი შეიცავს 320 გვერდზე მეტს და ღირს 75 კაპ. ამ კრებულში მოთავსე-  
ბულია მრავალი ახალი და უკვე დაბეჭდილი მასალები, სიტყვები, დებეშები და  
მოგონებანი განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის შესახებ.





ჟურნალ „განათლების“ რედაქციაში იყიდება სურათები განსვენებულის იაკობ გოგებაშვილისა სკოლებში დასარიგებლად—თითო ცალი ორ შაურად, ვინც 50-ზე მეტს დაიბარებს, იმას დაეთმობა 20%.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ უკვე დაბეჭდა განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები „დღეა ენა“, „ბუნების კარი“ და „Русское Слово“-ს I და II ნაწილი 1913—14 წლისათვის. ეს სახელმძღვანელოები უკვე მზად არის. „Русское Слово“-ს მეორე ნაწილის ახალ გამოცემაში, თანახმად განსვენებულის იაკობის ანდერძისა, შეტანილია ზოგიერთი შესწორებანი და 50-მდის ახალი სურათი. წიგნი დაბეჭდა საუკეთესო ქალაქდზე და, კარგი გამოცემაც არის ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებლების ზნეობრივი მოვალეობაა ყველგან სკოლებში გაავრცელონ ეს სახელმძღვანელო და მით გაუადვილონ მოსწავლეთ რუსული ენის შესწავლა.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

# „განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.  
(წელიწადი შეაქვს)

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მანაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის ოთხი მანეთი (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად სამ მანეთად, საზღვარ გარეთ 6 მანეთი. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადაიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიღორე კვიციანიძესთან, ბათუმში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას და სამტრედილაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მამწერლებს დროზე დაიკეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская  
Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

რედაქცია-ამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.